თემურ თოდუა

# რომაული სამყარო და კოლხეთი

## I - IV სს.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2003

უაკ (UDC) 947.922
თ 677

ნაშრომში წერილობითი წყაროების, ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე შესწავლილია კოლხეთის ზღვისპირეთის I-IV სს. მატერიალური კულტურა რომაული ცივილიზაციის კონტექსტში. ნაჩვენებია რომის იმპერიის პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის ხასიათი, დანიშნულება, მისი ჩამოყალიბების ცალკეული ეტაპები; კოლხეთის ზღვისპირა ცენტრებში რომაული სამხედრო შენაერთების ჩადგომის დრო. განხილულია კოლხეთის ზღვისპირეთის რომაული დასახლებების ხასიათი; აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული იმპორტის გავრცელების გზები, საწარმოო ცენტრები და ქრონოლოგიური ჯგუფები; რომაული ციხესიმაგრეებისა და მათი გარემომცველი სამყაროს ურთიერთმიმართების საკითხები.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი პროფესორი გრანი ქავთარია
რეცენზენტები: პროფესორი ნოდარ ლომოური
ისტ. მეცნ. დოქტორი გელა გამყრელიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003
© თ. თოდუა, 2003

თ $\frac{0501000000}{608(06)-03}$

ISBN 99940-13-98-x

# შინაარსი


შესავალი ........ 5

რომაული სამხედრო შენაერთები
კოლხეთის ზღვისპირეთში ........ 6

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული
დასახლებების ხასიათის საკითხისათვის
(კანაბე თუ ვიკუსი) ........ 39

რომაული იმპორტი აღმოსავლეთ
შავიზღვისპირეთში ........ 52

რომაული სარკე და სამკლაური
ბიჭვინტის სამაროვნიდან ........ 75

რომაული საკიდი—მედალიონი და
ოქროს ვარდულიანი საყურე
ბიჭვინტის სამაროვნიდან ........ 84

რომაული ფალერები კლდეეთის სამაროვნიდან ........ 88

არიანეს „პერიპლუსის“ ὅρμος
და λιμήν ტერმინების განმარტებისათვის ........ 101

რომაული კულტურა და აღმოსავლეთ
შავიზღვისპირეთი ........ 112

რომაული ციხესიმაგრეები და
მათი გარემომცველი სამყარო ........ 170

დასკვნა .......... 183

Roman World and Colchis (Summary) .......... 186

ბიბლიოგრაფია .......... 189

შემოკლებათა განმარტება .......... 213

ტაბულების აღწერილობა .......... 216

ტაბულები .......... 218

*ეძღვნება დედის – ფ. მესხიას ხსოვნას*

# შესავალი

კოლხეთისა და რომაული სამყაროს კონტაქტების კვლევა-ძიება ფრიად მნიშვნელოვანია საქართველოს ძველი ისტორიისათვის. ეს ურთიერთობანი მეტ-ნაკლები ინტენსიურობით აისახა კოლხეთის ზღვისპირეთის I-IV სს. პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველო, ძველი კოლხეთის ტრადიციების გამგრძელებელი და როგორც გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ქვეყანა, არანაკლებ როლს თამაშობდა იმპერიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის ჩამოყალიბებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი როლი ჩრდილო კავკასიის რეგიონთან მიმართებაში. შესაბამისად, რომაული ხანის კოლხეთის სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურის საკითხების კვლევას, როგორც რომაული სამყაროს სასაზღვრო რეგიონისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ნაშრომის სიახლეს შეადგენს რომაული ცივილიზაციის კონტექსტში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მატერიალური კულტურის კომპლექსური შესწავლა, პრობლემის მონოგრაფიული განხილვა წერილობით წყაროებსა და ეპიგრაფიკულ, არქეოლოგიურ მონაცემთა საფუძველზე. ნაჩვენებია რომის იმპერიის პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის ხასიათი, დანიშნულება და მისი ჩამოყალიბების ცალკეული ეტაპები. დადგენილია კოლხეთის ზღვისპირა ცენტრებში რომაული სამხედრო შენაერთების ჩადგომის დრო. გარკვეულია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული დასახლებების ხასიათი; საქართველოს ზღვისპირეთში რომაული იმპორტის გავრცელების გზები, საწარმოო ცენტრები და ქრონოლოგიური ჯგუფები; ზღვისპირა ციხესიმაგრეებისა და მათი გარემომცველი სამყაროს ურთიერთმიმართების საკითხები.

# რომაული სამხედრო შენაერთები კოლხეთის ზღვისპირეთში

რომაული სამხედრო შენაერთები კოლხეთში ძვ.წ. 65 წ. გამოჩნდნენ. ძველ ავტორებს ოდნავი მინიშნებაც კი არა აქვთ, ამ ხანებში, შემდგომ, საქართველოს ზღვისპირეთში რომაული გარნიზონების ჩადგომის დროის შესახებ. ბერძენ-რომაელი ისტორიკოსები მხოლოდ ზოგადად აღნიშნავდნენ, რომ რომაელთა საჯარისო ნაწილები განლაგებული იყვნენ კოლხეთის ერთ დროს ცნობილ ზღვისპირა ქალაქებში – ფასისში, აფსაროსში, სებასტოპოლისსა და პიტიუნტში.

სამეცნიერო ლიტერატურაში კი ამ საკითხთან დაკავშირებით, სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი, რომაული გარნიზონების ჩადგომას კოლხეთის სანაპიროზე, ოქტავიანე ავგუსტუსის დროს ვარაუდობს (Ломоури, 1981, გვ. 211), მეორე – ძვ. წ. I ს. 60-იანი წლებით (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 41), მესამე – ვესპასიანეს ეპოქით ათარიღებს (Лекваинадзе, 1969, გვ. 75-76).

ამ ბუნდოვანი საკითხის გარკვევაში, ჩვენი აზრით, გარკვეული სიცხადე შეიძლება შეიტანოს იოსებ ფლავიუსის ძალზე საყურადღებო ცნობამ: „რა უნდა ვილაპარაკო პენიოხების, კოლხების, ტავრთა ტომის, ბოსფორანების, პონტოსა და მეოტიდის ირგვლივ მცხოვრები ხალხების შესახებ, რომლებიც უწინ საკუთარ მფლობელსაც კი არ სცნობდნენ, ახლა კი 3000 ჰოპლიტს ჰყავთ ისინი მორჩილებაში და ორმოცი ხომალდი იცავს მშვიდობას ზღვაზე, რომელზედაც უწინ ცურვა არ შეიძლებოდა და შემაძრწუნებელი იყო" (Jos. Fl., Bell Jud., II, 16,4).

მოტანილ ცნობაში, მკვლევართა აზრით, ახ.წ. 66 წ. მოვლენებია ასახული (Блаватский 1985, გვ. 231; Ростовцев, 1900, გვ. 142). თუ ეს ასეა, მაშინ რომაული სამხედრო შენაერთები საქართველოს ზღვისპირეთში ნერონის დროისათვის უკვე იდგნენ.

თუმცაღა, მაინც არ არის ნათელი რომაული საჯარისო ნაწილები აქ ნერონის მმართველობის ხანაში განლაგდნენ თუ მისი წინამორბედი იმპერატორების ეპოქაში.

საეჭვოა, რომ ეს ფაქტი ავგუსტუსის, ტიბერიუსის ან კალიგულას დროს მომხდარიყო, ვინაიდან ამ ხანებში იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარზე მხოლოდ ოთხი ლეგიონი იდგა (Бокщанин, 1966, გვ. 151-152), თანაც რომაელთა თავდაცვითი სისტემაც სათანადოდ არ იყო მოწესრიგებული. ცხადია, ამ მწირი სამხედრო რესურსებით რომაელები ვერ შეძლებდნენ აღმოსავლეთი საზღვრის მთელ პერიმეტრზე და მათ შორის კავკასიაში სამხედრო შენაერთების განლაგებას. ამიტომაც იყო, რომ ავგუსტუსს არც უცდია მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა შეეცვალა. მან რომზე ფორმალურად დამოკიდებული მარკუს ანტონიუსისეული სამეფოების სისტემა დატოვა უცვლელად. ამ სამეფოთა შორის ერთ-ერთ თვალსაჩინო როლს პონტოს სამეფო ასრულებდა. რომაელებმა პონტოს ტახტზე კვლავ პოლემონ I დაამტკიცეს. მას სამართავად კოლხეთიც ებოძა (გამყრელიძე, 1993, გვ. 80; Шелов, 1969, გვ. 71). ავგუსტუსის მემკვიდრე იმპერატორების - ტიბერიუსისა და კალიგულას დროსაც, კოლხეთის სტატუსი არ შეცვლილა. იგი ისევ პოლემონიდების პონტოს შემადგენლობაში რჩებოდა (Тодуа, 1990, გვ. 78-79). საფიქრებელია, რომ ამ ხანებში კოლხეთის სანაპიროზე პონტოელთა გარნიზონიც მდგარიყო, თუმცა ამის დამადასტურებელი შესაბამისი მონაცემები არ მოგვეპოვება.

რომის იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკა კარდინალურად მხოლოდ ნერონის დროს შეიცვალა. ნერონმა უარყო წინამორბედი იმპერატორების ბუფერულ სამეფოებზე დაყრდნობის პოლიტიკა და კურსი მათი ლიკვიდაციისაკენ აიღო. მან ახ.წ. 63წ. პოლემონიდების სამეფო გააუქმა და ის რომის პროვინციად გამოაცხადა. იმავდროულად, ნერონმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კავკასიაში რომაელთა პოზიციების განმტკიცების

საქმეს. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის საჭირო იყო იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში მნიშვნელოვანი ძალების თავმოყრა, რასაც ასე დაბეჯითებით მოითხოვდა ხელისუფალთაგან რომაელთა გამოცდილი მხედართმთავარი გნეიუს დომიციუს კორბულონი (Tac., Ann., XIII, 35; XVI,26).

რომაელთა საკომუნიკაციო ქსელის სისუსტე განსაკუთრებით შესამჩნევი იყო კაპადოკიასა და მცირე არმენიაში. ეს ხარვეზები რომაელებმა ნაწილობრივ შეავსეს ახ.წ. 57 წლიდან, როდესაც დასავლეთიდან კაპადოკია-მცირე არმენიის საზღვარზე XII და XV ლეგიონები გადმოისროლეს. მათ ამავე ტერიტორიაზე რამდენიმე სტრატეგიული პუნქტი და სასიმაგრო ნაგებობანიც აამენეს (Акопян, 1985, გვ.13). ამგვარი ღონისძიებების გატარების შემდგომ ნერონს საშუალება მიეცა კავკასიაში ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების წარმოებისა.

ახ.წ. 60 წ. რომაელებმა დაიმორჩილეს არმენია (Tac., Ann., XIV, 23,25). იბერია კი რომისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა (Tac., Ann., XIV, 26). რაც შეეხება კოლხეთს, იგი პონტოსთან ერთად გალატიის პროვინციის შემადგენლობაში მოექცა. მის სანაპიროზე კი, ვფიქრობთ, ნერონს გარნიზონები უნდა ჩაეყენებინა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს არა მარტო ნერონის ზემოხსენებული ზოგადკავკასიური პოლიტიკა, არამედ კონკრეტული გარემოებებიც. კერძოდ, ამ დროისათვის რომაელებს აღმოსავლეთის საზღვარზე, როგორც აღინიშნა, საკმარისი სამხედრო ძალები არ გააჩნდათ, რათა მათი გარკვეული ნაწილი კოლხეთის სანაპიროზეც განელაგებინათ; გამორიცხულია, რომ ისეთი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის რეგიონი როგორიც საქართველოს შავიზღვისპირეთი იყო, რომაელებს დაუცველად დაეტოვებინათ. აღნიშნული ღონისძიების გატარების გარეშე ნერონი არათუ შეძლებდა კავკასიაში თავისი პოზიციების განმტკიცებას, არამედ ჩრდილო კავკასიის მთიელთა

შემოტევასაც ვერ შეაჩერებდა; რომაელები ვერც შავ ზღვაზე ვაჭრობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ.

სხვა საკითხია, თუ რა რაოდენობის საჯარისო ნაწილები იყო აქ დისლოცირებული. იოსებ ფლავიუსის ზემოთ მოტანილ ცნობაში დასახელებული რომაელთა სამხედრო ძალა მთლიანად ბოსფორ-მეოტიდაში როდი იყო კონცენტრირებული, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია (Цветаева, 1979, გვ. 34). არც ისაა ახლოს ჭეშმარიტებასთან, რომ ეს სამხედრო ძალა თითქოსდა პონტოსპირეთის ყველა ხალხს აკონტროლებდა (Шелов, 1981, გვ. 54). მაგალითად, სანები არიანეს დროსაც რომაელებს არ ემორჩილებოდნენ და „ყაჩაღურ ცხოვრებას" ეწეოდნენ (Арр., PPE, 11). ყოველ შემთხვევაში, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ რომაელთა ამ სამხედრო შენაერთების ძირითადი ნაწილი ხერსონესში იდგა (Блаватский, 1985, გვ. 231). საფიქრებელია, რომ გარკვეული ნაწილი კოლხეთის სანაპიროზეც იყო დისლოცირებული. ვფიქრობთ, ეს საჯარისო ნაწილები მცირერიცხოვანი უნდა ყოფილიყო, რადგან არიანეს ინსპექტირების დროსაც, ისინი საქართველოს ზღვისპირეთში არცთუ ისე მრავალრიცხოვანი ჩანს.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია კოლხეთის სანაპიროზე რომაული სამხედრო შენაერთების განლაგების ზუსტი თარიღი. ამ საკითხის გარკვევაში, ჩვენი აზრით, გარკვეული დახმარება შეიძლება გაგვეწიოს პლინიუს უფროსის ცნობამ აფსაროსისა და სებასტოპოლისის მდგომარეობის შესახებ. პლინიუსი აფსაროსსა და სებასტოპოლისს "Castellum"-ებს (Plin., NH., VI, 12,15) უწოდებს, მაგრამ არაფერს გვამცნობს მათი აგების დროზე. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ „Castellum"-ში, როგორც წესი, იგულისხმება ქვის საფორტიფიკაციო ნაგებობა, რასაც ჩვეულებრივ წინ უსწრებდა ხის ციხესიმაგრე და, ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ კაპადოკია—მცირე არმენიის საზღვარზე XII

და XV ლეგიონების ჩადგომის დროს (57 წ.) და იოსებ ფლავიუსის ზემოთ მოტანილი ცნობის თარიღსაც (66 წ.), მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ აღნიშნულ პუნქტებში რომაული სამხედრო შენაერთები ახ.წ. 57-66 წწ. შორისაა დისლოცირებული. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, აფსაროსსა და სებასტოპოლისში რომაული გარნიზონები ახ.წ. I ს. დასასრულისათვის უკვე განლაგებულია, რასაც გარკვეულწილად არქეოლოგიური მონაცემებიც მოწმობენ.

გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე სადაზვერვო სამუშაოების დროს აღმოჩნდა საკმაოდ მრავალფეროვანი იმპორტული კერამიკული ნაწარმი, რომელთა შორის ინტერესს იწვევს წითელლაკიანი ჯამის ძირ-გვერდის ფრაგმენტი სანდლიანი ფეხის ტერფის გამოსახულებით და მეომრის რელიეფურგამოსახულებიანი ჭრაქი. პირველი ახ.წ. I ს. პირველი ნახევრით თარიღდება (Кадеев, 1970, გვ. 135, სურ.19), ხოლო მეორე აღნიშნული საუკუნის მეორე ნახევრით განისაზღვრება (Beiley, 1963, გვ. 180).

ორივე მათგანი რომაელ ჯარისკაცთა შემოტანილი უნდა იყოს, რამდენადაც აღწერილი ნივთები, როგორც წესი, მხოლოდ იმ რეგიონებში გვხვდება, სადაც რომაული გარნიზონები იდგნენ. რომაულ საჯარისო ფორმირებებს უნდა შემოყოლოდა, აგრეთვე სოხუმის ციხის ტერიტორიაზე დადასტურებული, ახ.წ. I ს. დათარიღებული სინოპური წარმომავლობის ღია ფერის თიხის ვიწროყელიანი ამფორებისა (აფაქიძე, ლორთქიფანიძე, 1965, გვ.120) და პერგამონული ბიკონუსურმხრებიანი წითელლაკიანი თასის ფრაგმენტები (ფუთურიძე, 1965, გვ. 98), რადგანაც ეს ნაწარმი კასტელუმის ტერიტორიაზეა დაფიქსირებული.

მთლიანად რომაულ გარნიზონს უნდა დავუკავშიროთ სებასტოპოლისის კასტელუმშივე აღმოჩენილი ახ. წ. I ს.

დათარიღებული ნაგებობა (აფაქიძე, ლორთქიფანიძე, 1965, გვ.124-125).

რაც შეეხება ფასისს, აქედან ჩვენ ახ.წ. I ს. არქეოლოგიური მასალები ჯერჯერობით არ გაგვაჩნია, თუმცაღა მოგვეპოვება არიანეს ცნობა ფასისის თავდაპირველი ციხესიმაგრის შესახებ. არიანეს გადმოცემით, ფასისის ცისის კედელი წინათ თიხისა იყო და მასზე ხის კოშკები იდგა, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისაგანაა გაკეთებული (Arr., PPE,9). როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, ჩვეულებრივი „Pila muralia“ ანუ ხის დროებითი სასიმაგრო ნაგებობა ყოფილა. ამ ტიპის ნაგებობები ფუნქციონირებდა იმპერიის საზღვრებზე მუდმივი სამხედრო ბანაკის აგებამდე. მსგავსი „Pila muralia“-ს ნაშთები აღმოჩენილია ბრიტანეთში, რეინ-დუნაისპირეთში და ისინი, უპირატესად, ახ.წ. II საუკუნისთვისაა დამახასიათებელი (Webster, 1985, გვ. 168-169). ფასისის ხის ძელური სასიმაგრო ნაგებობაც ახ.წ. I ს. უნდა განისაზღვროს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ფასისშიც რომაული გარნიზონი აფსაროსისა და სებასტოპოლისის თანადროულად უნდა ჩამდგარიყო.

ამრიგად, რომაული გარნიზონები საქართველოს ზღვისპირეთში ახ.წ. I ს. დასასრულისათვის უკვე იდგნენ და ძირითადად ფასისში, აფსაროსსა და სებასტოპოლისში იყვნენ დისლოცირებული, რაც ე.წ. პონტოს ლიმესის არსებობას ეჭვქვეშ აყენებს. მისი არსებობა საერთოდაც საეჭვოა, ვინაიდან, ჯერ ერთი, აქაური გარნიზონები, ძირითადად, დამხმარე შენაერთებისაგან შედგებოდა; მეორე მხრივ, თვით ლიმესი, რომელშიც მაღალორგანიზებული თავდაცვითი ხაზი და კარგად გამართული საკომუნიკაციო ქსელის სისტემა იგულისმება, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული სირთულეებისა და რომაული გარნიზონების მცირერიცხოვანი ძალების გამო აქ ვერ შეიქმნებოდა. გარდა ამისა, თავად რომაული ხანის ავტორები საქარ-

თველის ზღვისპირეთის თავდაცვით ხაზს ლიმესად არ იხსენიებენ. ისინი მას ჩვეულებრივ „რომაელთა სამფლობელოდ“ (Arr., PPE,9), უმეტეს შემთხვევაში –„საზღვრად“ (Theodor., V,34) მოიხსენიებენ. ჩვენი აზრით, იმპერიის სამხედრო ძალებით ამ საკმაოდ კარგად დაცულ ზონას პონტო-კავკასიის საზღვარი უნდა ეწოდოს, რადგანაც მის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა რომაელთა პოზიციების განმტკიცება ამიერკავკასიაში და ჩრდილო კავკასიის რეგიონის გაკონტროლება. ხსენებული სასაზღვროთავდაცვითი სისტემის მოვალეობასვე შეადგენდა ჩრდილო კავკასიელთა თარეშის აღკვეთა, კაბოტაჟური ნავიგაციისა და ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა შავიზღვისპირეთის სანაპიროებზე. როგორც აღვნიშნეთ, პონტო-კავკასიის სასაზღვროთავდაცვითი სისტემა ნერონის ეპოქაში ჩამოყალიბების პროცესში იყო. ამ მიმართულებით ნერონის მიერ დაწყებული საქმე განაგრძო და, ძირითადად, დაასრულა კიდეც ვესპასიანემ (ახ.წ. 69-79 წწ.).

როგორც ცნობილია, ვესპასიანეს სახელთანაა დაკავშირებული აღმოსავლეთის სასაზღვრო ზოლის მოდერნიზაცია, მისი თავდაცვის სისტემის რეორგანიზაცია (The Cambridge enciclopedia of arcaelogy, 1980, გვ. 236-237). ახ. წ. 74-76 წწ. ვესპასიანემ გარნიზონები განალაგა სირია-პალესტინის ხაზზე, ეგვიპტესა და არაბეთში; ლეგიონური შენაერთები ჩააყენა, აგრეთვე, კომაგენაში, ჩრდილოეთ სირიის ქალაქებში - ზევგმასა და სურაში; მის დროს გარნიზონები ჩადგნენ ანკირასა და ევმენიაში, ხოლო სირიის ცნობილ ქალაქებში - პალმირაში, ბოსტრასა და ჰერასაში ციხესიმაგრეები აშენდა (Cambridge enciclopedia of Arcaelogy, 1980, გვ. 238).

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კაპადოკიასა და მცირე არმენიაში სასაზღვრო ხაზის მოდერნიზებასაც. სატალასა და მელიტენეს შორის არსებული ტერიტორია რომაელებმა ციხესიმაგრეებითა და ფორტებით მტკიცედ გაამაგრეს, რითაც და-

ი'წყო დიდი არმენიის საზღვრის გასწვრივ ზემოევფრატის ლიმესის ფორმირება (ტაბ. I). ზემოევფრატის ლიმესის დიდი ქალაქები და ციხესიმაგრეები, ისევე როგორც აღმოსავლეთის დანარჩენ საზღვრებზე განლაგებული კასტელუმების ქსელი, ერთმანეთთან დაკავშირებული ყოფილა მცირე ფორტებით, საგუშაგოებითა და ქვაფენილიანი გზებით. ამჟამად, სატალა-ტრაპეზუნტის მონაკვეთზე, ხუთი ასეთი ფორტია გამოვლენილი. ამათგან, ერთი შუალედური კასტელუმი, ბილიოტმა დააფიქსირა სატალის ციხესიმაგრის დასავლეთით. მისი ფართობი 37 X 55მ. არ აღემატებოდა. ბილიოტის ვარაუდით, იგი სატალის უახლოესი ფორპოსტი იყო (Mitford, 1974, გვ.211-220). ამგვარი ფორტის ნანგრევები დაფიქსირებულია, ასევე სატალის ციხესიმაგრის აღმოსავლეთით, ღლევანდელი ბაიბურთის გზაზე (Акопян, 1985, გვ.14).

სატალა-ტრაპეზუნტის ციხესიმაგრეთა სისტემაში უნდა ყოფილიყო ჩართული სატალიდან 20 კმ-ზე მდებარე საგუშაგოს ნანგრევები (Кюмон, 1919, გვ. 370-371). ამ საგუშაგოს ჩრდილოეთით, ფ. კიუმონი იხსენიებს კიდევ ორ სიმაგრეს: პირველი ციხესიმაგრე, რომლის მხოლოდ კოშკების ნანგრევებიღაა შემორჩენილი და ძველი სედესის სავარაუდო ადგილზე მდებარეობდა, ხოლო მეორე - ზილანევის ციხის ნაშთებია (Кюмон, 1919, გვ.374, 378-379). აღნიშნული ციხესიმაგრეები სწორკუთხა კონფიგურაციის ფორმისაა და მათი კუთხეები ნახევარწრიული კოშკებითაა აღჭურვილი. ზემოევფრატის ლიმესის ეს ფორტები და სადარაჯო პუნქტები, მათი დაგეგმარებისა და ზომის მიხედვით, მცირე კონტინგენტის საჯარისო ნაწილების დროებითი სადგომებია. ზემოევფრატის ლიმესის არეალიდან ინტერესს იწვევს გაჩ-დარეაზეხის ციხესიმაგრე, რომელიც ჩვეულებრივ სათვალთვალო პუნქტს წარმოადგენდა და სწორკუთხა ფორმისა იყო (Stein, 1940, გვ. 8). იგი 15-20 კაცს თუ დაიტევდა.

წინააზიურ არეალს განეკუთვნება ზემოევფრატის ლიმესის ციხესიმაგრე პაგნიკ-ორენი, რომლის მშენებლობა საბოლო-

ოდ დამთავრდა ახ.წ. III ს. თუმცა აქ ჩანს უფრო ადრეული ხანის ფენა. ამას მოწმობს ლათინური წარწერა, რომელიც №7 კოშკის წყობაში აღმოჩნდა (Harper, 1972, გვ.27-29, სურ.96). ადრეული ჰორიზონტის არსებობაზე მიუთითებს, აგრეთვე ახ.წ. I-II სს. მრავალრიცხოვანი მონეტებიც (Harper, 1972, გვ.27). პაგნიკ-ორენის ციხესიმაგრის ფორმა ძალზე საინტერესოა: მისი სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლები სწორკუთხაა, მაგრამ ადგილმდებარეობის რელიეფმა, როგორც ჩანს, აიძულეს მშენებლები, სხვა კედლის კონფიგურაცია შეეცვალათ. კერძოდ, ჩრდილოეთის კედელს რკალისებური ფორმა აქვს. ციხესიმაგრე აღჭურვილი ყოფილა თერთმეტი ნახევარწრიული კოშკითა და ოთხი კარიბჭით. ციხესიმაგრის ცენტრში უნდა მდგარიყო პრეტორიუმის შენობა, ხოლო ციხესიმაგრის ჩრდილო-დასავლეთის კედელთან არსებული ნაგებობა, რ. ჰარპერის განსამღვრით, საჯინიბო უნდა ყოფილიყო (Harper, 1971, გვ.11).

პაგნიკ-ორენის ციხესიმაგრე ერთ კოჰორტას იტევდა. არ არის გამორიცხული, რომ აქ, ახ.წ. I ს-ში, სამშენებლო სამუშაოებში მონაწილეობა მიეღო IV რეტიულ მხედართა კოჰორტას, რომლის მუდმივი ადგილსამყოფელი პაგნიკ-ორენიდან 80 კმ-ზე ანალიბაში მდებარეობდა (Not., Dign., XXXVIII, 28). პაგნიკ-ორენის ციხესიმაგრის ანალოგიურია რუმინეთში, დობრუჯის რეგიონში გამოვლენილი დინოგეტია-გარვანის კასტელუმი, რომელიც ახ.წ. IV-VI სს. თარიღდება (Radulescu, Bitoleanu, 1979, გვ.101, სურ. II), რაც ამ ტიპის ციხესიმაგრეთა ფართო გეოგრაფიაზე მიუთითებს.

ზემოეეფრატის სასიმაგრო სისტემათა უკანასკნელი რგოლი კი სატალა და მელიტენე იყო. სატალა და მელიტენე, როგორც აღინიშნა, XV და XII ლეგიონების შტაბ-ბინას წარმოადგენდა, რომელიც ითვლებოდა რომაული ვექსილაციების ძირითად გამანაწილებელ ბაზად კავკასიაში. სატალის ციხესიმაგრე მდებარეობდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილზე. იგი

კონტროლს უწევდა დიდი არმენიიდან მცირე არმენიისაკენ მიმავალ გზებს და ასევე შავიზღვისპირეთის სანაპიროებსაც. მისი კვადრატული ფორმის ციხესიმაგრე აღჭურვილი იყო სწორკუთხა კოშკებით, რომლებიც ერთიმეორისაგან თანაბარი მანძილით იყვნენ დაშორებული (Mitford, 1974, გვ.212, სურ.7,9). ციხესიმაგრის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კედლებთან არსებობდა კარიბჭე, რომელიც ორი კოშკით იყო დაცული. სატალის ციხესიმაგრის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია რომაული ბანაკებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი კომპლექსი – აბანოს, საკანალიზაციო კოლექტორისა და აკვედუკის ნაშთები (Mitford, 1975, გვ. 1187).

კვადრატული ფორმის კონფიგურაციისაა მელიტენეს კასტელუმიც. კარგადაა შემორჩენილი ციხესიმაგრის აღმოსავლეთი კედელი კოშკებითურთ. კოშკები ნახევარწრიულია, ნაგებია დიდი ზომის რიყის ქვებით და კირხსნარით (Mitford, 1975, გვ. 1187, ტაბ. IV,7). ციხესიმაგრის გარშემო უნდა ყოფილიყო სამოქალაქო დასახლება, რომელსაც ტრაიანემ ქალაქის სტატუსი მიანიჭა. მელიტენე თავის დროზე, პროკოპი კესარიელის ცნობით, მშვენიერი და მრავალრიცხოვანი ქალაქი ყოფილა. აქ მდგარა ტაძრები, ამფითეატრი, აბანო და სხვა ნაგებობანი (Proc. Ges., De aed., III, 4, 15-18). მელიტენეს სამხრეთით იწყებოდა სირიის ლიმესი, ხოლო სატალა სასიმაგრო ნაგებობათა ქსელით უკავშირდებოდა ტრაპეზუნტს,[1] საიდანაც სათავეს იღებდა პონტო-კაეკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემა, რომლის როლი და არეალი ვესპასიანეს დროს მნიშვნელოვნად ჩანს გაზრდილი.

---

[1] ტრაპეზუნტი რომაულ ხანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ცენტრი იყო. ანიკეტის აჯანყების შემდეგ, აქ XII და XV ლეგიონების ვექსილაციები იყვნენ დაბანაკებული (Максимова, 1957, გვ. 316,318), ხოლო III ს-ში I პონტური ლეგიონი იდგა (იხ. Mitford, 1974, გვ. 164).

მკვლევართა აზრით, ვესპასიანეს დროს რომაული სამხედრო შენაერთები განლაგებულნი იყვნენ არა მარტო აფსაროსსა და ფასისში, არამედ მცხეთაშიც (Моммзен, 1949, გვ. 358. Кудрявцев, 1949, გვ.60). არის საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც იბერიის დედაქალაქში რომაული გარნიზონი არ იდგა (Меликишвили, 1959, გვ.351). მართლაც, მცხეთაში ჯერჯერობით რომაული ლეგიონის ტეიფრიანი დამღები არ დადასტურებულა. თუმცა რომაელთა მონაწილეობა მცხეთის საფორტიფიკაციო სამუშაოებში ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რასაც ადასტურებს მცხეთაში აღმოჩენილი, ახ.წ. 75 წ. დათარიღებული იმპერატორ ვესპასიანეს წარწერა. მასში ნათქვამია: „თვითმპყრობელმა კეისარმა ვესპასიანე სებასტოსმა... იბერთა მეფეს, მითრიდატეს მეფე ფარსმანისა და ამაზასპის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულ ხალხს ეს კედლები განუმტკიცეს"[2] (წერეთელი, 1958, გვ. 5-20). როგორც ჩანს, წარწერიანი ქვა დადგმული ყოფილა რომის იმპერატორის სახელით. სწორედ ამ დროიდან ვრცელდება იბერიასა და კოლხეთში ახალი, რომაული ტიპის სამშენებლო მასალები – გამომწვარი აგური, კერამიკული ფილები, კირხსნარი, სამშენებლო ტექნიკა (თოდუა, 1995, გვ. 146-147).

რომაული სამხედრო შენაერთების მცხეთაში დაბანაკება თუ გარკვეულ ეჭვს ბადებს, ვფიქრობთ, მათი არსებობა დარია-

[2] თ. მითფორდის აზრით, მცხეთის გამაგრება უნდა დაწყებულიყო ალანთა მეორე შემოსევის შემდეგ, რათა წინ აღდგომოდა მათ ხელმეორე შემოსევას. მკვლევარი მცხეთის ახალაგებულ სიმაგრეებს სასაზღვრო სისტემის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. მისივე შეხედულებით, ვესპასიანეს ეს ღონისძიება ქართლის ძველ დედაქალაქში მეგობრული ჟესტი იყო იბერიელებისადმი, ამ უკანასკნელთა განსაკუთრებული წელილისათვის ალანთა წინააღმდეგ ბრძოლაში (იხ. Mitford, 1975, გვ.1192). ჩვენი მხრით დავძენდით, რომ რომაელთა მიერ მცხეთის აღდგენილ-განახლებულ სიმაგრეს უნდა უზრუნველეყო კავკასიის საზღვრის მომავალი დაცვის საქმეც.

ლის ხეობაში საეჭვო არ უნდა იყოს,[3] ვინაიდან სწორედ ამ მიდამოებში პლინიუსი იხსენიებს „Castellum Cumania"-ს, რომელიც აგებული ყოფილა ურიცხვ მომთაბარეთა შეკავების მიზნით (Plin., NH., VI, 30). სპეციალისტების აზრით, პლინიუსის მიერ მოხსენიებული ციხესიმაგრე კუმანია–დარიალის ციხეს უნდა წარმოადგენდეს (წითლანაძე, 1971, გვ. 63-64). ციხესიმაგრის ერთ-ერთი კედლის ნაწილი ამგვარი დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა (წითლანაძე, 1971, გვ.63). კუმანია–დარიალის ციხე ბუნებრივ ბორცვზეა აშენებული. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ციხეს მდინარე თერგი ჩამოუდის, ხოლო დასავლეთიდან მაღალი კედელი ეკვრის. ერთადერთი მისასვლელი გზა, თერგზე გადავლით, მას ჩრდილოეთიდან ჰქონია.

შიდაციხის ტერიტორიაზე, გათხრების შედეგად, გამოვლინდა დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებით მშრალად ნაგები შენობათა მთელი სერია – საცხოვრებელი, ყაზარმა თუ ფუნდუკი. ციხის სამხრეთით დაფიქსირდა სამარხები. რამდენიმე სამარხის ძირზე დუღაბი იყო მოსხმული (წითლანაძე, 1971, გვ. 67). მიცვალებულთა დაკრძალვის ამგვარი წესი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს პიტიუნტის ე.წ. კირხსნარიან სამარხებთან, რომლებიც რომაულ სამყაროს უკავშირდება. ეს კიდევ ერთი მოწმობაა რომაელთა გარნიზონის დარიალის ციხეში დგომისა. დარიალის ხეობაში რომაელთა ცალკეული შენაერთები ადრიანეს დროსაც (ახ.წ. 117-138 წწ.) უნდა მდგარიყო. იოანე ლიდუსის ცნობით, არიანეს მოუნახულებია დარიალი - „ალანთა, ანუ ოვსთა კარიც" (Ioan Lyd., De Magistr., III, 53). ცნობილია, რომ კაპადოკიის ლეგატი–ფლავიუს არიანე მხოლოდ იმ პუნქტებში ჩადიოდა, სადაც რომაელთა გარნიზონები იყო დისლოცირებული.

---

[3] მკვლევართა აზრით, ვესპასიანეს დროს რომაული გარნიზონები იდგნენ ჩრდილო-აღმოსავლეთის შორეულ პუნქტშიც, რათა აქედან თვალყური ედევნებინათ დარიალისა და დარუბანდის გადასასვლელებისათვის კავკასიაში (იხ. Cambridge ancyclopedia of archaeology, 1980, გვ. 238).

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კარგად დაცულმა თავდაცვითმა სისტემამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო რომაელთა პოზიციების განმტკიცებას ალბანეთშიც დომიციანეს დროიდან (ახ.წ. 81-96 წწ.). ბეიუკ-დაშში აღმოჩენილი ლათინური წარწერიდან (Ямпольский, 1950, გვ. 177) ირკვევა, რომ დომიციანეს გაუგზავნია XII ლეგიონის ნაწილები ალბანეთში, რათა მას თვალყური ედევნებინა „კასპიის კარების" სამხრეთ გადასასვლელებისათვის. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული ლეგიონის ნაწილები ცენტრალურ ალბანეთში, კიურიას ჩრდილოეთი განშტოების მახლობლადაც დაბანაკებულიყო. XII ლეგიონის სახელი მოხსენიებულია არაქსის მარცხენა სანაპიროზეც, სოფ. კარიამნაში აღმოჩენილ ქვაზე, რომელიც ამჟამად დაკარგულია (Ямпольский, 1950, გვ. 182). სვეტონიუსის ცნობით, აღნიშნული ლეგიონი სარმატებთან ბრძოლაში დამარცხებულა (Suet., Domic., 6).

ძველი სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაციც გვიამბობს, დომიციანეს მმართველობის დროს, არმენიაში რომაელთა წარუმატებელი ლაშქრობის შესახებ (მოვსეს ხორენაცი, 1984, გვ. 145). ვფიქრობთ, XII ლეგიონის ცალკეული შენაერთი ალან-სარმატებთან ბრძოლაში ჩანს დაღუპული, დანარჩენი კი ალბანეთში უნდა დარჩენილიყო, რათა თვალყური ედევნებინა დარუბანდის გადასასვლელებისათვის. ასეა თუ ისე, ერთი რამ აშკარაა: ვესპასიანეს დროიდან პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემა საკმაოდ აქტიურად ფუნქციონირებს და მისი როლიც მნიშვნელოვნად ჩანს გაზრდილი. ამ სისტემის ციხესიმაგრეთა ქსელი, იმპერატორ ადრიანეს დავალებით, 131 წელს საგანგებოდ მოინახულა და მათი თავდაცვისუნარიანობა შეამოწმა კაპადოკიის ლეგატმა—ფლავიუს არიანემ. არიანეს, როგორც ეს მისი „პერიპლუსიდან" ჩანს, პირველად აფსაროსის ციხესიმაგრე და აქ მდგომი გარნიზონის საბრძოლო მზადყოფნა შეუმოწმებია. არიანეს ცნობით, „აფსაროსში... დგას ხუთი სპე-

ირა“ (Ап., PPE, 6), რომელსაც ტრადიციულად ხუთ კოჰორტად, ანუ ნახევარლეგიონად თარგმნიდნენ (Леквинадзе, 1969, გვ. 77; Ломоури, 1981, გვ. 228; Латишев, 1904, გვ. 207). შესაბამისად, მკვლევართა უმრავლესობას აფსაროსის რომაული სამხედრო შენაერთები ლეგიონურ გარნიზონად მიაჩნდათ (Mitford, 1975, გვ. 1169-1170; Rowell, 1937, გვ.1327-1330). მაგრამ ფაიუმში (ეგვიპტე) აღმოჩენილმა პაპირუსის ფრაგმენტმა და, რაც მთავარია, გონიოში დადასტურებულმა რომაული სამხედრო შენაერთის ტვიფრიანმა აგურმა ნათელი მოჰფინეს ამ ბუნდოვან საკითხს. ფაიუმში აღმოჩენილ ახ.წ. II საუკუნით დათარიღებულ პაპირუსის ფრაგმენტზე მოხსენიებულია იქ მდგარი კლავდიუსის სახელობის II კოჰორტის ვეტერანი მარციალი (Спейдел, 1985, გვ. 178). ფაიუმის ამ ფრაგმენტის ცნობის სისწორეს დოკუმენტურად ადასტურებს გონიოს კასტელუმის ცენტრალურ ნაწილში არქეოლოგიური გათხრებისას, ახ.წ. I-II სს. ფენაში აღმოჩენილი რომაული სამხედრო შენაერთის დამღიანი აგურის ფრაგმენტი. აგური ადგილობრივია, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი; ყალიბში დამზადებული დამღა კი ოთკუთხაა, ასო-ნიშნები მკაფიოდ იკითხება – COH II (ტაბ. III, 4). დამღა ასე იშიფრება: COH [hort] II [Glaudiana] (Мамуладзе, Халваши, Асланишвили, 2002, გვ. 35, სურ. 2).

როგორც ცნობილია, ეს კოჰორტა ახ.წ. II ს. შუა ხანებში კაპადოკიაში განლაგებულ დამხმარე კოჰორტას წარმოადგენდა. არიანეს მიერ აფსაროსში დასახელებულ დანარჩენ ოთხ კოჰორტასაც დამხმარე ნაწილებად მიიჩნევენ (Спейдел, 1985, გვ. 176-179), რაც დოკუმენტურადაც დასტურდება (იხ. Мамуладзе, Халваши, Асланишвили, 2002, გვ. 35-38). საყურადღებოა, რომ არიანესეული „სპეირა“-ც ლათინური „მანიპულა“-ს პირდაპირი თარგმანია და კოჰორტის 1/3, 150-200 კაციან რაზმს უდრის; რამდენადაც თეორიულად ხუთი სპეირა კოჰორტანახევარია, ის

1000 ჯარისკაცს უნდა ითვლიდეს, რაც სავსებით შეესაბამება აფსაროსის კასტელუმის ტევადობას. აფსაროსის ციხესიმაგრის ზომიდან (194 X 245 მ.) გამომდინარე, იგი მართლაც ათას ჯარისკაცს იტევდა, რაც აფსაროსის გარნიზონისათვის საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდა. აფსაროსის ციხესიმაგრის ასეთი მნიშვნელობა მისი გეოსტრატეგიული მდებარეობით იყო განპირობებული: აფსაროსი უშუალოდ ემეზობლებოდა იბერიის ძლიერ სამეფოს, საიდანაც იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებს, ჩრდილო კავკასიის მთიელთა სახით, დიდი საფრთხე ემუქრებოდა.[4]

რაც შეეხება აფსაროსის სასიმაგრო ნაგებობას, როგორც ეს არიანეს აღწერიდან ჩანს, იგი მის დროს უკვე იყო „Castella Murata"-ს ტიპის მუდმივმოქმედი კასტელუმი, რომელიც ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. თუმცა, ამ ბოლო ხანებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ციხესიმაგრის სამხრეთი კედლის მონაკვეთში გამოვლინდა უძველეს ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა არიანეს ინსპექტირების პერიოდს და ახ.წ. I ს. მეორე ნახევრით თარიღდება (ჯაფარიძე, 1999, გვ.46). გონიო—აფსაროსის დღემდე კარგად შემონახული კასტელუმი (ტაბ. II, 1) კი გვიანდელია. აფსაროსის კასტელუმი, რომაული ციხესიმაგრეების სტანდარტებიდან გამომდინარე, საშუალო სიდიდის ბანაკების კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს.

აფსაროსიდან ჩრდილოეთით, 65 კმ. დაშორებით მდებარეობდა ფასისის ციხესიმაგრე (გამყრელიძე, 2001, გვ. 78-79). აქ, არიანეს ცნობით, მდგარა „400 რჩეული" (ἐπίλεκτοι) მეომარი. მ. შპაიდელის აზრით, ფასისის გარნიზონი შესაძლოა არც ყოფილიყო ლეგიონური, რიცხვით ის „თითქმის დამხმარე სამხედრო

---

4 ამგვარი საფრთხე რომ რეალურად არსებობდა, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ფარსმან II დროს იბერიელებმა დარიალის კარი გაუღეს ალან-ოსებს და ისინი რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებს შეუსიეს (იხ. Dio Cass., LXIX,15,1-2).

შენაერთის ნაწილია“ (შპაიდელი, 1985, გვ. 135, 139). მართალია, ფასისის გარნიზონი, რომელიც ერთ კოჰორტას უფრო შეესაბამება, ვიდრე ორ მანიპულს, რაოდენობრივად და თვისობრივადაც თანამედროვე, ე.წ. „კომანდოსთა“ ტიპისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ფასისის გარნიზონი ხომ, არიანესავე თქმით, ლოდსატყორცნი მანქანებით იყო აღჭურვილი (Arr., PPE, 9). დამხმარე სამხედრო შენაერთებს ახ.წ. II ს-ში, როგორც წესი, სატყორცნი იარაღ-მოწყობილობები არ ჰქონდათ (Baatz, 1966, გვ. 197). ბალისტები, ონაგრები და კატაპულტები მხოლოდ ლეგიონების ტექნიკურ აღჭურვილობაში შედიოდა (Webster, 1985, გვ. 98).

საფიქრებელია, რომ ფასისში ლეგიონური კოჰორტა იდგა. რაც შეეხება ფასისის ციხესიმაგრეს, არიანეს თქმით, „იმდაგვარად ყოფილა მოწყობილი, რომ ვერავინ მიუახლოვდებოდა ბარბაროსთაგან“ (Arr., PPE, 9). ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: ვინ უნდა იგულისხმებოდეს ამ „ბარბაროსებში“. ნ. ლომოურის აზრით, არიანესეულ „ბარბაროსებში“ დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობა უნდა იგულისხმებოდეს (ლომოური, 1968, გვ. 33), რაც ეჭვს იწვევს.

ეგრისელები, რომელთა მეფე მალასა რომაელების მიერ იყო დანიშნული, მათდამი ლოიალურად ჩანან განწყობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში არიანე აღნიშნავდა ამ გარემოებას. ამიტომაც გ. ლორთქიფანიძე არიანესეულ „ბარბაროსებში“ სავსებით მართებულად მომხდურ, გარეშე მტერს გულისხმობს (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 55). მაგრამ მკვლევარი კონკრეტულად არ ასახელებს თუ ვინ იყო ეს მომხდური, გარეშე მტერი. ჩვენი აზრით, არიანესეულ „ბარბაროსებში“ საეჭვოა, რომ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ სანაპიროთა ტომები იგულისხმებოდეს, რადგანაც ფასისი საკმაოდ მოშორებული იყო ამ ტომთა ტერიტორიას და მათგან უშუალო საფრთხე მას ნაკლებად ელოდა. გამორიცხულია ასევე პართიის მხრიდან რაიმე საფრთხე დამუქრებოდა იმ დროს აღმოსავლეთ შავიზღვისპი-

რეთს და, საერთოდ, კავკასიას (Raschke, 1978, გვ.926). ამიტომ, არიანესეულ „ბარბაროსებში", ვფიქრობთ, უფრო იბერიელები უნდა იგულისხმებოდნენ. მართალია, პონტო-კავკასიის სასაზღვრო–თავდაცვითი სისტემის სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი, აფსაროსის ციხესიმაგრით კარგად იყო დაცული იბერიის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მისი მოპირდაპირე მხარის, ფასისის მიდამოებიც გამაგრებას მოითხოვდა. შესაძლოა, სწორედ ამით იყო განპირობებული ფასისის ციხესიმაგრის[5] გამაგრება-განმტკიცება და მისი სამხედრო მანქანებით აღჭურვა. ამავე მიზანს ემსახურებოდა, ასევე, არიანეს მიერ აქ ჩატარებული ღონისძიებანი, რომელიც ფასისის ნავსადგურისა და სამოქალაქო დასახლების გამაგრებაში გამოიხატა (Arr., PPE, 9).

იბერიის საზღვრებთან რომაელთა გააქტიურება, რასაკვირველია, ხელს არ აძლევდა ქართლის ხელისუფალთ და, ცხადია, ამ უკანასკნელთა მხრიდან, მას გარკვეული რეაქცია უნდა მოჰყოლოდა. მართლაც, ფარსმან II-ს პროტესტის ნიშნად დარიალის კარი გაუხსნია ალან-ოსებისათვის და ისინი შეუსევია კაპადოკიის, ალბანეთისა და არმენიისათვის. მაგრამ ალანები, დიონ კასიუსის სიტყვით – „კაპადოკიის მმართველის ფლავიუს არიანეს მიერ შეშინებულები, საომარ მოქმედებას წყვეტენ" (Dio Cass., LXIX, 15, 1). არიანეს მიერ ჩატარებულ სამხედრო ღონისძიებებსა და შავიზღვისპირა ციხესიმაგრეების განახლება-განმტკიცებას, ვფიქრობთ, ფარსმანზე ზეგავლენა უნდა მოეხდინა. სწორედ ამის შემდეგ, ადრიანე მას „მეგობრობისა და მოკავ-

5 სამწუხაროდ ფასისის არიანესეული კასტელუმი არქეოლოგიურად ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი. მის შესახებ ზოგადი წარმოდგენა გვექმნება დიუბუა დე მონპერეს მიერ შედგენილი სქემატური გეგმით (Dubois de Montpereux, 1839, გვ. 67-76, tab. XVIII).

შირეობის“ მოტივით უგზავნის 500 რომაელ ჯარისკაცს[6] (El. Spart., Hadr., 13), რომელიც სინამდვილეში იბერიაში რომაელთა პოზიციების განმტკიცებაზე უფრო უნდა მიუთითებდეს, ვიდრე ფარსმანის როგორც რომაელების მოყვარულისა და მისი დიდი დამსახურების აღიარებაზე. ანტონინე პიუსის მმართველობის დროს (ახ.წ. 138-161 წწ.) კი ფარსმან II ჩადის რომში, სადაც იმპერატორი დიდი პატივით იღებს მას; კაპიტოლიუმში მსხვერპლშეწირვის ნებას აძლევს და მარსის მოედანზე ფარსმანის ცხენიან ქანდაკებას დგამს, უფართოებს სახელმწიფო საზღვრებს (გამყრელიძე, 1959, გვ. 135-139).

შემდეგი ციხესიმაგრე, რომელიც არიანემ დაათვალიერა -- სებასტოპოლისი იყო. აქ, არიანეს სიტყვებით - „მოხერხდა ჯარისკაცებისათვის ხელფასის მიცემა, ცხენებისა და იარაღის დათვალიერება, მხედრების გავარჯიშება ცხენზე შეხტომაში, ავადმყოფების მონახულება, პურის მარაგის შემოწმება, კედლებისა და თხრილების შემოვლა“ (Arr., PPE, 10). როგორც ამ აღწერიდან ირკვევა, სებასტოპოლისის გარნიზონი, ძირითადად, კავალერიის ნაწილებისაგან შედგებოდა, მაგრამ კონკრეტულად არ არის დასახელებული მათი რაოდენობა. თუ სებასტოპოლისის ადრეული, ახ.წ. I-II სს. დათარიღებული კასტელუმის (ტაბ. II, 3) ფართობით (0,6–0,8 ჰა) ვიმსჯელებთ, მისი გარნიზონი 200 ჯარისკაცს არ აღემატებოდა. თუ ეს ასეა, მაშინ სებასტოპოლისის თავდაპირველი კასტელუმი ნუმერული, ანუ მცირე ციხესიმაგრის კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ, ხოლო მისი გარნიზონი დამხმარე ჯარის შერეული ქვედანაყოფები უნდა ყოფილიყო. დამხმარე ჯარის ნაწილები - სასაზღვრო ნუმერები რომის რეგულარული არმიის ნაწილები არ იყვნენ. ისინი, როგორც წესი, „ბარბაროსებისაგან“ კომპლექტდებოდა. დაახლოებით ისეთი რაზმე-

---

6 ვფიქრობთ, ეს უნდა ყოფილიყო მებრძოლთა რჩეული რაზმი – „ეპილექტოის“, თანამედროვე კომანდოსთა ტიპისა.

ბისაგან, რომელთა სამარხები ყუბანისპირეთში, ე.წ. „ოქროს სამაროვანზე" – გაითხარა. ამ რაზმელთა სამარხებში დაფიქსირებული რომაული იმპორტის სიმრავლე საშუალებას აძლევს მკვლევართ, ისინი „ბარბარიზებულ რომაელებად" მიიჩნიონ (Веселовский, 1905, გვ. 14). თუმცა, უფრო სწორი იქნებოდა, ეს რაზმელები „რომანიზირებულ ბარბაროსებად" ჩაგვეთვალა.

საფიქრებელია, რომ სებასტოპოლისში, არიანეს დროს ფასისთან და აფსაროსთან შედარებით მცირერიცხოვანი რაზმი იდგა, რაც პარადოქსულია, ვინაიდან სებასტოპოლისი ხომ ამ დროს რომაელთა უკიდურესი სასაზღვრო ფორპოსტია ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. მის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა კასპიის კარების სამხრეთი გადმოსასვლელის მეთვალყურეობა. მასვე ევალებოდა იმპერიის უკიდურესი აღმოსავლეთი საზღვრების დაცვა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებისაგან; გარდა ამისა, სებასტოპოლისს სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა: აქ გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანსპორტო მაგისტრალი, რომლის ნორმალური ფუნქციონირებით დიდად იყვნენ დაინტერესებული რომაელები.

დაბოლოს, სებასტოპოლისი წარმოადგენდა საკომუნიკაციო პუნქტს და შესაძლოა სტრატეგიულ პლაცდარმსაც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების მიმართ. ძნელია ახლა გადაჭრით ითქვას, თუ რატომ იდგა ახ.წ. I-II სს. სებასტოპოლისში რომაელთა ასეთი მცირერიცხოვანი გარნიზონი. შესაძლოა ეს იმით ყოფილიყო გამოწვეული, რომ ამ დროს რომაელთა უმთავრესი ფორპოსტის ფუნქცია აფსაროსსა და ფასისზე გადიოდა, რადგანაც აქედან ელოდა გაძლიერებული იბერიის სამეფოსაგან იმპერიის შორეულ საზღვრებს ყველაზე მეტი საშიშროება, ვიდრე სებასტოპოლისის მონაკვეთიდან. არც ისაა გამორიცხული, რომ სებასტოპოლისის ადრეული კასტელუმი ნერონისდროინდელი ყოფილიყო, როდესაც რომაელებს შავიზღვისპი-

რეაში მცირერიცხოვანი ძალები ჰყავდათ დისლოცირებული. ასეა თუ ისე, ეს საკითხი შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს.

ამრიგად, ახ.წ. II ს. პირველ ნახევარში, როგორც ეს არიანეს ცნობებიდან ირკვევა, რომაელთა ბატონობის ძირითადი საყრდენი პუნქტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში სებასტოპოლისი ყოფილა. სწორედ აქ დაუსრულებია თავისი საინსპექციო მოგზაურობა ფლავიუს არიანეს და აქვე შეუტყვია კიმერიული ბოსფორის მეფის კოტისის გარდაცვალების ამბავი. ამიტომაც არიანეს აღუწერია გზა დიოსკურიიდან ბოსფორამდე, რათა თუკი რამეს მოისურვებდა იმპერატორი ბოსფორის მიმართ, სცოდნოდა ამ გზის შესახებ. პირველ ასეთ საყურადღებო პუნქტად ბოსფორისაკენ მიმავალ გზაზე არიანე ასახელებს პიტიუნტს, რომელსაც იგი ὄρμος-ად, პატარა ნავსადგომად მოიხსენიებს (Arr., PPE, 18). არიანეს ცნობიდან ჩანს, რომ მის დროს აქ რომაული სამხედრო შენაერთი არ იდგა, თუმცა ზოგიერთი სპეციალისტი არ გამორიცხავს მის ყოფნას ბიჭვინტაში. გ. ლორთქიფანიძის ვარაუდით, „რომაელები პიტიუნტში ჯერ კიდევ არიანეს საინსპექციო მოგზაურობაზე ადრე საფუძველს უყრიან სამხედრო პლაცდარმს“, რასაც, მისი აზრით, მოწმობს ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩენილი ახ.წ. I-II სს. ხის საფორტიფიკაციო ნაგებობების კვალი (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 50,81,82). მართალია, ასეთი ხის დროებითი სასიმაგრო ნაგებობანი ფუნქციონირებდა იმპერიის საზღვრებზე მუდმივი თავდაცვითი სიმაგრეების მშენებლობამდე (Webster, 1985, გვ. 168-169), მაგრამ ჩვენ მაინც გვიძნელდება ამგვარი მოსაზრების გაზიარება. არიანემდე პიტიუნტში გარნიზონი რომ მდგარიყო, იგი მას გაკვრით მაინც მოიხსენიებდა. გარდა ამისა, არიანე კონკრეტულად უთითებს, რომ დიოსკურიასთან „მთავრდება რომაელთა სამფლობელოები პონტოს მარჯვენა მხარეს მცურავთათვის“ (Arr., PPE, 17).

რომაული სამხედრო შენაერთების პიტიუნტში ჩადგომის დროის საკითხს ნათელს ჰფენს კასტელუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ერთი ლათინურენოვანი წარწერა (ტაბ. IV, 1). იგი ასე იშიფრება:

[——] PC [——]

d(onum [d(edit)]

Glab [rione et Homullo co(n)s(ulibus)]

პირველ სტრიქონში, ჩვენი აზრით, მიმძღვნელის სახელი უნდა იყოს მოცემული, ხოლო მეორე სტრიქონი არ იკითხება. მესამე სტრიქონის B ასოს ქვედა ხაზის შიდა მოხრილობა სრულიადაც არ არის ორიგინალური, რადგან ასეთივე ფორმა მეორე სტრიქონის D ასოშიც ჩანს. წარწერის გაშიფვრა, ძირითადად, ემყარება GL ჯგუფს, რომელიც ლათინურში ძალზე იშვიათად გვხვდება. მაშასადამე, თუკი სტრიქონი არ იწყებოდა G, მაშინ 152 წ. კონსულები - გლაბრიონე და ჰომული იგულისხმებიან. თუ ჩვენი წაკითხვა სწორია, მაშინ პიტიუნტში რომაული გარნიზონი 135-152 წწ. შორის ჩამდგარა (Speidel, Todua, 1988, გვ.56-57). ახ.წ. II ს. შუახანებისათვის, ბიჭვინტაში რომაელთა სამხედრო შენაერთების ყოფნას დამატებით მოწმობს ის ფაქტიც, რომ იმპორტული ნაწარმი და მონეტები მასობრივად სწორედ ამ დროიდან ერცელდება.

აღნიშნულ ხანაშივე უნდა დაწყებულიყო აქ კასტელუმის მშენებლობა, რომელშიც, როგორც ამას ბიჭვინტის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ლეგიონის ტვიფრიანი კერამიკული ფილის ფრაგმენტები ადასტურებენ, მონაწილეობას ღებულობენ ლეგიონური საინჟინრო-სამშენებლო ნაწილები. ბიჭვინტაში ჯერჯერობით სამი ასეთი ფრაგმენტია დადასტურებული. ერთი ფრაგმენტი დაფიქსირდა ინკიტის ტბასთან არსებული მრგვალი კოშკის ახ.წ. II-III სს. ფენაში (ლორთქიფანიძე, 1963, გვ. 105-106, ტაბ. III,). ფილა

ადგილობრივი, მოწითალო თიხისაა, ყალიბშია დამზადებული და კარგადაა გამომწვარი. დამღა ოთხკუთხა ფორმისაა. ასოები მკაფიოდ იკითხება: LEG (ტაბ. III, 1). მეორე ფრაგმენტი დაფიქსირდა კასტელუმის ტერიტორიაზე ახ.წ. II ს. დასასრულით დათარიღებულ ფენაში. დამღის ტვიფრი ოთხკუთხაა, მკაფიო, შემორჩენილია დამღის ნაწილი: G და XV (ტაბ. III, 2). მესამე ფრაგმენტი კი გამოვლინდა კასტელუმის დასავლეთ კარიბჭის გათხრებისას ახ.წ. II ს. ბოლოსა და III ს. დასაწყისის ფენაში. სწორკუთხა ფორმის მქონე დამღა ნაწილობრივ არის შემორჩენილი: G და XV (ტაბ. III,3). ყველა ეს კერამიკული ფილა თიხის შემადგენლობით იდენტურია და რომაელ ჯარისკაცთა მიერ ადგილზეა დამზადებული. ანალოგიებიდან გამომდინარე, დამღა იშიფრება ასე: LEG (io) XV (Apollinaris).

XV ლეგიონის დამღიანი კერამიკული ფილები და კრამიტები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სატალაში, სადაც მდებარეობდა ამ ლეგიონის მუდმივი შტაბ-ბინა. სწორედ ისინი წარმოადგენენ XV ლეგიონის ბიჭვინტის დამღების ზუსტ ანალოგებს (Anderson, cumont, Gregoire, 1906, გვ.343). ასე რომ, ახ.წ. II ს. შუა წლებში, პიტიუნტში ჩაყენებულია XV ლეგიონის ვექსილაცია, რომლის რაოდენობა, ბიჭვინტის კასტელუმის (ტაბ. II, 4) ზომებიდან (140 X 170 მ.) გამომდინარე, ერთ კოჰორტას არ აღემატებოდა. აქედან გამომდინარე, პიტიუნტის კასტელუმიც საკოჰორტო, საშუალო სიდიდის ციხესიმაგრედ უნდა ჩაითვალოს. პიტიუნტის XV აპოლონისეული ლეგიონის გარნიზონი, რომლის მთავარ ფუნქციას იმპერიის შორეული მისადგომების დაცვა წარმოადგენდა სკვითურ-სარმატული და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებისაგან, როგორც №18 კოშკის ახ.წ. III-IV სს. ფენაში აღმოჩენილი ბალისტის ღერძის ნაწილი (ტაბ.IV,2) ადასტურებს, აღჭურვილი ყოფილა ქვის სატყორცნი მანქანებით (Baatz, 1988, გვ.59-64).

პიტიუნტის გარდა, ამ ლეგიონის ვექსილაციები უნდა მდგარიყვნენ, აგრეთვე ახ.წ. II-III ან შესაძლოა II ს. დასაწყისი-

დან ფასისსა და სებასტოპოლისშიც, რასაც არაერთი ფაქტი ადასტურებს. ჯერ ერთი, რამდენადაც კოლხეთი ამ დროს კაპადოკიის კომპლექსში შედიოდა, ამიტომ აქაური რომაული გარნიზონები თავიანთი სამეთაურო კორპუსით კაპადოკიის ლეგატს ემორჩილებოდა. ეჭვგარეშეა, რომ კოლხეთის ზღვისპირა პუნქტების გარნიზონები კაპადოკია–მცირე არმენიის საზღვარზე დაბანაკებული XII და XV ლეგიონების შენაერთებით იქნებოდნენ დაკომპლექტებული.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ახ.წ. I–III სს. არმენიის ქალაქებში (Тревер, 1953, გვ. 251-261), კერძოდ კი ტრაპეზუნტსა (Максимова, 1957, გვ.316,318) და რიზე-ათენა-ხოფას ხაზზეც (Mitford, 1974, გვ. 161), ანუ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის თითქმის მთელ მონაკვეთზე, აღნიშნული ლეგიონების ვექსილაციები იდგნენ. შესაძლოა, ახ.წ. III–IV სს-ში აქ ახ.წ. IIIს. დასასრულიდან ტრაპეზუნტში მუდმივად მყოფი I პონტური ლეგიონის ვექსილაციებიც მდგარიყვნენ, რადგან მთელი რომაული ხანის მანძილზე საქართველოს ზღვისპირა ცენტრებს ტრაპეზუნტთან მჭიდრო ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობა აკავშირებდა. რაც შეეხება რომაული გარნიზონების შემადგენლობას, იგი, ძირითადად, ქვეითებისა და კავალერიისაგან შედგებოდა. ამ ქვედანაყოფების გარდა, ვფიქრობთ, აღნიშნულ ცენტრებში რომაელთა ფლოტის ცალკეული შენაერთებიც უნდა მდგარიყო. ამგვარ მოსაზრებას ერთგვარად მხარს უჭერს ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობა. კერძოდ, ყურადღებას იპყრობს იოსებ ფლავიუსის ცნობა შავ ზღვაზე „მშვიდობის დამცველი“ ორმოცი ხომალდის შესახებ (Jos., Flav., Ant. Jud., 11,367). მართალია, მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ხომალდებისა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სანაპიროებს აკონტროლებდა, მაგრამ გამორიცხულია, რომ მათ ერთ ნაწილს არ დაეცვა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპიროები თუ დასახლებული პუნქტები, მით უმეტეს რომ

აქ ცხოვრობდნენ ყაჩაღობა-მეკობრეობით ცნობილი ისეთი ხალხები როგორებიც იყვნენ ჰენიოხები ან, თუნდაც, სანები.

ჩვენ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება ახ.წ. I ს. შუა ხანებში კოლხეთის სანაპიროზე განლაგებული სამღეაო ფლოტის შემადგენლობის შესახებ, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის რავენისეული ესკადრისა ან მუზიურ-ფლავიუსისეული ფლოტის ნაწილებისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი, რამდენადაც ამ დროს, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სანაპიროებსა და ცენტრებს, როგორც აქ აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლები მოწმობენ, სწორედ ამ ფლოტის ვექსილაციები იცავდნენ (Блаватский, 1985, გვ. 232).

ახ.წ. I ს. შუა ხანებიდან კი, შავ ზღვაზე სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით, სპეციალური „პონტოს ფლოტი“ იქმნება. ვფიქრობთ, ამ ფლოტის ხომალდები უნდა ყოფილიყო, რომლებიც, ზოსიმეს ცნობით, ხელთ ჩაუგდიათ გუთებს პიტიუნტში (Zos.Hist., Nova. 1, 33), რაც, ცხადია, ბიჭვინტაში სამღეაო ფლოტის არსებობის მაჩვენებელია. ამასვე ადასტურებს ზოსიმეს ცნობა პიტიუნტის „კარგად მოწყობილი ნავსადგურის“ შესახებ (Zos.Hist., Nova. 1, 32) და, აგრეთვე, აქ არსებული შიდანავსადგური, რომელსაც ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან შემოჭრილი თანამედროვე ჭაობის ტერიტორია ეკავა. არიანეს მიერ ფასისის ნავსადგურის უსაფრთხოების მიზნით გატარებული ღონისძიებანი და მისივე მითითება სებასტოპოლისის λιμήν-ზე, რომელშიც უდავოდ „ხელოვნური ნავსადგური“ იგულისხმება (თოდუა, 1991, გვ. 120-126) გვაფიქრებინებს, რომ რომაელთა სამხედრო ფლოტის გარკვეული კონტინგენტი ამ პუნქტებშიც უნდა მდგარიყო.

ამრიგად, ახ.წ. II ს. შუა ხანებისათვის პონტო-კავკასიის სასაზღვრო–თავდაცვით სისტემაში პიტიუნტის ჩართვით, საბოლოოდ მთავრდება ამ სისტემის ორგანიზაციული გაფორმება,

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაულ ციხესიმაგრეთა ქსელის გაფართოება-განმტკიცება. ამ საკმაოდ კარგად დაცულ-გამაგრებული სისტემის ავანპოსტის როლს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, აღნიშნული დროიდან, პიტიუნტი ასრულებს. სწორედ, პიტიუნტისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დანარჩენი ციხესიმაგრეების ქსელის მეშვეობით, რომის იმპერია ახ.წ. III ს. შუა ხანებამდე წარმატებით აკონტროლებდა არა მარტო კავკასიის რეგიონს, არამედ უზრუნველყოფდა მღვაოსნობისა და ვაჭრობის უსაფრთხოებას შავიზღვისპირეთის სანაპიროზე.

ახ.წ. III ს. შუა ხანებიდან კი პონტო-კავკასიის სასაზღვრო ციხესიმაგრეთა სისტემაში გარკვეული ტეხილი შეინიშნება, რაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გუთების ლაშქრობებს უკავშირდება. როგორც ცნობილია, 238 წლიდან იწყება რომის იმპერიის დუნაისპირეთისა და ბალკანეთის პროვინციებზე გუთებისა და მათი მოკავშირე გერმანული ტომების შემოსევები (Laser, 1983, გვ 32-57). გუთების ლაშქრობები მხოლოდ ბალკანეთ-დუნაისპირეთით არ შემოფარგლულა. ახ.წ. III ს. 40-50 წწ. გუთების თავდასხმების შედეგად ერთმანეთის მიყოლებით ნადგურდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქები და დასახლებები (Ременников, 1954, გვ. 85-88). ახ.წ. 252-267 წწ. გუთებმა მცირე აზიასა და შავიზღვისპირეთის სანაპიროებზე საზღვაო ლაშქრობათა მთელი სერია მოაწყვეს (Wolfram, 1979, გვ. 11-14). ლაშქრობათა ტალღამ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ცენტრებსაც გადაუარა.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო პუნქტებზე მომთაბარე გუთების ლაშქობათა შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს ბიზანტიელი ისტორიკოსი ზოსიმე: „როდესაც სკვითებმა დაიწყეს მოოხრება ყველაფრისა, რაც გზაში ხვდებოდათ, პონტოს სანაპიროს მცხოვრებლები გაიქცნენ შიდა ხმელეთში და გამაგრებულ ადგილებში, ხოლო ბარბაროსები პირველ ყოვლისა თავს დაესხნენ ბიჭვინტას, რომელიც შემოზღუდული იყო

უზარმაზარი კედლით და რომელსაც ჰქონდა კარგად მოწყობილი ნავსადგური. ადგილობრივი ჯარის სათავეში იდგა სუკესიანუსი. მან მთელი თავისი ჯარებით შეუტია ბარბაროსებს და გარეკა ისინი. ხოლო სკვითებმა იმის შიშით, რომ სხვა სიმაგრეების მცველებმაც არ გაიგონ და არ შეუერთდნენ ბიჭვინტის ჯარებს და საბოლოოდ არ გაგვანადგურონო, აი ამის შიშით ხელთ იგდეს ხომალდები, რაც კი შეეძლოთ და ძალიან შეშინებულებმა მოჰკურცხლეს, ისე, რომ ბიჭვინტასთან ბრძოლებში ბევრი თავისი მეომარი დაჰკარგეს.

ექესინის პონტოს სანაპიროს მცხოვრებლები, რომლებიც გადარჩნენ სუკესიანუსის სტრატეგობის წყალობით, იმედოვნებდნენ, რომ სკვითები, რომლებიც ამნაირად უკუქცეულ იქნენ, ვერასოდეს ვერ გაბედავდნენ გადმოსვლას. მაგრამ, როდესაც იმპერატორმა ვალერიანემ სუკესიანუსი გაიწვია და სამეფო კარზე მისცა თანამდებობა, და მიჰყო ხელი ანტიოქიის საქმეების მოგვარებას და მის დასახლებას, მაშინ სკვითები კვლავ გამოჩნდნენ, ბოსფორელებს გამოართვეს ხომალდები და გადაეიდნენ ამიაში. მათ ბოსფორელებს აღარ დაუბრუნეს ხომალდები, როგორც წინათ, და არც შინ გაუშვეს, არამედ ამ ხომალდებით მიადგნენ ფასისს, სადაც როგორც ამბობენ, აშენებული იყო ფასისის არტემიდეს ტაძარი და აიეტის სასახლე. მათ სცადეს ამ ტაძრის აღება, მაგრამ უნაყოფოდ; ამის შემდეგ პირდაპირ წავიდნენ ბიჭვინტისაკენ. ეს ციხე აიღეს მათ დაუბრკოლებრივ, მთელი მისი მცველი ჯარი გაწყვიტეს და განაგრძეს გზა. იშოვეს დიდი რაოდენობა ხომალდებისა და ცურვისათვის გამოიყენეს ტყვეები, რომლებმაც იცოდნენ ნიჩბების ხმარება" (Zos., Hist., nova, I, 32-33).

ზოსიმეს ამ მრავალმხრივ საინტერესო ცნობებიდან ირკვევა, რომ გუთებს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცენტრები ორჯერ დაულაშქრავთ. პირველი თავდასხმა, რომელიც ახ.წ. 255-256 წწ. მომხდარა, გუთების დამარცხებით დამთავრებულა.

მეორე ლაშქრობა კი ახ.წ. 257 წ. მოეწყო და პირველთან შედარებით ფართო ხასიათისა ყოფილა. გუთების თავდასხმები ამ დროს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არაერთ პუნქტს შეეხო. ზოსიმეს თანახმად, გუთებს თავდაპირველად ალყა ფასისისათვის შემოურტყამთ, მაგრამ უშედეგოდ. ფასისის დამცველებმა მომხდურნი უკუაქციეს, რაც, ერთი შეხედვით, გაოცებას იწვევს, ვინაიდან გუთებმა თითქმის დაუბრკოლებლად აიღეს ისეთი ძლიერი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი გარნიზონებით დაცული ქალაქები როგორიც იყო ტრაპეზუნტი, გორგიპია, ფილიპოპოლისი, აბრიტუსი, ნოვუმი, პიტიუნტი მაშინ, როცა ფასისს მცირერიცხოვანი გარნიზონი იცავდა. მართალია, ფასისის გარნიზონი როგორც ზემოთ ითქვა რჩეული ლეგიონერებისაგან შედგებოდა და არტილერიითაც იყო შეიარაღებული, მაგრამ დამხმარე ძალების გარეშე იგი მაინც ვერ შეძლებდა გუთების უკუგდებას. ასეთ „დამხმარე ძალებში" პირველ რიგში უნდა ვიგულისხმოთ რომაელი ვეტერანები. ფასისის დაცვაში მათთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღო ადგილობრივ, მკვიდრ მოსახლეობასაც.

ფასისიდან უკუქცევის შემდეგ როგორც ზოსიმე გადმოგვცემს, გუთებს პიტიუნტისაკენ გაულაშქრიათ. იგი იოლად აუღიათ და მისი გარნიზონი გაუნადგურებიათ. ბიჭვინტაში დატრიალებული ეს ტრაგედია არქეოლოგიურადაც კარგად დასტურდება. ნაქალაქარის თითქმის ყველა უბანზე ჩანს ძლიერი ნგრევისა და ხანძრის კვალი (ფუთურიძე, 1975, გვ. 142-143). განსაკუთრებით ეს შესამჩნევია კასტელუმის დასავლეთ კარიბჭის მიდამოებსა და ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთ მისადგომებთან, სადაც გამოვლინდა ადამიანთა უწესრიგოდ ჩაყრილი ჩონჩხების გროვა. პიტიუნტზე გუთების თავდასხმისა და მისი განადგურების სურათი კარგად აისახა, აგრეთვე, ნუმიზმატიკურ მასალაშიც. ბიჭვინტაში ახ.წ. III ს. პირველ ნახევარზე მოდის 267, ხოლო მეორე ნახევარზე – 107 მონეტა (დუნდუა, 1975, გვ. 352), III ს. მონეტათა საერთო რიცხვი კი, ახალი აღმოჩენებითურთ, 390 არ აღემატება

(ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 103). ბიჭვინტის ბედი როგორც ჩანს სებასტოპოლისსაც გაუზიარებია, რასაც მოწმობს სებასტოპოლისის ციხის კედლის გარეთ დაფიქსირებული ძლიერი ხანძრის კვალი (Воронов, 1980, გვ.83). ვარაუდობენ, რომ გუთების თავდასხმის შედეგად დანგრეულა, ასევე აფსაროსიც (ლორთქიფანიძე, 1991, გვ.52).

ამრიგად, გუთების თავდასხმების შედეგად, ახ.წ. III ს. შუა ხანებში პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითმა სისტემამ ფაქტიურად შეწყვიტა ფუნქციონირება, მაგრამ ეს დროებითი იყო. ახ.წ. II ს. 70 წლებიდან რომის იმპერიაში სტაბილური მდგომარეობის დამყარების შემდგომ, პონტო-კავკასიის სასაზღვრო თავდაცვითი სისტემა არათუ აღსდგა, არამედ მისი არეალი და მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა.

როგორც ცნობილია, ახ.წ. 270 წლის შემდეგ რომის იმპერიის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. რომაელებმა ნაისასთან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხეს გუთები და დუნაის იქით გადარეკეს, რის შემდეგაც ბალკანეთის პროვინციებში საუკუნო მშვიდობა დამყარდა. ბოსფორის მეფე საურომატ IV კვლავ „კეისრისა და რომაელთა მეგობრის" ტიტულს ატარებდა. ახ. წ. 272 წ. შაბურის გარდაცვალების შემდეგ, ირანში ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო. ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა ნარსე, რომელიც იძულებული გახდა რომაელებთან ზავი დაედო; არმენიაში გამეფდა რომაელთა ერთგული ტირიდატე IV. მთელი ამ ოცი წლის მანძილზე, რომაელებმა შეძლეს თითქმის მთლიანად აღედგინათ აღმოსავლეთის საზღვარი. სწორედ ამ ხანებში უნდა მომხდარიყო პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის აღდგენა და მისი შემდგომი განახლება-განმტკიცება: ახ.წ. III ს. შუა ხანებიდან, რომაელებმა ტრაპეზუნტში I პონტური ლეგიონი ჩააყენეს. ამავე დროიდან უნდა დაწყებულიყო სებასტოპოლისის კასტელუმის გადაკეთება-გაფართოება და მისი უშუალო მისადგომების გამაგრება. გვიანდელი ციხესიმაგ-

რის (ტაბ. II, 3) ფართობი უკვე 2 ჰექტარი იყო და ერთ კოჰორტას იტევდა.

როგორც ჩანს, გუთების შემოსევების შემდეგაც, რომაელი ხელისუფალნი დიდ დაინტერესებას იჩენდნენ, აგრეთვე, პიტიუნტის მიმართ. ახ.წ. III ს. მეორე ნახევრიდან თუ IV ს. დასაწყისში, ბიჭვინტის საქალაქო დასახლებისათვის რომაელებს სასიმაგრო ნაგებობანი შემოუვლიათ. რაც შეეხება თავად კასტელუმს როგორც ეს XXIII თხრილში დაფიქსირებული ე.წ. თავდაცვის მეორე რიგის კედელი მოწმობს, მისი ტერიტორია კანაბეს ხარჯზე ჩანს გაფართოებული, რაც პიტიუნტის გარნიზონების რაოდენობის გაზრდაზე მიუთითებს. ამჯერად, ბიჭვინტის ციხესიმაგრეს თავისუფლად შეეძლო დაახლოებით 700-800 ჯარისკაცი დაეტია. ახ.წ. III ს. ბოლოს ან IV ს. დასაწყისში უნდა აღდგენილიყო, როგორც ვარაუდობენ, აფსაროსის კასტელუმიც (ლორთქიფანიძე, 1991, გვ.52).

ამავე ხანებში უნდა აღდგენილიყო როგორც ეს უახლესი არქეოლოგიური მასალებით დასტურდება პეტრა–ციხისძირიც (ინაიშვილი, 1993, გვ.114). გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ამ დროს ციხისძირში არსებობდა რომაული სტრატეგიული პუნქტი (Лекминадзе 1967, გვ. 799; ინაიშვილი 1993, გვ. 114), რასაც დოკუმენტურად ასაბუთებს აქ აღმოჩენილი ლათინურდამღიანი აგურის ფრაგმენტი. აგური ადგილობრივია, მოწითალო-მოყავისფრო თიხისა, ყალიბშია დამზადებული. დამღა ოთხკუთხა ფორმისაა, ასოები მკაფიოდ იკითხება: VEXFA (ტაბ III, 4). წარწერა, ბოლო ხანებში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ასეთნაირად იშიფრება VEX[illatio FA [siana] (შპაიდელი, 1985, გვ. 139; გამყრელიძე, 2001, გვ. 86; შდრ. Лекминадзе 1969, გვ. 87). შესაბამისად, ფასისის გარნიზონის სახელოსნოში იყო, ალბათ, დამზადებული პეტრა-ციხისძირის ტვიფრიანი აგური.

ფასისის გარნიზონი შესაძლოა წარმოადგენდა კაპადოკიის „Pedites singularis"-ებს ანუ სპეციალურ სამშენებლო

ნაწილს, რომელიც შავიზღვისპირეთის სხვა ციხესიმაგრეებისათვის სამშენებლო მასალებს ამზადებდა (შპაიდელი, 1985, გვ.139). საყურადღებოა მაგალითად, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი ტვიფრიანი აგურები თუ კერამიკული ფილები, რაც მიუთითებს ლეგიონების ვექსილაციების ტრადიციულ სამშენებლო მოღვაწეობაზე (Сапрыкин, 1981, გვ.58). ასე რომ, პეტრას ციხესიმაგრის მშენებლობაში ლეგიონების ცალკეული ვექსილაციების მონაწილეობაც არ უნდა გამოირიცხოს. ვფიქრობთ, აღნიშნულ დროს პეტრაში უნდა მდგარიყო რომაელთა მცირერიცხოვანი სამხედრო შენაერთი.[7]

ამრიგად, როგორც ვხედავთ, გუთების შემოსევების შემდეგ, ახ.წ. III ს. ბოლოს თუ IV ს. დასაწყისში აღდგა სებასტოპოლის-აფსაროს-პიტიუნტის ციხესიმაგრეთა ქსელი, რომელთა ფუნქციონირება თითქმის მთელი ახ.წ. IV ს. მანძილზე გრძელდებოდა, რასაც არაერთი მონაცემი მოწმობს. არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალების თანახმად, პიტიუნტი ახ.წ. III ს. ბოლოდან, ვიდრე IV ს. 80 წლებამდე, აღმაელობის გზაზე დგას. მიმდინარეობს საეკლესიო მშენებლობა, იგი კვლავ ჩართულია საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. სწორედ ახ.წ. IV ს. მოდის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მონეტათა აბსოლუტური უმრავლესობა, რაც აღნიშნულ ხანაში პიტიუნტის ფულად-სასაქონლო მეურნეობის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს; დროის ამ მონაკვეთში უნდა იყოს ნაგები ციტადელის ტერიტორიაზე განლაგებული მონუმენტური შენობების (პრინციპიას, ლაზარეთის, ყაზარმების და სხვათა) ნაწილი. ამ ნაგებობათა მასშტაბები გვაფიქრებინებს, რომ პიტიუნტში ამჯერად თავმოყრილი

[7] რომაული ხანის საფორტიფიკაციო სისტემა ციხისძირში ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი. დღემდე შემორჩენილი ციხესიმაგრის ნაშთები კი ადრებიზანტიური ხანის და თურქების დროინდელია. ვფიქრობთ, გვიანდელი თავდაცვითი ნაგებობის ზომები ძირითად მონახაზებში უნდა ემთხვეოდეს რომაული ეპოქის საფორტიფიკაციო სისტემას.

უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებული რომაელთა სახმელეთო თუ საზღვაო ფლოტის ნაწილების ძირითადი ბირთვი მთავარსარდლობის რეზიდენციითურთ. არ არის გამორიცხული, რომ პიტიუნტის გარნიზონი იმჟამად იმპერიის ცენტრალური ნაწილების საჯარისო ფორმირებებით ყოფილიყო დაკომპლექტებული.

ალმაელობის გზაზე იდგნენ ახ.წ. IV ს-ში სებასტოპოლისი და აფსაროსი, რომლებიც კვლავინდებურად მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ როლს თამაშობდნენ პონტო-კავკასიის სასაზღვრო–თავდაცვით სისტემაში. ამგვარ ფუნქციას ისინი, ფასისაგან განსხვავებით, ახ.წ. IV ს. ბოლომდე ასრულებდნენ, რასაც მოწმობს კასტორიუსის ახ.წ. IV ს. მეორე ნახევარში შედგენილი რუკა, სადაც სებასტოპოლისი და აფსაროსი შეწყვილებული კოშკებით არის დატანილი მაშინ, როცა ფასისი ამ რუკაზე საერთოდ არ არის აღნიშნული (Itinenaria Romana, 1915, გვ.26-29). როგორც ჩანს, ახ.წ. IV ს. ბოლოსათვის ფასისში უკვე აღარ დგას რომაული გარნიზონი. შესაძლოა, ამ დროს მისი დაცვა მთლიანად დაკისრებოდა ეგრისის სამეფოს, რომლის მნიშვნელობა იმპერიის საგარეო პოლიტიკაში განსაკუთრებით გაიზარდა ახ.წ. IV ს. მეორე ნახევრიდან.

რაც შეეხება პიტიუნტს, მკვლევართა უმრავლესობა კატეგორიულად უარყოფს აქ ახ.წ. IV ს. ბოლოს და V ს-ში რომაული გარნიზონის ყოფნას (Меликишвили, 1959, გვ. 382; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 105; ლომოური, 1975, გვ. 70). მაგრამ მისი უყოყმანოდ გაზიარება ძალზე ძნელია და გარკვეულ ეჭვებსაც აღძრავს. მართალია, ახ. წ. III-IV სს-თან შედარებით, IV ს. დასასრულიდან და განსაკუთრებით Vს. პიტიუნტში მკვეთრად მცირდება იმპორტული კერამიკისა და მონეტების რაოდენობა, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს კავშირურთიერთობის საერთოდ შეწყვეტას გარე სამყაროსთან და რომაული გარნიზონის არყოფნას. არქეოლოგიური მასალების შესწავლამ უჩვენა, რომ ახ.წ. IV-V

სს. ბიჭვინტაში არცთუ ისე მცირე რაოდენობით შემოდის ახ.წ. IV-V სს. ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელოსნოების ვერტიკალურპირიანი, წითელლაკიანი ჯამების ფრაგმენტები შემკული ცხოველების (დელფინი, თევზი, ტახი, შველი) რელიეფური სახეებითა და ჯვრის გამოსახულებებით (ტაბ. V, 10-11).

ბიჭვინტაში ახ.წ. V ს. საკმაოდ მკვეთრად ორიენტირებული კულტურული ფენის არსებობის ილუსტრაციაა ცისის ტერიტორიაზე დაფიქსირებული სამოსური ამფორების ფრაგმენტები, მცირეაზიური ჭრაქების ზოგიერთი ტიპი, კერძოდ ღია ფერის მარყუჟისებურყურიანი ჭრაქები, რომელთაც საპატრუქე მკვეთრად აქვთ გამოყოფილი და წაგრძელებული;

ბიჭვინტაში აღმოჩენილია, აგრეთვე ახ.წ. V ს-ის ატიკური სახელოსნოების ჭრაქის ფრაგმენტებიც; ამავე საუკუნით დათარიღებული პრიალაზედაპირიანი დოქების სახესხვაობები, ბადისებრორნამენტიანი მინის ჭურჭელი, ჯვრისებრმუხლზამბარიანი მშვილდსაკინძები (თოდუა, 1988, გვ. 90-96). რაც შეეხება მონეტებს, ახ.წ. V ს-ში მათი ცირკულაცია თითქმის სრულიად გამქრალია (ცუხიშვილი, 1977, გვ. 306). მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ იმპერიის სხვა პროვინციების (მაგალითად, პანონიის) მსგავსად, აქაც ახ.წ. IV ს-ის მონეტები V ს-ში ყოფილიყო მიმოქცევაში (Oliva, 1952, გვ. 172) მით უმეტეს, როცა IV ს. დასასრულიდან აღმოსავლეთ რომის იმპერიაში მიმდინარეობდა მონეტების დევალვაციისა და ინფლაციის პროცესი, რის გამოც ახ.წ. IV-V სს. ჯარისკაცებს ფულადი ანაზღაურება შეუწყდათ (Miller, 1981, გვ. 242).

აღნიშნულ დროს პიტიუნტში რომაული გარნიზონების არსებობის სასარგებლოდ მეტყველებს ასევე V ს. ბიზანტიელი ავტორის – თეოდორიტე კვირელის (393-457 წწ.) ცნობა იოანე ოქროპირის პიტიუნტში გადასახლებასთან დაკავშირებით: „პიტიუნტი არის უკიდურესი საზღვარი პონტოსი და რომაელთა სამფლობელოსი, უველურესი ბარბაროსების მეზობლად“

(Theod., V, 34), რასაც დღემდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება და მას გარკვეული ანგარიში უნდა გაეწიოს, მით უმეტეს, როცა თეოდორიტე ანტიოქელია. ანტიოქიას კი, როგორც ცნობილია, მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა პიტიუნტთან და, ამდენად, მისი მოქალაქე, თანაც უმაღლესი სასულიერო პირი, კვირისის ეპისკოპოსი თეოდორიტე კარგად უნდა ყოფილიყო ბიჭვინტის საქმეებში გათვითცნობიერებული.

ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ახ.წ. V საუკუნეშიც პიტიუნტსა და სებასტოპოლისშიც ბიზანტიელთა მცირერიცხოვანი გარნიზონი მდგარიყო. ყოველ შემთხვევაში როგორც პიტიუნტი, ასევე, საერთოდ, კოლხეთის სანაპიროს ციხესიმაგრეთა ქსელი სრული ძალით მხოლოდ ახ.წ. VI ს. 20 წლებიდან ამოქმედდა, რაც სცილდება ჩვენი ნაშრომის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

# აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული დასახლებების ხასიათის საკითხისათვის (კანაბე თუ ვიკუსი)

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული ქალაქური ტიპის დასახლებების არსებობის შესახებ პირდაპირი მინიშნება მოიპოვება ფლავიუს არიანეს, რომლის მიხედვითაც ფასისის ციხის გარშემო მდებარე ადგილები დასახლებული ყოფილა „გადამდგარი სამხედრო პირებით და ვაჭრებით“ (Arr., PPE. 9). არქეოლოგიური მონაცემებით, პიტიუნტ-ბიჭვინტის ციხის გვერდით ქალაქური დასახლება არსებობდა (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 69). რომაული ქალაქური დასახლება უნდა არსებულიყო, აგრეთვე აფსაროსში, რისი არაპირდაპირი მოწმობაცაა აფსაროსიდან გაგზავნილ წერილში მოხსენიებული ვეტერანი ჯარისკაცი მარციალი, რომელიც გონიოში დისლოცირებული II კლავდიუსის კოჰორტაში მსახურობდა (Спейдел, 1985, გვ. 135).

აღნიშნული დასახლებების ხასიათისა თუ სტატუსის შესახებ საამისო მონაცემები არ გაგვაჩნია. სამეცნიერო ლიტერატურაში კი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული დასახლებები კანაბებადაა კვალიფიცირებული (Леквинадзе, 1969, გვ. 90-91; Лордкипанидзе, 1989, გვ. 340-341; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 74). ამგვარი განსაზღვრის საფუძველია რომაული კანაბების მშენებლობის პრაქტიკა. ამ პრაქტიკის თანახმად, არაურბანიზებულ ტერიტორიაზე კანაბები მხოლოდ ლეგიონების სამხედრო ბანაკებთან შენდებოდა. ასეთი კანაბე საკმაოდ მსხვილ დასახლებას წარმოადგენდა და კასტელუმიდან ჩვეულებრივ 2-3 კმ-ით იყო დაშორებული. ამგვარი ტიპის კანაბები, უპირატესად, იმპერიის ევროპულ პროვინციებში არსებობდა (Webster, 1979, გვ. 212-213). ხშირ შემთხვევაში, ასეთ კანაბებს, ამა თუ იმ პუნქტიდან ლეგიონების გაყვანის შემდეგ, იმპერატორის ბრძანებით ქალაქის სტატუსი ენიჭებოდა (Bohn, 1926, გვ. 25). მაგალითად,

ახ.წ. 15 წ. ტიბერიუსმა, ემონადან XV ლეგიონის გასვლის შემდეგ, ამ ლეგიონის კანაბეს კოლონიის სტატუსი მიანიჭა (Saria, 1941, გვ. 245). მუნიციპიუმის სტატუსი მიიღო XIII ლეგიონის კანაბემ აპულეაში და პოტაისის V მაკედონური ლეგიონის კანაბემ (Колосовская, 1985, გვ.179). რომის პროვინცია–დაკიის დედაქალაქის სარმიზეგეტუზის სწორკუთხა დაგეგმარების ბანაკი და უსისტემოდ ნაშენი კანაბე ქალაქად აკურთხეს ლეგიონის იქიდან გაყვანის შემდეგ (Кругликова, 1984, გვ. 89). თავდაპირველად დუროსტორიუმი დუნაიზე რიგითი სამოსახლო იყო, რომელიც აღმოცენდა კლავდიუსის XI სამხედრო ბანაკის გარშემო, ხოლო ახ.წ. II ს. ის მუნიციპიუმი გახდა (Кругликова, 1984, გვ. 23). კანაბეს ქალაქად გადაქცევის ამგვარი მექანიზმების გარდა, რომაულ ხანაში კიდევ სხვა გზებიც არსებობდა. კერძოდ, რომაულ პროვინციებში, იმპერატორის განკარგულების გარეშე, დროთა განმავლობაში, განვითარების შედეგად, ქალაქები წარმოიქმნებოდა იმ ბანაკებიდან თუ კანაბებიდან, რომლებიც ეკონომიკურად დაწინაურებულ რეგიონებში მდებარეობდა და სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილზე იყო აშენებული. ასეთი ციხეებისა და სამოსახლოებისაგან აღმოცენებულ ქალაქთა რიცხეს განეკუთვნება აბრიტუსი, ულპია-ესკუსი, ვინდობონა, აკვინკუმი, კარნინტუმი და სხვ. (Иванов, 1981, გვ.224; Античная цивилизация, 1973, გვ. 207).

აღნიშნული კანაბების ფონზე, საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული დასახლებები, რომლებიც ზომითა და მასშტაბებით იმპერიის დანარჩენი პროვინციების კანაბებს ვერ გაუტოლდებიან. მაგალითად, პიტიუნტის სამოქალაქო დასახლების ფართობი 4-5 ჰ-ს არ აღემატება და საშუალო სიდიდის დასახლების კატეგორიას განეკუთვნება.

ფასისის სამოსახლო კი, ციხესიმაგრის ფართობის (2,5 ჰა) და იქ განლაგებული ჯარისკაცთა რაოდენობიდან (500 ჯარისკა-

ცი; Arr., PPE. 9) გამომდინარე, ვფიქრობთ, უფრო მცირე ზომისა უნდა ყოფილიყო. ამასვე მიუთითებს, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ არიანემ სულ მოკლე დროში შეძლო ფასისის ქალაქური დასახლების გარშემო თხრილის შემოვლება. გარდა ამისა, განსხვავებით კლასიკური რომაული ტიპის კანაბებისაგან, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, ჩვეულებრივი ლეგიონების კასტელებთან არსებობდა, საქართველოს ზღვისპირა ცენტრებში არათუ ლეგიონები, არამედ ლეგიონური გარნიზონებიც კი არ იდგნენ. იქ მხოლოდ დამხმარე სამხედრო შენაერთები იყო დისლოცირებული. გამონაკლისი იყო პიტიუნტი, რომლის გარნიზონიც როგორც აქ აღმოჩენილი XV ლეგიონის ტვიფრიანი კერამიკული ფილა მიუთითებს (Кигурадзе, Лордкипанидзе, Тодуа, 1987, გვ. 88-92) შესაძლოა ლეგიონური ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, საკოპორტო ციხესთან კანაბეს ტიპის დასახლებები რომაულ პროვინციებში არ წარმოქმნილა.

საყურადღებოა, რომ ძეელი ბერძენ-რომაელი ავტორების ცნობების თანახმად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არა მარტო შიდა, არამედ სანაპირო ზოლიც, ძირითადად, ლაზებით, აბაზგ-აფსილებითა და სანიგებით ყოფილა მჭიდროდ დასახლებული (Strabo, XI, II, 14; Plin., NH, VI, 15; Arr., PPE, 8-11). ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კლასიკური, რომაული ტიპის კანაბები არ წარმოქმნილა. შესაბამისად უნდა გამოირიცხოს აქაური სამოსახლოების კანაბებად კვალიფიცირებაც. ისმის კითხვა: თუ ეს ასეა, მაშინ რა კატეგორიას უნდა განეკუთვნოს ფასისისა და პიტიუნტის რომაული დასახლებები. ანდა საქართველოს შავიზღვისპირეთის სხვა პუნქტებში არსებობდა კი ანალოგიური ხასიათის სამოსახლოები?

როგორც ცნობილია, რომაულ პრაქტიკაში კანაბშენებლობის ზემოაღნიშნული გზის გარდა, ურბანიზებულ ტერიტორიებზე რომაული გარნიზონების ქალაქური დასახლებების ფუნქციას ჩვეულებრივ ადგილობრივი ქალაქები ასრულებდნენ. ასე იყო

მაგალითად: ეგვიპტის ალექსანდრიაში, იერუსალიმში, პალმირაში, ხერსონესში და ელინისტური აღმოსავლეთის მთელ რიგ პუნქტებში (Sarnowski, 1988, გვ. 81). წერილობითი წყაროების სიმცირის გამო, ჩვენ არ გაგვაჩნია კონკრეტული მონაცემები ახ.წ. I ს. დასაწყისის სანაპირო ზოლის ურბანიზებული ტერიტორიის შესახებ. არქეოლოგიურადაც ზღვისპირა ცენტრები ჯერ კიდევ არ არის საითანადოდ შესწავლილი. ამიტომაცაა, რომ ამ საკითხის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ერთი ნაწილის მიხედვით, რომაული გარნიზონების ჩადგომისას, ზღვისპირა პუნქტები მიუხედავად დაცემა-დაქვეითებისა კვლავ განაგრძობდნენ არსებობას (Ломоури, 1981, გვ. 213-215). ზოგიერთი მკვლევარი კი უარყოფს ამ დებულებას და ამტკიცებს, რომ ძვ.წ. I ს. ბოლოს კოლხეთის ქალაქებმა დაკარგეს თავისი სავაჭრო მნიშვნელობა, ხოლო ზოგიერთი მათგანი განადგურდა (Меликишвили, 1959, გვ. 375-376; Лекведзе, 1969, გვ. 90-91).

მართალია, დასავლეთ საქართველოს კლასიკური და ელინისტური ხანის ისეთი ცნობილი ცენტრები როგორიც იყო ეშერა, გიენოსი და ფიჭვნარი ახ.წ. პირველი საუკუნისათვის უკვე აღარ არსებობენ, მაგრამ კოლხეთის რიგი ზღვისპირა პუნქტები კვლავ განაგრძობენ არსებობას. ასე მაგალითად, კოლხეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ქალაქი დიოსკურია ახ.წ. I ს. 70-იანი წლებისათვის, პლინიუსის ცნობით, „დაცარიელებულია", მაგრამ ამის შემდგომაც, მისივე სიტყვით, „ჩვენები (რომაელები თ.თ.) თავის საქმეებს აქ 130 მთარგმნელის მეშვეობით აგვარებდნენ" (Plin., NH, VI, 15). ნაშრომის სხვა ადგილას პლინიუს უფროსი აღნიშნავს: „დიოსკურიის შემდეგ ქალაქი ჰერაკლეუმია, სებასტოპოლისის კასტელუმიდან 70 ათას ნაბიჯზე დაშორებული" (Plin., NH, VI, 16). აქ ერთი და იგივე პუნქტი ორი სხვადასხვა სახელწოდებითაა აღნიშნული და, რაც ყველაზე საინტერესოა, დიოსკურია, სებასტოპოლისი ცალ-ცალკეა დასახელებული. შესა-

ბამისად, თუ პლინიუსის ზემოთ მოტანილ ცნობასა და მისსავე შენიშვნას დიოსკურიის „დაცარიელების“ შესახებ ერთმანეთთან დავაკავშირებთ მაშინ გამოდის, რომ დიოსკურია რიგით საქალაქო დასახლების რანგამდე ჩამოქვეითებული პუნქტია, ხოლო სებასტოპოლისი მის მეზობლად მოქმედი ახალი რომაული ციხესიმაგრე.

ნიშანდობლივია, რომ გვიანდელი ხანის ზოგიერთი ავტორი (არიანე, ანონიმი) ხშირად ორივე სახელწოდებას ერთად ასახელებს (Arr., PPE.10; Anon., PPE.12-13). ზოგთან კი სებასტოპოლისის სახელწოდებით მხოლოდ რომაული მეციხოვნენი აღინიშნება (იხ. გეორგიკა, I, 1961, გვ. 20; იპოლიტე რომაელი, აგათია, პროკოპი; გეორგიკა, 2, 1965, გვ. 101, 107, 135, 221). ავტორთა ერთი ნაწილი ამ ცენტრს მხოლოდ ტრადიციული დიოსკურიის სახელით იხსენიებს (ამიანე მარცელინე, იხ. გეორგიკა, I, 1961, გვ. 112). ციხისა და ქალაქის ამგვარი დეფინიცია კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს XVIII ს. მოგზაურთა (გიულდენშტედტი, 1964, გვ. 98; სუხოტინი, ლვოვი, იხ. Цагарели, 1991, გვ. 22,261), თუ ისტორიკოსთა (ნ. დადიანი, ს. ბურნაშევი) შრომებში (დადიანი, 1962, გვ. 53; Бурнащев, 1901, გვ. 3), სადაც თანამედროვე სოხუმის ტერიტორიაზე ციხე და ქალაქი სხვადასხვა ადგილზეა მითითებული და სხვადასხვა სახელწოდებით აღინიშნება (სოხუმ კალა ციხედ იწოდება, ხოლო ცხუმი – ქალაქად). ასე რომ, ახ.წ. I ს. დასასრულს და შესაძლოა II ს-შიც დიოსკურია-სებასტოპოლისი შესაბამისად ადგილობრივი საქალაქო ცენტრი და რომაული ციხეა ტიპოლოგიურად, ხოლო ფუნქციური თვალსაზრისით სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ახ.წ. I-II სს. აფსაროსზე. მართალია, პლინიუს უფროსი მას მხოლოდ „Castellum“-ად მოიხსენიებს (Plin., NH., VI, 11.), მაგრამ ჩვენ განკარგულებაში მოგვეპოვება სხვა ავტორთა ცნობები, რომლებიც საპირისპიროს მეტყველებენ. ასე მაგალითად, არტემიდორე ეფესელი, რო-

მელითანაც პირველად მოიხსენიება აფსაროსი, თავის „მოკლე მიმოხილვაში" უთითებს ქალაქსა და კუნძულ აფსირტს (გეორგიკა, 3, 1936, გვ.277), რაც რომაელთა გაბატონებამდე აფსაროსის მიდამოებში ქალაქის არსებობის მოწმობად შეიძლება ჩაითვალოს. ამასვე უნდა ადასტურებდეს არიანესთან დაცული ტრადიციაც: „ამბობენ, რომ აფსაროსი ოდესღაც ძველად აფსირტედ იწოდებოდა იმის გამო, რომ თითქოს აქ მედეას ხელით დაიღუპა აფსირტე, ხოლო შემდეგ კი ეს სახელი მეზობელმა ბარბაროსებმა დაამახინჯეს" (Arr., PPE, 7). ამავე თვალსაზრისით, ძალზე საყურადღებოა, აგრეთვე, „ქართლის ცხოვრებაში" დაცული ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ „ანდრია პირველწოდებული ტრაპიზონიდან მეგალოპოლისში მოვიდა, საიდანაც შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, რომელსაც დიდაჭარა ეწოდება" (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ.17).

„ქართლის ცხოვრების" ამ ცნობაში, რომელიც ძველი გადმოცემის თუ რომელიღაც ძველი წყაროს ანარეკლია, მოხსენიებული მეგალოპოლისი გონიო-აფსაროსი უნდა იყოს, რადგანაც წერილობითი წყაროებით, ტრაპეზუნტიდან ვიდრე აფსაროსამდე, რომაულ ხანაში სხვა მნიშვნელოვანი საქალაქო დასახლება არ დასტურდება. მეგალოპოლისისა და აფსაროსის იდენტურობაზე უნდა მიუთითებდეს აგრეთვე ისიც, რომ აფსაროსი, როგორც ეს პლინიუსის ცნობიდან ირკვევა, სწორედ იბერიას ესაზღვრებოდა. „აფსაროსის გარშემო მთებს იქით — წერს პლინიუსი—იბერია ძევს" (Plin., NH., VI, 4). როგორც ჩანს, აფსაროსში რომაელთა მიერ აქ ციხესიმაგრის აგებამდე, ადგილობრივი საქალაქო დასახლება არსებულა. ამ სამოქალაქო ცენტრის ტერიტორიაზე, ანდა მის მახლობლად ახ.წ. I ს. 70-იანი წლებისათვის აფსაროსში უკვე ყოფილა რომაული ციხე, რომელშიც, არიანეს ცნობით, 5 სპეირა მდგარა (Arr., PPE, 6).

რაც შეეხება სებასტოპოლისისა და აფსაროსის რომაული გარნიზონების სამოქალაქო დასახლებების არსებობა-არარსე-

ბობის საკითხს, არც არიანეს და არც მომდევნო ხანის ავტორებს მათ შესახებ არავითარი მინიშნება არა აქვთ. აღნიშნულ პუნქტებში არქეოლოგიურადაც რომაული სამოქალაქო დასახლების კვალიც კი არ არის ჯერჯერობით დადასტურებული.

ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული სიცხადე შეიძლება შეიტანოს ფაიუმში აღმოჩენილმა (აფსაროსიდან გაგზავნილმა) წერილმა, საიდანაც ირკვევა, რომ აფსაროსში რომაელი ვეტერანები ქალაქში დასახლებულან და ადგილობრივ მოსახლეობას შერწყმიან (შპაიდელი, 1985, გვ. 135). აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ელინისტური აღმოსავლეთის ურბანიზებული ტერიტორიების მსგავსად, აფსაროსისა და შესაძლოა დიოსკურია-სებასტოპოლისის რომაული სამხედრო შენაერთების, სამოქალაქო დასახლების ფუნქციას ამ პუნქტებში ადგილობრივი საქალაქო ცენტრები ასრულებდნენ.

დიოსკურიისა და აფსაროსის მსგავსი, ოღონდ ოდნავ განსხვავებული ვითარება დასტურდება ფასისში. როგორც ცნობილია, ფასისიდან ახ. წ. I ს. არქეოლოგიური მასალა ჯერჯერობით არ გაგვაჩნია (გამყრელიძე, 2001, გვ. 84-97), მაგრამ ჩვენ ხელთაა პლინიუს უფროსის მეტად ძუნწი ინფორმაცია აღნიშნული ხანის ფასისის მდგომარეობის შესახებ: „მდინარე ფასისის ნაპირებზე მდებარეობდა მრავალი ქალაქი, მათგან ყველაზე სახელგანთქმული იყო – ტინდარიდა, კირკეუმი, კიგნუმი და შესართავთან ფასისი. მაგრამ ყველაზე სახელგანთქმული იყო ეა. ახლა მხოლოდ სურიუმიღა არის" (Plin., NH., VI, 13). კონტექსტიდან ირკვევა, რომ პლინიუსი დიოსკურიის მსგავსად, ფასისის მიმართაც ახდენს შედარებას ძველ დროსთან, როცა ის „სახელგანთქმული" იყო. ცხადია, რომ ისევე როგორც დიოსკურია, პლინიუსის დროისათვის ფასისიც დაქვეითებული საქალაქო ცენტრია. თუმცა, როგორც ეს პლინიუსის ცნობის კონტექსტიდანაც ჩანს, საქალაქო ცხოვრება მეტ-ნაკლები ინტენსიურობით მაინც გრძელდება. ფასისს საქალაქო ცენტრის ფუნქცია მთლიანად

რომ არ ჰქონდა დაკარგული, ამას მოწმობს არიანეს მინიშნება ფასისის შესასვლელში აღმართული ფასიანელი ქალღმერთის ქანდაკებასა და ძველი ლუზების მუზეუმზე (Arr., PPE, 9), რომელიც რომაულ ციხესიმაგრეში კი არ მდებარეობდა, არამედ არიანესავე სიტყვით – „μέντοι", სხვაგან, სხვა ადგილას (Arr., PPE, 9). ამ ძველი, დაქეეითებული, მაგრამ ჯერ კიდევ მოქმედი საქალაქო ცენტრის მახლობლად არიანეს დროისათვის უკვე არსებობდა რომაული ციხესიმაგრე სამოქალაქო დასახლებითურთ.

ფასისისა და აფსაროსთან შედარებით, განსხვავებული სურათი დასტურდება ახ.წ. I-II სს. პიტიუნტში. როგორც ცნობილია, სტრაბონი მას „დიდ პიტიუნტს" უწოდებს (Strabo, XI, 2,14). პლინიუსიც აღნიშნავს, რომ ის უმდიდრესი ქალაქი იყო, რომელიც მისი დროისათვის ჰენიოხების მიერაა გაძარცვული (Plin., NH., VI, 16). არიანე კი აქ მხოლოდ ὅρμος-ს აფიქსირებს: „დიოსკურიიდან, რომ მიდიხარ, პირველი ნავსადგომია (ὅρμος) პიტიუნტში, სამას ორმოცდაათი სტადიონის მანძილზე" (Arr., PPE, 9).

პლინიუსისა და არიანეს ამ ცნობების საფუძველზე, ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს ახ.წ. I ს. ბიჭვინტა განადგურებულად და ნანგრევებად ქცეულად წარმოიდგინოს (Меликишвили, 1959, გვ. 375). მაგრამ პლინიუსის ცნობიდან არ ჩანს, რომ „პიტიუნტი ნანგრევებად იყო ქცეული". იგი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ „უდიდესი ქალაქი პიტიუნტი გაძარცვეს ჰენიოხებმა". გაძარცვა ნანგრევებად ქცევას არ ნიშნავს. არიანეს ზემოთ მოყვანილ ცნობაში კი საუბარია არა საერთოდ ბიჭვინტაზე, არამედ კონკრეტულად მისი ნავსადგომის შესახებ. მართალია, არიანე არაფერს ამბობს პიტიუნტის ὅρμος-ის ავკარგიანობის შესახებ, მაგრამ ვფიქრობთ, აქაც ტრაპეზუნტის ὅρμος-ის მსგავსი სადგომი უნდა ყოფილიყო, რომელიც შეიძლებოდა λιμήν-ად, ნავსადგურად გადაკეთებულიყო.

ღსანიშნავია ისიც, რომ არც თვით პიტიუნტი ყოფილა ახ.წ. I-II სს. აღკვილი პირისაგან მიწისა, რისი დასტურიცაა არქეოლოგიური გათხრების მონაცემები. ნაქალაქარის XXII ნაკვეთის ქვედა ჰორიზონტში, საკმაოდ დიდ ფართობზე დაფიქსირდა ახ.წ. I ს. დასასრულისა და II ს. პირველი ნახევრის ფენა, სადაც აღმოჩნდა იმპორტული (კოსისა და როდოსის) და ადგილობრივი ამფორების ფრაგმენტები (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 42-43). რომაული გარნიზონის ჩადგომამდე პიტიუნტში ცხოვრების საკმაოდ ინტენსიურ რიტმზე მიუთითებს, აგრეთვე III ნაკვეთის ქვედა ფენიდან მომდინარე ახ.წ. I ს-ის პერგამონული წითელლაკიანი ჯამის ფრაგმენტი; მცირე ზომის ვიწროყელიანი ღია ფერის სინოპური ამფორები, რომლებიც, დ. შელოვის კლასიფიკაციით, ახ.წ. I ს. თარიღდება (Шелов, 1978, გვ.18). მაგრამ ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ სანებში პიტიუნტი საქალაქო ცენტრად ვიგულისხმოთ. ახ.წ. I-II სს. ფენის სისქის სიმცირე და ნივთიერი მასალის სიღარიბე მოწმობს, რომ ამ დროისათვის მას უკვე დაკარგული აქვს საქალაქო ცენტრის მნიშვნელობა და მხოლოდ პატარა ნავსადგომი და რიგითი დასახლება იყო. ახ.წ. 152 წლისათვის, კონსულების - გლაბრიონესა და ჰომულის დროს პიტიუნტში ნამდვილად იდგა რომაული გარნიზონი (Speidel, Todua, 1988, გვ 56).

ამგვარად ცხადია, რომ არიანეს საინსპექციო მოგზაურობის შემდეგ, ახ.წ. II ს. მეორე ნახევარში პიტიუნტი რიგითი დასახლებიდან რომაელ სამფლობელოთა ფორპოსტად, სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტად ქცეულა. ყოველ შემთხვევაში, II ს. დასასრულსა და III ს. დასაწყისში როგორც ეს არქეოლოგიური მასალებით დასტურდება, ბიჭვინტაში დგას რომაული კასტელუმი (აფაქიძე, 1975, გვ.26). მასთან ერთად უნდა წარმოქმნილიყო სამოქალაქო დასახლებაც, რომელიც ნახევარწრიული გალავნითაა გამაგრებული (ტაბ. II, 4).

სამოქალაქო დასახლება უშუალოდ კასტელუმის სამხრეთ კედელზეა მიბმული, რაც ძალზე უჩვეულოა რომაული სამოსახლოებისათვის. რომაული კანაბები კასტელუმებისაგან ჩვეულებრივ 2-3 კმ-ით იყო დაშორებული და გეგმაში სწორკუთხედს წარმოადგენდა. ბიჭვინტის სამოსახლოს მსგავსი კანაბე რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გვხვდება გერმანიის ლიმესის ციხე-ქალაქ ოსტერბრიუკენში (Johnson, 1987, გვ. 315), მაგრამ ბიჭვინტისაგან განსხვავებით, მისი სამოქალაქო დასახლების გალავანი ტრაპეციული ფორმისაა და კასტელუმის ჩრდილოეთის კედელთანაა მიდგმული. სამოქალაქო დასახლების უშუალოდ ციხესთან არსებობა უფრო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისათვის არის დამახასიათებელი. ასეთი იყო ფასისის სამოსახლო, რომელიც, არიანეს ცნობიდან გამომდინარე, ციხესთანაა მიბმული (Arr., PPE, 9).

პიტიუნტის ციხე-ქალაქის მოსახლეობა, აქ დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთის რაოდენობიდან (500-600 ჯარისკაცი) და მისი სამოსახლოს ზომებიდან (4,5 ჰა) გამომდინარე, არცთუ ისე მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ახ.წ. III-IV სს. პიტიუნტის კასტელუმი სამოქალაქო დასახლების ხარჯზე ჩანს გაზრდილი, მაშინ ამგვარ მოსაზრებას რეალური საფუძველი უჩნდება. ვფიქრობთ, ფასისის სამოსახლოს ტერიტორიაზე მცხოვრები „გადამდგარი ჯარისკაცებიც" არ უნდა ყოფილიყვნენ მრავალრიცხოვანი, რადგან, როგორც ითქვა, არიანემ სულ მოკლე დროში შეძლო სამოქალაქო დასახლების გარშემო თხრილის შემოვლება, თანაც მისივე ცნობით ფასისში 500 ჯარისკაცი იდგა (Arr., PPE, 9). საფიქრებელია, რომ შეიძლება ეს ყოფილიყო იმის ერთ-ერთი მიზეზთაგანი, რომ აღნიშნული პუნქტების ვეტერანთა სამოსახლოები რომის იმპერიის დასავლურ-აღმოსავლური პროვინციების მუნიციპიუმებისა თუ მეტროპოლიების ტიპის ქალაქები ვერ გახდნენ.

აღსანიშნავია, რომ რომაელ-ბიზანტიელ ისტორიკოსებსაც კი არა აქვთ ოდნავი მინიშნებაც ფასისსა და პიტიუნტში არა თუ რაიმე მსხვილი რომაული სამოსახლოს შესახებ, არამედ თუნდაც ვეტერანთა ორგანიზებული, კომპაქტური დასახლებისა. ასე მაგალითად, ფლავიუს არიანე ფასისის ციხის გარშემო არსებულ სამოსახლოს დასახლებად თუ დასახლებულ პუნქტად იხსენიებს, თანაც იქ მცხოვრებ ვეტერანებთან ერთად ვაჭრებსაც ასახელებს (Arr., PPE, 9). ვაჭრებს შორის, ვფიქრობთ, ადგილობრივი ვაჭრებიც უნდა იგულისხმებოდეს. პროკოპი კესარიელის ცნობით კი აბაზგიაში, რომლის ტერიტორიის ფარგლებში მკვლევართა აზრით პიტიუნტიც შედიოდა (Анчабадзе, 1964, გვ.19) რომაელი ჯარისკაცები „ბევრ ადგილას განსახლებულან ადგილობრივ მკვიდრთა შორის" (PC, BG, VIII, 4).

როგორც ჩანს, აღნიშნულ პუნქტებში რომაელ ვეტერანთა გარკვეულ ნაწილს ადგილობრივ საქალაქო ცენტრებში თუ სამოსახლოებზეც უცხოვრიათ. მაშინ როცა რომის იმპერიის დასავლეთ და აღმოსავლეთ პროვინციებში რომაელი ვეტერანები განცალკევებით ცხოვრობდნენ, მათი კანაბებიც ტოპოგრაფიულად სამხედრო ბანაკისაგან თუ ადგილობრივი დასახლებისაგან დაცილებული იყო (Magie, 1950, გვ. 267). ამავე დროს, ისინი განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდნენ და მუნიციპიუმების უფლებებსაც იღებდნენ (Сапрыкин, 1999, გვ. 77). ასე მაგალითად, მონტანის (ქვედა დუნაის პროვინციის რომაული ქალაქი) წარწერებში გამიჯნული ჩანს საკუთრივ ქალაქის მკვიდრი მოსახლეობა (cives Montanensium) სამხედრო ბანაკისა და მასზე დამოკიდებული კანაბეს მოსახლეობისაგან (castrenses; Иванов, 1981,გვ. 52). პიტიუნტის, აფსაროსისა და შესაძლოა ფასისის შემთხვევაში ამგვარ დეფინიციას ვერ ვხედავთ. პირიქით, აღნიშნულ პუნქტებში რომაელი ვეტერანები და მკვიდრი მოსახლეობა მშვიდობიანად თანაცხოვრობენ.

მაშასადამე, სრული საფუძველი გვაქვს იმის მტკიცებისა, რომ ფასისში, პიტიუნტში და, საერთოდ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ვეტერანთა ორგანიზებულ დასახლებას ადგილი არ ჰქონდა. ეჭვს იწვევს ასევე ფასისისა და პიტიუნტის რომაული სამოსახლოების სამეურნეო ხასიათიც, რამდენადაც აგრარიზაცია თავისუფალ, ვრცელ დაუსახლებელ ტერიტორიას მოითხოვდა (Колосовская, 1981, გვ.81; Schmitc, 1948, გვ 1.39-140), მაგრამ საამისო პირობები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არ იყო. აქ რომაული გარნიზონების ჩადგომისას უკვე არსებობდა ადგილობრივი საქალაქო ცენტრები თუ რიგითი დასახლებები. გარდა ამისა, შიდა და სანაპირო ზოლიც მჭიდროდ ჩანს დასახლებული. შესაძლოა ამგვარმა დემოგრაფიულმა სიტუაციამ განაპირობა კიდეც ფასისისა და პიტიუნტის რომაული სამოსახლოების სპეციფიკური განლაგება. აღსანიშნავია ისიც, რომ აგრარიზაციის პროცესმა ვერც რომის იმპერიაში მოიკიდა ფეხი. ადრიანეს დროიდან იგი საერთოდ შეწყდა (Kornemann, RE, IV გვ. 546). ამიერიდან ვეტერანთა ძირითადი საქმიანობა ვაჭრობა-ხელოსნობა იყო.

ვფიქრობთ, სავაჭრო-სახელოსნო ტიპის - „vicus"-ის რანგის სამოსახლოები უნდა ყოფილიყო პიტიუნტისა და ფასისის რომაული ქალაქური დასახლებები როგორიც იქმნებოდა ხოლმე ამ პუნქტების მსგავს საკოპორტო კასტელებთან (Савеля, 1999, გვ. 44).

ასეთი ტიპის სამოსახლოთა მოქმედების არეალი ციხე-ქალაქის ფარგლებს არ სცილდებოდა. რომაული პრაქტიკიდან გამომდინარე, ამგვარი სამოსახლოების მცხოვრებთა ძირითადი კონტინგენტი როგორც ეს ფასისის მაგალითიდანაც ჩანს (Ап., PPE, 9) ვაჭრები იყვნენ (Gones, 1954, გვ. 866). მათ ხელში თავმოყრილი იყო ქალაქსა და სოფელს შორის სავაჭრო ურთიერთობის მთელი მექანიზმი. ვფიქრობთ, ამ სოციალური კატეგორი-

ის საშუამავლო გზით უნდა იყოს მოხვედრილი კოლხეთის კონტინენტურ და მთიან რეგიონებში იმპორტული პროდუქციის გარკვეული ნაწილი და, პირიქით, ადგილობრივი ნაწარმი ციხე-ქალაქების ტერიტორიაზე.

მართალია, აღნიშნული პუნქტების, რომაული სამოსახლოების სტატუსისა და ფუნქციის ჩვეულებრივი განსაზღვრა, ჰიპოთეზის ფარგლებს არ სცილდება, მაგრამ ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პიტიუნტისა და ფასისის რომაული დასახლებები შეზღუდული, არასტანდარტული ხასიათისა იყო. სწორედ ამგვარმა ხასიათმა განაპირობა ის, რომ ჩვენი სანაპირო ცენტრები რიგით მილიტარისტული ბუნების ციხე-ქალაქებად რჩებოდნენ. რომაული გარნიზონებისა და შესაბამისად ვეტერანების სიმცირითვე იყო განპირობებული, ძირითადად, რომაული კულტურის გავლენის საკმაოდ დაბალი დონეც კოლხეთის კონტინენტურ და მთიან რეგიონებში, რომლებიც წინანდებურად ინარჩუნებდნენ ეროვნული კულტურის ტრადიციებს (თოდუა, 2000, გვ. 203).

ამრიგად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული ქალაქური ტიპის დასახლებების წარმოქმნისა და მათი განვითარების პროცესი თავისებური, განსხვავებული გზით წარიმართა. აქ, რომაული, კლასიკური ტიპის კანაბები არ წარმოქმნილა. სებასტოპოლისსა და აფსაროსში რომაული სამხედრო შენაერთების სამოსახლოების ფუნქციას ადგილობრივი საქალაქო ცენტრები თუ რიგითი დასახლებები ასრულებდნენ. პიტიუნტისა და ფასისის კასტელებთან კი არსებობდა „vicus"-ის კატეგორიის არასტანდარტული, მცირე სავაჭრო-სახელოსნოს ტიპის რომაული დასახლებები, რომელთა „მოქმედების არე" სანაპირო ზოლით შემოიფარგლებოდა.

# რომაული იმპორტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში

კოლხეთში რომაელთა ხელისუფლების დამყარებისა და მის ზღვისპირა ცენტრებში რომაული გარნიზონების დისლოკაციის შედეგად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი აქტიურად ჩაერთო რომაული სამყაროს სისტემაში. უწინარეს ყოვლისა, ეს პროცესი იმპორტული ნაწარმის გავრცელებაში ვლინდება.

რომაული სამყაროს სხვადასხვა ცენტრებიდან კოლხეთის ზღვისპირეთში იმპორტულ პროდუქციას სამ ქრონოლოგიურ ჯგუფად ვყოფთ: პირველი ჯგუფი ახ.წ. I-II სს. თარიღდება. ამ დროის იმპორტული ნაწარმი მცირერიცხოვანი და არცთუ ისე მრავალფეროვანია. იგი ამ ფორმებით, ძირითადად, წარმოდგენილია მშვილდსაკინძებით, ტორევტიკული ნიმუშებით, ამფორებითა და წითელლაკიანი კერამიკით. მშვილდსაკინძები ძირითადად მთელ რომაულ სამყაროში ფართოდ ცნობილი სამხრეთ იტალიკური წარმომავლობის „ავცისებია“, რომლებიც აღმოჩნდა სოფ. ლიას „დიდი ქირსას“ ახ.წ. I ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ №4 სამარხში (წითლანაძე, 1973, გვ. 67) და აბგიძრაპუს (წებელდა) ახ.წ. III-IVსს. №35 ორმოსამარხში (Трапш, 1971, გვ. 188).

ლიასა და წებელდაში დადასტურებული „ავცისები“ ყველაზე უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებენ მ. ფეჟერისეული კლასიფიკაციის $226_2$ ტიპის „ავცისებთან“, რომლებიც ახ.წ. I ს. პირველი ნახევრით თარიღდება (Feugere, 1985, გვ.319-321). ამგვარი ვარიანტის ფიბულები უპირატესად გავრცელებული ჩანს გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში. (Bohme, 1972, გვ.11). ნაკლები გავრცელება პოვა მან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (Трейстер, 1993, გვ. 60). სამაგიეროდ, შედარებით მრავლადაა დაფიქსირებული ჩრდილოეთ კავკასიაში (Амброз, 1966, გვ. 26).

საკმაოდ მცირერიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი წითელლაკიანი კერამიკა, რომელიც პერგამონისა და მცირე აზიის

ანონიმური ცენტრების პროდუქციას განეკუთვნება. ახ.წ. I ს. პერგამონული წითელლაკიანი კერამიკა ჯამებისა და თასებისაგან შედგება. ჯამები, ძირითადად, ერთი ტიპისა გვხვდება. ესაა სწორპირიანი, თხელკედლიანი, შინდისფერი საღებავით დაფარული ჯამი, რომელიც აღმოჩნდა ბიჭვინტის კასტელუმის III ნაკვეთის ქვედა ფენაში. ანალოგიური ჯამის რამდენიმე ფრაგმენტი აღმოჩენილია, აგრეთვე ვანის ნაქალაქარზე და ახ.წ. I ს. დასაწყისითაა დათარიღებული (მათიაშვილი, 1977, გვ. 50). პერგამონული თასები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მხოლოდ ერთი ტიპითაა წარმოდგენილი: ვიწრო ყელიანი და ბიკონუს-ურმხრებიანი თასის ფრაგმენტებით. ამგვარი ფორმის თასების ფრაგმენტები დადასტურებულია პიტიუნტისა და სებასტოპოლისის კასტელუმების ტერიტორიაზე (ბერძენიშვილი, 1963, გვ.109; ფუთურიძე, 1965, გვ. 33). რაც შეეხება მცირე აზიის ჯერჯერობით დაუდგენელი ცენტრების წითელლაკიან კერამიკას, მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აფსაროსის ციხესიმაგრის ტერიტორიაზე აღმოჩენილი წითელლაკიანი ჯამის ძირგვერდის ფრაგმენტი სანდლიანი ფეხის ტერფის გამოსახულებით და მეორის რელიეფურგამოსახულებიანი წითელლაკიანი ჭრაქი, რომლებიც მცირე აზიურ ნაწარმადაა მიჩნეული (გძელიშვილი, ხახუტაიშვილი, 1964, გვ. 67).

შედარებით უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია აღნიშნული პერიოდის ამფორები. ახ.წ. I-II სს. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ მის ზღვისპირა ზოლში პირველად ჩნდება ღია ფერის თიხის ვიწროყელიანი, ცილინდრული ქუსლის მქონე ამფორები, რომლებიც აღმოჩენილია პიტიუნტში (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975, გვ. 256), სებასტოპოლისისა და აფსაროსის ახ.წ. I-II სს. ფენებში (აფაქიძე, ლორთქიფანიძე, 1965, გვ. 124; გძელიშვილი, ხახუტაიშვილი, 1964, გვ. 85). ამ ტიპის ამფორებს სპეციალისტები ჩვეულებრივ სამხრეთ შავიზღვისპირეთის ნაწარმად მიიჩნევდნენ (Кадеев, 1970, გვ. 132), მაგრამ რო-

გორც მორფოლოგიურმა და პექტოგრაფიულმა შესწავლამ უჩვენა, ისინი სინოპურ ნაწარმთა წრეს განეკუთვნება.

ახ.წ. I-II სს-ში კოლხეთში სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრების ნაწარმი მხოლოდ სინოპეთი არ შემოიფარგლებოდა. ამის სასარგებლოდ მეტყველებს კონუსურძირიანი, მოწითალო-მოყავისფრო, უხეში, სილანარევი, ქარსიანი თიხისაგან დამზადებული ამფორები, რომლებიც ჰერაკლეას სახელოსნოების ნაწარმი უნდა იყოს. ასეთი ტიპის ამფორები ჯერჯერობით აფსაროსშია დადასტურებული (გძელიშვილი, ხახუტაიშვილი, 1964, გვ. 86). დასავლეთ საქართველოს ფარგლებს გარეთ კი დიდი რაოდენობით გვხვდება პანტიკაპეონში (Зеест, 1960, გვ. 111, ტაბ. XXIX, 70).

გონიო-აფსაროსის ახ.წ. I-II სს. ფენაშია აღმოჩენილი, აგრეთვე ღია მოწითალო თიხის ძირგაშლილი, ცილინდრული ქუსლის მქონე ამფორის ფრაგმენტები (გძელიშვილი, ხახუტაიშვილი, 1964, გვ. 74-75, ტაბ. XVI, 9), რომლებიც როგორც ფიქრობენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სხვადასხვა ცენტრში მზადდებოდა (Зеест, 1960, გვ. 113). ჩრდილო შავიზღვისპირული ნაწარმი უნდა იყოს, ასევე გონიოში დადასტურებული მუქი ნარინჯისფერი, წვრილი სილანარევი თიხისაგან დამზადებული კონუსური ქუსლის მქონე ამფორის ძირ-გვერდის ფრაგმენტი, რომელიც მოგადად ახ.წ. პირველი საუკუნეებით თარიღდება (გძელიშვილი, ხახუტაიშვილი, 1964, გვ. 75, ტაბ. XVI, 6). ამფორების გარდა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბოსფორული მონეტებიც არის დაფიქსირებული: სოხუმის ციხის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში აღმოჩნდა რისკოპურიდ II (68-92წწ.) დუპონდიუსი, საურომატ I (93-123 წწ.) 93-118 წწ. მოჭრილი სესტერცი; ბიჭვინტასა და გუდაუთაში კოტის II (123-132 წწ.) და რომეტალკის (132-136 წწ.) სესტერციები, ახალ ათონში კი მითრიდატე III (39-45 წწ.) ასსი (Шамба, 1981, გვ. 121-122), რაც ბოსფორთან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გარკვეული სავაჭრო-ეკონომიკური ურთი-

ერთობის მიმანიშნებელია. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში აღმოჩენილია, აგრეთვე ახ.წ. I-II სს. კოსისა და როდოსის ამფორები. კერძოდ, კოსური თაეკბილასახელურიანი, ღია ყვითელი ფერის თიხისაგან დამზადებული ამფორის ფრაგმენტები დადასტურებულია აფსაროსსა და პიტიუნტში (გძელიშვილი, ხახუტაიშვილი, 1964, გვ. 74; Лордкипанидзе, 1977, გვ.500), ხოლო როდოსული ამფორის მცირერიცხოვანი ფრაგმენტები ნაპოვნია ბიჭვინტაში (Лордкипанидзе, 1979, გვ. 500).

ამრიგად, ახ.წ. I-II სს. რომაული იმპორტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცირერიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ამ ხანებში რომაული სამყაროს სხვადასხვა ცენტრის ნაწარმი გვხვდება, ძირითადად, ზღვისპირა ცენტრებში, უპირატესად კი გონიო-აფსაროსის მონაკვეთზე, რაც რომაული სამყაროს სისტემაში აფსაროსის ადრეულ ჩართვაზე მიუთითებს.

მეორე ჯგუფი ახ.წ. II-III სს. თარიღდება და იმპორტული ნაწარმის სიმრავლით ხასიათდება, რაც პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის ჩამოყალიბებას უკავშირდება. შავიზღვისპირეთის ციხესიმაგრეთა ქსელი, რომლის ორგანიზაციული გაფორმება როგორც ითქვა აღნიშნული საუკუნეების მიჯნაზე სრულდება და უზრუნველყოფდა პროდუქციის უსაფრთხო ტრანსპორტირებასაც. სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ახ.წ. II-III საქართველოს ზღვისპირეთში იმპორტული ნაწარმის მოზღვავება, რომელთა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი წითელლაკიან კერამიკას ეკავა. ეს ძვირადღირებული ჭურჭელი, ისევე როგორც ამ დროის სხვა სახეობის პროდუქცია, მხოლოდ ზღვისპირა პუნქტებში გვხვდება და, ძირითადად, ჯამებითა და ლანგრებითაა წარმოდგენილი.

პიტიუნტსა და სებასტოპოლისში აღმოჩენილია ღრმა ჯამები, პატარა მრგვალი ქუსლით და მომრგვალებული კალთებით (ტაბ. V, 3). ამ ტიპის ჯამები ფართოდაა გავრცელებული რომაულ სამყაროში და დროის დიდ მონაკვეთში (ახ.წ. I-IV სს.) არსე-

ბობენ. ანალოგიური ფორმის ჯამები ცნობილია, აგრეთვე მცირე აზიაში (ჩანდარლის 20-21 ტიპი; Loeschke, 1912, გვ.371), დაკიას (Radulescu, 1976, გვ.352) და პანონიაში (Brukner, 1981, გვ. 92, ტაბ VIII). ბიჭვინტასა და სოხუმში აღნიშნული ჯამები მხოლოდ ახ.წ II-III სს. ფენაშია დადასტურებული (ლორთქიფანიძე, 1962, გვ 238-239; ფუთურიძე, 1965, გვ. 101, სურ. 9). რაც შეეხება მათ წარმომავლობას, მორფოლოგიური თვალსაზრისით, პერგამონულ წრეს განეკუთვნებიან და შესაძლოა ჩანდარლის სახელოსნოს ნაწარმადაც კი ჩავთვალოთ. ლაკი ამ ჭურჭლისა ღია წითელი და მოყავისფრო ფერისაა, რაც სწორედ ჩანდარლის წითელლაკიანი კერამიკისათვისაა დამახასიათებელი.

ბიჭვინტასა და სოხუმში გვხვდება მცირე აზიური წითელლაკიანი ჯამების კიდევ ერთი ნაირსახეობა: ფართო, მაღალი გოფრირებული კალთებითა და ჰორიზონტულად მიძერწილი ოთხ რიგად დაღარული ყურით. თიხა ღია, მოყვითალო ფერისაა, ხოლო ლაკი წითელია (ტაბ. V, 4). ამგვარი ჯამები ჯერჯერობით უცნობია დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისათვის. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მსგავსი ტიპის ჯამების მხოლოდ ორადორი ეგზემპლარია ცნობილი. მათგან ერთი დადასტურებულია გნილოვსკის ნაქალაქარზე (Каменецкий, 1957, გვ. 130, სურ, 6), ხოლო მეორე ტანაისის სამარხში (Арсеньева, 1985, გვ. 81-82, სურ. 3,11). მსგავსი ჭურჭელი ცნობილია ათენის აგორადან და ახ.წ. III ს. თარიღდება (Robinson, 1959, ტაბ. 69,19,12). კეცისა და ლაკის მიხედვით ბიჭვინტასა და სოხუმის გოფრირებულ კალთებიანი ჯამები ჩანდარლის ნაწარმთა წრეს შეიძლება განეკუთვნოს. რაც შეეხება მათ თარიღს, ეს ჯამები ჩვენში ახ.წ. II-III სს. ფენებშია დაფიქსირებული (ფუთურიძე, 1965, გვ. 104, სურ. 13,14; ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 240-241 სურ. 8-9). აქედან გამომდინარე, ისინი ამავე საუკუნით უნდა დათარიღდეს.

მცირეაზიურ ნაწარმთა წრეს უნდა განეკუთვნოს, აგრეთვე კეცისა (მოწითალო ფერისა) და ლაკის (მოყავისფრო) მიხედვით, ბიჭვინტაში ინკიტის ტბასთან გათხრილი კოშკის ახ.წ. II-III სს. ფენაში აღმოჩენილი კალთაზე ოდნავ გამოწეული კიდიანი ჯამის ორიოდე ფრაგმენტი (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 141), რომლის ზუსტი შესატყვისი ჩვენთვის უცნობია.

მცირეაზიური უნდა იყოს ბიჭვინტაში ახ. წ. II-III სს. ფენაში აღმოჩენილი მრგვალი ფორმის ვერტიკალურკიდეებიანი და ძირისაკენ მკვეთრად დაქანებულკალთებიანი ჯამი ორლულიანი დაღარული ყურით, რომლის თიხა ღია ყვითელი ფერისაა, ხოლო ლაკი ღია წითელია (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 241, სურ. 7). მსგავსი ჯამის ანალოგი ჯერჯერობით არ ჩანს ჩრდილო და დასავლეთ შავიზღვისპირეთის მასალებში და არც სხვაგან. მცირეაზიურ ნაწარმთა წრეს განეკუთვნება, ასევე სოხუმში აღმოჩენილი კალთებმომრგვალებული, ღარიანნაპირიანი, ნახევარსფერული ფორმის თასების ფრაგმენტები, ამასთან ორივე მხრიდან ღია წითელი, მოაგურისფრო ლაკით შეღებილი. სპეციალისტები მათ ახ.წ. II-III სს. ათარიღებენ (ფუთურიძე, 1965, გვ. 98, სურ. 5). სოხუმსა და ბიჭვინტაშიც გვხვდება, აგრეთვე თხელკედლიანი თასის ნატეხები, რომლებიც ფორმით ემსგავსება ზემოაღწერილს, თუმცა ლაკი წითელი ფერისაა. ისინი, ზოგადად, პირველი საუკუნეებითაა დათარიღებული (ფუთურიძე, 1965, გვ. 98, სურ. 6). ამგვარი ტიპის თასები დადასტურებულია დაკიასა (Popilian, 1976, გვ.125) და პანონიაში (Plesnicar, 1977, გვ. 53, სურ. 7) და ახ. წ. II-III სს. თარიღდება. ჩვენი თასებიც ამავე საუკუნით უნდა განისაზღვროს, რასაც მხარს უჭერს არა მარტო ზემოთ დასახელებული ანალოგები, არამედ ისიც, რომ ბიჭვინტაში ეს თასები ახ.წ. II-III სს. ფენაშია დაფიქსირებული.

მცირეაზიური წარმომაელობის წითელლაკიანი კერამიკის გარდა, ბიჭვინტისა და სებასტოპოლისის ნაქალაქარებზე გვხვდება ისეთი ტიპის წითელლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტებიც,

რომელთა საწარმოო ცენტრი ჯერჯერობით არ არის საბოლოოდ დაზუსტებული. მათ რიცხვს განეკუთვნება ღრმა სასმისები, რომელიაც ქვედა ნაწილში ოდნავ გამობერილი მომრგვალებული კალთები და ვერტიკალური კიდე აქვთ. კიდის ნაპირებს ირგვლივ ვიწრო ღარები შემოუყვება, ხოლო კალთები ზედა ნაწილში შემკულია კონცენტრირებული ღარებით (ტაბ. V, 5). ლაკი ღია წითელი ფერისაა, ხოლო თიხა ღია ფერისა (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 239).

ამგვარი ჭურჭელი საერთოდ გავრცელებულია პირველი საუკუნეების წითელლაკიან კერამიკაში და ჩნდება იგი ძვ.წ. I ს. მიწურულს როგორც პერგამულ, ისე სამოსურ კერამიკაში. მაგრამ ამ ცენტრების ნაწარმისაგან ძალზე განსხვავდება ბიჭვინტისა და სოხუმის ეგზემპლარები ფორმისა და მორფოლოგიური თვალსაზრისითაც (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 239). ამგვარი ტიპის ჭურჭელი არც დასავლეთ შავიზღვისპირეთში დასტურდება. სამაგიეროდ მსგავსი ნიმუშები საკმაოდ ხშირად გვხვდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში — ოლბიაში (Knipovitch, 1929, გვ. 39, ტაბ. 11,24), ილურატსა (Силантьева, 1958, გვ. 305, სურ. 28,1) და ტანაისში (Арсеньева, 1985, გვ.79).

ჩვენი ეგზემპლარები დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ილურატისა და ტანაისის სასმისებთან, რომლებიც, შესაბამისად, ახ. წ. II-III და III სს. პირველი ნახევრით თარიღდება. სოხუმისა და ბიჭვინტის სასმისებიც ახ. წ. II-III სს. უნდა დათარიღდეს, ვინაიდან ისინი ახ. წ. II-III სს. კარგად დათარიღებულ მასალებთან (ორყურა პირგადაშლილ ქვაბებთან) ერთად აღმოჩნდა.

რაც შეეხება მათ წარმომავლობას, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ტიპის ჭურჭელი საკმაოდ ხშირია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, აღწერილი სასმისების ბოსფორულ ნაწარმად მიჩნევა მაინც საეჭვოა, რადგანაც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში წითელლაკიანი კერამიკის წარმოების კვალი ჯერჯერობით

არ დასტურდება და თანაც თიხისა და ლაკის ქიმიური ანალიზიც ჯეროვნად არ არის ჩატარებული.

სათუოა, ასევე, პირგადაშლილი, დაბალკალთიანი, ფართო, ძირბრტყელი, ნაპირებფიგურული სათევზე ლანგრების (ტაბ. V, 6) საწარმოო ცენტრის დადგენა. დიდი რაოდენობით გვხვდება ისინი სებასტოპოლისში (ფუთურიძე, 1965, გვ. 103, სურ. 12). შედარებით ნაკლები რაოდენობითაა აღმოჩენილი პიტიუნტში (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 236-237), ხოლო ფართოდ ჩანს გავრცელებული ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში – ოლბიაში (Леви, 1964, გვ. 23, სურ. 8) პანტიკაპეონში (Коровина, 1985, გვ. 163), ჰერმონასაში (Коровина, 1985, გვ. 163, სურ. 3) და სხვაგან; ეს გარემოება საფუძველს აძლევს მკვლევართ, რომ ამგვარი ტიპის ჭურჭლის დამზადების ცენტრად შავიზღვისპირეთის ჩრდილო და აღმოსავლეთ რეგიონები ივარაუდონ (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 238), რაც ერთობ საეჭვოა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რატომ იწვევს ეჭვს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში წითელლაკიანი ჭურჭლის წარმოება. რაც შეეხება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, აქ წითელლაკიანი ჭურჭლის წარმოება, ჩვენი აზრით, საერთოდ უნდა გამოირიცხოს, რადგანაც ჯერ ერთი, წითელლაკიანი კერამიკის საწარმოო კერა ჯერჯერობით არაა დადასტურებული ისეთ მნიშვნელოვან ცენტრებში როგორიც იყო პიტიუნტი და სებასტოპოლისი. გარდა ამისა, ბიჭვინტის ნაქალაქარზე მოპოვებული წითელლაკიანი ჭურჭლის თითქმის ყველა სახეობა – ჯამები, ლანგრები, თეფშები, თასები და სხვა შეკოწიწებული ჩანს, რაც მათი ძვირადღირებულობისა და იმპორტულობის მაჩვენებელი უნდა იყოს.

დაბოლოს, წითელლაკიანი კერამიკის ადგილობრივი დამზადების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ბიჭვინტის სამარხებშიც საერთოდ არაა დაფიქსირებული წითელლაკიანი კერამიკა, ხოლო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცენ-

ტრალურ რეგიონებსა და მაღალმთიან ზოლში (წებელდა) მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი გვხვდება და ისიც ახ. წ. IV-V საუკუნისა.

ასე რომ, ზემოთ აღწერილი სათევზე ლანგრების წარმომავლობის საკითხი ჯერჯერობით ღიად უნდა დარჩეს. ისე კი, ამ ლანგრების ერთი ნაწილის კეცის ფერი (ღია-მოყვითალო, სუფთად განლექილი) როდოსული ფერის თიხას მოგვაგონებს. თუ ამგვარი ტიპის ჭურჭლის სადაურობა ვარაუდის ფარგლებს არ სცილდება, მისი თარიღის დადგენა დიდ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული. მთელი რიგი მონაცემებით, ასეთი ფორმის ჭურჭელი ახ.წ. II-III სს. უნდა დათარიღდეს.

ახ.წ. II-III სს. იმპორტული წითელლაკიანი კერამიკის განხილვისას, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ბიჭვინტის ნაქალაქარზე აღმოჩენილ პირგადაშლილი ჭურჭლის ფრაგმენტებს, რომლებიც შემკულია ცხოველთა რელიეფური გამოსახულებებით. სულ სამი ამგვარი ფრაგმენტია ნაპოვნი: ერთზე ავაზა უნდა იყოს გამოსახული, მეორეზე – ძაღლი, ხოლო მესამეზე გამოსახულება არ იკითხება (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 235). ამგვარი რელიეფურგამოსახულებიანი წითელლაკიანი ჭურჭელი საკმაოდ კარგადაა ცნობილი ადრერომაული ხანის იტალიკურსა და გალურ კერამიკაში. ასე მაგალითად, ბრიტანეთის მუზეუმში დაცულია გალიის „Lezuoux" სახელოსნოს წარმოების თასი, რომლის ზედაპირი შემკულია ფრინველებისა და ცხოველების გამოსახულებებით (Белов, 1964, გვ. 302). საერთოდ კი Lezuoux -ის სახელოსნოს პროდუქცია, იტალიკურისაგან გამოირჩევა სქემატურობით და რელიეფური შემკულობების შესრულების დაბალი დონით. ბიჭვინტურ ფრაგმენტებზე გამოსახულებაც არაა მკვეთრი და ძალზე დაბალ რელიეფშია შესრულებული, რაც მას აღნიშნული სახელოსნოს ნაწარმთან აახლოებს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბიჭვინტური რელიეფურგამოსახულებიანი ჭურჭელი, „Lezuoux"-ის პროდუქციად ჩავთვალოთ, თუმცა კი

ჩვენი ეგზემპლარების, ზოგადად, გალური წრის ნაწარმად გამოცხადება არ უნდა იყოს გამორიცხული. მით უფრო, როცა ახ. წ. II-IV სს. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იტალიკური წითელლაკიანი კერამიკა ჯერჯერობით არ არის დადასტურებული.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, აგრეთვე ბიჭვინტაში ინკიტის ტბის კოშკში აღმოჩენილი რელიეფური ორნამენტით შემკული მრგვალი მოყვანილობის წითელლაკიანი ჭურჭელი, ბრტყელგვერდიანი, ვიწრო და დაბალი ყელით. გვერდები ორივე მხარეს წიბოიანია. მისი ზედაპირი ირიბი ჭდეებითაა შემკული (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 234). ამგვარი ტიპის ჭურჭელი ჯერჯერობით არ ჩანს ჩრდილო და დასავლეთ შავიზღვისპირეთში და არც მცირეაზიურ ნაწარმთა შორის. სამაგიეროდ ბიჭვინტური ჭურჭლის მსგავსი ნიმუში გვხვდება გალურ კერამიკულ ნიმუშებს შორის (Dechelette, 1904, ტაბ. IV), ხოლო დეკორატიული ორნამენტებით შემკული ჭურჭელი იტალიკური ნაწარმისთვისაცაა დამახასიათებელი (Walters, 1908, გვ. 54). ბიჭვინტურის მსგავსი ორნამენტია გამოსახული ხერსონესის წითელლაკიან ლარნაკზე, რომელიც ახ. წ. I ს.თარიღდება და არეცოს ნაწარმადაა მიჩნეული (Белов, 1964, გვ. 301-302).

როგორც ჩანს, წითელლაკიანი ჭურჭლის მნიშვნელოვანი ნაწილი მცირეაზიური, უპირატესად, პერგამონული წრის ნაწარმია, რაც ამ მსხვილი საქალაქო ცენტრიდან ზღვისპირა პუნქტებში ექსპორტის ინტენსივობაზე მიუთითებს. ამასვე მეტყველებს, აგრეთვე ბიჭვინტისა და სებასტოპოლისის ნაქალაქარებზე აღმოჩენილი ახ. წ. II–III სს. პერგამონული ჭრაქის ფრაგმენტებიც, რომელთაც აქვთ ჩიბუხის მსგავსი საპატრუქე მილი, ზემოთკენ აზიდული ყური და ბრტყელი, ვარდულით შემკული ძირი (კილურაძე, 1977, გვ.216; Трапш, 1969, გვ.348). ასეთივე ტიპის ჭრაქები აღმოჩენილია ხერსონესში და ახ.წ. II–III სს. თარიღდება (Белов, 1953, გვ. 188, სურ. 41).

ბიჭვინტასა და სოხუმში ცნობილია, ასევე სამოსური ჭრაქებიც, რომლებსაც ახასიათებთ ბრტყელი, დაბალი კორპუსი, სწორი ძირი და ოდნავ გამოყოფილი საპატრუქე მილი (კილურაძე, 1977, გვ. 217, სურ. 477; Трапщ, 1969, გვ. 348). მცირეაზიური წარმომავლობისაა, აგრეთვე ცალყურა, პირმომრგვალებული, ბრტყელძირიანი, მოწითალო კეციანი კოჭბები (ტაბ. V, 7), რომლებიც დადასტურებულია როგორც პიტიუნტის ნაქალაქარის ფენებში, ასევე მის სამარხებში (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 117, ტაბ. LXIII, 4,5,7,9). იდენტური თასები დაფიქსირებულია, აგრეთვე სებასტოპოლისის ახ. წ. II–III სს. ფენებში (Трапщ, 1969, გვ. 308-309, ტაბ. III, 15,16). ანალოგიური კოჭბების გავრცელების არეალი საკმაოდ ფართოა. ისინი გვხვდებიან ბოსფორში (Сорокина, 1968, სურ. 4,2), ხერსონესში (Кадеев, 1970, გვ. 97, სურ. 12), დაკიაში (Popilian, 1976, გვ. 104-108) იტალიაში (Mercando, 1974, გვ. 161, სურ. 16,17) და ახ.წ. II–III სს. თარიღდება. ბიჭვინტური კოჭბებიც ამავე საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

ახ.წ. II-III სს. და III ს. პირველ ნახევარშიც საქართველოს ზღვისპირა ცენტრებში ინტენსიურად შემოდიოდა, აგრეთვე მცირე აზიის სანაპირო ცენტრების, განსაკუთრებით კი სამხრეთ პონტოს ქალაქების სხვა სახის ნაწარმიც. მაგალითად, პიტიუნტისა და სებასტოპოლისის ნაქალაქარებზე მრავლადაა დაფიქსირებული სინოპური წარმომავლობის მცირე ზომის ეიწროყელიანი ღია ფერის თიხის ამფორების (ტაბ. V, 8) ყელ-ყურ-პირისა და ძირის ფრაგმენტები (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975, გვ. 257, 258; აფაქიძე, ლორთქიფანიძე, 1965, გვ. 119), რომლებიც რამდენიმე ვარიანტითაა წარმოდგენილი და სხვადასხვა დროით თარიღდება. ახ.წ. III ს. პირველ ნახევარს განეკუთვნება ბ. შელოვისეული კლასიფიკაციით (ტიპი D) მცირე ზომის საკმაოდ მოკლე კორპუსის მქონე ამფორები, შედრეკილი და ამობურცული პატარა ქუსლით (Шелов, 1978, გვ. 18-19). ბიჭვინტის ნაქალაქარის

ახ. წ. III ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ ფენაში ხშირად გვხვდება სინოპური წარმოების დიდი ზომის ამფორები, რომელთაც აქვთ ლილვაკიანი პირი, ცილინდრული ყელი, კვერცხისებური კორპუსი და კონუსური ძირი. თიხა იასამნისფერია (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975, გვ. 261, 263). იდენტური ფორმის ამფორების ფრაგმენტები გვხვდება, აგრეთვე, სებასტოპოლისშიც (აფაქიძე, ლორთქიფანიძე, 1965, გვ. 119).

სინოპური იმპორტის ინტენსივობაზე მიუთითებს, ასევე მონტარიუმები მასიური, დიდი ზომისა, ქობა განიერი, გადაშლილი, სქელკედლიანი, ბრტყელი ძირით. კეცი იასამნისფერია შავი ვულკანური მინარევებით. ამგვარი ტიპის სინოპური მონტარიუმები ბიჭვინტასა და სებასტოპოლისის ახ. წ. II–III სს. დათარიღებულ ფენებშია დადასტურებული (აფაქიძე, ლორთქიფანიძე, 1965, გვ. 124; ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975, გვ. 233).

ამფორებისა და მონტარიუმების გარდა სინოპედან შემოდიოდა, აგრეთვე, კრამიტებიც. პიტიუნტის, სებასტოპოლისისა და აფსაროსის ახ. წ. II–III სს. და უფრო მოგვიანო ხანის ფენებში დიდი რაოდენობითაა დაფიქსირებული სინოპური წარმოების სხვადასხვა ტიპის სოლენები თუ კალიპტერები (აფაქიძე, 1977, გვ. 143; Трапщ, 1969, გვ. 320; გძელიშვილი, ხახუტაიშვილი, 1964, გვ. 78).

აღნიშნულ ხანებში საქართველოს ზღვისპირა ცენტრებს მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა ტრაპეზუნტთან, რასაც მოწმობს ნუმიზმატიკური მასალები: ბიჭვინტაში აღმოჩენილი ახ. წ. II ს. 50 მონეტიდან 25 ტრაპეზუნტშია მოჭრილი, ხოლო ახ.წ. III ს. პირველი ნახევრის 247 მონეტიდან 191 ცალი ასევე ტრაპეზუნტის ზარაფხანას განეკუთვნება (დუნდუა, 1975, გვ. 290). დაახლოებით იგივე ვითარებაა ამ მხრივ სებასტოპოლისის ფულადსამეურნეო სისტემაში (Шамба, 1987, გვ. 71-72). არ არის გამორიცხული, რომ აქ ტრაპეზუნტული პროდუქციაც შემოდიოდა. მაგრამ რამდენადაც ტრაპეზუნტის რომაული ხანის კერამიკა

ჯერჯერობით არ არის გამოყოფილი, ამგვარი მოსაზრება სამუშაო ჰიპოთეზის დონეზე რჩება. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია, ტრაპეზუნტი მცირე აზიის ცენტრებთან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დამაკავშირებელ და საშუამავლო რგოლის ფუნქციას ასრულებდა. სწორედ ამ ქალაქის არხებით უნდა შემოსულიყო ჩვენში ხმელთაშუაზღვისპირეთისა და მცირეაზიური ცენტრების პროდუქცია.

აღნიშნულ სანებში ტრადიციულად გრძელდება პროდუქციის შემოტანა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებიდან. პიტიუნტისა და სებასტოპოლისის ნაქალაქარებზე საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი დიდი ზომის, მოაგურისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, სქელკედლიანი ამფორების ფრაგმენტები (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975, გვ. 265). ამგვარი ამფორები ნაპოვნია, აგრეთვე ფოთში, პალიასტომის ტბის ადგილას, ე.წ. „ნატეხების“ ძველ ნამოსახლარზე (გამყრელიძე, 2001, გვ. 97). ანალოგიური ამფორები დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ჩრდილოეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებში (Зеест, 1960, გვ. 123, ტაბ. XXXI, 75). სპეციალისტები ამგვარი ტიპის ამფორებს ახ. წ. II–III სს. ათარიღებენ (Зеест, 1960, გვ. 123). რაც შეეხება ჩვენ ამფორებს, კერძოდ ბიჭვინტურ ეგზემპლარებს ახ.წ. III ს. განეკუთვნება (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975, გვ. 265).

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სახელოსნო ცენტრების ნაწარმი უნდა იყოს, აგრეთვე ყაყისფერკეციანი, წელშეზნექილი და კონუსისებრძირიანი ამფორების ნაწილი, რომელიც მრავლადაა დადასტურებული ბიჭვინტისა და სებასტოპოლისის ნაქალაქარების ახ. წ. III–IV სს. ფენებში (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975, გვ. 277, 332, 331). ანალოგიური ამფორები ფართოდაა გავრცელებული არა მარტო შავი ზღვის აუზის ქვეყნებში, არამედ ხმელთაშუაზღვისპირეთშიც (Бунатян, Зубарь, 1991, გვ.229). როგორც ცნობილია, წელშეზნექილი ამფორები პირველად ძვ.წ. II ს.

ჩნდება და დიდხანს არსებობს (Путуридзе, 1977, გვ. 68-70). ბიჭვინტისა და სოხუმის ზემოთ აღწერილი ამფორების ერთი ნაწილი კი ძალზე ახლოს დგას იმ ამფორების ფორმებთან, რომელთა ადრეული ვარიანტი ახ. წ. III ს-ში ჩნდება, ფართოდ ვრცელდება IV ს-ში (Зеест, 1960, გვ. 121, ტაბ. 40,103) და არსებითი ცვლილებების გარეშე VI ს. ბოლომდე განაგრძობს არსებობას. რამდენადაც წელშეზნექილი და კონუსურძირიანი ამფორები ბიჭვინტასა და სოხუმში ახ. წ. III ს. ამფორებთან ერთად გვხვდება, ისინი ამავე საუკუნით უნდა დათარიღდეს.

ჩრდილო შავიზღვისპირეთის სახელოსნო ცენტრების ნაწარმი ჩანს, აფსაროსში აღმოჩენილი ძირგადაშლილი, დაბალი, ცილინდრული, კოპისებური ქუსლის მქონე ამფორების ძირგვერდის ფრაგმენტები, რომელთა კეცი გარედან ღია მოწითალოა, ხოლო შიგნით – მოშავო (გძელიშვილი, სასუტაიშვილი, 1964, გვ. 74-75). მსგავსი ფორმის ამფორები ძალზე ხშირია ჩრდილო და დასავლეთ შავიზღვისპირეთში. მკვლევართა აზრით, ისინი ჩრდილო შავიზღვისპირეთის სხვადასხვა სახელოსნო ცენტრებში მზადდებოდა ახ.წ. II–III სს-ში (Зеест, 1960, გვ. 113). აღნიშნული რეგიონის ნაწარმი უნდა იყოს გონიოში ახ.წ. III ს. ფენაში აღმოჩენილი ამფორის ძირი, რომელიც დამზადებულია მოწითალო-მონარინჯისფრო სილანარევი თიხისაგან (გძელიშვილი, ხასუტაიშვილი, 1964, გვ.75).

როგორც ზღვისპირა, ასევე მაღალმთიან ზოლშიც (წებელდის სამარხებში) საკმაოდ მრავლად გვხვდება ახ.წ. II–III სს. ე.წ. „ჩრდილო შავიზღვისპირული" ტიპის ერთწილადი, ბუდეაბმული ფიბულები (გამყრელიძე, 2001, გვ. 100; Воронов, 1979, გვ. 44). პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნულ ხანებში ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მონეტები რამდენიმე ცალითაა წარმოდგენილი: ბიჭვინტაში ახ.წ. II ს. ორადორი ბოსფორული მონეტაა (კოტის II – 123-133; სავრომატ III – 196-210) აღმოჩენილი; III ს-ის კი ერთადერთი მონეტა. სებასტოპოლისშიც ახ. წ. II

და III სს. ორიოდე მონეტაა დადასტურებული (Шамба, 1981, გვ. 121-122). ზოგიერთი მკვლევარი ამას ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მაქსიმალურად შეკვეცით ან სულაც შეწყვეტით ხსნის (აფაქიძე, 1975, გვ. 122). ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მონეტების ასეთი სიმცირე, ჩვენი აზრით, განპირობებულია ერთი მხრივ იმით, რომ ზღვისპირა ცენტრების ეკონომიკა ამ დროს მთლიანად ორიენტირებული იყო ტრაპეზუნტულ მონეტებზე, რაც სავსებით აკმაყოფილებდა მას და სხვა რეგიონის მონეტებს იგი არ საჭიროებდა, ხოლო მეორე მხრივ იმითაც, რომ ბოსფორის ცენტრების მონეტები მხოლოდ შიდაბაზრის რეგულირებისათვის ჩანს გათვალისწინებული.

ახ.წ. II-III და III ს. პირველ ნახევარში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმპორტირებულ პროდუქციათა შორის საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი მინის ნაწარმიც (გამყრელიძე, 2001, გვ. 98). ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ბიჭვინტის ნაქალაქარისა და მის სამაროვანზე (№03-8 ხსნარიანი სამარხი) აღმოჩენილი კოლბისებური ფორმის მინის ჭურჭელი (ტაბ. VI, 1) ხორკლიანი ნაზარდებით (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 140, ტაბ. LXXI,3). ამგვარი ტიპის მინის ჭურჭელი ახ.წ. II-III სს. თარიღდება და, ფორმისა და შემკულობის მიხედვით, ახლოს დგას კიოლნის მინის სახელოსნოს ნაწარმთან (Doppelfeld, 1966, გვ.50-52). მაგრამ ბიჭვინტური ეგზემპლარები მცირეაზიური წარმომავლობის უნდა იყოს.

კიოლნის მინის ჭურჭლის მსგავსია, აგრეთვე, ბიჭვინტის №01/2 სამარხებში აღმოჩენილი მინის მომწვანო ფერის, ოთხკუთხა და ბრტყელძირა ფლაკონები (ტაბ. VI,2). ამ ტიპის ფლაკონები ახ.წ. I ს. ჩნდება და II ს. ფართოდაა გავრცელებული (Barkoczi, 1988, ტაბ. XVI). ბიჭვინტური სანელსაცხებლები ახ. წ. II-III სს. თარიღდება (ლორთქიფანიძე, 1991, გვ.194). პიტიუნტის №479 სამარხში დაფიქსირებულია საკმაოდ ორიგინალური

ფორმის მინის ქილისებური ფორმის სასმისი (ტაბ.VI,3). ამგვარი ფორმის სასმისი ახ.წ. I ს-ში ჩნდება, IV ს-შიც გვხვდება და სირიულ ნაწარმადაა მიჩნეული (Isings, 1957, გვ. 134, სურ. 108). ბიჭვინტური სასმისი ძალზე ახლოს დგას ხერსონესის ახ. წ. II-III სს. სამარხებში აღმოჩენილ ე. ზუბარისეული კლასიფიკაციის მესამე ტიპის სასმისებთან (Зубарь, 1982, გვ.92, სურ. 59,3). ჩვენი ეგზემპლარიც თანმხლებ მასალებთან ერთად II-III სს-ით თარიღდება.

მინის ჭურჭლის გარდა, დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა პუნქტებში შემოდიოდა სასარკმლე მინა. ფოთში, „ნატესების" ნამოსახლარზე (გამყრელიძე, 2001, გვ. 98), ბიჭვინტისა და სოხუმის ახ. წ. II-III სს. ფენებში ნაპოვნია მომწვანო ფერის, სწორკუთხა, ბრტყელი, ჩამოსხმული სასარკმლე მინის ფრაგმენტები, რომლებიც რომის იმპერიის ერთ-ერთ აღმოსავლურ საწარმოო ცენტრიდან უნდა მომდინარეობდეს (ჩხატარაშვილი, 1978, გვ. 72-73).

რომის იმპერიის აღმოსავლური პროვინციების ნაწარმთა წრეს განეკუთვნება, აგრეთვე ლითონის ჭურჭლისა თუ სამკაულების მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, ციხისძირის განძში შემავალი ნივთების აბსოლუტური უმრავლესობა ახ. წ. II-III სს. დათარიღდა და მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით რომის აღმოსავლეთ პროვინციების კულტურის წრეში ექცევა (ინაიშვილი, 1978, გვ. 118-145). ამავე წრეში ერთიანდება, ასევე ბიჭვინტაში შემთხვევით აღმოჩენილი ნახევარსფერული ფორმის ვერცხლის თასი, რომლის ზედაპირი შემკულია ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეული გამოსახულებებით. აღწერილი თასი ახ. წ. III ს. თარიღდება და მცირე აზიის პროდუქციას განეკუთვნება (Шамба, 1975, გვ. 158-163).

ამრიგად, ახ. წ. II-III და III ს. პირველი ნახევრის ჯგუფის იმპორტულ მასალათა შორის, წინანდებურად დომინირებს რომის იმპერიის აღმოსავლური პროვინციების, უპირატესად, მცირე აზიის ცენტრების ნაწარმი. ამავე დროს გრძელდება და ფარ-

თოვდება პროდუქციის შემოტანა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან. თითქმის არ ჩანს, ან მკვეთრად შემცირებულია დასავლური პროვინციების ნაწარმი. დიდი ხანია, რაც მკვლევრებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ამ დროს საერთოდ არ ჩანს დასავლურ-რომაული სახელოსნოების წითელლაკიანი კერამიკა. თითქმის იგივე ამრავრცელდება ამფორებსა და მინის ნაწარმზეც. თუმცა დასავლური წარმომავლობის სამკაულები მცირე რაოდენობით მაინცაა წარმოდგენილი. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ კლდეეთის №2 სამარხში აღმოჩენილი მინანქრიანი ფიბულა (ლომთათიძე, 1957, გვ. 107), რომელიც დასავლეთ ევროპისათვისაა დამახასიათებელი და ახ. წ. II-III სს. თარიღდება (Амброз 1966, გვ. 32); დასავლური იერისაა ბიჭვინტის №414 და №158 სამარხებში აღმოჩენილი ვერცხლის მშვილდსაკინძი დელფინისრელიეფური გამოსახულებით (ტაბ. VII, 3) და ბრინჯაოს ფიბულა – „სვასტიკა" (ტაბ. VII, 4). ანალოგიური ტიპის ფიბულა ცნობილია გერმანიაში (Jobst, 1975, გვ.113-115, ტაბ. 45-46), ბრიტანეთში (Collingwood, 1969, გვ. 295, სურ. 106), პანონიაში (Petek, 1942, გვ 127) და ახ.წ. II-III სს. თარიღდება (Jobst, 1975, გვ.113,122).

უკანასკნელი მესამე ჯგუფი, რომელიც ახ.წ. III-IV სს. მოიცავს (განსაკუთრებით კი IV საუკუნეს) იმპორტული ნაწარმის ახალი მოზღვაევებით ხასიათდება. აღნიშნულ ხანებში რომაული სამყაროს პროდუქცია ვრცელდება როგორც შიდა, ასევე მაღალმთიან ზოლში.

ახ. წ. IV ს-შიც წინანდებურად მრავლად შემოდიოდა წითელლაკიანი კერამიკა, რომელთა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია შეეულკიდიან და ძირისაკენ დაქანებულკალთებიან ჯამებს, რომლებიც მუქი წითელი, ნაწილობრივ მოვარდისფრო წერნაქითაა დაფარული. ჯამების ეს ტიპი აღმოჩენილია სებასტოპოლისში (ფუთურიძე, 1965, გვ. 105, სურ. 16), ვარდციხეში (ჯაფარიძე, 1989, გვ. 21). ყველაზე მრავლადაა წარმოდ

ჯენილი ბიჭვინტაში და ახ. წ. IV ს. თარიღდება (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 245-246). საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება ტალღისებური ორნამენტით შემკული თეფშები, რომელთაც აქვთ გადაშლილი ბრტყელი პირი და მომრგვალებული კალთები (ტაბ. V, 9). დადასტურებულია ვარდციხეში (ჯაფარიძე, 1989, გვ. 22-23), სებასტოპოლისსა და (ფუთურიძე, 1965, გვ. 105) ციხისძირში (ინაიშვილი, 1993, გვ.60). შედარებით მრავლადაა ნაპოვნი ბიჭვინტაში. ანალოგიური ტიპის თეფში, ზოგჯერ შემკული ტალღისებური ორნამენტით, გვხვდება ტანაისსა (Арсеньева, 1981, გვ. 45-46) და ხერსონესში (Беляев, 1968, გვ. 32, სურ.I,2), თარიღდება ახ. წ. IV-V და IV ს-ით. ბიჭვინტური თეფშები კი ახ. წ. IV-V სს. განისაზღვრება.

ახ. წ. IV ს-ით უნდა დათარიღდეს ფოთში, ბიჭვინტასა და სოხუმში აღმოჩენილი მცირე ზომის კალთამომრგვალებული ჯამები დაბალი და ვიწრო მრგვალი ქუსლით (გამყრელიძე, 2001, გვ. 97; ლორთქიფანიძე, 1962, გვ.247, სურ. 15; ფუთურიძე, 1965, გვ. 105). სხვათა შორის, ამ ტიპის ჯამები ხერსონესში ახ. წ. V ს. კომპლექსებშიც გვხვდება, მაგრამ მათი ძირითადი ნაწილი IV ს. განეკუთვნება (Беляев, 1968, გვ. 34).

ძალზე ხშირია, ასევე ნახევარსფერული მოყვანილობის პირგადაშლილი ჯამები, დაბალი და პატარა მრგვალი ქუსლით, რომლებიც მრავლადაა წარმოდგენილი ბიჭვინტაში (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 247-248, სურ. 16). გვხვდება სოხუმში (Трапш, 1969, ტაბ. XLVI, 14), ციხისძირში (ინაიშვილი, 1993, გვ. 60). ამგვარი ჯამები იშვიათია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. სამაგიეროდ შედარებით მრავალრიცხოვანია დაკიაში (Popolian, 1976, გვ.125, ტაბ. XX, 867-881), პანონიასა (Bruknеr, 1981, გვ. 39, ტაბ. 67) და თრაკიაში (Кабакчиева, 1983, გვ. 6, სურ. 9). ამ ტიპის ჯამები ახ. წ. IV ს. არის დათარიღებული (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 248). დასავლეთ შავიზღვისპირეთში კი ამ ჯამების

ნაირსახეობა ახ.წ. II საუკუნიდან გვხვდება (Кабакчиева, 1983, გვ. 6). შესაძლოა, ამგვარი ტიპის ჯამები მზადდებოდა სხვადასხვა ცენტრებში, მათ შორის დასავლეთ შავიზღვისპირეთშიც.

საკმაოდ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ბიჭვინტაში, ახ. წ. IV ს-ით დათარიღებული პირფართო, შედარებით ღრმა ჯამები ძირისაკენ ოდნავ დაქანებული კალთებით, რომლებიც დაბალი და ფართო ქუსლისაგან ღარითაა გამოყოფილი (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 242-244, სურ. 10). ისინი გვხვდება ციხისძირშიც (ინაიშვილი, 1993, გვ. 60), ასევე კორინთოსა (Robinson, 1969, გვ.28, ტაბ. 66,58,59) და ათენის აგორაზე (Heyes, 1972, გვ.458).

რაც შეეხება ზემოთ აღწერილი წითელლაკიანი ჭურჭლის საწარმოო ცენტრების დადგენას, იგი დიდ სიძნელესთანაა დაკავშირებული და ვარაუდის ფარგლებს არ სცილდება. ჯ. ჰეისის აზრით, აღნიშნული კერამიკის ნიმუშების საწარმოო ცენტრი მცირე აზიაშია საძიებელი (Heyes, 1972, გვ. 323-324). თუმცა მათი გარკვეული ნაწილის ხმელთაშუაზღვისპირული წარმომავლობაც არ უნდა გამოირიცხოს, რადგან ტიპოლოგიურად ძალზე ახლოს დგას „გვიანრომაული C ჯგუფის“ იმ ფორმებთან, რომლებიც ხმელთაშუაზღვისპირეთში იყო გავრცელებული ახ. წ. IV-V სს-ში (Heyes, 1972, გვ. 325-329).

წითელლაკიანი კერამიკის გარდა, საკმაოდ დიდი რაოდენობით შემოდიოდა მინის ნაწარმიც. ბიჭვინტის ნაქალაქარსა და მის სამაროვანზე დაფიქსირებულია თეთრი ფერის მინის სანელსაცხებლე სფერულმუცლიანი, ბრტყელი ძირითა და ძაბრისებური პირით. ამგვარი ტიპის ბალზამარიები, ჯ. დავიდსონის აზრით, ახ. წ. III-IV სს. თარიღდება და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირული წარმომავლობისაა (Davidson, 1952, გვ.106); აქვე აღმოჩენილია, აგრეთვე, სფერულმუცლიანი, მაღალი ცილინდრული ყელისა და ყელის ტანთან მიერთების ადგილზე შეზნექილი, ძირბრტყელი, მოთეთრო ფერის მინის ბალზამარიები (ტაბ.VI, 6).

ამ ტიპის ბალზამარიების აღრეული ფორმები ახ.წ. III ს. განეკუთვნება, მაგრამ III-IV სს. ფართოდ ჩანს გავრცელებული (Isings, 1957, გვ. 122-123). შესაძლოა ესენიც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან მომდინარეობდეს, რადგანაც ზემოაღწერილი ტიპის მსგავსია და ფაქტურითაც ერთია. განსაკუთრებით საინტერესოა სებასტოპოლისის ახ.წ. III-IV სს. ფენაში დადასტურებული წაგრძელებული ფორმის მქონე მინის სანელსაცხებლე მომრგვალებული ძირითა და ცილინდრული ყელით (Трапш, 1969, გვ. 342, ტაბ. LVI, 6). ამგვარი ფორმის ბალზამარიები პირველად ჩნდება ახ.წ. I ს. მიწურულს. IV ს. დასასრულამდე არსებობს და ადრიატიკის ჩრდილოეთ რაიონის სანაპიროებისა თუ იტალიკური სახელოსნოების ნაწარმადაა მიჩნეული (Isings, 1957, გვ. 88-89).

აღსანიშნავია, ასევე პიტიუნტის სამარხებში აღმოჩენილი ზარისებური ტანის, ვიწრო და მაღალყელიანი, წელგამოყვანილი მინის ბალზამარიები (ტაბ. VI,4), რომლებიც პარალელებით IV ს. თარიღდება და ალექსანდრიულ ნაწარმთა წრეს განეკუთვნება (Weinberg, 1962, გვ. 131).

აღნიშნული ხანის კოლხეთის ზღვისპირეთში შემოსულ მინის ნაწარმთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბიჭვინტის ნაქალაქარისა და მის სამარხებში აღმოჩენილი ოთხკუთხა ფორმის, ცალყურა, მაღალი ხარისხის მომწვანო ფერის სანელსაცხებლები (ტაბ. VI, 5), რომლებიც კიოლნის მინის სახელოსნოს ნაწარმია და ახ.წ. III ს. 60-იანი – IV ს. 30-იანი წლებით თარიღდება. რაც შეეხება კიოლნის მინის ტრანსპორტირების გზებს, ვფიქრობთ, ისინი ჩვენში მცირე აზიის გზით უნდა იყოს შემოსული, თუმცა დასავლეთთან პირდაპირი კონტაქტებიც არ არის გამოსარიცხი. ასეა თუ ისე, ერთი რამ მაინც ცხადია: ახ. წ. II-III სს. შედარებით, დასავლური ნაწარმი მინის სახით საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი ახ. წ. III-IV სს-ში. მიუ-

სედავად ამისა, აღნიშნულ ხანებშიც, კვლავინდებურად აღმოსავლეთ პროვინციების ნაწარმი დომინირებს.

აღმოსავლეთ პროვინციების, კერძოდ მცირე აზიის ნაწარმთა წრეს განეკუთვნება ბიჭვინტასა და სოხუმში აღმოჩენილი ძაბრისებურპირიანი, ვიწრო ყელის მქონე, სფერულმუცლიანი, ცალყურა დოქები, რომლებიც ახ. წ. III-IV სს. თარიღდება (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 129; Трапщ, 1969, გვ. 328).

აღნიშნულ ხანებში დიდი რაოდენობით შემოდიოდა სინოპური და სამოსური პროდუქცია. ბიჭვინტაში (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975, გვ. 256-259), სოხუმში (აფაქიძე, ლორთქიფანიძე, 1965, გვ.119), ვარდციხესა (ჯაფარიძე, 1989, გვ.39-44) და ფოთში (Гамкрелидзе, 1992, გვ. 38) აღმოჩენილია სინოპეს ნაწარმად მიჩნეული ღია ფერის თიხის ვიწროყელიანი ამფორების გვიანდელი ვარიანტები, რომლებიც ახ. წ. IV, უფრო IV-V სს. თარიღდება (Шелов, 1978, გვ. 18), ხოლო სამოსური ამფორების გავრცელების არეალი საკმაოდ ფართოა. ისინი გვხვდება ბიჭვინტაში (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975, გვ. 273-275), სოხუმში (აფაქიძე, ლორთქიფანიძე, 1965, გვ.113), გუდავაში (ზამთარაძე, 1979, გვ. 72), ვარდციხესა (ჯაფარიძე, 1989, გვ.58-60) და ფოთში (Гамкрелидзе, 1992, გვ. 39).

განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი ჰქონდა ზღვისპირა ციხე-ქალაქებს ახ. წ. IV ს-ში ანტიოქიასთან როგორც ეს ნუმიზმატიკური მონაცემებით დასტურდება (დუნდუა, 1975, გვ.410), თუმცა ანტიოქური პროდუქცია ჩვენში თითქმის არ ჩანს, რაც ანტიოქიის სპეციფიური ეკონომიკური პოლიტიკით უნდა აიხსნას. ამ დროს მას მონეტები უფრო გაჰქონდა, ვიდრე ხელოსნური ნაწარმი (Курбатов, 1971, გვ. 37).

აღნიშნულ ხანებში კოლხეთის ზღვისპირეთში, უპირატესად კი ბიჭვინტის ნაქალაქარსა და მის სამაროვანზე, საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს სამკაულთა რამდენიმე ჯგუფი, რომელთა მნიშვნელოვანი

ნაწილი იმპორტული უნდა იყოს. ამ მხრივ აღსანიშნავია ბიჭვინტის ნაქალაქარის ახ. წ. III-IV სს. ფენაში აღმოჩენილი ოქროს მასიური, მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურები (ტაბ. VII, 10), რომლებიც არ არის დამახასიათებელი ბერძნულ-რომაული ოქრომჭედლობისათვის.

მსგავსი სამაჯურები გვხვდება ჩრდილოეთ ევროპაში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში. ანტიკურ ხანაში კი - ჩანს ირანსა და მის მომიჯნავე რეგიონში (Seyrig, 1958, გვ.53-54). ანალოგიური სამაჯური დადასტურებულია ე.წ. „ბოლშაია ბლიზნიცას" სარმატულ სამარხში, რომელიც ზოგადად რომაული ხანით თარიღდება (Minns, 1913, გვ. 429, სურ. 320).

ბიჭვინტური სამაჯური ყველაზე მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ემესის (სირია) №11 სამარხში აღმოჩენილ ოქროსავე სამაჯურთან, რომელიც რომაული ხანით თარიღდება და ირანულ ნაწარმადაა მიჩნეული (Seyrig, 1958, გვ. 55, ტაბ. VII, 2). გარდა ამისა, ბიჭვინტის ნაქალაქარსა და მის სამარხებში დადასტურებულია ოქროს წვრილმავთულიანი საყურეები, რომელთა იდენტური ეგზემპლარები ცნობილია ხერსონესში (Пятышева, 1956, გვ.45, ტაბ.XI, 14), ოლბიაში (Пятышева, 1956, გვ.45), კალატისში (Preda, 1980, გვ.45, ტაბ.XV, 2,52), ინტერციზაში (Vago, Bona, 1976, №14) და ახ. წ. III-IV სს. თარიღდება.

საყურადღებოა აღნიშნული სამაროვნის №161 სამარხში აღმოჩენილი ნახევარწრიული ფორმის ოქროს წვრილი მავთულისაგან დამზადებული საყურე, ანკესისებური საკეტითა და მარყუჟით. მასზე მირჩილული იყო ოქროსავე დისკო (ტაბ. VII,9). მსგავსი საყურეები გვხვდება პანონიაში, გერმანიასა და დაკიაში (Preda, 1980, გვ. 46). ბიჭვინტის სამარხებში დადასტურებულია ოქროს საყურე მსხლისებური ფორმის დისკოთი, რომელშიც ფირუზის თვალია ჩასმული. ეს საყურეები, ანალოგებით (Marschall, 1900, გვ. 98), ახ. წ. IV ს. უნდა დათარიღდეს.

ბიჭვინტასა (აფსაზავა, 1979, გვ. 27) და წებელდაში (Воронов, Шенко, Логинов, 1982, გვ. 22) გვხვდება T-სებრი, გუმბათისებურთავიანი მშვილდსაკინძები (ტაბ. VII,5), რომლებიც მთელ რომაულ სამყაროში ფართოდაა გავრცელებული. ისინი ყველგან ახ.წ. IV ს. თარიღდება. მათ სამშობლოდ მიჩნეულია დუნაისპირა პროვინციები, საიდანაც გავრცელდა რეინზე და მცირე აზიაში (აფსაზავა, 1979, გვ. 27).

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ახ. წ. II-III სს-თან შედარებით, IV ს-ში შესამჩნევად გაიზარდა ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრების პროდუქციის რაოდენობა. როგორც ზღვისპირა პუნქტებში, ასევე მაღალმთიან რეგიონში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი ახ.წ. IV ს. სირიული ხალიანი მინის ჭურჭელი (აფაქიძე, ლორთქიფანიძე 1965, გვ. 117; Сорокина, 1979, გვ. 60-61). ბიჭვინტასა და სოხუმში აღმოჩენილია ახ.წ. IV-V სს. დათარიღებული ხელთაშუაზღვისპირული, ვერტიკალურპირიანი, წითელლაკიანი ჯამის ფრაგმენტები შემკული ცხოველების რელიეფური სახეებითა და ჯვრის გამოსახულებით (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 250-253). ფოთში, სოხუმსა და ბიჭვინტაში დადასტურებულია ხმელთაშუაზღვისპირული წითელი თიხის ყელწიბოიანი ამფორებიც (გამყრელიძე, 2001, გვ. 96). მისივე ნაწარმია ციხისძირში აღმოჩენილი ახ.წ. IV ს. ნახევარსფერული მოყვანილობის ფიალა (ინაიშვილი, 1993, გვ. 72-73, ტაბ. 30,1) და ბიჭვინტის ნაქალაქარზე დადასტურებული ახ. წ. II-IV სს. დათარიღებული მინის სასმისი მეომრის გამოსახულებით (უგრელიძე, 1987 გვ. 68-69, ტაბ. XIII). მიუხედავად ამისა, III–IV სს. იმპორტულ მასალათა შორის, კვლავინდებურად ჭარბობს რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების, კერძოდ, მცირეაზიური ნაწარმი.

ზემოთ განხილული იმპორტული პროდუქციის გარდა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში წარმოდგენილია რომაული ნაწარმის ისეთი საინტერესო ნიმუშები როგორიცაა ვერცხლის სარკე და სამკლაური, ოქროს ვარდულიანი საყურე, საკიდი - მედალიონი და ფალერები, რაც, ვფიქრობთ, სპეციალურ შესწავლას იმსახურებს.

# რომაული სარკე და სამკლაური ბიჭვინტის სამაროვნიდან

ბიჭვინტის სამაროვანზე გამოვლენილ მრავალმხრივ საინტერესო სამარხეულ მასალათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს №03-5 კირხსნარიან სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის სარკე (ლორთქიფანიძე, 1991, გვ.139. ტაბ. LVIII$_{9}$). სარკე ჩამოსხმულია, სფეროს ფორმისაა, დისკოს ზედაპირი დეკორირებულია ხუთი რკალისაგან შედგენილი ოთხი სარტყლის წრით, რომელიც გადაკვეთილია მეორე ასეთივე წრით. სახელური ქალის თითებს გამოსახავს. სარკე ფრაგმენტულია. დმ 12,8 სმ (ტაბ. VII, 13).

როგორც ცნობილია, სარკის გამოგონებას ანტიკური ტრადიცია ძველ ბერძნებს მიაწერს.[1] სარკის გამოგონების ნოვატორად კი გვიანდელი წერილობითი წყაროები ჰეფესტოს ასახელებენ (Procl., in Plat., I, 142, 26). უძველეს ბერძნულ ლიტერატურულ ძეგლებში კი სარკე საერთოდ არ იხსენიება. ასე მაგალითად, ჰომეროსი „ილიადაში“ (Hom., Iliad., XIV, 170-186) ჰერას ჩაცმულობის აღწერისას სარკეს არ ასახელებს. პირველად სარკე ძვ.წ. VI-V სს. პოეტ–პინდარესთან იხსენიება (Pind., VII, 15), თუმცა გადატანითი მნიშვნელობით და არა როგორც კონკრეტული საგანი. ამ სახით მას პირველად ვხედებით ძვ.წ. Vს. ტრაგიკოსებისა და კომედიოგრაფების თხზულებებში. სპილენძის სარკე გვხვდება ესქილეს ტრაგედიის ერთ-ერთ ფრაგმენტში (esch., fr., 393), ჰერას ოქროს სარკე ევრიპიდესთან (Eur., Tro., 1108). ასე რომ, ანტიკურმა ტრადიციამ საკმაოდ მწირი ცნობები

---

[1] ძველ ბერძნულ ენაში, ყველანაირი ფორმისა და ზომის სარკის აღსანიშნავად იხმარებოდა სიტყვა – «КАТОПТРОУ». ამ ფორმით იგი გვხვდება როგორც ლიტერატურულ, ასევე ეპიგრაფიკულ ძეგლებში (Aesch. Fr. 288; Plut., Mor., 42b).

შემოგვეინახა სარკის შესახებ. შედარებით უფრო სრულ ინფორმაციას გვაწვდის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი სარკეები თუ სხვადასხვა საგანზე მათი გამოსახულებანი. სწორედ ამ სახის მასალებით დასტურდება, რომ ძველ სამყაროში სარკე ჯერ კიდევ კრეტა-მიკენის ეპოქაში იყო ცნობილი (Furtwänglar, 1900, ტაბ. 11,21). მისი სერიული წარმოება კი საბერძნეთში ძვ.წ. VI საუკუნიდან იწყება (Oberländer, 1967, გვ. 244-249). ამ დროიდან იგი ვრცელდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც (Скржинская, 1984, გვ. 106-107).

ანტიკურ სამყაროში, ძირითადად, სამი ტიპის სარკეა დადასტურებული: სახელურიანი, დასადგმელი და ყუთიანი სარკეები. ეს უკანასკნელი პირველად ძვ.წ. V-IV სს. მიჯნაზე ჩნდება (züchner, 1942, გვ. 131), ხოლო დასადგმელი სარკეები ფართოდ ჩანს გავრცელებული არქაულ ხანაში. რაც შეეხება სახელურიან სარკეებს, ისინი პირველად ძვ.წ. VI ს. მეორე ნახევრიდან ჩნდება (Скржинская, 1984, გვ. 107, 110). ამ ტიპის სარკეები ცალცალკე დამზადებული სახელურისა და დისკოსაგან შედგებოდა. ორივე ნაწილი, როგორც წესი, სხვადასხვა მასალისაგან კეთდებოდა. დისკო პრიალა ლითონისაგან, მეტწილად ბრინჯაოსაგან მზადდებოდა, ხოლო სახელური ხისა და სპილოს ძვლისგან.

რომაულ ხანაში სარკის დამზადების ტექნოლოგია მკვეთრად იცვლება: აღნიშნულ პერიოდში სარკის დისკოები, ძირითადად, მზადდებოდა ვერცხლისა და მინისაგან (Скржинская, 1984, გვ. 109). სარკეები მხოლოდ ჩამოსხმის წესით კეთდებოდა. ყალიბში ჩამოსხმულ სარკის ზედაპირს წმენდნენ ლოჯითა და ქლიბით, ხოლო შემდეგ აპრიალებდნენ ფხვნილისებური ნივთიერებით. სხვაობა გაფორმების თვალსაზრისითაც შეინიშნებოდა. რომაული ხანის სარკე წინარე ხანასთან შედარებით სადა და მარტივი იყო. უმეტესად სახელურიანი და მრგვალდისკოიანი სარკეები ჭარბობდა.

საქართველოში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთან შედარებით, სარკეები ძალზე იშვიათად გვხვდება. კლასიკური და ელინისტური ხანის სარკეები ჩვენში სულ სამ პუნქტშია დადასტურებული და ისიც თითო ეგზემპლარითაა წარმოდგენილი. ერთი მათგანი დადასტურებულია ვანის ძვ.წ. V ს. ე.წ. „წარჩინებული კოლხი ქალის" სამარხში (Хоштариа, 1962, გვ.65). მეორე ძვ.წ. IIIს. მიწურულით დათარიღებული დაბლაგომის მდიდრულ სამარხში (თოლორდავა, 1976, გვ. 74, სურ. 116), ხოლო მესამე ახალგორის განძში, რომელსაც სამარხეულ ინვენტარად მიიჩნევენ (Смирнов, 1934, გვ. 63). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სარკეები ბრინჯაოსია და იმპორტული უნდა იყოს.

რომაული ხანის საქართველოში კი სარკეები შედარებით უფრო ხშირად გვხვდება. ასე მაგალითად, ბაგინეთის ორფერდსახურავიანი ქვის სარკოფაგში, რომელიც ახ.წ. II-III სს. თარიღდება, აღმოჩნდა ვერცხლის სარკეები (აფაქიძე, 1973, გვ. 61). მცხეთაში ახ.წ. III ს. №905 აკლდამაში აღმოჩენილი ვერცხლის სარკე რომაულ იმპორტად არის მიჩნეული (აფაქიძე, ნიკოლაიშვილი, 1996, გვ. 11-12; ტაბ. XV-XVII). მრგვალი ფორმის სარკე ოღონდ ბრინჯაოსი დაფიქსირებულია გაგრის ციხესთან შემთხვევით აღმოჩენილ მდიდრულ სამარხეულ კომპლექსში, რომელიც IV-V სს. თარიღდება (Воронов, 1979, გვ. 54, სურ. 37,8).

განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ვერცხლის სარკე პიტიუნტის სამარხიდან. ამგვარი ტიპის სარკე აღნაგობითა და ორნამენტაციით განსხვავდება საქართველოში და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც დღემდე აღმოჩენილი სინქრონული ძეგლებისაგან. აშკარაა ისიც, რომ იგი რომაულ იმპორტს წარმოადგენს. დისკოს მოყვანილობით პიტიუნტის სამარხში აღმოჩენილი სარკე ძალზე ახლოს დგას სუციდავასა და კარპიცაში აღმოჩენილ სარკეებთან, რომლებიც ახ.წ. II-IIIს სს. თარიღდება. (Tudor, 1959, ტაბ. CLXXIV,2). სახელურის მოყვანილობით და გამოსახულების მხრივ ემსგავსება მცხეთის

№905 აკლდამაში აღმოჩენილ ვერცხლის სარკეს. მთლიანობაში კი მის პირდაპირ ანალოგს წარმოადგენს კიოლნში აღმოჩენილი ვერცხლის სარკე, რომელიც ახ.წ. I-II სს. თარიღდება (Римское исскуство и культура, 1969, გვ. 122, სურ. 80). რაც შეეხება პიტიუნტის სამარხში აღმოჩენილ სარკის თარიღს, დასახელებული ნივთის გამომცემელი გ. ლორთქიფანიძე მასზე არაფერს ამბობს. ხოლო სარკის შემცველ სამარხეულ ინვენტარს ახ.წ. IV ს. ათარიღებს[2] (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 140), მაგრამ სარკე პარალელური მასალებით ახ.წ. II ს. უნდა განისაზღვროს.

რაც შეეხება პიტიუნტის სამარხიდან მომდინარე ვერცხლის სარკის ფუნქციას, ის მხოლოდ უტილიტარული მოხმარებით არ შემოიფარგლებოდა. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ბერძენ-რომაელები, აგრეთვე სხვა ძველი ხალხები სარკეს მაგიურ ძალას ანიჭებდნენ. ასე მაგალითად, სარკე გამოიყენებოდა პატრის დემეტრას საკურთხეველში წინასწარმეტყველების ჩატარების დროს (Скржинская, 1984, გვ. 110). იქ სარკის ანარეკლით ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობას წინასწარმეტყველებდნენ; პელოპონესის მთელ რიგ საკურთხევლებში აღმოჩენილია „ვოტივური" სარკეები (Oberländer, 1967, გვ. 244). მ. ინაძე საკრალური მნიშვნელობით ხსნის დაბლაგომის მდიდრულ სამარხში ჩადებულ სარკეს, რადგან, მისი აზრით, იგი სოლარულ ნიშნიანია (ინაძე, 1994, გვ. 144). შესაძლოა პიტიუნტის სარკესაც თავის დროზე საკრალური დატვირთვაც ჰქონოდა. ამგვარ მოსაზრებას გარკვეულწილად მხარს უჭერს სარკის დეკორაციაც. სარკის დისკოზე წრეხაზებით რვაქიმიანი ვარსკვლავია გამოსახული. ასეთი გამოსახულება კი, უპირატესად, აღმოსავლეთის

---

2 ამგვარი დათარიღება ეფუძნება სამარხეულ კომპლექსში არსებულ სპილენძის მონეტას, რომელიც ძალზე ცუდადაა დაცული.

ქვეყნებში სტილიზებული მზის სიმბოლოს წარმოადგენდა[3] (Соколевский, 1975, გვ. 27). თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ სარკეს მისი მფლობელის გარდაცვალების შემდეგ ფუნქცია შეცველოდა და როგორც ეს მიღებული იყო ბერძნულ-რომაულ სამყაროში, მიცვალებულთა კულტსაც დაკავშირებოდა (Зубарь, 1986, გვ.153).

ბერძნულ მითოლოგიაში სარკე დიონისე-ზაგრეოსის ერთ-ერთი ატრიბუტთაგანი იყო. ის ხშირად გამოიყენებოდა მის მისტერიებში და ორფიკოსთა მსოფლმხედველობას უკავშირდებოდა იმქვეყნიური სამყაროს შესახებ (Лосев, 1957, გვ. 166). შესაბამისად სარკეც დაკრძალვის სარიტუალო ცერემონიის ერთ-ერთ კომპონენტადაც უნდა მივიჩნიოთ. ნიშანდობლივია, რომ კულტურულ ფენებში სარკეები არ გვხვდება. მათ ჩვეულებრივ სამარხებში აფიქსირებენ. შესაძლოა სამარხებში სარკეების ჩადება საიქიოში გზის გახსნას გულისხმობდეს (Зубарь, 1986, გვ. 153). ამგვარ წარმოდგენებს შეიძლება დავუკავშიროთ პიტიუნტის სამარხში და საქართველოს სხვა რეგიონის სამარხებში აღმოჩენილი სარკეები.

ბიჭვინტის სამარხეულ კომპლექსებში აღმოჩენილ მრავალფეროვან რომაულ ნაწარმთა შორის ყურადღებას იპყრობს №345 ორმოსამარხში აღმოჩენილი ვერცხლის სამკლაური ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 142). იგი მასიურია, ოვალური ფორმისა, ცხრამეტწახნაგოვანი. წახნაგები თითქმის ერთი ზომისაა. შიდანაწილი სადაა. მომრგვალებულ ცენტრალურ ნაწილში მირჩილულია მრგვალი ფორმის ვერცხლის მედალიონი ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით. გამოსახულება შესრულებულია წნეხვის ტექნიკით. მედალიონი წარმოად-

---

[3] ნიშანდობლივია, რომ ვერცხლის სარკესთან ერთად, სამარხში აღმოჩნდა ოქროს ვარდულიანი საყურე. ამგვარი ორნამენტული მოტივაცია, მკვლევართა აზრით, მზის სიმბოლოს წარმოადგენდა (Смирнов, 1953, გვ. 25).

გენს თხელ ფირფიტას. მას ზედაპირზე შემოუყვება შემაღლებული რკალი - ჩარჩო. ღვთაება გამოსახულია მთელი ტანით; დგას კონტრაპოსტში პატარა კვარცხლბეკზე, ორივე ხელში ატრიბუტები უჭირავს — მარჯვენაში საჭე, ხოლო მარცხენა ხელში სიუხვის ყანწი. ფიგურის სხეული რელიეფურად არის დამუშავებული. თავი სქემატურადაა გამოსახული. ტალღოვანი თმა ეშვება მუხლებამდე. სამკლაურის უდიდესი დმ-9,3 სმ, მცირე დმ-8,6 სმ, მედალიონის დმ-3 სმ (ტაბ. VII, 8).

ოქროსი და ვერცხლის მრგვალი თუ ოვალური ფორმის მედალიონები ფართოდაა გაერცელებული რომაულ სამყაროში ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან. მედალიონთა შესამკობად, ძირითადად, გამოიყენებოდა ძვირფასი ან ნახევრად ძვირფასი ქვები, მათ შორის გემები, ოქრო-ვერცხლის ფირფიტები დატვიფრული გამოსახულებებით. მედალიონების შესამკობად ხშირად იყენებდნენ, ასევე, მონეტებს. ბიჭვინტის ნაქალაქარზე და მის სამაროვანზე საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი საკიდი მონეტა-მედალიონები, რომელთა მფლობელი საშუალო შეძლების ქალაქელი ან რომაელი მეომარი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, ამ კატეგორიის პირთა წარმომადგენლის კუთვნილებას შეადგენდა ზემოთ აღწერილი ვერცხლის სამკლაურიც ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით, რომლის ანალოგიური გამოსახულებით მედალიონები ცნობილია რომაული სამყაროს სხვადასხვა ცენტრიდან. მის იდენტურ გამოსახულებას ვხედავთ ჩატალკის (ბულგარეთი) №4 ნეკროპოლის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილ ოქროს მრგვალ მედალიონზე, რომელიც II-III სს. თარიღდება (Буюклиев, 1985, გვ. 40). მსგავსი ფორმის ოქროს მედალიონები ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით ცნობილია რ. ლეპერის მიერ გათხრილი ხერსონესის სამარხებიდან. ნ. პიატიშევა მათ საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ ჩარჩოში — I-III სს. ათავსებს (Пятышева, 1956, გვ. 58-59).

როგორც ცნობილია, რომის იმპერიაში ტიხე-ფორტუნას კულტი ფართოდ ვრცელდება ანტონინუსების ეპოქიდან, როდესაც ის განსაკუთრებით პოპულარული გახდა იმპერატორთა ოჯახში. სეპტიმიუს სევერუსს სურდა, რათა ტიხე-ფორტუნას ოქროს ქანდაკების (რომელიც თავის დროზე ანტონინე პიუსის საძინებელ ოთახში იდგა, ხოლო შემდეგ მარკუს ავრელიუსის ხელში გადაყიდა) ასლები გადაეღო თავისი შვილებისათვის – კარაკალასა და გეტასათვის (Vermeule, 1974, გვ. 21). ტიხე-ფორტუნას სკულპტურული გამოსახულებების გარდა, საკმაო რაოდენობითაა შემორჩენილი II-III სს. ბრინჯაოსა და ძვირფასი ლითონებისგან შესრულებული ქანდაკებები. ტიხე-ფორტუნას გამოსახულებები გლიპტიკაში, რომელიც ჯერ კიდევ ელინისტურ ეპოქაში ჩნდება, ყველაზე უფრო ფართოდ ახ.წ. II ს. ვრცელდება (Roscam, 1973, გვ.44-47). ოქროსა და ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ტიხე-ფორტუნას პატარა ფიგურები საკიდების სახითაც გამოიყენებოდა.

საქართველოში ტიხე-ფორტუნას გამოსახულებები პირველად ძვ.წ. I ს. 60-იან წლებში ჩნდება. ამ ღვთაების ერთ-ერთ უძველეს გამოსახულებას ვხედებით არისტარქეს მონეტებზე. მაგრამ ის მაინც საკმაოდ შორსაა ტიხე-ფორტუნას კლასიკურ სახესთან. აქ, საქმე უნდა გვქონდეს უფრო სინკრეტიზირებულ წყლის ღვთაებასთან, ვინაიდან სხვა ატრიბუტებთან (საჭე, კოშკისებური გვირგვინი) ერთად, მას თან ახლავს ბრტყელი ფორმის ჭურჭელი, რომელიც დამახასიათებელია წყაროს სიმბოლური გამოსახულებისათვის და, ამიტომაც, მკვლევართა აზრით, იგი უფრო წყლის ღვთაების აღმნიშვნელი უნდა იყოს (Голенко, 1974, გვ. 108). ტიხე-ფორტუნას კლასიკურ სურათს ჩვენში მხოლოდ ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან ვხედავთ. ბიჭვინტის მედალიონის გარდა, ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს II-IIIსს. დათარიღებული, ციხისძირის ვერცხლის ლანგარზე გამოსახული ტიხე-ფორტუნა, ანდა მცხეთასა და ურბნისში მოპოვებუ-

ლი რომაული ხანის გემებზე ამოკვეთილი ამ ღვთაების პორტრეტი (Мачабели, 1976, გვ. 38).

ბიჭვინტის მედალიონზე გამოსახული ტიხე-ფორტუნას ანალოგიური ფიგურები საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი რომაული პროვინციული მონეტების რევერსზე. საერთოდ, რომაულ პროვინციულ მონეტათა ემისიაში, ამ ღვთაების გამოსახულებათა შორის ყველაზე უფრო გავრცელებულ ტიპს ბიჭვინტური ტიხე-ფორტუნას იდენტური გამოსახულება წარმოადგენს. როგორიცაა: მონეტები ტრანკვილიანას, გორდიანე III-ის მეუღლის სამოსიდან, სმირნისა და კიმეს 244-253 წწ. მოჭრილ მონეტებზე გამოსახული ტიხე-ფორტუნა მთელი ტანით, საჭითა და სიუხვის ყანწით ხელში (Butcher, 1988, გვ. 85, Harl, 1987, სურ. 6,5-6), ანდა პისიდიაში ვალერიანესა და გალიენუსის სახელზე მოჭრილ საფასეებზე გამოსახული აღნიშნული ღვთაების ფიგურები. როგორც ვხედავთ, ზემოთ დასახელებული მონეტები მცირე აზიის ცენტრების ზარაფხანებშია მოჭრილი ახ.წ. III ს. მესამე მეოთხედში. ბიჭვინტის სამკლაური თანმხლები მასალებითა (მასთან ერთად სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის ფიბულა და ვერცხლისავე საქამრე აბზინდა, რომლებიც III ს. თარიღდება) და თვით ტიხე-ფორტუნას გამოსახულების მიხედვით იმავე საუკუნით უნდა დათარიღდეს. რაც შეეხება მის წარმომავლობას, იგი მცირე აზიის ერთ-ერთი ცენტრიდან უნდა მომდინარეობდეს, ეინაიდან ბიჭვინტური ტიხე-ფორტუნას მსგავს გამოსახულებათა კერას და, საერთოდ, ამ ღვთაების უძველეს ცენტრს სწორედ მცირე აზია წარმოადგენდა.

ცნობილია, რომ მთელი რომაული ხანის მანძილზე ბიჭვინტას მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა მცირე აზიის ქალაქებთან, ყველაზე მეტად კი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებთან. ვფიქრობთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან უნდა იყოს მოხვედრილი პიტიუნტის ტერიტორიაზე ზემოთ აღწერილი ვერცხლის სამკლაური (თოდუა, 1993, გვ. 12).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებშიც ძალზე პოპულარული ყოფილა ტიხე-ფორტუნას კულტი. ბიჭვინტაში აღმოჩენილი ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტების (სეპტიმიუს სევერუსის, იულია დომნას, კარაკალას, გორდიანეს, ოტაცილასა და სხვათა სახელზე მოჭრილი მონეტები) რევერსზე გამოსახულია ტიხე-ფორტუნას ფიგურები. სინოპეს III ს. ზოგიერთი მონეტების რევერსეც ფიგურირებს ეს ღვთაება. ტიხე-ფორტუნას გამოსახულებები ძალზე ხშირია, აგრეთვე, ამისოს III ს. მონეტებსა და გემებზე, სადაც ის ტრადიციულ პოზაშია გამოსახული (Wadington, Babelon, Reinach, 1925, № 72,78,81).

ანტიკური ტრადიციის თანახმად, ტიხე-ფორტუნა ითვლებოდა ქალაქების, მეფეთა, კერძო პირთა, ზღვაოსანთა მფარველად და ასოცირებული იყო სხვადასხვა კულტთან იმისდა მიხედვით, თუ რა გეოგრაფიულ გარემოში უხდებოდა მას „ცხოვრება“. ასე მაგალითად, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში ძვ.წ. I - ახ.წ. I სს. ტიხე იკონოგრაფიულად „დიდი დედის“ ღვთაებასთან იყო შერწყმული (Кобылина, 1976, გვ. 17). ამისოში კი იგი საზღვაო ვაჭრობის მფარველ ღვთაებად ითვლებოდა (Максимова, 1956, გვ. 418). შესაძლოა ბიჭვინტაშიც ტიხე-ფორტუნა ამ თვალსაზრისით ყოფილიყო ასოცირებული, რადგან ციხე-ქალაქის კეთილდღეობა, ძირითადად, საზღვაო ვაჭრობაზე იყო დამოკიდებული. არც ისაა გამორიცხული, რომ ბედისა და შემთხვევის ქალღმერთი ტიხე-ფორტუნა პიტიუნტში დისლოცირებული რომის ლეგიონერების მფარველი ღვთაება ყოფილიყო. ნიშანდობლივია, რომ II-III სს. ბიჭვინტის გლიპტიკურ მასალაში ომისა და ლეგიონებთან დაკავშირებული სიუჟეტები (კიბორჩხალა, ლომი, მორიელი, კუ) დომინირებს. ასეა თუ ისე, ერთი კი ცხადია: ბიჭვინტაში განლაგებულ რომაულ სამხედრო ნაწილთა შორის თუ ქალაქის მოსახლეობის პანთეონში ტიხე-ფორტუნას საპატიო ადგილი ეკავა (თოდუა, 1993, გვ. 12).

# რომაული საკიდი-მედალიონი და ოქროს ვარდულიანი საყურე ბიჭვინტის სამაროვნიდან

ბიჭვინტის ახ. წ. II-VI სს. სამაროვანზე აღმოჩენილ მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ მასალებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, №03-5 კირხსნარიან სამარხში დადასტურებული საკიდი-მედალიონი და ოქროს ვარდულიანი საყურე (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 139). საკიდი-მედალიონი კარგადაა დაცული. კუსტარული ნასელაჟია: ოქროს მრგვალ ბუდეში ჩასმულია ვერცხლის მონეტა—კესარიული დიდრაქმა ახ.წ. II ს. დასასრულისა, მონეტას გარს შემოუყვება სადა ფირფიტისაგან გაკეთებული ჩარჩო, რომელზედაც დარჩილულია წრიული, ბრტყელი საკიდი ყუნწი, რომელიც დამზადებულია დაღარული ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად. ბუდე დამზადებულია საკმაოდ დაუდევრად; ჩარჩოს კედლები არათანაბრადაა შემოჭრილი – დმ-26 მმ (ტაბ. VII, 6).

როგორც ცნობილია, საკიდი-მედალიონები რომში მოდაში შემოვიდა ოქტავიანე ავგუსტუსის დროიდან, როდესაც იმპერატორის პიროვნება ღვთაებრივი გახდა და ის საკულტო საგანს წარმოადგენდა (Фенглер, Гироу, Унгер, 1982, გვ. 173). მიუხედავად ამისა, ანტიკური ხანის სამახსოვრო მედალიონებს თანამედროვე მემორიალური, ანალოგიური დანიშნულების ნივთებისა და მედლებისაგან განსხვავებით არასოდეს არ დაუკარგავს თავისი პირვანდელი დანიშნულება. ამგვარი მედალიონები მონეტის ფუნქციასაც ასრულებდა (Зограф, 1951, გვ. 103). მეტიც, საკიდი-მედალიონები ღირებულებით აღემატებოდნენ ანალოგიურ მონეტებს, მაგრამ სამონეტო ბაზარზე მათთან თანაბრად მიმოიქცეოდნენ (Словарь Античности, 1989, გვ. 340).

ახ.წ. II საუკუნიდან საკიდი-მედალიონები ფართოდ ვრცელდება რომის იმპერიის პერიფერიაშიც. ბიჭვინტის სამარხში აღმოჩენილი მსგავსი საკიდი-მედალიონები მრავლადაა დადასტუ-

რებული - ეგვიპტეში, სირიაში, მცირე აზიაში, ამიერკავკასიაში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ახ.წ. I-III სს. სამაროვნებსა და ნამოსახლარებზე (Marchall, 1991, გვ. 58). ბიჭვინტის სამარხში დადასტურებული საკიდი-მედალიონი ფორმითა და შესრულების მანერით ძალზე ახლოს დგას ხერსონესის 1891 წ. გათხრილ №3 სამარხში აღმოჩენილ საკიდ-მედალიონთან, რომელიც ახ.წ. II-III სს. თარიღდება (Пятышева, 1956, ტაბ. XVIII$_7$).

ბიჭვინტის საკიდი-მედალიონი, მასში ჩასმული ვერცხლის მონეტის საფუძველზე, ახ.წ. II ს. უნდა დათარიღდეს. აღსანიშნაეია, რომ ბიჭვინტაში მედალიონები იშვიათობას არ წარმოადგენდა. ჯერ კიდევ, XX ს. 60-იან წლებში, კასტელუმის ტერიტორიაზე ორი ცალი მედალიონი აღმოჩნდა. ერთი მათგანი ბრინჯაოსია და მოჭრილია თრაკიის ქალაქ პაუტალიაში ანტონინე პიუსისა და ქალაქის მმართველის პომპეიუს კოპისკუსის სახელით. მეორე მედალიონი სპილენძისაა და რომის ზარაფხანაშია მოჭრილი ლუცილას სახელით (დუნდუა, 1975, გვ. 285-286). ორივე მათგანი ახ.წ. II ს. თარიღდება. ეს მედალიონები, ისევე როგორც სამარხში აღმოჩენილი საკიდი-მედალიონი, რომაელ ლეგიონერთა კუთვნილებას წარმოადგენდა. როგორც ჩანს, რომაული გარნიზონი, რომელიც ახ.წ. II-V სს. ბიჭვინტაში იდგა, იმპერიის ტრადიციული მოდისა თუ რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ერთგული რჩებოდა.

რაც შეეხება ოქროს ვარდულიან საყურეს, მისი ღერო ლათინური ასო S მსგავსად არის მოხრილი. ღეროს ერთი ბოლო დავიწროებულია, მეორე კი გაბრტყელებულია, რაზეც ვარდულია დარჩილული. ვარდულის შუაგული ნახევარსფერულადაა ამობურცული, რომლის გარშემო რადიალურადაა გამოყვანილი ქედები. ვარდულას დმ – 10 მმ (ტაბ. VII,7).

საყურეების ვარდულებით მორთვას საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ამგვარი დეკორაცია ჯერ კიდევ ძვ.წ. V ს.

გვხვდება. ასე მაგალითად, ვარდულებითაა მორთული ვანის ძვ.წ. V ს. „სხივანა“, „ჭვირბურთულიანი“ და „ნახევარმთვარისებური“ საყურეების რგოლის საფასადო მხარეები (ლორთქიფანიძე, 1972, გვ. 34-35); ვარდულიანია მთისძირის ძვ.წ. V-IV სს. „სხივანა“ საყურეც (გამყრელიძე, 1982, გვ. 77); ვარდულებითაა შემკული, ასევე საირხის ძვ.წ. V ს. მეორე ნახევრით დათარიღებული „ჭვირბურთულიანი“ და „ნახევარმთვარისებური“ საყურეები (ნადირაძე, 1990, გვ. 27-28).

ვარდულიანი საყურეები და ამა თუ იმ საგნის ვარდულებით შემკობის წესი რომაულ ხანაშიც ფართოდ ჩანს გავრცელებული როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. აღსანიშნავია, რომ ოქროს ვარდულები აღმოჩნდა არმაზისხევის ერისთავთა სამაროვნის № 7 სამარხში (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 92, სურ. 42, 13-17). მცხეთაში აღმოჩენილი ეს ვარდულები თავსაბურავის სამკაულადაა მიჩნეული (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 93).

მცხეთურის მსგავსი ოქროს ვარდულებია დადასტურებული კლდეეთშიც (ლომთათიძე, 1957, გვ. 41). კლდეეთური ვარდულები, როგორც ჩანს, ტანსაცმლის შესამკობი უნდა იყოს. საქართველოს ფარგლებს გარეთ ვარდულის (როზეტის) მოტივი ფართოდ ჩანს გავრცელებული ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, განსაკუთრებით კი ახ. წ. პირველი საუკუნეების ყუბანისპირეთში. ვარდულები გვხვდება „ნეაპოლ სკვითეთის“ მავზოლეუმში (Пятышева, 1956, გვ. 22). ვარდულებითაა შემკული ხერსონესის ბალთები, რომლებიც ახ.წ. პირველი საუკუნეებით თარიღდება (Пятышева, 1956, გვ. 22, ტაბ. $V_7$). მსგავსი ვარდულები ცნობილია, აგრეთვე, ტანაისის ახ.წ. პირველი საუკუნეების სამარხებიდან (Книпович, 1949, გვ. 65, სურ. 23). ოქროს ვარდულიანი სა-

ყურეები დამახასიათებელია გვიანანტიკური ხანის რომისათვის და მისი პროვინციებისათვისაც (Anticky Rim, 1975, გვ. 88).

ბიჭვინტური ოქროს ვარდულიანი საყურე სტილისტურად და შესრულების ტექნიკით ახლოს დგას რომაული პროვინციებიდან (პანონია, გერმანია) მომდინარე ვარდულიან საყურეებთან, რომლებიც ახ.წ. II-III სს. თარიღდება (Anticky Rim, 1975, გვ. 89). ბიჭვინტური საყურეც ამავე ხანით უნდა განისაზღვროს. ამგვარი დათარიღების სისწორეს დამატებით ადასტურებს, აგრეთვე ზემოთ აღწერილი საკიდი-მედალიონი და ამავე სამარხში, ვარდულიან საყურესთან ერთად აღმოჩენილი ვერცხლის სარკე. რაც შეეხება ოქროს საყურის ვარდულას მოტივაციას, ჩვენი აზრით, იგი მზის სიმბოლოს უნდა გამოსახავდეს. ნიშანდობლივია, რომ ხსენებული ვერცხლის სარკის დისკოზე რვაქიმიანი ვარსკვლავია გამოსახული, რომელიც ასევე სტილიზებული მზის სიმბოლოს უკავშირდება (Сокольский, 1975, გვ. 27). ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სამარხი ეკუთვნოდა იმ ეთნიკურ წრეს, რომელთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში მზის სიმბოლიკა გარკვეულ როლს ასრულებდა.

# რომაული ფალერები კლდეეთის სამაროვნიდან

რომაული სამყაროსა და კოლხეთის ურთიერთობის შესახებ წერილობითი წყაროები საკმაოდ მწირია. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურად გამოვლენილ სამარხეულ ძეგლებსაც. სწორედ დაკრძალვის წესსა და სამარხეულ ინვენტარში მკაფიოდ აისახება საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობა, მისი პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციები. ამ მხრივ ინტერესს იწვევს კლდეეთის სამაროვანი, სადაც მეტ-ნაკლებად ასახულია საქართველო-რომის სამხედრო-პოლიტიკური თუ კულტურული კონტაქტები.

კლდეეთის სამარხთა გარკვეული ნაწილი სამწუხაროდ მიწის სამუშაოების დროს ძალზე დაზიანდა. არქეოლოგიურად მხოლოდ შვიდი სამარხია გამოვლენილი. სამარხები ორმოსამარხთა კატეგორიას განეკუთვნება. თითოეული მათგანი მდიდრული ინვენტარის შემცველია. სამაროვანი ახ.წ. II ს-ითაა დათარიღებული (ლომთათიძე, 1957, გვ. 171).

კოლხეთისა და რომის ურთიერთობის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს №3 სამარხში წარმოდგენილი რკინის მახვილი ვერცხლის გემიანი ბალთით (ლომთათიძე, 1957, გვ. 26-27) და რკინის ჯაჭვის პერანგი (ლომთათიძე, 1957, გვ. 14), რომლებიც სპეციალურ შესწავლას იმსახურებენ. რკინის მახვილი გრძელია, ვიწრო და ორლესული. მხრები ვიწრო და საკმაოდ კუთხოვანი აქვს, სატარე ყუნწი კი ბრტყელი და ვიწროა; მახვილის სიგრძე 87 სმ, სიგანე – 4,5 სმ, სისქე – 0,9 სმ, სატარე ყუნწის სიგრძე –2,3 სმ, სიგანე – 2,6 სმ. (ტაბ. VIII,1). აღწერილი მახვილის იდენტური ეგზემპლარი საქართველოში ჯერჯერობით არ არის დადასტურებული. სამაგიეროდ, ანალოგიური მახვილები მრავლადაა აღმოჩენილი რეინისპირეთის, დუნაისპირეთისა და ბრიტანეთის ლიმესების ბანაკებში (Robinson, 1975, გვ. 161-167). ასე მაგალითად, კლდეეთური მახვილის ანალოგიუ-

რია რკინის მახვილები მაინცის მუზეუმიდან (Connolly, 1981, გვ.232, სურ. 67), კენტიდან (Connolly, 1981, გვ. 261, სურ. 11) და ახ.წ. II და III სს. თარიღდება. როგორც ჩანს, კლდეეთური მახვილი რომაული ტიპის კლასიკური იარაღია.

რაც შეეხება გემიან ბალთას, მასზე გამოსახულია სამსხვერპლოზე მდგარი არწივი, რომელსაც ნისკარტით მრგვალი ფოთლიანი გვირგვინი უჭირავს. არწივის მარჯვენივ დგას გრძელსამოსიანი, ფრთებშეკეცილი ღვთაება – ნიკე. იგი მარცხენა ხელით ეყრდნობა შუბს, ხოლო მარჯვენა ხელში ფოთლებიანი რტო უჭირავს. არწივის გამოსახულების მარცხნივ კი აღმართულია დროშა (ტაბ., VIII,2), რომელიც ანალოგიიდან გამომდინარე „vexillum"-ის ტიპის რომაულ სამხედრო დროშას წარმოადგენს. მსგავსი ტიპის დროშებს ეხედავთ ტრაიანეს კოლონაზე (Schoppa, 1963, გვ. 138, სურ. 9). ანალოგიური ფორმის სამხედრო დროშაა გამოსახული ლუციუს ფაუსტუსის სამარხის სტელაზე მაინციდან (Schoppa, 1963, გვ. 26, სურ. 3) და წმინდა მარსელოს ბარელიეფზე (Webster, 1985, გვ. 137-138, სურ. 10). ამგვარ სიუჟეტიანი გემა რომაული სამხედრო შენაერთის კერძო ხასიათის გემად ითვლება.

აღსანიშნავია, რომ კლდეეთის სამარხებში მილიტარისტული ხასიათის სიუჟეტიანი გემები ჭარბობენ. ასე მაგალითად, №2 სამარხში აღმოჩენილ რკინის ბეჭედზე ტიხე-ფორტუნაა გამოსახული, ხოლო შემთხვევით ნაპოვნ რკინის ბეჭდებზე ტიხე-ფორტუნა (ტაბ. VIII,4), გამარჯვების ქალღმერთი ნიკე (ტაბ. VIII,3) და ომის ღმერთი – მარსია ამოკვეთილი. ასეთ სიუჟეტიან გემებს სპეციალისტები სამართლიანად უკავშირებენ რომაულ სამხედრო შენაერთებს და მათ ფალერებად მიიჩნევენ (Mcgow, 1986, გვ. 458; Boschung, 1987, გვ. 193-195).

რაც შეეხება ჯაჭვის პერანგს, იგი ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი (ტაბ. VIII, 5) და რკინის პატარა ზომის რგოლე-

ბისაგან შედგება. რგოლები ყველა ტოლი და ერთგვარია: წრიული, წვრილი, ერთ ადგილას დაბრტყელებული და გაფართოებული. რგოლების დმ – 0,8 სმ; სისქე – 0,2 სმ; სიგანე – 0,3 სმ. ჯაჭვის პერანგი რომაული ე.წ. „Lorica Hamata“-ს ტიპის თავდაცვითი საჭურველია. რომაული ხანის ამგვარი ჯაჭვის პერანგი, კლდეეთის გარდა, გვხვდება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით თაგილონის „სამარხეულ კომპლექსში (Амиранашвили, 1935, გვ. 37), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში დედოფლისგორის სასახლის კომპლექსის ძე.წ. I–ახ.წ. I სს. ფენაში (დგ. 27-977:6495). საქართველოს ფარგლებს გარეთ, მათი იდენტური ეგზემპლარები მრავლადაა დადასტურებული ბრიტანეთის ლიმესის რომაულ ბანაკებში – ჩასენარდში (Robinson, 1975, გვ. 164, ტაბ., 480,8), ნიუსთედში (Robinson, 1975, გვ. 171, ტაბ., 481,10), კარლინგვორქში (Robinson, 1975, გვ. 172-173, ტაბ., 483) და სხვაგან. როგორც ჩანს, საქართველოში აღმოჩენილი ჯაჭვის პერანგები ტიპური რომაული საჭურველია და იგი რომაულ ნაწარმად უნდა ჩაითვალოს.

რომაულ ნაწარმთა წრეს განეკუთვნება, ასევე კლდეეთის №3 სამარხშივე წარმოდგენილი ვერცხლის პატერა (ლომთათიძე, 1957, გვ. 125-126, სურ. 24). შემორჩენილია ჯამის და ტარის ნაწილი. ჯამი წრიული მოყვანილობისაა, ქუსლი მაღალი და მკვეთრად გამოყოფილია, ხოლო ტარი მილისებურია, რომელიც ქვისაგან გამოთლილი ვერძის თავით ბოლოვდება. საქართველოში, კლდეეთის გარდა, მსგავსი პატერები დადასტურებულია არმაზისხევში, სამთავროში, ბორში და სხვაგან (Лордкипанидзе, 1964, გვ. 213-217).

კლდეეთური პატერა აგებულებითა და ძირითადი დეტალებით ახლოს დგას არმაზისხევურ პატერასთან (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 75-77), თუმცა ზოგიერთი ნიშნით (გამოსახულებითა და დამუშავების ხერხებით)

მისგან მკვეთრად განსხვავდება. თუ კლდეეთურ პატერას ბევრი რამ საერთო აკავშირებს არმაზისხევის, სამთავროს ან ბორის პატერებთან, კლდეეთის აღნიშნულ სამარხში პატერასთან ერთად აღმოჩენილი ბრინჯაოს ოინოხოია (ლომთათიძე, 1957, გვ. 122, სურ. 22) აშკარად გამოირჩევა საქართველოში ნაპოვნი ამ ტიპის ჭურჭლისაგან. კლდეეთური ოინოხოიას პირი სამკუთხა მოყვანილობისაა, ყელი ფართო და დაბალია, კორპუსი მრგვალი. პირიდან მაღლა აწეული ყური რკალურად ქვემოთ ეშვება. ყურის ქვედა ნაწილის ზედაპირი შემკულია ლომის თავის რელიეფური გამოსახულებით. ჭურჭლის სიმაღლე – 14,8 სმ, კორპუსის დმ – 13სმ, პირის დმ – 8 სმ, ყურის სიგანე – 2,1 სმ. მართალია, ფორმითა და ზოგადი იერით იგი ანალოგიურია ბორში ნაპოვნი ძვ.წ. I ს. იმ ოინოხოიასი, რომლის ყურის ზედა ნაწილი ლომის თავის, ხოლო ქვედა ლომისავე თათის გამოსახულებითაა შემკული, მაგრამ ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნულია. ლომის თავის გამოსახულება კლდეეთურ ოინოხოიაზე რამდენადმე ახლოს დგას პალიკარნასის ლომის თავის სკულპტურასთან, რომელსაც ძვ.წ. IV ს-თეის ტიპურად მიიჩნევენ (Лордкипанидзе, 1964, გვ. 90-92).

აღსანიშნავია ისიც, რომ კლდეეთში აღმოჩენილი ოინოხოია გამოირიცხება იტალიკური წარმოების პროდუქციიდან, რადგანაც იგი გამოირჩევა თავისი პრიალა, მოცისფრო პატინით. ამგვარი პატინა კი სრულიად უცხოა იტალიკური პროდუქციისათვის და მას სპეციალისტები ეტრუსკულ, ადრეელინისტური ხანის ნაწარმის თავისებურებად მიიჩნევენ (Лордкипанидзе, 1964, გვ. 90-91). უნიკალურობით გამოირჩევა კლდეეთში აღმოჩენილი მინის სანელსაცხებლე (ლომთათიძე, 1957, გვ. 23, სურ., 5,1). იგი დამზადებულია მოცისფრო-მომწვანო მინისაგან. ჭურჭლის ტანი კონუსური ფორმისაა, პირი თანაბრად მომრგვალებულია, ყელი მაღალია, ცილინდრული (ტაბ. VIII,6), სიმაღლე – 18,3 სმ, დმ – 12,0 სმ, ყელის სიმაღლე – 7,0 სმ, ყელის დმ –3,5 სმ. მსგავსი

ჭურჭელი საქართველოში ჯერჯერობით არ არის დადასტურებული. სპეციალისტები მას ჩრდილო იტალიკურ ნაწარმად მიიჩნევენ და ახ.წ. I-II სს. ათარიღებენ (Сорокина, 1969, გვ. 217-221).

უნიკალურია, აგრეთვე, კლდეეთის №6 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭვირული საყბეურები, რომლებიც წრიული, ბრტყელი ბალთის მსგავსია (ლომთათიძე, 1957, გვ. 157). სიგრძე — 10,3 სმ, სიგანე — 0,9 სმ. ამგვარი საყბეურები საქართველოს ტერიტორიაზე არ არის დაფიქსირებული. სამაგიეროდ, მსგავსი საყბეურები ნაპოვნია ბრიტანეთის ლიმესის ბანაკებში (Webster, 1985, გვ. 260, სურ. 24).

აღწერილი მასალების გარდა, კლდეეთის სამარხებში წარმოდგენილია რომაულ-პროვინციულ ნაწარმთა წრის სხვა ნივთებიც — კანელურებიანი ვერცხლის სასმისები, ვერცხლის პინაკები (Мачабели, 1976, გვ. 29-30), ოვალური მოყვანილობის ოქროს ბეჭედი, მოზაიკური მძივები, ოქროს სფერული მძივები თუ ტანდაღარული ბურთულა-მძივები, ბრინჯაოს ერთწილადი, მუხლზამბარიანი და მინანქრიანი მშვილდსაკინძები (Амброз, 1966, გვ. 93-94). ჩამოთვლილი ნივთების იდენტური ეგზემპლარები საკმაოდ მრავალრიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მათ პირდაპირი ანალოგები ეძებნებათ არმაზისხევის, სამთავროს, ბორის ანალოგიური დანიშნულების საგნებთან (ლომთათიძე, 1957, გვ. 161-190).

როგორც ჩანს, კლდეეთის სამაროვანზე რომაული ნაწარმი საკმაოდ მრავალფეროვანი სახითაა წარმოდგენილი. ისმის კითხვა: რა არსებით და როგორი გზით უნდა მოხვედრილიყო აღწერილი რომაული ნივთები კლდეეთში? რომაული სამხედრო შენაერთების დისლოცირება ამ მიდამოებში და, საერთოდ, კოლხეთის შიდარეგიონებში გამორიცხულია. რომაული გარნიზონები ქვეყნის ზღვისპირა პუნქტებში იყო დისლოცირებული. ზღვისპირა ცენტრებიდან ამ ნივთების შემოტანაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგანაც კლდეეთი სანაპირო პუნქტებიდან საკმაოდ და-

დი მანძილით იყო დაშორებული. ამასთან, იქ კლდეეთური მასალის ანალოგიური ეგზემპლარები არ არის დადასტურებული. ეჭვს იწვევს, ასევე ამ ნივთების სამხედრო ნადაელადაც მიჩნევა, ვინაიდან ისინი საკმაოდ ძვირადღირებული იყო, რაც უთუოდ რჩეული და მდიდრულად აღჭურვილი რომაული ან იბერიული სამხედრო შენაერთებთან კოლხების ფართომასშტაბიან ბრძოლას გულისხმობდა. მაგრამ არათუ ამგვარი დაპირისპირება, არამედ მათ შორის რიგითი სამხედრო კონფლიქტიც კი წერილობითი წყაროებით არ დასტურდება. კიდევ მეტი, ასეთი დაპირისპირების „a priori"-ს წარმოდგენაც შეუძლებელია, რადგან კოლხეთში ამ დროს ცენტრალიზებული ხელისუფლება მოშლილი ჩანს და იგი ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებადაა დაქუცმაცებული. შესაბამისად, ერთიანი, ორგანიზებული ლაშქრის არსებობაც გამოირიცხება.

ვფიქრობთ, რომაული ნივთების გარკვეული ნაწილი (ვერცხლის სასმისები, პინაკები, ოქროს ბეჭედი, მძივები, მშვილდსაკინძები) იბერიელებსა და კოლხებს შორის პროდუქციის ურთიერთგაცვლითი გზითაა აქ მოხვედრილი, რასაც კლდეეთური და იბერიული მასალების იდენტურობა მიუთითებს.

რაც შეეხება უნიკალური და მილიტარისტული ხასიათის ნივთებს, ვფიქრობთ, კლდეეთელ წარჩინებულებსა და ზღვისპირა ცენტრებში დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთების ადმინისტრაციას შორის გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის მიმანიშნებელი უნდა იყოს. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება მილიტარისტული შინაარსის გემებს, რკინის მახვილს გემიანი ბალთიითურთ, რომლებიც რომაული საჯარისო შენაერთების ჯილდოებად ითვლება. ამგვარი ხასიათის ნივთებით რომაული ადმინისტრაცია, თავის სამსახურში მყოფ ადგილობრივ წარჩინებულ პირებსა თუ მათ მეთაურებს აჯილდოებდნენ. მაგალითად, ტაციტუსის ცნობით, რომაელებმა მრისხანე

ბარბაროსული ტომების ბელადებს საჩუქრად ვერცხლის ძვირფასი ლარნაკები მიართვეს. (Tac., Ann., V,31).

ანალოგიური სურათი ჩანს ახ.წ. I ს. ბოსფორის მმართველებსა და ტავრიდის რომაულ საოკუპაციო სამხედრო შენაერთებს შორის (Шилов, 1974, გვ. 64). აღსანიშნავია ისიც, რომ სამხრეთ გერმანიაში, სოფ. ჰობთან აღმოჩენილ ახ.წ. I ს. ვერცხლის კანთაროსზე მისი მფლობელის „Silius"-ის სახელია ამოჭრილი (Johanson, 1823, გვ. 164). ტაციტუსის თხზულებიდან ცნობილია, რომ ახ.წ. 14-21 წწ. სამხრეთ გერმანიას გაიუს სილიუსი მართავდა (Tac., Ann., I, 25). აქედან გამომდინარე, მკვლევარები სამართლიანად ასკვნიან, რომ ვერცხლის კანთაროსი გაიუს სილიუსმა გერმანელთა ბელადს უსახსოვრა ნიშნად გაწეული დახმარებისა (Johanson, 1823, გვ. 164).

ნიშანდობლივია, რომ იმავე ტაციტუსის ცნობით, რომაელებმა სედოხეზების მეფეს, ანიკეტის გადმოცემისათვის, ჯილდო შესთავაზეს (Tac., Hist., III, 48). სწორედ, კლდეეთელი დიდებულებისათვის განკუთვნილ ჯილდოებსა და ძღვენებს შეადგენდა ზემოთ აღწერილი ძვირფასი ნივთები. ამავე მექანიზმს შეიძლება დაუკავშირდეს კლდეეთის სამარხებში დადასტურებული ლიზიმაქეს, ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მინაბაძებისა და რომაული ვერცხლის მონეტების (ავგუსტუსის დინარები, ანტონინე პიუსის, მარკუს ავრელიუსის, ნერვას კესარიული დიდრაქმები) გარკვეული ნაწილი. ცნობილია, რომ ფულადი კომპენსირების გზით, რომაელები არცთუ იშვიათად მიმართავდნენ პერიფერიული ქვეყნების მეთაურებისა და ბარბაროსული ტომის ბელადების მოსყიდვის პოლიტიკას. ასეთი პოლიტიკა ჯერ კიდევ ძვ.წ. I ს. შუა ხანებში დამკვიდრდა, ხოლო იმპერიის ხანაში გახშირდა.

ჩვენ არავითარი მონაცემები არ გაგვაჩნია იმის შესახებ თუ რა დამსახურებისათვის ერგოთ კლდეეთელ წარჩინებულებს

ეს პატივი. ამიტომაც მხოლოდ ზოგადი შენიშვნებით შემოვიფარგლებით. რამდენადაც მკვლევართა მიერ კლდეეთის სამარხები შეძლებული თუ წარჩინებული მხედრების სამარხებადაა მიჩნეული (ლომთათიძე, 1957, გვ. 217), არ არის გამორიცხული, რომ ისინი „ეპილექტოსის", თანამედროვე „კომანდოსთა" ტიპის რომანიზებული კოლხი მეომრები იყვნენ, რომლებსაც კონკრეტული სამხედრო დავალების შესრულება ევალებოდათ. შესაძლოა, მათ პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის აღმოსავლეთი მონაკვეთის უსაფრთხოება ეკისრებოდათ აწ უკვე გაძლიერებული იბერიისაგან.

ყოველ შემთხვევაში, მათ შორის რაღაც გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური კავშირი არსებობდა ტაციტუსის მიერ მინიშნებული ius millitarium-ის სახით (Tac., Ann., II, 62), რაც გარკვეულწილად პროკოპის ნაშრომშიცაა ასახული (PC., BP., II, 15). ვფიქრობთ, ეს კავშირი ურთიერთსარგებლობის პრინციპებს ეფუძნებოდა. კერძოდ, მკვიდრი მოსახლეობა იყო არა მარტო რომაული პოლიტიკის მხარდამჭერი და გამტარებელი, არამედ გარნიზონების შევსების წყარო. თავის მხრივ კი რომაული სამხედრო შენაერთები ერთგვარ მასტაბილიზირებელ როლს ასრულებდა მათ გარემომცველ სამყაროში. გარდა ამისა, მათივე მეშვეობით ვრცელდებოდა ქვეყნის შიდა თუ მთიან ზოლში რომაული კულტურის ელემენტები და იმპორტულ ნაწარმთა მთელი სერია.

ამრიგად, კლდეეთის სამარხებში აღმოჩენილი რომაული იმპორტის გარკვეული ნაწილი, იბერიის გზითაა აქ მოხვედრილი. დანარჩენი კი რომაულ ჯილდოებსა და ძღვენებს წარმოადგენდა, რომლებიც კლდეეთელ წარჩინებულებს ებოძათ იმპერიის მესვეურთაგან, მათი პრორომაული ორიენტაციისა თუ რომაელთა სამხედრო კამპანიებში მონაწილეობისათვის.

* * *

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმპორტირებული პროდუქციის ერთი, თუმც მცირე ნაწილი რომაული საინტენდანტო სამსახურების მიერ არის შემოზიდული. ასეთ საგანთა რიცხვს უნდა განეკუთვნოს ბიჭვინტის ნაქალაქარსა და მის სამაროვანზე აღმოჩენილი მასობრივი ხასიათის ტარა და ე.წ. წითელლაკიანი ჭურჭელი, მათ შორის ცხოველთა რელიეფური გამოსახულებითა და დეკორატიული ორნამენტით შემკული სუფრის ჭურჭელი. ნამდვილად სამხედრო დანიშნულება ჰქონდათ II-IV სს. დათარიღებულ გუმბათისებურთავიან ფიბულებს, ვერცხლის სამკლაურს ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით, ოქრო-ვერცხლის გემიანი ბეჭდების ნაწილს, რომლებზეც რომაული მილიტარისტული ხასიათის ფიგურებია (არწივი, ლომი, კიბორჩხალა, მორიელი, კუ) გამოსახული.

რომაულ სამხედრო შენაერთებს უნდა შემოჰყოლოდა, როგორც აღინიშნა, აფსაროსში დადასტურებული წითელლაკიანი ჯამი სანდლიანი ფეხის ტერფის გამოსახულებით და მეომრის რელიეფურგამოსახულებიანი წითელლაკიანი ჭრაქი, რამდენადაც ესენი კასტელუმის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ასევე, მცირერიცხოვანი რომაული წარმოების საგნების ნაწილი, ადგილობრივი დიდებულებისათვის განკუთვნილ ძღვენებსა თუ ჯილდოებს შეადგენდა. ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება თაგილონის სამარხეულ კომპლექსში შემავალი ვერცხლის კათხისებური სასმისი, კანელურებიანი თასები, ლამბაქი, ლანგარი (Амиранашвили, 1935, გვ. 9-10,45,51); გონიოს განძში შემავალი ოქროს გარსაკრავი ცხოველთა ბრძოლის გამოსახულებით (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი, 1980, გვ. 25, ტაბ. XVII-XVIII), რომლებიც ადგილობრივი „ბარბაროსული" სამყაროს დიდებულების წრის წარმომადგენლებს ებოძათ იმპერიის მესვე-

ურთაგან მათი პრორომაული ორიენტაციისა თუ რომაელთა სამხედრო კამპანიებში მონაწილეობისათვის.

სავაჭრო-ეკონომიკური ოპერაციების გზით შემოსულ პროდუქციათა რიცხვს უნდა განეკუთვნოს, უწინარეს ყოვლისა, პიტიუნტის კანაბესა და სებასტოპოლისის სავარაუდო სამოქალაქო ტერიტორიაზე დადასტურებული მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმი, პიტიუნტის ქალებისა და ბავშვების სამარხებში დაფიქსირებული საფასები, მინის ბალზამარიები, სამკაული, ნოქალაქევსა და ვარდციხეში აღმოჩენილი სინოპური და სამოსური ამფორები, მცირე აზიური მინის ნაწარმი.

ვფიქრობთ, რომაული იმპორტის აბსოლუტური უმრავლესობა რომაული გარნიზონების მომარაგებისათვის იყო გათვალისწინებული. ზემოაღნიშნულ იმპორტულ ნაწარმთა ჯგუფების შესაბამისად, გარნიზონების მომარაგების სფეროში სამი პერიოდი გამოიყოფა: პირველი პერიოდი პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფს შეესატყვისება და ამ დროს რომაული გარნიზონები, ძირითადად, მარცვლეულით, ღვინით და ზეთით მარაგდებოდა, ხოლო სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი შედარებით ნაკლები რაოდენობით შემოდიოდა. საერთოდ, აღნიშნულ პერიოდში, იმპორტული პროდუქცია, როგორც ზემოთ ითქვა, შეზღუდული რაოდენობითაა წარმოდგენილი, რაც შესაძლოა გარნიზონების მომარაგების არაორგანიზების, მისი ცენტრალიზებული სისტემის არარსებობის მაჩვენებელი იყოს. თუმცა, ამავე დროს, ეს ფაქტი რომაული გარნიზონების სიმცირითაც შეიძლება აიხსნას.

მეორე პერიოდი ახ.წ. II-III სს. მოიცავს და იმპორტული მასალის მოზღვავეებით აღინიშნება. ასეთი სიმრავლე პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის ჩამოყალიბებისა და გარნიზონთა რიცხობრივ ზრდას უკავშირდება. შავიზღვისპირეთის ციხესიმაგრეთა ქსელი, რომლის ორგანიზაციული გაფორმება ახ.წ. II-III სს-ში სრულდება, უზრუნველყოფდა არა მარტო იმპერიის შორეული საზღვრების დაცვას, არამედ გარნიზონების

მომარაგების ტრანსპორტირების უშიშროებას, მის უსაფრთხოებას.

ვფიქრობთ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული გარნიზონების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემით ხდებოდა კონკრეტული რეგიონიდან, კერძოდ ტრაპეზუნტიდან, სადაც იყო შავი ზღვის ფლოტის ძირითადი ბაზა. ამ მხრივ მისი როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, როდესაც აქ ადრიანეს დროს საიმედო და კარგად გამართული ნავსადგური (λιμήν) ააშენეს, რითაც შესამჩნევად ამოქმედდა ჯერ კიდევ დომიციანეს დროს გაყვანილი სამოსატა-სატალა-ტრაპეზუნტის მაგისტრალი, რომელიც საზღვაო არსებით საქართველოს შავიზღვისპირა ცენტრებსაც უკავშირდებოდა.

ტრაპეზუნტი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, დიდ როლს თამაშობდა შავიზღვისპირა ცენტრებში დისლოცირებული რომაული მხედრობის მომარაგების საქმეში. აქედან მათ რეგულარულად მიეწოდებოდათ სხვადასხვა ცენტრების ნაწარმი. ამიტომ ვრცელდებოდა ტრაპეზუნტში მოჭრილი საფასები საქართველოს ზღვისპირეთში ასეთი დიდი რაოდენობით. ამ პერიოდში რომაული გარნიზონებისათვის ორიენტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციათა შორის (ციხესიმაგრეების ტერიტორიაზე აღმოჩენილ ამფორათა რაოდენობის მიხედვით) კვლავინდებურად ღვინო, ზეთი და მარცვლეული დომინირებს. წინა პერიოდთან შედარებით გაზრდილი ჩანს მოთხოვნილება სუფრის ჭურჭელზე, განსაკუთრებით წითელლაკიან ჯამებზე, ლანგრებსა თუ თასებზე. შედარებით მცირე რაოდენობით შემოდიოდა სამზარეულო კერამიკა (მონტარიუმები, კოჭბები, ქვაბები). სიახლეა ის გარემოება, რომ გარნიზონებს მრავლად მიეწოდებოდათ რომაული მინის ნაწარმი, მათ შორის მოზრდილი სქელტანიანი ჭურჭელი, რომელიც II-III სს. ფუფუნების საგანს აღარ წარმოადგენდა.

მესამე პერიოდი ახ.წ. III-IV სს. განსაკუთრებით IV ს. მოიცავს და იმპორტული ნაწარმის ახალი მოზღვავებით ხასიათდება. გარნიზონები კვლავ მცირე აზიის ცენტრების ნაწარმით მარაგდება, თუმცა საჯარისო ფორმირებების მომარაგებას ტრაპეზუნტის ნაცვლად ქალაქი ანტიოქია ასრულებს. ახ.წ. IV ს. იგი იქცა აღმოსავლეთ რომის იმპერიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად. ის აწესრიგებდა მათ საფინანსო საქმეებს და ფაქტობრივად მისსავე კონტროლქვეშ იმყოფებოდა ზღვისპირა ცენტრების გარნიზონების დაკომპლექტება-მომარაგება. ნიშანდობლივია, რომ პიტიუნტის გარნიზონის მეთაური სუკესიანე დაწინაურების შემდეგ ანტიოქიაში განაგრძობდა სამხედრო მოღვაწეობას (Zos., Hist., Nova, I,32). მაგრამ ანტიოქური სახელოსნო პროდუქცია ჩვენში თითქმის არ ჩანს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მრავალრიცხოვან მონეტებს.[1] ეს ფაქტი ანტიოქიის სპეციფიური ეკონომიკური პოლიტიკით უნდა აიხსნას. ამ დროს მას მონეტები უფრო გაპქონდა, ვიდრე ხელოსნური ნაწარმი. აღნიშნულ ხანებშიც რომაული გარნიზონები თითქმის იმავე ასორტიმენტისა და რაოდენობის პროდუქციას მოიხმარდა. მაგრამ III-IV სს. თითქოს შესამჩნევად გაზრდილია ხმელთაშუაზღვისპირული პროდუქციის რაოდენობა. ასე მაგალითად, ამავე ეპოქაში პირველად ჩნდება კიოლნის მინის ნაწარმი, რომელიც ისევე როგორც ხმეთაშუაზღვისპირული პროდუქცია, საქართველოს ზღვისპირეთში მცირე აზიის გზით უნდა იყოს შემოსული.

ამრიგად, გარე სამყაროსთან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა და აქ დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ერთიანი ცენტრალიზებული სისტემით ხორცი-

---

[1] ნიშანდობლივია, რომ პიტიუნტის ტაძრის IV ს. მეორე ნახევრით დათარიღებული მოზაიკის ახლო ანალოგს წარმოადგენს ანტიოქური მოზაიკები.

ელდებოდა მცირე აზიის ცენტრებიდან. მცირე აზიიდან ტრადიციული პროდუქციის ტრანსპორტირება კი კოლხეთის ზღვისპირეთში, უმთავრესად, კვლავ საზღვაო გზით ხდებოდა, რაც ბუნებრივია შესაბამისი ნავსადგურების არსებობას მოითხოვდა. ზღვისპირა ციხე-ქალაქებში ნავსადგურების არსებობა-არაარსებობის შესახებ კი გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის ჩვენ მიერ არაერთგზის ხსენებული არიანეს „პერიპლუსი შავი ზღვის გარშემო“ (Ап., PPE).

# არიანეს „პერიპლუსის" ὅρμος და λιμήν ტერმინების განმარტებისათვის

ახ. წ. II ს. პირველი ნახევრის შავიზღვისპირეთის სანაპიროების ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობის გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არიანეს „პერიპლუსის" (ფლავიუს არიანე, 1961) ყოველ ცნობასა თუ ტერმინს და მათ სწორ გაგება-განმარტებას. ამჟამად ჩვენ „პერიპლუსის" ὅρμος და λιμήν სიტყვები გვაინტერესებს, რომლებიც სხვადასხვა ტიპის ნავსადგურთა აღმნიშვნელ ტერმინებად გამოიყენება (თოდუა, 1991, გვ. 120-127).

„პერიპლუსის" მე-12 პარაგრაფში არიანე წერს, რომ Κάλπης λιμήν არის ამგვარი ადგილი და ისეთივე ὅρμος–სი სადაც „მასში ცივი და წმინდა წყლის წყაროა, რომ ზღვასთან არის ხომალდების ასაგებად გამოსაყენებელი ტყე" (Arr., PPE 12). ცხადია, რომ არიანეს მიერ ორივე სიტყვის ერთდროულად ხმარება, ერთი და იმავე ადგილის მიმართ, შემთხვევითი არ უნდა იყოს. არიანესთან ეს სიტყვები, რომ შემთხვევითი არ არის, კარგად ჩანს მისი ნაშრომის სხვა ადგილიდანაც. ასე მაგალითად, პონტოს ათენას შესახებ იმპერატორ ადრიანეს აცნობებს, რომ „ზაფხულობით ამ ნავსაყუდელში („ὁ δὲ ὅρμος) შეუძლიათ შემოსვლა ხომალდებს მცირერიცხოვნად". „...ხომალდებისათვის ნავსაყუდელი (ὅρμος ἦν) საიმედო აღარ იყო". (Arr., PPE 4). ნავსადგურ ჰისოსის მიმართ, არიანე საერთოდ არ ხმარობს სიტყვა „ὅρμος" და მას ყველგან λιμήν-ად იხსენიებს. „ჰისოსი, რომლისაგანაცაა სახელწოდება ჰისოს ნავსადგურისა („Ὕσσου λιμήν"), ტრაპეზუნტისაგან დაშორებულია ას ოთხმოცი სტადიონით; ოფისი, რომელიც დაშორებულია ჰისოს ნავსადგურს (λιμένος) ოთხმოცდაათი სტადიონით", „ტრაპეზუნტიდან, რომ

წამოეედით, პირველ დღეს მიველით ნავსადგურ ჰისოსში" (Ὕσσου λιμήν) (Arr., PPE 7). ეს სიტყვები რომ სინონიმები ყოფილიყო, მაშინ არიანე ნავსადგურ ჰისოს ერთგან მაინც ὅρμος-ად მოიხსენიებდა, მაგრამ, ამგვარ ტერმინს მისთვის არ „იმეტებს", ვინაიდან ათენას ნავსაყუდელთან შედარებით ის უფრო მნიშვნელოვანი და კეთილმოწყობილი ნავსადგურია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ არიანე ათენას ნავსაყუდელის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამს მისი არასაიმედოობის გამო,[1] ხოლო ჰისოს ნავსადგურის შესახებ არაეითარი უკმაყოფილება არ შეინიშნება, პირიქით არიანე მას λιμήν-ს უწოდებს. ამ უკანასკნელი ტერმინით იხსენიებს არიანე, აგრეთვე ისტრიის ნავსადგურს, ხოლო მის იქით მდებარე ოდესოსის შესახებ წერს, რომ იქ იყო სადგომი ხომალდთათვის – ἐν' Oδησσῷ ὅρμος ναυσίν (Arr., PPE. 20).

როგორც ვხედავთ, არიანესათვის ეს განსხვავება სავსებით ბუნებრივია და ამ ტერმინებში გარკვეული შინაარსია ჩადებული. ხსენებული სიტყვების შინაარსის ახსნას არიანე თვითონვე გვთავაზობს მე-16 პარაგრაფში, სადაც საუბარია ტრაპეზუნტის ნავსადგომის შესახებ. არიანე წერს:

| | |
|---|---|
| *„ἐνταῦθα σὺ ποιεῖς λ:μένα πάλαι γὰρ ὅσον* | *„აქ შენი ბრძანებით კეთდება ნავსადგური. ძველად კი აქ* |

---

[1] მომდევნო ხანებშიც ათენას ნავსაყუდელი (Tabula Peutingeriana-ზე ათენა ნავსადგომი იყო ადიენსა და არქაბეს შორის. იხ. Itineraria Romana, 1916), ისევე როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზოგიერთი სადგომი მხოლოდ ზაფხულობით იყო უხიფათო გემებისათვის. XIX ს-ის პირველი ნახევრის გეოგრაფიული აღწერილობების მიხედვით, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რიგი ნავსადგომები – ხოფა, ათენა, რიზე, ზამთრობით ხომალდების სადგომად არ გამოდგებოდა. ამიტომ მოსახლეობა წელიწადის ამ დროს თავის საზღვაო ნავებს, ნაპირზე მიათრევდა. სამაგიეროდ, ზაფხულობით აქ ხომალდებს უხიფათოდ შეეძლოთ გაჩერებულიყვნენ (ბერაძე, 1981, გვ. 15-16).

| | |
|---|---|
| *ἀποσαλεύειν ὥρα ἔτους, ὅρμος ἦν"* | *იყო სადგომი ხომალდთათვის, რომლებიც აქ შემოდიოდნენ ზაფხულობით" (ფლავიუს არიანე, 1961, გვ. 51).* |

ამ ტექსტში λιμένα არის ნავსადგური, რომელიც ადამიანის მიერაა აშენებული. ხოლო ὅρμος არის ადგილი, სადაც ხომალდებს ღუზაზე დადგომა შეეძლოთ კარგი ამინდის შემთხვევაში და ისეთი სადგომი, რომელიც შესაძლოა λιμήν-ად გადაკეთებულიყო. როგორც ირკვევა, ადრიანემდე ტრაპეზუნტში კეთილმოუწყობელი „ნავსადგური" ყოფილა.[2] ამგვარი ნავსაყუდელის გამო[3] აქ ადრიანემდე და ადრიანეს მმართველობის პირ-

[2] თავის დროზე გ. ბრანდისმა (Brandis, 1826, გვ. 122) ეჭვი გამოთქვა არიანეს ამ ცნობის სისწორეში, რისთვისაც იგი სამართლიანად გააკრიტიკა ე. რუგემ (Ruge, 1937, Bd. VI-A-2). კ. ლემან-პარტლებენი წერდა, რომ მის დროს ტრაპეზუნტში კარგად ჩანდა ნავსადგურთან არსებული ჯებირის ნაშთები (Lemen – Hartleben, 1923, გვ. 281, სურ. XXXV). ნახევარწრიული მოხაზულობის ჯებირი 150 მეტრით ზღვაში ყოფილა შეჭრილი. მოგვიანებით კი ტრაპეზუნტში ადრიანეს დროინდელი ნავსადგურის კვალიც არ დარჩა. ფრანგი მოგზაურის გამბას ცნობით XIX ს-ის I ნახევარში „ტრაპეზუნტს მცირე ზომის ნავებისთვისაც კი არ ჰქონდა ნავსადგური" (გამბა, 1987, გვ. 270). ადრიანეს დროინდელი ტრაპეზუნტის ნავსადგურების „გაქრობა" გამოწვეული უნდა ყოფილიყო შავი ზღვის ხშირი ტრანსგრესიული პროცესებით. ადრეულ შუა საუკუნეებში (XIII-XIV სს.), ზღვის დონის აწევის შედეგად, ხმელეთის გარკვეული ნაწილი წყლით დაიფარა. ამგვარ პროცესებს ადგილი ჰქონდა, აგრეთვე ადრეულ ხანებშიც. ძვ. წ. V ს-დან, ვიდრე ახ.წ. I საუკუნემდე მიმდინარეობდა ზღვის დონის სწრაფი აწევა, რის შედეგადაც შავი ზღვის ზოგიერთი ქალაქი და ნავსადგური ზღვაში ჩაიძირა. (Меншиков, Пешков, 1980, გვ. 23-21). ამიტომაც იყო, რომ ერთდროს ტრაპეზუნტის მოხერხებული ნავსადგურის ადგილზე, სადაც ქსენოფონტის დროს დიდი წყალწყვის ხომალდები იდგა (Xenoph., Anab., V, I, 15), არიანეს უბრალო სადგომი დახვდა.

[3] სწორედ ამის გამო იყო, რომ პოლემონ I-ის დროს, პონტოს ფლოტის მთავარ ბაზას წარმოადგენდა არა ტრაპეზუნტი, არამედ სინოპე, რომელსაც შესანიშნავად მოწყობილი ნავსადგური ჰქონდა (Максимова, 1956, გვ.318; Хайкин, 1964, გვ.176 ).

ველ ხანებშიც რომაელთა მცირერიცხოვანი გარნიზონი იდგა,[4] ხოლო ნავსადგურის აშენების შემდეგ, რომაელებმა ტრაპეზუნტში I პონტური ლეგიონი ჩააყენეს (Mitford, 1974, გვ. 1192). ამ მოსაზრებას ერთგვარად მხარს უჭერს, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ იმპერატორ დომიციანეს დროიდან არსებული სამოსატა-მელიტენე-სატალა-ტრაპეზუნტის საევაჭრო მაგისტრალის გამოცოცხლება განსაკუთრებით ადრიანეს დროს შეიმჩნევა, როდესაც ტრაპეზუნტში აშენდა კარგად გამართული ნავსადგური (Акопян, 1984, გვ. 74; Манандян, 1954, გვ. 105—106).

ტრაპეზუნტის ὅρμος-ის მსგავსი ნავსაყუდელი უნდა ყოფილიყო არიანეს დროს პიტიუნტშიც. არიანე გვაცნობებს:

*„οὖν ἐκ Διοσκουριάδος πρῶτος ἄν εἴη ὅρμος ἐν Πιτιοῦντι, στάδιοι τριακόσιοι πεντήκοντα". (Arr., PPE, 18)*

*„დიოსკურიიდან რომ მიდის პირველი ნავსადგომია პიტიუნტ სამას ორმოცდაათი სტადიონის მ ძილზე" (ფლავიუს არიანე, 1961, 52).*

არიანეს ამ ცნობის საფუძველზე, ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს ახ.წ. II ს. 30 წლების ბიჭვინტა უმნიშვნელო პუნქტად წარმოიდგინოს (Анчабадзе, 1964, გვ. 198; Инадзе, 1970, გვ. 247), რაც სავსებით გაუმართლებელია, ვინაიდან აქ საუბარია არა საერთოდ ბიჭვინტა-ქალაქზე, არამედ კონკრეტულად მისი ნავსადგომის შესახებ. მართალია, არიანე არაფერს ამბობს პიტიუნტის ὅρμος–ის აეკარგიანობის შესახებ, მაგრამ ვფიქრობთ აქაც ისეთივე სადგომი (ტრაპეზუნტის ὅρμος–ის მსგავსი) უნდა ყოფილი-

---

[4] ამ ხანებში ტრაპეზუნტში იდგა XII და XV ლეგიონების ვექსილაცია (Mitford, 1974, გვ. 133).

ყო, რომელიც შეიძლებოდა λιμήν-ად გადაკეთებულიყო.[5] მართლაც, II-III სს. ბიჭვინტაში შესაძლებელი გამხდარა λιμήν-ის ტიპის ნავსადგურის აშენება. ახ.წ. III ს. შუა ხანებში, ზოსიმეს სიტყვით, ბიჭვინტას უკვე ჰქონდა „კარგად მოწყობილი ნავსადგური" (Zosim. Hist. nova, I, 31-32).

როგორც ჩანს, არიანეს დროს ბიჭვინტაში არცთუ ისე არასაიმედო ნავსაყუდელი ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ არც თვით პიტიუნტი წარმოადგენდა „უბრალო სადგურს". ამის დასტურია არქეოლოგიური გათხრების მონაცემები. უკანასკნელი წლების გათხრებისას, ციხე-ქალაქის XXII ნაკვეთის ქვედა ჰორიზონტში, საკმაოდ დიდ ფართობზე დაფიქსირდა ახ.წ. I ს. დასასრულისა და II ს. პირველი ნახევრის ფენა, სადაც სინქრონული ხანის იმპორტული (კოსისა და როდოსის) და ადგილობრივ ამფორებთან ერთად აღმოჩნდა ხის კონსტრუქციული ნაგებობა (Лордкипанидзе, 1979, გვ.500).

პიტიუნტის ზოგიერთ უბანში კი საქალაქო ცხოვრება თუმც ძალზე სუსტად, მაგრამ კვლავ გრძელდება. ამას მოწმობს III ნაკვეთის ქვედა ფენის სისქე, რომელიც მეტად მცირეა და ღარიბია ნივთიერი მასალითაც. ამ ნაკვეთიდან მომდინარე არქეოლოგიურ ძეგლთა შორის აღსანიშნავია პირჩაკეცილი, მკვეთრად კალთებდახრილი, ძირვიწრო და ქუსლმაღალი ჯამები; ახ.წ. I ს. სწორპირიანი, თხელკედლიანი პერგამონული წითელლაკიანი ჯამის ფრაგმენტი; მცირე ზომის ვიწროყელიანი ღია ფერის სინოპური ამფორები, რომლებიც ახ.წ. I ს. თარიღდება (Шелов, 1978, გვ. 18).

---

[5] ამისათვის ბიჭვინტას კლიმატური და გეოლოგიური პირობებიც ხელს უწყობდა. ქ. გამბას ცნობით, ბიჭვინტის ყურის ფსკერი საიმედო იყო და ხომალდების ღუზის დამაგრება ადვილად ხერხდებოდა. ღუზაჩაშვებულ ხომალდებს მაღალი მთები იცავდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქარებისაგან, ხოლო ზღვის ქარებისაგან – შემაღლებული კონცხი. ბიჭვინტის ყურე მხოლოდ ტრაპეზუნტიდან დანაქროლი სამხრეთ-დასავლეთის ქარებისგან არის დაუცველი, მაგრამ ეს ქარები არცთუ ისე საშიში ყოფილა (იხ. გამბა, 1987, გვ. 79).

ყოველივე ზემოთქმული აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ჰენიოხების ლაშქრობის შემდგომაც, ბიჭვინტაში საქალაქო ცხოვრება საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა, რის შესახებაც არიანე დუმს. როგორც დავინახეთ, იგი საუბრობს მხოლოდ პიტიუნტის ნავსადგომისა თუ ხომალდსადგომის შესახებ. ამგვარი სიტყვაძუნწობა პიტიუნტის მიმართ გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ ბიჭვინტა არიანეს ინტერესის სფეროში არ შედიოდა, რადგან მის დროს აქ რომაული გარნიზონი არ იდგა (აფაქიძე, 1977, გვ. 25). არიანეს დროს პიტიუნტში რომაული გარნიზონის არყოფნის მიზეზად ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია ის, რომ თითქოსდა ამ ხანებში ბიჭვინტა ბოსფორის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა (კეჭაყმაძე, იხ. ფლავიუს არიანე, 1961, გვ. 81). ასეთი მტკიცების საფუძველი, მათი აზრით, ჩანს არიანეს შემდეგი ცნობიდან: „დიოსკურიასთან მთავრდება რომაელთა სამფლობელო პონტოს მარჯვენა მხარეს მცურავთათვის. რადგან გავიგე, რომ კოტისი, ეგრეთ წოდებული კიმერიული ბოსფორის მეფე, გარდაიცვალა, მე შევეცადე ამეწერა შენთვის გზა ბოსფორამდე, რათა თუ კი რაიმეს მოისურვებ ბოსფორის მიმართ, შესაძლებლობა გქონდეს იმსჯელო ამ გზის ცოდნის საფუძველზე. ამრიგად, დიოსკურიიდან, რომ მიდიხარ, პირველი ნავსადგომია პიტიუნტში, სამას ორმოცდაათი სტადიონის მანძილზე" (Arr., PPE, 17, 18).

როგორც ვხედავთ, მოტანილი ცნობა არ იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ ბიჭვინტა ბოსფორის სამეფოს მიეკუთვნოს. აქ მხოლოდ ის ჩანს აშკარად, რომ პიტიუნტი არის დიოსკურიიდან ბოსფორის გზაზე და შესაძლებელი ყოფილა დიოსკურიამდე მიცურვა სხვა გზითაც (აფაქიძე, 1977, გვ. 35). ამ საკითხის განხილვისას საყურადღებოა არიანეს კიდევ ერთი ცნობის გათვალისწინება. სახელდობრ ის, რომ აბაზგების მეფე რომაელთა დასმული პირი ყოფილა. „აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგან აქვს მიღებული" – წერს არიანე (Arr., PPE, 11). ამ

ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ რომაელთა ბატონობა ერცელდებოდა დიოსკურიის იქით მცხოვრებ აბაზგებზეც, რომელთა ტერიტორიის ფარგლებში პიტიუნტიც შედიოდა.[6] ყოველივე ეს აშკარად მოწმობს იმაზე, რომ პიტიუნტი აღნიშნულ ხანაში აბაზგებს ეკუთვნოდათ და იგი რომაელთა სამფლობელოს წარმოადგენდა. მაშასადამე, როცა არიანე ამბობს დიოსკურიაში მთავრდება რომაელთა სამფლობელო, აქ იგულისხმება ის, რომ ეს იყო უკანასკნელი პუნქტი, სადაც რომაული გარნიზონი იდგას და არსად ჩანს, რომ პიტიუნტი ბოსფორის სამეფოს სისტემაში შედიოდა.

რაც შეეხება პიტიუნტში რომაული გარნიზონის არყოფნას, ამის ერთ-ერთ მიზეზად მიგვაჩნია, აქ კეთილმოწყობილი ნავსადგურის არარსებობა. მოგვიანებით კი, როცა რომაელებმა შეიტყვეს, რომ ბიჭვინტაში შესაძლებელი ყოფილა ნავსადგურის მოწყობა, მათ, აქ, ნავსადგური და ციხესიმაგრე ააშენეს და თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს.

არიანე არაფერს ამბობს, ასევე დასავლეთ საქართველოს მეორე მნიშვნელოვანი პუნქტის – სებასტოპოლისის ნავსადგურის ავკარგიანობის შესახებ, მაგრამ ის გარემოება, რომ „დიოსკურიიდან პიტიუნტში ნავსადგომი ყოფილა", საფიქრებელია, არიანე სებასტოპოლისში λιμήν–ს გულისხმობდეს. ამგვარ ვარაუდს მხარს უჭერს ანონიმი გეოგრაფოსის ცნობაც. ანონიმი წერს:

| | |
|---|---|
| *„Ἀπὸ δὲ Ἀστελέφου ποταμοῦ εἰς πόλιν ΔιοσΚουρίδα λιμένα ἔχουσαν, τὴν νῦν* | *მდინარე ასტელეფიდან ქალაქ დიოსკურიამდე, რომელსაც ნავსადგური აქვს და რომელსაც ახლა სებას-* |

[6] აბაზგები, მკვლევართა აზრით, II ს. 30-იან წლებში და უფრო მოგვიანებითაც დიოსკურიიდან ფსოუმდე ცხოვრობდნენ (იხ. Меликишвили, 1959, გვ. 371; Анчабадзе, 1976, გვ. 38). ამდენად, პიტიუნტიც მათი ტერიტორიის ფარგლებში უნდა ვიგულისხმოთ.

| | |
|---|---|
| λεγομένην Σεβαστούπολιν" (Anon., PPE,6). | ტოპოლისი ეწოდება" (ფლავიუს არიანე, 1961, გვ. 88). |

მოტანილი ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ ამ დროს სებასტოპოლისს ჰქონია λιμήν–ის ტიპის ხელოვნური ხომალდსადგომი, რომლის აშენება დიდ სიძნელეებთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. წერილობითი წყაროებისა და გეომორფოლოგიური მონაცემებით სოხუმის ყურე უხიფათო იყო ხომალდებისათვის (ბერაძე, 1981, გვ. 14; Балабанов, Гаприндашвили, 1987, გვ. 154). აქ ძალზე იოლად შეიძლებოდა მიწაყრილის გაკეთება და პატარა უბის შექმნა, სადაც წელიწადის ნებისმიერ დროს ხომალდების უშიშროება გარანტირებული იქნებოდა (გამბა, 1987, გვ. 80). საეჭვოა, რომ ამგვარ პირობებს რომაელები ხელიდან გაუშვებდნენ. მით უმეტეს, როცა პონტო – კავკასიის სასაზღვრო სისტემაში შემავალი სხვა ციხესიმაგრეების მსგავსად, სებასტოპოლისის კასტელუმსაც „სამხედრო-საზღვაო" ხასიათი ჰქონდა (Леквинадзе, 1969, გვ. 90), რაც ბუნებრივია კარგად მოწყობილ ნავსადგურებსაც მოითხოვდა. არიანეს დროს სებასტოპოლისში ხელოვნური ნავსადგურის არსებობა არქეოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება.

1896 წ. სანაპიროს მშენებლობისას, სოხუმის ციხის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩნდა ნავსადგურის დამცავი ქვის ჯებირის („მოლის") ნაშთი (Трапш, 1969, გვ. 289), რომლის აშენება, შესაძლოა, არიანეს მცდელობას მიეწეროს. ამას გვაფიქრებინებს ხსენებული ჯებირის კედლის წყობაში დაფიქსირებული კირქვის ფილა წარწერით: HADR. PER. FL. A. LEG (Ельницкий, 1964, გვ. 138-140). წარწერა მიუთითებს დიოსკურიაში არიანეს მიერ ჩატარებულ სამშენებლო საქმიანობაზე. მართალია, არიანე არაფერს ამბობს დიოსკურიაში თავისი მოღვაწეობის შესა-

ხებ, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მისივე მითიისებით ყოფილიყო სამშენებლო სამუშაოები წარმიებული.

არიანესთან ὅρμος და λιμήν სხვადასხვა მნიშვნელობის ტერმინებს, რომ წარმოადგენდა ეს კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს აბონოს ტეიხოსის ნავსადგომის მაგალითზეც. მე-14 პარაგრაფში ავტორი საუბრობს მის შესახებ როგორც ხომალდებისათვის არასაიმედო (οὐκ ἀσφαλής) სადგომზე, ვინაიდან გემებს შე-ეძლოთ აქ უვნებლად ყოფნა სუსტი ღელვის დროს. შემდგომ, იმავე პარაგრაფში, არიანე აღნიშნავს, რომ სწორედ კინოლისი არის ისეთი ადგილი, სადაც შესაძლოა ხომალდების დგომა უხიფათოდ წელიწადის განსაზღვრულ დროს ე.ი. ზაფხულის პე-რიოდში. როგორც ვხედავთ, ორივე სიტყვა ერთნაირი მნიშვნე-ლობით იხმარება, მაგრამ პირველ შემთხვევაში ნათქვამია, რომ იმ ადგილას არის ὅρμος და გემებს შეეძლოთ ღუზაზე დგომა, მაშინ, როცა მეორე შემთხვევაში ნათქვამია, რომ ხომალდებს შეეძლოთ მხოლოდ ღუზის ჩაშვება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ეს ორი სიტყვა უშუალოდ ერთმანეთს მოსდევს, შესაძლოა არიანე ვარაუდობდა ὅρμος-ის არსებობას კინოლის-თან. გარდა ამისა, ორსავე შემთხვევაში ადგილები ὅρμος-ად წოდებული, ხომალდებისათვის საიმედო არ ყოფილა (οὐκ ἀσφαλής), ვინაიდან იქვე არიანე ახსენებს ὅρμος Στεφάνες და დასძენს, რომ იგი საიმედო სადგომია გემებისათვის (ὅρμος ναυσὶν ἀσφαλής).

საყურადღებოა, არიანე ანალოგიურ ტერმინს იყენებს ფასისის „ნავსაყუდელის" მიმართაც. ის წერს: „რადგან ნავსად-გომი უშიშარი, საიმედო თავშესაფარი (τὸν ὅρμον ἐχρῆν ἀσφαλῆ) უნდა ყოფილიყო ხომალდთათვის... გადავწყვიტე, რომ გამეყვანა თხრილი, რომელიც გარს შემოუვლიდა ნავსაყუდელს" („ναύσταθμον", PPE, 9). იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფასისი

არიანემდე არასაიმედო სადგომი ყოფილა გემებისათვის, რაც ძალზე საეჭვოა, ვინაიდან იქ, იმ დროს რომაული გარნიზონი იდგა და ანონიმის სიტყვით ფასისში 60 სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ხალხი ჩამოდიოდა (Anon., PPE 3), რაც თავისთავად ფასისში კარგად მოწყობილ „ნავსადგურის" არსებობას უნდა გულისხმობდეს. გარდა ამისა, ამგვარი დასკვნა არც მოტანილი კონტექსტიდანაც გამომდინარეობს, რადგანაც აქ საუბარია არა თვით ფასისის „ნავსადგურის" ხასიათზე, არამედ ხმელეთის მხრიდან მისი დაუცველობის შესახებ. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ამ დროს, ფასისში, რიონის შესართავთან ხელოვნური ნავსადგურის ტოლფასი ბუნებრივი ნავსაყუდელი არსებულიყო. ცნობილია, რომ ფასისში ზღვა არავითარ ბუნებრივ ყურეს არ ქმნის.

XIX ს. დასაწყისში დიდ ხომალდებს ნაპირთან ნახევარ კილომეტრზე ახლო მისვლა არ შეეძლოთ, თანაც ცუდ ამინდში რეიდზე დგომა ძალზე საშიში იყო. ამის გამო გვიან შუა საუკუნეებში ხომალდები თავს მდინარის შესართავს აფარებდნენ[7] (ბერაძე, 1981, გვ. 15,133). შესაძლოა, სწორედ ამიტომაც არ იხმარა არიანემ სიტყვა λιμήν-ი ფასისის „ნავსაყუდელის" მიმართ. ასეა თუ ისე, ერთი კი ცხადია - არიანემდე ფასისის „ნავსადგური" თუ „ნავსადგომი" არასაიმედო (ხმელეთის მხრიდან) ყოფილა, რომელიც არიანეს „მეცადინეობით" გამხდარა უხიფათო (ἀσφαλής) „სადგომი" ხომალდთათვის.

ამრიგად, არიანე ხმარობს სიტყვა ὅρμος და ამ ტერმინით აფასებს ადგილს, რომელიც წარმოადგენდა საიმედო თუ არასაიმედო (როგორც ზღვიდან, ასევე ხმელეთის მხრიდან) სადგომს გემებისათვის. ორსავე შემთხვევაში ადგილები ὅρμος-ად

---

[7] არიანეს ცნობის კონტექსტიდანაც ჩანს, რომ ფასისის „ნავსაყუდელი" მდინარესთან უნდა ყოფილიყო - „გადაეწყვიტე, რომ ციხის კედლის გარშემო არსებული ორმაგი თხრილიდან გამეყვანა მდინარემდე სხვა თხრილი, რომელიც გარს შემოუვლიდა ნავსადგურს"... (Arr. PPE, 9).

სახელდებული, ადამიანთა შრომის შედეგად კი არ იყო მოწყობილი, არამედ ის წარმოადგენდა ბუნებრივ „ნავსაყუდელს“, რომელიც შეიძლებოდა საბოლოოდ გადაკეთებულიყო ხელოვნურ ნავსადგურად, რასაც არიანე λιμήν-ს[8] უწოდებს.

[8] საინტერესოა, რომ გვიან შუა საუკუნეებში, ქართულ ენაში ტერმინი λιμήν, რომელიც ბერძნულიდანაა შემოსული, ხელოვნურ ნავსადგურს აღნიშნავდა. საბა ორბელიანი შენიშნავს: „ლიმენა თავით თვისით არ არის, კაცთაგან გაკეთებულია“… (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, 1983, გვ. 188).

## რომაული კულტურა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი

დასავლეთ საქართველოში რომის ხელისუფლების დამკვიდრებასა და მის ზღვისპირა ცენტრებში რომაული გარნიზონების ჩადგომას თან მოჰყვა, რომაული კულტურის ელემენტების დამკვიდრება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (თოდუა, 1989, გვ. 721-724). ეს პროცესი ყველაზე უფრო მკაფიოდ სამშენებლო ხელოვნებაში აისახა.

ახ.წ. I საუკუნიდან კოლხეთის ზღვისპირეთში, ხოლო IV საუკუნიდან მის შიდა და მთიან ზოლში ფართოდ ვრცელდება რომაული ტიპის ჰიდრავლიკური ხსნარი, რომელიც გამოიყენებოდა საფორტიფიკაციო, საერო, საკულტო ნაგებობებში. ბიჭვინტაში მას ჭაობიან გრუნტში სამარხების მოსაწყობადაც კი იყენებდნენ. აღნიშნული ხანიდან ფართოდ ვრცელდება რომაული ტიპის გამომწვარი აგური და კერამიკული ფილები, რომლებიც სრულიად უცხო იყო წინა ეპოქის კოლხეთის სამშენებლო ხელოვნებისათვის.

აგურების ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას სტანდარტული ზომის წრიული და კვადრატული ფორმის აგურები წარმოადგენდნენ. მრგვალი აგური უმეტესწილად გვიანრომაული ხანის აბანოების კალორიფერებისათვისაა დამახასიათებელი. როგორც ირკვევა, ასე ყოფილა ბიჭვინტაში (აფაქიძე, 1975, გვ. 99-100), ციხისძირში (ინაიშვილი, 1993, გვ, 45), ნოქალაქევსა (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 104) და შუხუთში (Закарая, Леквинадзе, 1966, გვ. 121). კვადრატული ფორმის აგურები გამოიყენებოდა ნაგებობების კუთხეების ამოყვანისას ან გადაბმისას. ზოგ შემთხვევაში თავდაცვითი კედლის წყობაშიც. ასე მაგალითად, სებასტოპოლისის III-IV სს. და წებელდის, ნოქალაქევის, ვარდციხის IV ს. საფორტიფიკაციო ნაგებობების წყობაში დაფიქსირებულია ორმაგი და სამმაგი აგურის სარტყელი (Лекви-

надзе, 1967, გვ.98; Воронов, 1975, გვ. 39; ჯაფარიძე, 1989, გვ. 128). ამ მხრივ, დასავლეთ საქართველოს ცენტრები განსხვავდებოდა რომის იმპერიის დასავლური პროვინციების ციხე-ქალაქებისაგან, სადაც ამ დროს ნაგებობები, ძირითადად, აგურისაგან შენდებოდა და ემსგავსებოდა იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების ციხე-ქალაქებს. ეს ნაგებობები აგურისა და ქვის შერეული წყობით იყო ნაშენი. ამგვარი შერეული წყობითაა ნაგები დუნაისპირეთის ციხე-ქალაქების – ისტრიის (Florescu, 1953, გვ. 3-14), ნოვოდუნეს (Barnel, Mitrea, Angehelescu, 1957, გვ. 161) სასიმაგრო კედლები.

ანალოგიურ წყობას ვხვდებით, აგრეთვე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ნაქალაქარებზე – ხარაკსში, ტირასში, ოლბიასა და ხერსონესში (Фурманская, Борисова, Бращинский, Зеест, 1956, გვ. 36,44,49,51). რაც შეეხება კერამიკულ ფილებს, რომლებიც რომაელ ჯარისკაცთა ხელით ჩანს დამზადებული, კვადრატული ფორმის და, თითქმის, ყველა სტანდარტული ზომისაა (44, 5X43, 5X3,0 სმ; 45X45X3 სმ). ფილები სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების იატაკის დასაფენად გამოიყენებოდა. ბიჭვინტაში ფილიანი იატაკი ჰქონდა ტაძრებსა და აბანოს. ნოქალაქევისა და ციხისძირის აბანოების იატაკი თიხის ფილებით იყო დაფარული. ბიჭვინტაში ზოგჯერ მათ სამარხის ასაგებადაც იყენებდნენ.

რომაული ეპოქის დასავლეთ საქართველოს სამშენებლო კერამიკაში ფართოდ ვრცელდება წყალსადენის თიხის მილები, რომლებიც კოლხეთში პირველად გვიანელინისტურ ხანაში ჩნდება (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, 1972, გვ. 102). თიხის მილები დაფიქსირებულია პიტიუნტში, სებასტოპოლისში, ციხისძირსა და ნოქალაქევში. აქ აღმოჩენილი თიხის მილები, ძირითადად, კონუსური ტიპისაა და სხვადასხვა ზომით გამოირჩევა. ყველაზე უფრო გავრცელებული ჩანს 13-14 და 0,06 და 0,08 დმ. მილები. მათი სიგრძე 35-50 სმ. აღწევს. გვხვდება, აგრეთვე, დიდი სიგრძისა

და დიამეტრის მქონე მილები, რომლებიც წყალსადენის მთავარი მაგისტრალისა უნდა ყოფილიყო. ანალოგიური ფორმისა და ზომის მილები აღმოჩენილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში – ხარაქსში (Блаватский, 1951, გვ. 253-255), პანტიკაპეონსა (Кадеев, 1970, გვ. 105) და გორგიპიაში (Салов, Смирнова, 1972, გვ. 57).

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული ხანის ნაქალაქარებზე აღმოჩენილი კერამიკული მილები, რომლებიც თავისი ფორმებით თითქმის იმეორებენ ელინისტური ეპოქის წყალსადენის მილის ფორმას, აშკარად მოწმობენ ციხე-ქალაქთა კეთილმოწყობის მაღალი დონის შესახებ.

რომაული ტიპის სამშენებლო კერამიკისა და მასალის წარმოების პარალელურად, I-IV სს. საქართველოს ზღვისპირა ცენტრებში იქმნება ტიპური რომაული სტილისა და ფორმის არქიტექტურული ძეგლები – საფორტიფიკაციო, საკულტო და სამხედრო-სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი. საფორტიფიკაციო ნაგებობებიდან დღემდე მეტ-ნაკლები სრული სახით შემორჩენილია პიტიუნტის, სებასტოპოლისისა და აფსაროსის ციხესიმაგრენი, რომლებიც გეგმაში კვადრატული მოყვანილობისაა და ტიპურ რომაულ ბანაკებს ანუ კასტელუმებს წარმოადგენენ. მიუხედავად ამ მსგავსებისა, მშენებლობის ტექნიკის, კედლის წყობისა თუ სამშენებლო მასალების თვალსაზრისით, მათ შორის სხვაობა შეინიშნება. მაგალითად, ფასისის არიანესეული ციხე ნაგები იყო გამომწვარი აგურისაგან, მაშინ როცა სებასტოპოლისის თავდაპირველი ციხე გრანიტის ლოდებით და აგურის ორფენიანი სარტყლითაა ნაგები. პიტიუნტის პირველი სამშენებლო დონის კედლები აგებულია კონგლომერატის კვადრებითა და თეთრი კირქვისაგან, ხოლო მისი თანადროული სებასტოპოლისის მეორე ციხესიმაგრე ნაშენია, უპირატესად, გრანიტის ლოდებისაგან; წყობაში ნაწილობრივ გამოყენებულია კვადრატული აგურები და თლილი კირქვის კვადრები.

პიტიუნტის მეორე სამშენებლო დონისა და აფსაროსის პირველადი სამშენებლო ჰორიზონტის თანადროული კედლები შესაბამისად საშუალო სიდიდის კონგლომერატის კვადრებითა და წვრილი ზომის ქვათლილებისაგან არის ნაგები.

გონიო-აფსაროსის დღემდე შემორჩენილი სასიმაგრო ნაგებობის პირველი, ქვედა ნაწილის კედლის წყობა, როგორც მასალის თავისებურების, მისი დამუშავების, ისე მშენებლობის ტექნიკის მხრივ, ემსგავსება ნოქალაქევის პირველ სამშენებლო დონის (ზაქარაია, 1978, გვ. 140) ბიჭვინტისა და ხერსონესის მეორე სამშენებლო ჰორიზონტის (Зубарь, 1982, გვ. 25-26) თავდაცვით ნაგებობებს, რომლებიც ახ.წ. III-IV სს. თარიღდება. ამდენად, აფსაროსის ციხესიმაგრის მშენებლობის პირველი ეტაპი ამ საუკუნით უნდა დათარიღდეს (შდრ., Лекминадзе, 1961, გვ. 241). გარდა ამისა, მათ შორის სხვაობა შეინიშნება, ასევე კედლების კონსტრუქციასა და კოშკების კონფიგურაციის თვალსაზრისით. კერძოდ, აფსაროსისა (ტაბ. II, 1) და პიტიუნტის (ტაბ. II,4) კასტელუმების კედლები ზედმიწევნით სწორკუთხაა მაშინ, როცა სებასტოპოლისის თავდაპირველი კასტელუმი (Лекминадзе, 1973, გვ. 11) პარალელოგრამისებური ფორმისაა და კუთხეები მომრგვალებული აქვს (ტაბ. II,3), რაც დროის ფაქტორით არის განპირობებული.

სებასტოპოლისის ამგვარი ფორმის ციხეები მომრგვალებული კუთხეებითურთ დამახასიათებელია ახ.წ. I ს. დასასრულისა და II ს. დასაწყისის რომაული კასტელუმებისათვის. სებასტოპოლისის პირველი ციხესიმაგრის ანალოგიურია ნოეუმის, კარნინტუმისა და აკვინკუმის კასტელუმები (Bieracka - Lubanska, 1982, გვ. 54-55). სებასტოპოლისის პირველი თავდაცვითი ნაგებობა ამავე საუკუნეებში უნდა იყოს ნაგები.

პიტიუნტისა და აფსაროსის თავდაპირველი ციხესიმაგრეები კი, შესაბამისად, II-III და III-IV სს. განეკუთვნება. პიტიუნტისა და აფსაროსის კასტელუმები მსგავსებას პოულობენ სატალის

(Mitford, 1974, გვ. 223), აბრიტუსისა (Иванов, 1965, სურ. 6) და სებასტოპოლისის მეორე, ახ.წ. III-IV სს. კასტელუმებთან. მაგრამ მათ შორის სხვაობა ჩანს კოშკების მოყვანილობასა და რაოდენობაშიც. თუ აბრიტუსისა და შეიცენდორფის (Ubl, 1982, გვ. 74) კასტელუმები შესაბამისად აღჭურვილი იყო 25 და 28 კოშკით, ან საგალისა 22 კოშკით, აფსაროსისა და პიტიუნტის ციხესიმაგრის კედლები კი 22 და 27 კოშკით ყოფილა გამაგრებული. თუ საგალისა და სებასტოპოლისის კუთხეების კოშკები კვადრატული ფორმისაა, პიტიუნტის დასავლეთი კუთხის კოშკები კი მარაოსებურია. ამ მხრივ პიტიუნტის კუთხის კოშკები ახლო დგას ბოიოტროს (Christlein, 1976, გვ. 28) და შვიცენდორფის კასტელუმების კუთხის კოშკებთან, რომლებიც შესაბამისად III და IV სს. ჩანს აგებული.

აფსაროსის სამხრეთ-დასავლეთი კუთხისა და სამხრეთი კედლის კოშკების მოყვანილობა განსხვავდება პიტიუნტისაგან. ისინი გეგმაში ნალისებური კონფიგურაციისაა. ანალოგიური ფორმის კოშკებით ყოფილა აღჭურვილი ზაიცელმაურის (Pascher, 1949, გვ. 184), ტულნის (Ubl, 1982, გვ. 75-76, სურ. 3), პაგნიკორენის (Harper, 1971, გვ. 10-12) გვიანრომაული ხანის კასტელუმები. ნალისებური ფორმის კოშკები ჰქონდა დინოგეტია-გარვანის ციხესიმაგრესაც, რომელიც IV-VI სს. თარიღდება (Radulescu, Bitoleanu, 1979, გვ. 101, ტაბ. II). საერთოდ უნდა ითქვას, რომ აფსაროსის, სებასტოპოლისისა და პიტიუნტის გალავნის კოშკებიდან წამყვან ფორმას, ისევე როგორც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (Буйских, 1991, გვ. 95), კვადრატული ტიპის კოშკები წარმოადგენენ. ამგვარი ტიპის კოშკები კი, როგორც ცნობილია, ნაკლებად ეფექტური იყო და მალევე ინგრეოდა არტილერიით, ვიდრე მრგვალი ან მრავალწახნაგა კოშკები, რომელთა აგება შედარებით ძვირადღირებული და შრომატევადი იყო (Vitr., Arch., I, V,5).

მართალია, მრავალწახნაგა კოშკები პიტიუნტის სასიმაგრო ნაგებობასაც ჰქონდა, მაგრამ სადღეისოდ აქ გამოვლენილი 27 კოშკიდან მხოლოდ ხუთიოდეა ასეთი. ორი მათგანი – გარედან ხუთწახნაგა კასტელუმის კუთხის კოშკია, ხოლო დანარჩენი – რვაწახნაგა (№3), ხუთწახნაგა (№18) და ექვსწახნაგა (№1) კოშკები კანაბეს გალავნის სამხრეთ მხარეზე მდებარეობს. ასეთი ტიპის კოშკების არსებობა, ამ მონაკვეთის სტრატეგიული მნიშვნელობით უნდა აიხსნას. ამასვე მოწმობს სამხრეთითვე ჩარიგებული კოშკების სიმრავლე (13 კოშკი) და, რაც მთავარია, №18 ხუთწახნაგა კოშკში აღმოჩენილი „ბალისტის" დეტალი, რომელიც ციხე-ქალაქის დამცველთა კუთვნილება უნდა ყოფილიყო.

საერთოდ პიტიუნტის გამაგრების სისტემა სიმტკიცითა და ეფექტურობით გამოირჩეოდა, რისი დამატებითი დასტურიცაა ციხე-ქალაქის გარშემო დღეისათვის გამოვლენილი სამი ცალკე მდგომი სადარაჯო კოშკი, რომლებიც პიტიუნტის ერთიანი თავდაცვითი სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო. ერთი მათგანი მდებარეობს ინკიტის ტბასთან და ნაქალაქარის დასავლეთ მისადგომებს კეტავდა, მეორე გამოვლინდა ფიჭვნარის ახალშენის ნაკრძალში, ხოლო მესამე - ლიძავაში, რომელიც ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილს იცავდა. მეოთხე კოშკიც უნდა იყოს მოსალოდნელი ჩრდილოეთ მხარეს. ასე რომ, პიტიუნტის ციხე-ქალაქის მისადგომები, ოთხივე მხრიდან საგულდაგულოდ ყოფილა გამაგრებული. ცალკე მდგომი სადარაჯო კოშკი გამოვლენილია სებასტოპოლისშიც. იგი სოხუმის ყურედან 2 კმ-ის დაშორებით, ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე მდებარეობდა და ციხე-ქალაქის ჩრდილო-დასავლეთის მისადგომებს იცავდა.

სადარაჯო ადგილები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში, ორი ან სამი სასიგნალო კოშკისაგან შედგებოდა, რომაული ლიმესის აუცილებელი ელემენტი იყო. ამგვარი სადარაჯო კოშკები დადასტურებულია დაკიაში (Cantacuzino, 1941-1944, გვ. 441-472),

დობრუჯაში (Tydor, 1978, გვ. 258), გერმანიაში (Fabricius, 1927, გვ. 575). ოთხი ასეთი ახ. წ. პირველი საუკუნეების საგზაო-სადარაჯო კოშკი აღმოჩნდა ბოსფორის აზიურ ნაწილში, რომელიც იყო ორი ან სამი იარუსიანი იზოლირებული კვადრატული ფორმის და მდებარეობდა გორგიპიასა და ბატას შორის, სტრატეგიული და სატრანსპორტო კომუნიკაციების საკვანძო პოზიციებზე (Буйских, 1991, გვ. 90).

რაც შეეხება ინკიტის ტბასთან მდებარე სებასტოპოლისისა და პიტიუნტის სადარაჯო კოშკებს, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც კონფიგურაციით, ასევე სამშენებლო მასალების თავისებურებითა და ზომებით. სებასტოპოლისის ცალკე მდგომი კოშკი კვადრატული ფორმისაა, ნაგებია რიყისა და გრანიტის ქვებით. საერთო ფართობი – 6,30 X 6,45 მ; კედლის სისქე – 0,90 მ; წყობის ტექნიკით და ზომებით მის ზუსტ ანალოგს წარმოადგენს მეგარასთან (Tillyard, 1905-1906, გვ. 103) და სუნიონის (ატიკა) კონცხზე (Young, 1956, გვ. 130) მიკვლეული კოშკები. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ანალოგიური ფორმისა და ზომის კოშკებით იყო გამაგრებული კერკინიტიდის ციხის კედლები (Шеглов, 1978, გვ. 58), ხოლო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში პიტიუნტის დასავლეთი გალავნის №4, 7, 9, 13 კოშკებით. ანალოგებითა და კოშკის კედლის სისქის მიხედვით, სებასტოპოლისის კოშკი ორი ან სამ იარუსიანი უნდა ყოფილიყო და მისი სიმაღლე დაახლოებით 10-12 მ. თუ აღწევდა.

შედარებით უფრო მონუმენტურობითა და თავდაცვისუნარიანობის მაღალი სიმტკიცით გამოირჩეოდა ინკიტის ტბის კოშკი, რადგანაც იგი მრავალი მოყვანილობისაა და კედლის სისქის ზომითაც (1,30; 1,10; 1,15 მ.) აღემატება სებასტოპოლისის კოშკის კედლის სისქეს. წყობის ქვედა რიგში, ძირითადად, კონგლომერატის კვადრებია გამოყენებული, ხოლო ზედა ნაწილში, მეტწილად, კირქვა და რიყის ქვა. კონფიგურაციის მიხედვით, იგი ძალ-

ზე ახლოს დგას მცირე არმენიის ფორტების – აცავანისა და ტელ-ბენდერის მრგვალი მოყვანილობის კოშკებთან, რომლებიც, ზოგადად, რომაული ხანით თარიღდება (Harper, 1971, გვ. 27-29). ინკიტის კოშკი სამსართულიანი უნდა ყოფილიყო და მისი კედლის სიმაღლე 14-15 მ. აღწევდა.

ხსენებულ ციხე-ქალაქთა გამაგრების სისტემა ერთმანეთისაგან გალავნის სისქის ზომითაც განსხვავდებოდა. სებასტოპოლისის მეორე ციხესიმაგრის გალავნის სისქე 2 მ-მდე აღწევს, რაც 2,45 მ. ჩამოუვარდება ძველი დროის გამოჩენილი პოლიორკეტიკოსის ფილონ ბიზანტიელის რეკომენდირებულ გალავნის მაქსიმალურ ზომას – 10 ლოკტი ე.ი. 4,45 მ (Phil., Mech., 3, 1-2). სებასტოპოლისის გალავნის სისქეს 30-40 სმ-ით აღემატება აფსაროსის პირველი სამშენებლო ჰორიზონტის კედლის სისქე (2,30-2,40 მ.), ხოლო პიტიუნტის კასტელუმის ზღუდის სისქე (3,00-3,20 მ) 1,20 მეტრით მეტია სებასტოპოლისის გალავნის სისქეზე. ციხესიმაგრეთა გალავნის სისქის ზომებში ამგვარი სხვადასხვაობა უნდა აიხსნას ამა თუ იმ ციხესიმაგრის სტრატეგიული მნიშვნელობით საერთო თავდაცვით სისტემაში, საფორტიფიკაციო ელემენტებისა თუ ტოპოგრაფიული თავისებურებებით. ასე მაგალითად, აფსაროსისა და სებასტოპოლისის გალავნის სისქე არცთუ ისე საკმარისი იყო კედლის სანგრევი მანქანებით შეიარაღებული მოწინააღმდეგის მოსაგერიებლად მით უმეტეს, როცა ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან არტილერიის სიძლიერე ძალზე გაიზარდა, მაგრამ მათი გალავანი ისრის ტყორცნის ფრონტალური და ფლანგური ფაქტორების გათვალისწინებით ნაგები კოშკებით იყო გამაგრებული.

რაც შეეხება პიტიუნტის კასტელუმის გალავნის სისქეს, რომელიც, როგორც ითქვა, საკმაოდ აღემატებოდა აფსაროსისა და სებასტოპოლისის კედლის სისქეს, ეს ალბათ იმით იყო განპირობებული, რომ პიტიუნტი III-IV სს. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში რომაელთა უკიდურესი ფორპოსტისა და აღმოსავლეთი

შავიზღვისპირეთში დისლოცირებული ვექსილაციების მთავარსარდლობის შტაბ-ბინა იყო. რამდენადაც, ანტიკური ფორტიფიკაციის წესების თანახმად, გალავნის სისქეს უნდა შეედგინა არანაკლებ 1/2 ან 1/3 სიმაღლე (Phil., Mech., 3,1,2), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სებასტოპოლისისა და აფსაროსის გალავნის სიმაღლე, შესაბამისად, 8-9 და 9-10 მეტრი უნდა ყოფილიყო, ხოლო პიტიუნტისა 13-14 მეტრი, რაც ფილონის რეკომენდაციით სავსებით ოპტიმალური იყო იმისათვის, რათა მოწინააღმდეგე მისადგმელი კიბეებით გალავანზე ვერ გადასულიყო (Phil., Mech., 3, 1-2).

ჩვენთვის უცნობია ხსენებულ ციხესიმაგრეთა გალავნის დაბოლოების ხასიათი. ანტიკური ფორტიფიკაციის პრაქტიკის თანახმად, გალავანზე უნდა მოწყობილიყო „პარაპეტები" (ძელური კედლები) სათოფურებითა და ქონგურებით, თუმცა გალავანი ქონგურიანი „პარაპეტებით" ყოველთვის როდი ბოლოვდებოდა (Winter, 1971, გვ. 131). ალბათ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ციხეებთან ქვის არც ერთი „მერლონი" არ დადასტურებულა.

სასიმაგრო ნაგებობათა მსგავსება-განსხვავებასთან დაკავშირებით, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სებასტოპოლისის მეორე ციხესიმაგრის კედლის კონსტრუქციის თავისებურებას, რითაც იგი აფსაროსისა და პიტიუნტის თანადროული კასტელუმების კედლის კონსტრუქციისაგან გამოირჩევა. კერძოდ, ესაა სებასტოპოლისის კედლის წყობაში გამოყენებული ხის ძელები. ძელების კომპლექსი, რომელიც ერთმანეთისაგან 2,4-2,5 მ-ით დაშორებული, დალაგებული იყო ჰორიზონტალურად სიგრძე-სიგანეზე, რათა წყობას ჰქონოდა თანაბარი დაწოლა. კედლის წყობაში ხის ძელების გამოყენების წესი ჯერ კიდევ მესოპოტამიისა და ეგეოსური კულტურის ხუროთმოძღვრებაში გვხვდება. ამგვარი წესი დადასტურებულია სოხუმის შუა საუკუნეების ციხის წყობაშიც (Трапш, 1969, გვ. 300). სებასტოპოლისის მეორე ციხე-

სიმაგრის კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ გალავნის ქვედა ნაწილში, აგურის მაგიერად კირხსნარის ერთ-ფენიანი სარტყელია შემოვლებული.

რაც შეეხება აფსაროსის აღნიშნული ხანის თავდაცვითი სისტემის ხასიათს, იგი მონუმენტურობითა და თავდაცვისუნარიანობის მაღალი სიმტკიცით გამოირჩეოდა. ამ თვალსაზრისით ძალზე ეფექტურად გამოიყურება კასტელუმის გალავნის დასავლეთი კედელი, რომელიც აღჭურვილია სამი ნალისებური და ორი ოთხკუთხა ფორმის კოშკებით. ამათგან ყველაზე უფრო მასიური და დიდი ზომისაა ჩრდილო-დასავლეთ კუთხის ნალისებური კონფიგურაციის კოშკი. მას როგორც შიდა, ასევე გვერდითა მხრიდან შესასვლელ-ასასვლელი გააჩნია. კოშკში შესასვლელი თაღიანია. მისი ზედა ნაწილი აგურის სამმაგი სარტყლითაა დაბოლოებული. თაღიანი შესასვლელის გვერდზე არსებობდა თორმეტსაფეხურიანი ასასვლელი ქვის კიბე, რომელიც უშუალოდ მიშენებული იყო ხსენებულ კოშკზე. ამ კოშკის შიდატერიტორიაზე ჩვენ მიერ ქვის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჭურვების აღმოჩენა გვაფიქრებინებს, რომ მასზე, ისევე როგორც ფასისისა და პიტიუნტის № 18 კოშკებზე, უნდა მდგარიყო ბალისტები.

რომაული საფორტიფიკაციო ხელოვნებისა და, საერთოდ, გამაგრების სისტემის თვალსაზრისით საინტერესოა ბიჭვინტის ე.წ. ნახევარწრიული გალავანი, რომელიც უშუალოდ მიბმულია კასტელუმის სამხრეთ კედელს (ტაბ. II, 4) და იგი სამოსახლოს დამცავ გალავნადაა მიჩნეული (Леквинадзе, 1969, გვ. 86), რაც ძალზე უჩვეულოა რომაული სამოსახლოებისათვის. თავისებური სამშენებლო ტექნიკით უნდა იყოს განპირობებული, ასევე ბიჭვინტის კასტელუმისა და სამოქალაქო დასახლების გადაბმის მონაკვეთზე გალავნის კედლის სამხრეთ ნაწილში გამოჭრილი 1, 25 მ. სიგანის სათადარიგო კარი, რომელიც არსებითად კუტიკარია. ძირითად კედელში გამოკვეთილია ვერტიკალური საგანგებო ნიში ჩამოსაშვები კარისათვის, ხოლო ბურჯის შიდაკუთხეში

ამოკვეთილია ოთხკუთხა ფოსო, რომელიც განკუთვნილი იყო კარის ჩასადგმელი ღერძისათვის. კარი, ძირითადად, ყოველდღიური ხმარებისათვის იყო განკუთვნილი.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული სამშენებლო ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრული ძეგლების ხასიათის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის აქ აღმოჩენილი სამხედრო-სამეურნეო, საკულტო თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი, რომლებიც ყველაზე უკეთ ბიჭვინტის ნაქალაქარზეა წარმოდგენილი. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პიტიუნტის კასტელუმის მთავარი ქუჩის ბოლოში გამოვლენილი დიდი ზომის სწორკუთხა ნაგებობა. ამ კომპლექსის საერთო ფართობი 1000კვ. მეტრს აღწევს; ნაგებია კონგლომერატის ბლოკებითა და კვადრებით. აღწერილი ნაგებობა პრეტორიუმად არის მიჩნეული (Леквинадзе, 1969, გვ. 86). მსგავსი ფორმის პრეტორიუმები ცნობილია ბრიტანეთისა და გერმანიის ლიმესის ბანაკებში – ელგინპაგში (Johnson, 1987, გვ. 313), ჰესელბახში (Baatz, 1973, გვ. 15), შლოგენსა (Eckhart, 1969, გვ. 69) და ფენდოხში (Webster, 1985, გვ, 219, სურ. 48). ის ახ. წ. II ს. თარიღდება. დაგეგმარებითა და კონსტრუქციით ბიჭვინტური პრეტორიუმის ახლო ანალოგს წარმოადგენს ფენდოხისა და შლოგენის პრეტორიუმები.

აღნიშნული პრეტორიუმების ანალოგიიდან გამომდინარე, ბიჭვინტის პრეტორიის დასავლეთ ნაწილში განლაგებული იზოლირებული სათავსოები სამხედრო შენაერთის ხაზინა და შტაბის კანცელარიის საცავი უნდა ყოფილიყო. ამ ოთახების მოპირდაპირე მხარეს არსებულ 213 კვ. მეტრის დარბაზს სადღესასწაულო მიღებებისა და ელჩებთან შეხვედრის ფუნქცია შეიძლება ჰქონოდა. პრეტორიის აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებული სწორკუთხა დაგეგმარების სათავსები - საცხოვრებელი, სამზარეულო და სასადილო ოთახებია (triclinium). პრეტორიის სარდაფებში კი განთავსებული უნდა ყოფილიყო იარაღისა და პრო-

დუქტების საწყობი – მარანი, საკუჭნაო და სხვა. პრეტორიას სამი შესასვლელი კარი ჰქონდა: ცენტრალური კარი, რომლის სიგანე 1,85 მ. ოფიცრებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, მარცხენა კარი – ჯარისკაცებისა და მოსამსახურეებისათვის, ხოლო მარჯვენა – დაბალი რანგის თანამდებობის პირთათვის იყო გათვალისწინებული. პიტიუნტის პრეტორიუმის ზომებიდან და სათავსების კონსტრუქციიდან გამომდინარე, იგი „აუქსილარიის" ტიპის პრეტორიას უნდა განეკუთვნოს.

პრეტორიის გვერდით ცენტრალური ქუჩის ჩრდილო და სამხრეთ გაყოლებაზე განლაგებული იყო პრინციპია, სამხედრო ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი ნაგებობები. მათ შორის გამოირჩევა მთავარი ქუჩის სამხრეთით მდებარე მონუმენტური, გეგმაში ოთხკუთხა ფორმის შენობა. მისი ფართობი 240 კვ.მ-ია. ნაგებია კონგლომერატის ბლოკებითა და კვადრებით. ნაგებობის იატაკი კირხსნარითაა მოლესილი. ქუჩის მხრიდან მას 20X3მ. მინაშენი აქვს, რომლის იატაკი მოზაიკითაა დაფარული. გადარჩენილია თევზის, დელფინისა და ტრიტონის გამოსახულებათა ფრაგმენტი (ჴყონია, 1978, გვ. 196-216).

მთავარი გზის სამხრეთ მონაკვეთზე, მოზაიკურიატაკიანი მინაშენიდან 5,5მ. დაშორებით, გამოვლენილია მონუმენტური ნაგებობები. ამ ნაგებობათა საერთო გეგმა - მინაშენები, პილონები, კონტრფორსებიანი კედლები, იატაკი, ერთნაირია და საერთო გეგმითაა აშენებული. მოგვიანებით, ეს კომპლექსი რამდენიმე სათავსოდ გადაუტიხრავთ. ამ ერთ-ერთი ნაგებობის შიდაფართობი 240 კვ. მ-ია. ცენტრალური ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთი კედლების წინაც მოზაიკური იატაკია დადასტურებული. გადარჩენილია საბრძოლო სპილოსა და ლომის გამოსახულებათა ფრაგმენტი. რეინისა და დუნაისპირეთის ლიმესის ბანაკების პრინციპიების ანალოგიიდან გამომდინარე, ამ მონუმენტურ ნაგებობებში განთავსებული უნდა ყოფილიყო სასამართლო, ტრიბუნალი, სამხედრო შენაერთის შტაბის სამუშაო ოთახები, სკო-

ლები, ოფიცერთა საკრებულო. ამ ერთ-ერთ გრანდიოზულ ნაგე-ბობაში, ალბათ, ინახებოდა ვექსილაციის დროშები და სხვა სამ-ხედრო ინსიგნიები.

აღნიშნულ ნაგებობებს ჩრდილოეთიდან ეკვრის სათავსე-ბის მთელი წყება. ერთ-ერთ მათგანში აღმოჩნდა ქვევრები. ვფიქრობთ, ეს სათავსები - ამბარები, სანოვაგის საწყობები (choreum) უნდა ყოფილიყო. ამ სათავსების საწინააღმდეგო მხა-რეს მდებარეობდა ნაგებობების კომპლექსი, რომლებიც მრა-ვალჯერ არის გადაკეთებული. მისი პირველი სათავსი 7,5X12,5მ. ორადაა გადატიხრული. იატაკი კირხსნარითაა მოლესილი. აქვე დაფიქსირებულია კანალიზაციისა და მიწისქვეშა გათბობის არ-სებობის ფაქტი. მეორე სათავსის შიდა ფართობი 4X4,5 მ; მესამე სათავსი 5,5X12მ. ზომისაა. ამ სათავსების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს „აბაზანიანი" სათავსები, რომლებსაც, აგრეთვე, მოზაიკური იატაკი, კანალიზაცია და მიწისქვეშა გათბობის სისტემები ჰქონდა. მკვლევართა ვარაუდით, ამგვარი კომპლე-ქსი ლაზარეთს, საავადმყოფოს (valetudinarium) უნდა წარმოად-გენდეს (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 87; Буйских, 1991, გვ. 45). ანა-ლოგიებიდან გამომდინარე, ბიჭვინტის საავადმყოფოს უნდა ჰქონოდა იზოლირებული პალატების სისტემა, სააბაზანო ოთახე-ბი, მიწისქვეშა გათბობა, საკანალიზაციო და წვიმის საწრეტი არხები, საპირფარეშოები, ავადმყოფთა მისაღები, სამზარეულო და სხვ.

კასტელუმის გარე კედელზე აღმოსავლეთი მხრიდან მი-შენებულია 26,5X10მ. ზომის აბანო (thermae). აბანოს ჩრდილო-დასავლეთიდან ეკვრის კასტელუმში შესასვლელი 2,8 მ-ის სიგა-ნის კარიბჭე – „Porta Pretoria", რომელსაც ორი ნახევარწრიული კოშკი იცავდა. აღნიშნულ კარიბჭესთან „via Pretoria-ს ჩრდილო-ეთ განაპირას გამოვლენილია ოთხკუთხა შენობა, რომელიც ჯა-რისკაცების სამორიგეო უნდა ყოფილიყო. მის საპირისპირო მხა-რეს, XVIII ნაკვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, დადასტუ-

რებულია მინის ჭურჭლის მრაეალრიცხოვანი ფრაგმენტი, მათ შორის მინის ნალვენთებიც. ცხადია, აქ მინის სახელოსნოსთან (fabricae) გვაქვს საქმე.

კასტელუმის ჩრდილო და სამხრეთ გალავნის კედლებთან გამოვლინდა გეგმაში წაგრძელებული, მართკუთხა ნაგებობები, რომლებიც ყაზარმებს წარმოადგენდნენ (Webster, 1985, გვ. 197-203). ანალოგიებიდან გამომდინარე, პიტიუნტში ექვსამდე ყაზარმა მაინც უნდა ყოფილიყო ერთი კოჰორტის დასაბანაკებლად. ვფიქრობთ, ამ ყაზარმების გვერდით უნდა მდგარიყო თავლები და ცხენებისთვის განკუთვნილი „ვეტერინარიუმი" (veterinarium), არსენალი და სხვ.

სამეურნეო-სამრეწველო დანიშნულების ნაგებობებიდან ზღვისპირა ციხე-ქალაქებში წარმოდგენილია თევზის დასამარილებელი აბაზანები და კერამიკული ქურები, რომლებიც ტიპური რომაული სამშენებლო ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენს. თევზის დასამარილებელი აბაზანები მხოლოდ ერთი ნიმუშითაა წარმოდგენილი. ესაა პიტიუნტის IV ს. აბაზანები (ფუთურიძე, 1975, გვ. 139), რომლებიც ოვალური მოყვანილობისაა. აბაზანების სამშენებლო მასალად, ქვედა ნაწილში, გამოყენებულია მოზრდილი რიყის ქვები. ზემოთ კი შეინიშნება მომცრო რიყის ქვებთან ერთად ბრტყელი აგურისა და კრამიტის ნატეხები. აბაზანებს დათმობილი აქვთ კოშკის (№4) ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი და უჭირავთ 5,1 X 1,7 კვ.მ. ფართობი. აბაზანათა შიდაზედაპირი მოლესილია ჰიდრავლიკური ხსნარის ორი ფენით. ბიჭვინტის აბაზანები, რიგი დეტალების მიხედვით, ყველაზე უფრო ახლო დგას ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ციხე-ქალაქების ანალოგიური დანიშნულების ნაგებობებთან: ბიჭვინტის აბაზანების შიდაზედაპირი, როგორც აღინიშნა, მოლესილია კირხსნარის ორი ფენით, რომელსაც ზემოდან ადევს ვარდისფერი ჰიდრავლიკური ხსნარის 1 სმ. სისქის ფენა. ჰიდრავლიკური ხსნარით ნა-

ლეს აბაზანებს ვხვდებით ტირიტაკაში (Гайдукевич, 1952, გვ. 58), მირმეკიონსა (Кругликова, 1986, გვ. 180) და სხვა ქალაქებში.

ბიჭვინტური აბაზანები, ისევე როგორც ბოსფორის ზოგიერთი კომპლექსი, დაკავშირებულია საფორტიფიკაციო ნაგებობებთან. მაგრამ ამავე დროს მათ შორის შეინიშნება რიგი განსხვავებანიც: ბიჭვინტის აბაზანები ოვალური მოყვანილობისაა, მაშინ როცა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში ისინი კვადრატული ან ტრაპეციული ფორმისაა (Кадеев, 1970, გვ. 13). დიდი სხვაობაა, ასევე ზომებშიც. ბიჭვინტის აბაზანები თითქმის ერთი და იგივე ზომისაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მცირე სხვაობას, რომელიც სანტიმეტრებში გამოიხატება (შიდაზომა: სიგრძე – 1,4 მ; სიგანე 65-დან 90 სანტიმეტრამდე მერყეობს). მათ ბევრად აღემატებათ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის აბაზანები. მაგალითად, ტირიტაკას დიდი აბაზანების სიგრძე-სიგანე 3,1 X 1,7 სმ; 2,85 X 2,60 უდრის, ხოლო სიღრმე – 2,5 მ; მცირე აბაზანებისა – 1,3 X 1,75; 1,7 X 1,8 მერყეობს (Гайдукевич, 1952, გვ. 57).

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებისა და ბიჭვინტის აბაზანებს შორის ამგვარი სხვაობა, ვფიქრობთ, დაკავშირებული უნდა იყოს თევზის რეწვის მასშტაბებსა და სამშენებლო ტექნიკის თავისებურებასთან.

კერამიკული ქურები, ჯერჯერობით, ორ პუნქტშია დადასტურებული – პიტიუნტსა (ფუთურიძე, 1975, გვ. 156-157) და სებასტოპოლისში (Трапш, 1963, გვ. 248-250). პიტიუნტის ქურა, რომელიც IV ს. ჩანს გამართული, მრგვალი ფორმისაა და ორი იარუსისაგან შედგება. იგი დიდი ზომით არ გამოირჩევა: ქურის დმ. 1,96 მ., საცეცხლე არხის სიგანე – 0,66 მ., ქვედა სართულის სიღრმე – 0,80 მ. ქურა ამოშენებულია გვერდებაკეცილი კრამიტის ფრაგმენტებით. ქურაში საცეცხლე არხთან აგებულია ორი სწორკუთხა სვეტი. მათზე გადებულია გამომწვარი თიხის მოგრ-

ძო აგური, რომელიც ერთი ბოლოთი ეყრდნობა სვეტს, მეორეთი კი ქურის კედლებში არსებულ კარნიზს. ზომის მიხედვით ქურა განკუთვნილი უნდა ყოფილიყო კირის გამოსაწვავად და ვერტიკალურ ქურათა ჯგუფს განეკუთვნება. ბიჭვინტის ქურის გეგმა, ზოგადად, ჰგავს, აგრეთვე მცირე აზიის (Гайдукевич, 1934, გვ. 20), რეინისპირეთის, (Гайдукевич, 1949, გვ. 362), ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების – პანტიკაპეონისა (Гайдукевич, 1934, გვ. 40) და ხერსონესის (Кадеев, 1970, გვ. 78) რომაული ხანის მცირე დიამეტრის ქურებს.

შედარებით უფრო დიდი ზომისა და განსხვავებული კონსტრუქციისა იყო სებასტოპოლისის III-IV სს. ქურა, რომელიც გეგმაში სწორკუთხა ნაგებობაა. მისი სიგანე – 6,25 მ., ხოლო სიგრძე – 58 მ. ქურის კორპუსი საცეცხლე და გამოსაწვავი კამერისაგან შედგებოდა. ქურის ცენტრალურ არხს ჰქონდა აგურის თაღიანი სახურავი, რომელიც სიმეტრიულად განლაგებულ შვერილებს ეყრდნობოდა. შვერილებსა და თაღს მორის ყოფილა ოთხი წყვილი ვიწრო განივი არხი, რომელიც საცეცხლე კამერის სიმაღლეზე პარალელურად იყო განლაგებული. გამოსაწვავ კამერასაც თაღიანი სახურავი ჰქონდა. ანალოგიური კონსტრუქციის ქურები ფართოდაა ცნობილი გვიანრომაული ხანის პროვინციებში. ასე მაგალითად, ცენტრალური არხისა და ოთხი თუ ხუთი წვრილი არხისაგან შედგებოდა სარმიზეგეტუზისა (Floca, 1945, გვ. 431-440) და აკვინკუმის (Kursinszky, 1932, გვ. 25-54) დიდი დიამეტრის მქონე სწორკუთხა ქურები, რომლებიც სებასტოპოლისის ქურის მსგავსად თაღიან ქურათა ჯგუფს განეკუთვნება.

გვიანრომაული ხანიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ვრცელდება რომაული ტიპის აბანოები, რომლებიც გამოვლენილია ბიჭვინტაში, ნოქალაქევში, შუხუთში, ციხისძირსა და ძალისაში. აბანოები, რომაელებისათვის, როგორც ცნობილია, იყო არა მარტო სანიტარულ-ჰიგიენური კულტურის დაწესებულებები,

არამედ დასასვენებელი ადგილები და თავისებური კლუბებიც, სადაც შეიძლებოდა მოსახლეობის თავშეყრა, საჭირბოროტო საკითხების განხილვა-გადაჭრა, სპორტული ღონისძიებების ჩატარება. მდიდრულ რომაულ თერმებში (პომპეის, დიოკლეტიანეს, კარაკალასა და სხვ) არსებობდა ბიბლიოთეკები, სპორტული დარბაზები, აუდიტორიები. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი აბანოები კი ამგვარ განყოფილებებს მოკლებული იყო და მხოლოდ აუცილებელი სათავსებისაგან შედგებოდა.

პიტიუნტისა (თოლორდავა, 1977, გვ. 145-157, სურ. 26) და ციხისძირის (ინაიშვილი, 1993, გვ. 76-85) №1 აბანოები, რომლებიც ხუთი განყოფილებისაგან (გასახდელი, ცივი, თბილი, ცხელი, საცეცხლე) შედგება, საკასტელუმო აბანოებს განეკუთვნება (Pfetzchner, 1909, გვ. 36). ისინი სივრცის დანაწევრებისა და სათავსოების მოყვანილობის მხრივ სიახლოვეს იჩენენ რეინისპირეთის – ველცჰაიმის (Pfetzchner, 1909, გვ. 40), ფელდბერგისა (Johnson, 1987, გვ. 107) და ზაალბურგის (Baatz, 1988, გვ. 12) აბანოებთან. ხუთი განყოფილებისაგან შედგება, აგრეთვე ნოქალაქევის „სამეფო" აბანოც (ზაქარაია, 1987, გვ. 82), მაგრამ იგი მათთან შედარებით უფრო მონუმენტურია და სათავსოების მოყვანილობა-განლაგებითაც განსხვავდება. არქეოპოლისის აბანო „ბლოკური" ტიპის აბანოებს განეკუთვნება და მას პირდაპირი ანალოგი არ ეძებნება. რომაული „საველო" ტიპის აბანოები უნდა იყოს შუხუთისა (Закарая, Лекvинадзе, 1968, გვ. 120-135) და ციხისძირის (ინაიშვილი, 1993, გვ. 48-49) №2 აბანოები, რომლებიც, ისევე როგორც ზემოხსენებული ნაქალაქარების აბანოებიც, IV ს-ში ჩანს ნაგები.

რომაული სანიტარულ-ჰიგიენური კულტურის მნიშვნელოვანი სისტემა იყო, ასევე კანალიზაციისა და წყალსადენის არხები, რომელთა ტიპური ნიმუშები გამოვლენილია ბიჭვინტის შიდაციხის ტერიტორიაზე (ფუთურიძე, 1975, გვ. 133). როგორც არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, ბიჭვინტის კოლექტორი

ძალზე რთული, კარგად მოწყობილი სისტემა ყოფილა: კანალიზაციის მთავარი არხი, რომელიც დასავლეთით იწყება, გზადაგზა ვიწრო ქუჩებიდან თუ შესახვევებიდან მომდინარე ნაკადებს იერთებს, ციტადელის უძველესი ნაწილის აღმოსავლეთ ნაწილში გადის, იქ აბანოს ორ არხს უკავშირდება, აღმოსავლეთისაკენ მიემართება და თანამედროვე ჭაობის ტერიტორიას უერთდება. კოლექტორი ტექნიკურადაც კარგად იყო გამართული: არხი კერამიკული ფილებით, აგურით ან კრამიტით არის ნაგები, ზემოდან კი ბრტყელი ქვებითაა გადახურული.

კოლექტორი, როგორც ჩანს, სამოქალაქო მოსახლეობისათვის არ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. იგი მხოლოდ რომაულ მეციხოვნეებს ემსახურებოდა. ბიჭვინტის გარდა წყალგამყვანი სისტემა დადასტურებულია, აგრეთვე ნოქალაქევის აბანოსთან, რომელსაც კოლექტორი ორივე მხრიდან მისდევდა (ზაქარაია, 1987, გვ. 84).

ბიჭვინტისა და ნოქალაქევის კოლექტორის სისტემა იმ დროისათვის ძალზე დაწინაურებული სანიტარულ-ჰიგიენური კულტურის მაჩვენებელია. ამასვე უნდა მიუთითებდეს, ასევე ბიჭვინტის ნაქალაქარზე გამოვლენილი კარგად გამართული წყალსადენის არხები, რომლითაც დასერილი ყოფილა შიდაციხის მთელი ფართობი. წყალსადენის ნაშთი დადასტურებულია, აგრეთვე სოხუმის ციხის ძვ.წ. I – ახ. წ. I სს. ფენაში (აფაქიძე, ლორთქიფანიძე, 1965, გვ. 125). წყალსადენის მეტად საინტერესო და ამავე დროს საკმაოდ რთული სისტემა აღმოჩნდა გონიოს ციხის ტერიტორიაზეც. აქ, წყალსადენის სათავეები ოლეგ-ბაშის ხევში იწყებოდა და სამთაგან ორი ხაზი ციხის სამხრეთ ნაწილში შედიოდა, ხოლო მესამე ჩრდილოეთ მხარეს (გძელიშვილი, ხახუტაიშვილი, 1964, გვ. 82-83).

რაც შეეხება საკულტო არქიტექტურას, რომელთა უძველესი ნიმუშები დღესდღეობით ბიჭვინტასა (ციციშვილი, 1977, გვ. 118) და ნოქალაქევში (ზაქარაია, 1981, გვ. 104) გვაქვს, აქ აღმო-

ჩენილი IV ს. დარბაზული ეკლესიების ნახევარწრიული მოხაზულობის აფსიდა მსგავსია რომაულ სიმეტრიული ეკლესიებისა. ამგვარი ფორმის აფსიდა აქვთ ბანიცის ცალნავიან ეკლესიას (Nikolajevic, 1978, სურ. 3) და მონასტირინის სამლოცველოს დალმაციაში (Dictionnaire l'archeologic chretianne et de liturgie, 1920, გვ. 3521). პიტიუნტისა და ნოქალაქევის ეკლესიების უახლოეს ანალოგს ბოიოტრასა (Christlein, 1982, გვ. 235, სურ. 14) და რომის „ლორენცო ფუორის" (Brandenburg, 1979, გვ. 118) დარბაზული ტიპის ეკლესიები წარმოადგენენ. მათ შორის დიდი მსგავსებაა გეგმარებასა და არქიტექტურულ გადაწყვეტაში.

მდიდრული რომაული ციხე-ქალაქების მსგავსად ყოფილა, აგრეთვე, საკმაოდ კეთილმოწყობილი პიტიუნტი და აფსაროსი, რისი მოწმობაცაა აქ გამოვლენილი ქუჩები. ბიჭვინტის კასტელუმის ცენტრალურ ნაწილში დადასტურდა 80 მ. სიგრძის ცენტრალური ქუჩის მონაკვეთი, რომელიც ციტადელის აღმოსავლეთ კარიბჭიდან იწყებოდა და დასავლეთისაკენ მიემართებოდა. ქუჩის სიგანე 5,5 მ. იყო. გონიოს ციტადელის მთავარი ქუჩა კი სამხრეთ კარიბჭიდან ჩრდილოეთ კარიბჭისაკენ იყო მიმართული (მიქელაძე, 1977, გვ. 35). ქუჩები სილამაზითა და სისუფთავითაც გამოირჩეოდნენ. ამის მიმანიშნებელია ბიჭვინტაში ქუჩის ორივე მხარეზე მოპირდაპირედ განლაგებული ორი ერთნაირი ნაგებობა და ქუჩების მოპირკეთება კერამიკის ნატეხებითა თუ თილილი ქვებით.

ზღვისპირა ციხე-ქალაქების კეთილმოწყობის საკმაოდ მაღალი დონის მაჩვენებელია ნაგებობების შემინვა. ამის დასტურია ფოთში, „ნატეხების" ნამოსახლარზე, ბიჭვინტისა და სებასტოპოლისის ნაქალაქარებზე აღმოჩენილი II-III სს. სასარკმლე მინის ფრაგმენტები, რომლებიც ტიპოლოგიურად ერთფეროვანია: მინის ფირფიტები სწორკუთხაა, ბრტყელი და მომწვანო ფერისა (გამყრელიძე, 2001, გვ. 98; ჩხატარაშვილი, 1978, გვ. 72-73). ქიმიური შედგენილობისა და დამუშავების ტექნიკის მიხედვით,

ძალზე ახლო დგას პომპეის (Качалов, 1959, გვ. 66), კერლიონისა (Cole, 1966, გვ. 46-47) და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ნაქალაქარებზე (ფანაგორია, პანტიკაპეონი) აღმოჩენილ სასარკმლე მინასთან (Сорокина, 1962, გვ. 234). რომაული მდიდრული ნაგებობების მსგავსადვე უნდა ყოფილიყო, ასევე კოლხეთის ციხე-ქალაქები არქიტექტურულად საკმაოდ კარგად გაფორმებული. ამ მხრივ, დამახასიათებელი სურათი ჩანს ბიჭვინტაში. ციხე-ქალაქის სხვადასხვა უბანზე აღმოჩნდა იონურ-კორინთული კაპიტელების ფრაგმენტები, რომლებიც სტილისტურად ემსგავსება მცირე აზიისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების რომაული ხანის კაპიტელებს (Пичикян, 1984, გვ. 234-237, სურ. 85).

ხუროთმოძღვრული ძეგლების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, როგორც ეს პროკოპი კესარიელის ცნობიდან ჩანს, აფსაროსიც. ციხე-ქალაქს „გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და იპოდრომით და მას მრავალი სხვა რამეც ჰქონდა, რაც, ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომასწავებელია" (გეორგიკა, 2, 1965, გვ. 94-95) – წერს პროკოპი.

არქიტექტურულად კარგად უნდა ყოფილიყო გაფორმებული და კეთილმოწყობილი, აგრეთვე ფასისი. ამის მოწმობაა არიანეს (PPE, 9), ზოსიმეს (Hist., Nova, I, 32) და თემისტიოსის (Orat., XXVII) ცნობები ფასისში არსებული აკადემიის, არტემიდას ტაძრისა და ფასიანელი ქალღმერთის ქანდაკების შესახებ. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, არქიტექტურული „მორთულობა-შემკულობით" დასავლეთ საქართველოს ქალაქები გაცილებით უფრო მოკრძალებულად გამოიყურებოდა, ვიდრე რომის იმპერიის დასავლეთი პროვინციების ცენტრები. ამ მხრივ, ისინი მეტ სიახლოვეს ამჟღავნებენ აღმოსავლეთი პროვინციების ციხე-ქალაქებთან. აღსანიშნავია, რომ მატერიალური კულტურის ზემოაღწერილი კომპონენტით ზღვისპირა ციხე-ქა-

ლაქები იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებზე უპირატესად მცირე აზიის ცენტრებზე ჩანს ორიენტირებული.

რომაული კულტურის გავლენა მკაფიოდ შეინიშნება კერამიკულ წარმოებაში. ამის საილუსტრაციოდ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ამფორები. სოხუმსა და ბიჭვინტაში II-III სს. ფენაში აღმოჩენილ ამფორათაგან ინტერესს იწვევს წითელკეციანი, მაღალყელიანი ამფორები (აფაქიძე, ლორთქიფანიძე, 1965, გვ. 120). აღწერილი ამფორები ფორმით იდენტურია, ხსენებულ პუნქტებში აღმოჩენილი მცირე აზიური წარმოების თეთრი ფერის თიხის ამფორებისა, მაგრამ შემადგენლობითა და პირის ქობის მოყვანილობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს მკვლევართ, რათა წითელი კეცის მქონე მაღალყელიანი ამფორები მცირე აზიური ამფორების მიბაძვით ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნიონ (აფაქიძე, ლორთქიფანიძე, 1965, გვ. 120).

ზოგადად, რომაულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ამფორების მინაბაძთა რიცხვს განეკუთვნება, ჩვენი აზრით, ყავისფერკეციანი, წელშეზნექილი ამფორების ერთი ნაწილი, რომელთაც კონუსური ქუსლი და ოდნავ გამოწეული მომრგვალებული ძირი აქვთ. ანალოგიური ამფორები, როგორც აღინიშნა, გავრცელებული იყო ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპირეთის აუზის ქვეყნებში, მაგრამ მათგან ჩვენი ამფორები თიხის შემადგენლობით განსხვავდება. აღმოსავლეთ შავიზღვისპირული წელშეზნექილი ამფორების თიხა ისეთივე ფერისაა როგორც ჩვენ მიერ ზემოაღწერილი ვიწროყელიანი ამფორები. ამ ტიპის ამფორები, რომლებიც III–V სს. არსებობენ, ფართოდ ჩანს გავრცელებული კოლხეთის შიდა და ზღვისპირა ზოლში (გამყრელიძე, 2001, გვ. 93; ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975, გვ. 277; ჯაფარიძე, 1989, გვ. 49-50).

რომაული კერამიკის გავლენით დამზადებული თიხის ჭურჭლის კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება, ასევე მოინტარი-

უმების ერთი ჯგუფი, რომელთაც აქვთ ბრტყელი ძირი, ამოშვ-დარი გვერდები, ორმხრივ შესქელებული კიდე და ღარისებური ტუჩი. რომაული ტიპის მონტარიუმებისაგან ისინი განსხვავდე-ბიან ქობაზე შემაღლებული ტუჩითა და კეცის შემადგენლობით, რომელიც იდენტურია წელშეზნექილი ამფორებისა და წმინდა ადგილობრივი ქვევრების თიხისა, რაც სპეციალისტებს მათ ად-გილობრივობას ავარაუდებინებს (ლორთქიფანიძე, 1963, გვ. 105). ჩვენი მხრით უნდა დავძინოთ, რომ მონტარიუმების გადმობრუ-ნებული, გადაჭრილი კონუსის ფორმის გამოყოფილი ძირები და-მახასიათებელია იმავე თიხით დამზადებული ქვევრების ძირები-სათვის, რაც ამ ტიპის მონტარიუმების ადგილობრივობის კიდევ ერთი დადასტურებაა. რაც შეეხება მათი დამზადების ცენტრს, მკვლევარები არქეოპოლისის ჩრდილო-დასავლეთით ვარაუდო-ბენ (Леквинадзе, Хведелидзе, 1981, გვ. 137, სურ. 15). გამორიცხუ-ლი არ არის, რომ ერთ-ერთი ასეთი ცენტრი ბიჭვინტაში ყოფი-ლიყო, რადგანაც ყველაზე მრავლად იგი სწორედ პიტიუნტშია წარმოდგენილი. აქ, ის II-III სს. და მომდევნო ხანით თარიღდება (რამიშვილი, 1963, გვ. 81).

მონტარიუმების გარდა, რომაულ ნაწარმთა ადგილობ-რივ მინაბაძებს უნდა განეკუთვნოს, აგრეთვე კერამიკული ჭრა-ქების ერთი სახეობა. კერძოდ, ჩაიდნის მოყვანილობის ჭრაქები მრგვალგანივკვეთიანი საპატრუქე მილით, ოდნავ გამობერილი მუცლით და უკანა, ზედა ნაწილში ამოზიდული პატარა სახელუ-რით. ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა მათი კეცის შემად-გენლობა, რომელიც ანალოგიურია მონტარიუმების, ქვევრებისა თუ ამფორების თიხისა. ესენიც ყავისფერკეციანია, ქარსისა და კვარცის ხშირი მინარევებით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გვიანრომაულ ხანაში ლამპრებზე ყოველდღიურმა მოთ-ხოვნილებამ გამოიწვია მათი სახელოსნო ცენტრების იმპერიის პერიფერიებში გადატანა (Beilcy, 1963, გვ. 102), მაშინ აღწერილი ჭრაქების ადგილობრივობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. არ არის

გამორიცხული, ერთ-ერთი ასეთი ცენტრი ბიჭვინტაშიც არსებულიყო, ვინაიდან ამ ტიპის (V ტიპისა) ჭრაქები საკმაოდ მრავლადაა აქ აღმოჩენილი (კიღურაძე, 1977, გვ. 134). მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გვიმძიმს ხსენებული ჭრაქების ბიჭვინტაში დამზადების აღიარება, რადგანაც განსხვავებით ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების სამაროვნებისაგან (Зубарь, Сорочан, 1984, გვ. 147-156), ისინი პიტიუნტის არცერთ სამარხში არ არის დადასტურებული.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, მთელ რომაულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული დოქების გარკვეული მინაბაძებიც მზადდებოდა. ამ მხრივ, საყურადღებოა ბიჭვინტაში აღმოჩენილი ღია-მოყავისფრო კეცის მქონე, პირის კიდე მომრგვალებული დოქების ერთი ნაწილი, რომლებიც, მკვლევართა ვარაუდით, ბიჭვინტაშივე ნაპოვნი მსგავსი ფორმის იმპორტული წითელლაკიანი დოქების მიბაძვით უნდა იყოს დამზადებული (ჯაფარიძე, 1989, გვ. 80-81).

იმპორტული, კერძოდ მცირეაზიური წითელლაკიანი დოქების მიბაძვით უნდა იყოს დამზადებული ბიჭვინტასა და სოხუმში აღმოჩენილი მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი, პროფილში სამკუთხა და ოთხკუთხა მოყვანილობის პირის კიდის მქონე დოქები (ასათიანი, 1975, გვ. 227, ტაბ. 51,1,5,7), რადგანაც ისინი მსგავსია ამ პუნქტებშივე დაფიქსირებული მცირე აზიური წითელლაკიანი დოქებისა. ანალოგიური ტიპის დოქები ნაპოვნია, აგრეთვე ვაშნარსა და ვარდციხეში (ჯაფარიძე, 1989, გვ. 73, ტაბ. XIV, 2). აღწერილი დოქების საწარმოო ცენტრი, ვფიქრობთ, ზღვისპირეთის ერთ ან რამდენიმე პუნქტში უნდა არსებულიყო. განსაკუთრებით ეს ეხება ბიჭვინტურ და ვარდციხულ პირის კიდე მომრგვალებულ დოქებს, რომლებიც ფორმითა და კეცის მიხედვით მსგავსია ალახაძეში მიკვლეული კერამიკული წარმოების ნაშთებიდან მომდინარე დოქებისა (Воронов,1977, გვ. 170, სურ. 2,14). ეს საშუალებას იძლევა, რომ ამ დოქების დამზა-

დების ერთ-ერთ კერად პიტიუნტის ციხე-ქალაქის თემში შემავალი ალახაძე ვივარაუდოთ. არ არის გამორიცხული, რომ ამგვარი ტიპის დოქები მოხვედრილიყო დასავლეთ საქართველოს შიდა რეგიონებშიც. ამას ვარდციხული და ალახაძური დოქების კეცის იდენტურობა გვაფიქრებინებს. ორივე მათგანის დოქებისათვის დამახასიათებელია ღია-მოყავისფრო თიხა. რაც შეეხება ზემოაღწერილი დოქების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, ისინი სოხუმსა და ბიჭვინტაში IV და V–VI სს. ფენებში გვხვდება. V-VI სს. ფენებს უკავშირდება, აგრეთვე ეს დოქები ვარდციხეში, ვაშნარსა და სოფ. ლიას ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარზე (ჯაფარიძე, 1989, გვ. 73-74,82). აქედან გამომდინარე, ეს დოქები, ზოგადად, IV–VI სს. უნდა განისაზღვროს.

ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ლითონის ჭურჭლის ფართოდ გავრცელებასთან დაკავშირებით, აქ მათი კერამიკული იმიტაციებიც მზადდებოდა, რაც ფორმის დახვეწილობასა და პროფილირებაში გამოიხატება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, სოხუმის ციხის ტერიტორიაზე, III–IV სს. ფენაში აღმოჩენილი თიხის პატერები ცილინდრული სახელურით. სამიოდე ასეთი ეგზემპლარია სებასტოპოლისში ჯერჯერობით აღმოჩენილი. ორი მათგანის კეცი ღია–მოწითალო, თიხა სუფთად განლექილი, თეთრი მინარევების შემცველია. მესამე კი, ხელითაა ნაძერწი, კეცი მუქი-წითელი ფერისაა, ხშირი მინარევებით. მისი სახელური, ცხერის თავის სტილიზებული გამოსახულებით ბოლოვდება. ზღვისპირა ცენტრებში მზადდებოდა, აგრეთვე რომაულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ბერძნული ჭურჭლის თავისებური ნაირსახეობა – ოინოხოია. სოხუმსა და ბიჭვინტაში III–IV სს. ფენაში აღმოჩენილია ოინოხოიას პირ-ყელის ფრაგმენტები, რომლებიც არცთუ ისე მრავალრიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი. დამზადებულია უხეში, მოწითალო-ნაცრისფერი თიხისაგან, კვარცისა და ქარსის მინარევებით.

რაც შეეხება წითელლაკიანი ჭურჭლის ადგილობრივ წარმოებას, როგორც ეს თავის ადგილზე ითქვა, დიდ ეჭვს იწვევს. სამაგიეროდ იმპორტული წითელლაკიანი ჭურჭლის ულაკო იმიტაციები საესებით აშკარაა და არცთუ ისე მცირერიცხოვანი სახითაც გვხვდება, როგორც ზღვისპირა, ასევე შიდარეგიონებში. აქ ისინი, შესაბამისად, III–IV და IV–V სს. თარიღდება. ძირითადად ესაა შეეულკიდიანი, ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული ჯამების ფრაგმენტები; მცირე ზომის კალთამომრგვალებული ჯამებისა თუ სფერულტანიანი მოზრდილი ჯამების ნატეხები და სხვა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მცირე აზიური წითელლაკიანი ჯამების პროტოტიპებს წარმოადგენს. თუ წითელლაკიანი ჭურჭლის ადგილობრივი დამზადება ძალზე დიდ ეჭვს აღძრავს, ამას ვერ ვიტყვით მინის ჭურჭლის წარმოებაზე, რადგანაც ჯერ ერთი, მინის კოლბები, სასმისები, ბალზამარიები საკმაოდ მრავლად გვხვდება ბიჭვინტის სამარხებში; გარდა ამისა, მინის საწარმოო სახელოსნოს არსებობაზე უნდა მიუთითებდეს სებასტოპოლისისა და პიტიუნტის ნაქალაქარების ტერიტორიაზე დადასტურებული მინის ნალეენთები, წიდები, წუნი.

ხსენებული ციხე-ქალაქების ფენებში საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი ზღვის ნიჟარებიც, რომლებიც ხსნარის სახით გამოიყენებოდა მინის წარმოებისათვის. სპეციალისტების მიერ გამოყოფილია კიდეც ადგილობრივ დამზადებული მინის ჭურჭელი. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება IV–V სს. დათარიღებული ხალებით შემკული, წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის სასმისები, რომელთა ფრაგმენტები დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ბიჭვინტაში, ფოთში, მთისძირში (გამყრელიძე, 2001, გვ. 98), ხოლო მთელი ნიმუშები კარგად არის წარმოდგენილი წებელდის სამარხებში (Сорокина, 1979, გვ. 60-64). მოყვანილობითა და შემკულობის ხასიათით რომის აღმოსავლური პროვინციების მინის ჭურჭლის პროტოტიპებს წარმოადგენს და მის საწარმოო ცენტრად პიტიუნტია მიჩნეული (Сорокина, 1979, გვ. 64, 65).

ვფიქრობთ, აღნიშნული მინის ჭურჭლის წარმოებაში დასაქმებული უნდა ყოფილიყვნენ რომაელი ჯარისკაცები და ვეტერანებიც. მინის მწარმოებელთა გარკვეული ნაწილი შესაძლებელია ყოფილიყო იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციებიდან ემიგრირებული პირებიც, რომლებიც ცხოვრობდნენ კანაბეში და თავისი ნაწარმით ამარაგებდნენ არა მარტო გარნიზონს, არამედ შიდაბაზარსაც.

ამრიგად, ზღვისპირა ციხე-ქალაქებში რომაულ სამყაროში გავრცელებული კერამიკის თითქმის ყველა სახეობა მზადდებოდა, თუმცა რაოდენობრივად ამა თუ იმ სახეობას მეტ-ნაკლები გავრცელება უნდა ეპოვა. მართალია, ამ მხრივ, ჩვენ არ გაგვაჩნია სხვადასხვა ცენტრებს შორის შესადარებელი მასალა, მაგრამ პიტიუნტისა და სებასტოპოლისის ციხე-ქალაქების მაგალითზე შესაძლებელია თვალი გავადევნოთ მათ პროცენტულ მხარეს ადგილობრივ კერამიკასთან მიმართებაში. კერძოდ, ხსენებული ნაქალაქარების ახ. წ. I–II სს. ფენებში ადგილობრივი კერამიკა მცირერიცხოვანია, ხოლო მინაბაძები საერთოდ არ არის წარმოდგენილი. მათ ფონზე შედარებით უფრო მრავლად გვხვდება იმპორტული პროდუქცია. ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, ადგილობრივ მოსახლეობასა და რომაულ გარნიზონებს შორის სუსტი კონტაქტების მიმანიშნებელი უნდა იყოს. გარდა ამისა, იგივე ფაქტი ზღვისპირა ციხე-ქალაქების სამხედრო-სამოქალაქო მოსახლეობის სიმცირეზე მეტყველებს. ახ.წ. III-IV სს. ფენებში კი ადგილობრივი კერამიკა საკმაოდ მრავალრიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი, რაც ერთი მხრივ, ციხე-ქალაქების სამხედრო-სამოქალაქო მოსახლეობასა და ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას შორის ფართო საქონელგაცვლის ფაქტზე მეტყველებს, ხოლო მეორე მხრივ, ზღვისპირა ცენტრებში მკვიდრი მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდის მაჩვენებელიცაა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივ კერამიკათა შორის პროცენტულად ამფორები და ქვევრები ჭარბობენ. როგორც

ჩანს, გარე სამყაროდან შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია სრულიად ვერ აკმაყოფილებდა ციხე-ქალაქების სამხედრო-სამოქალაქო მოსახლეობის მოთხოვნილებებს და ეს დანაკლისი ადგილობრივი პროდუქტებით ივსებოდა. ნაწილობრივ იგივე უნდა ითქვას ადგილობრივი სამზარეულო დანიშნულების ზოგიერთ ჭურჭელზე: დოქებზე, ქოთნებზე, ქვაბებსა თუ სასმისებზე, რომლებიც პროცენტულად აღემატებიან ანალოგიური დანიშნულების იმპორტულ ნაწარმს. აღნიშნული სახეობის კერამიკის ასეთი სიმრავლე აიხსნება არა მარტო ციხე-ქალაქების სამხედრო-სამოქალაქო მოსახლეობის რაოდენობისა და მათი მოთხოვნილებების გაზრდით, არამედ იმითაც რომ ჭურჭლის ეს სახეობები II-IV სს. ზღვისპირა ცენტრებში გარე სამყაროდან ნაკლებად შემოდიოდა. დაახლოებით იგივე უნდა ითქვას შინსახმარი კერამიკის მინაბაძებზე, რომელთა შორის პროცენტულად მონტარიუმები და ჭრაქები ჭარბობს.

რომაული კერამიკის მინაბაძების გვერდით თანაარსებობდნენ და რაოდენობრივად ჭარბობდნენ კიდეც, განსაკუთრებით კი კოლხეთის შიდა და მაღალმთიან ზოლში, წმინდა ადგილობრივი კერამიკის სახეობები – ყავისფერკეციანი, წელშეზნექილი ამფორები, კვერცხისებური კორპუსისა და ცილინდრული ყელის მქონე ქვევრები, მოწითალო, მორუხო, შავზედაპირიანი, მარტივი ხაზებითა თუ ტალღისებური ორნამენტით შემკული ქოთნები; პირგადაშლილი, ყელდაბალი, ცალყურა და სამტუჩა დოქები. ზემოჩამოთვლილი თიხის ჭურჭელი როგორც ფორმით, ასევე ორნამენტაციით იმეორებს კოლხური კერამიკის ტრადიციულ ფორმებსა თუ ორნამენტაციებს და გენეტიკურად უკავშირდება არქაული, ადრეანტიკური, ელინისტური ხანის დასავლეთ საქართველოს კერამიკის ანალოგიურ ნაირსახეობებს.

კერამიკული წარმოების გარდა, რომაული კულტურის გავლენა ჩანს, აგრეთვე ხელოსნობის სხვა სფეროშიც. ახ.წ. I საუკუნიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული ტიპის

მშვილდსაკინძების ფართოდ გავრცელებასა და მასზე დიდ მოთხოვნასთან დაკავშირებით, III ს.-დან ადგილობრივ მზადდებოდა ორწილადი, ბუდეაბმული, მუხლზამბარიანი და ჯვრისებური მშვილდსაკინძები, რომელთა წარმოება, შესაბამისად, მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდებოდა (აფხაზავა, 1979, გვ. 14; 18-19).

რომაული კულტურის გავლენა შეიმჩნევა საბრძოლო იარაღების ზოგიერთ სახეობაშიც. მაგალითად, წებელდის ზოგიერთ სამარხში დადასტურებულია რომაული ტიპის მრგვალი და ოთხკუთხა ფარები (Трапш, 1971, გვ. 153-154). რომაული სამეურნეო და სამხედრო ტექნიკის იშვიათი ნიმუშებია ბიჭვინტაში აღმოჩენილი: წერაქვები და კედლის სანგრევი მანქანის – ბალისტის დეტალი, რომელიც სპეციალურ შესწავლას იმსახურებს.

რომაული წერაქვები ბიჭვინტაში ჯერჯერობით ორი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი. ერთი აღმოჩნდა XVI ნაკვეთზე, III–IV სს. ფენაში. იგი რკინისაა, რკინისავე მასიური ტარითა და ორმხრივ წაწვეტილი მასიური პირით (აფაქიძე, 1977, გვ. 59, სურ. 172), რომლის საერთო სიგრძე – 30 სმ., სამუშაო ნაწილის სიგრძე – 14 სმ., შემორჩენილი ტანის სიგრძე – 12 სმ., მეორე კი დადასტურდა № 18 კოშკის III-IV სს. დათარიღებულ ფენაში. ესეც რკინისაა, მასიური, მაგრამ პირველისაგან განსხვავდება როგორც ფორმით, ასევე ზომითაც (მისი ზომებია: საერთო სიგრძე – 28 სმ., სამუშაო ნაწილის სიგრძე – 17 სმ). ის ე.წ. „ნახევარმთვარისებურ" წერაქვთა ტიპს განეკუთვნება (თოდუა, 1992, გვ. 10-11). მას ერთ მხარეზე წაწვეტებული პირი აქვს, ხოლო მეორე პირი მოტეხილია და მისი ფორმის დადგენა ვერ ხერხდება, თუმცა კი ტანის შესქელებული ნაწილის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას თავის დროზე სწორი პირი უნდა ჰქონოდა.

ამგვარი იარაღი სრულიად უჩვეულოა არა მარტო საქართველოს არქეოლოგიური სინამდვილისათვის, არამედ მთელი შავიზღვისპირეთის რეგიონისთვისაც. სამაგიეროდ ის მრავლადაა დადასტურებული რომის იმპერიის დასავლეთ პროვინ-

ციებში. ბიჭვინტურის მსგავსი წერაქვები აღმოჩენილია კრემონაში (Connoly, 1981, გვ. 87), ზაალბურგში (Johnson, 1987, გვ. 61), პომპეიში (Petrie, 1917, გვ. 68) და სხვაგან.

წერაქვი ანუ როგორც მას ძველი რომაელები უწოდებდნენ „Dolabra", იტალიაში წამყვანი სამიწათმოქმედო იარაღი იყო. პლინიუსი საუბრობს რა გაიუს ფურიუს კრესიმუსის შესახებ, როგორც კარგ მეურნეზე, წერაქვს ერთ-ერთ საუკეთესო შრომის იარაღად ასახელებს (Plin., NH., XVIII, 42). პროფესიონალი მეურნეების გარდა, წერაქვებს ფართოდ იყენებდნენ რომაელი ლეგიონერებიც (Webster, 1985, გვ. 130). იგი უპირატესად გამოიყენებოდა ხეებისა თუ ბუჩქების ამოსაძირკვად, მიწის სათხრელად. გვიანრომაული ხანიდან რომაული ტიპის წერაქვები საკმაოდ ფართოდ ვრცელდება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთიან ზოლში. კერძოდ, წებელდური წრის სამარხებში დადასტურებულია ბიჭვინტურის მსგავსი წერაქვები, რომლებიც IV–VI სს. კომპლექსებში გვხედება (Хотелашвили, 1974, გვ. 33-35, სურ. 4). წერაქვს, როგორც საუკეთესო სამეურნეო იარაღებს, მომდევნო საუკუნეებშიაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ერთგვარად სახეშეცვლილი ფორმით, ის ჩვენ დრომდე შემორჩა. ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ წერაქვი მთელ დასავლეთ საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული და მას ორგვარი ფორმა ჰქონდა: ცალთავიან-წვერიანი და ორთავიანი. ორთავიან წერაქვს ერთ მხარეს სწორი პირი ჰქონდა, ხოლო მეორე მხარეს წვერი. წერაქვი წალკატის, წარკატის და წაკატის სახელით გვხვდება სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში (რუხაძე, 1976, გვ. 119). წალკატის შესატყვისია რაჭაში გავრცელებული თოხ-წერაქვი, რომლის ერთი თავი თოხს წარმოადგენდა, მეორე კი ამოსაძირკვად გამოიყენებოდა (რეხვიაშვილი, 1953, გვ. 157).

ბიჭვინტის ნაქალაქარზე აღმოჩენილ რომაულ საბრძოლო იარაღ-მოწყობილობათა შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი

მაინც ბალისტის პერიტრეტის ტიპის ღერძის ნაწილია (ტაბ. IV, 2). იგი ნაპოვნია №18 კოშკის III-IV სს. ფენაში (Кигурадзе, Лордкипанидзе, Тодуа, 1987, გვ. 91, სურ. 6). ღერძის დეტალი მთლიანი ბრინჯაოსაგანაა ჩამოსხმული (გარეთა ნაწილის დიამეტრი – 19,2 სმ; შიდასი – 8,4 სმ, სიმაღლე – 7,6 სმ). იგი ორი ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოყოფილი ნაწილისაგან შედგება. „პერიტრეტს" ზედა ნაწილში აქვს მწყობრად განლაგებული ორი კბილი, ხოლო მისი ქვედა, ფართო ძირზე გარშემო ნახვრეტებია გაკეთებული. სულ ცხრა ნახვრეტია შემორჩენილი, მაგრამ ამპურიაში (ესპანეთი) აღმოჩენილი „პერიტრეტის" ანალოგიით (Дильс, 1934, გვ. 94-95) მისი რაოდენობა თავის დროზე თოთხმეტი უნდა ყოფილიყო. ამგვარ ცილინდრებს ამაგრებდნენ ხის ჩარჩოზე, სადაც იდებოდა ცხოველის კისრის დაგრეხილი ძარღვებისაგან შეკრული ბრინჯაოს ლარის მასრისთავები. სწორედ ცხოველის, განსაკუთრებით კი ხარის კისრის დაგრეხილი ძარღვები შეადგენდა სატყორცნი მანქანის ენერგიის წყაროს, რაც ბიჭვინტური დეტალის უდავოდ დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ბაგირის დაჭიმვა რეგულირდებოდა სპეციალური ოწინარით, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავდა ქვის ჭურვები. №18 კოშკში რკინის ისრისპირებთან და შუბისპირებთან ერთად აღმოჩნდა მრგვალი ფორმის რიყის ქვის ჭურვები, რომელთა დიამეტრი 4-6 სმ. არ აღემატება. საერთოდ, ქვის ჭურვები განსაკუთრებულ ყურადღებას არ საჭიროებდა, ხშირად მათ ღია ცისქვეშ აწყობდნენ, სატყორცნ მანქანასთან ახლოს. ასეთ სურათს ვხედავთ ბიჭვინტის აღნიშნულ კოშკშიც. აქაც ქვის ჭურვები ერთად იყო თავმოყრილი ღიად, ყოველგვარი შეჯავშნის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ქვის ჭურვები ნაქალაქარის სხვა უბანზეცაა დაფიქსირებული. მათი ერთი ნაწილი საგულდაგულოდაა გამოთლილი, ხოლო ნაწილი კი დაუმუშავებელია და მარჯვედ შერჩეული მომრგვალო ფორმის რიყის ქვებისაგან შედგება.

ძველი რომაელი პოლიოკრეტიკოსი ვეგეციუსი ურჩევდა მეომრებს ჭურვებად რიყის ქვები გამოეყენებინათ მათი სიმძიმის გამო (Veg., de re mil., IV,8). როგორც ჩანს, ეს გარემოება ცნობილი იყო ბიჭვინტის დამცველებისათვისაც, რომლებიც ჭურვების მარაგს ნაწილობრივ რიყის ქვებით ავსებდნენ.

რაც შეეხება ბიჭვინტური ბალისტის დეტალს, ის მრავალმხრივ საყურადღებოა. ჯერ ერთი, იგი აშკარად მიუთითებს ბიჭვინტაში ბალისტებისა და ბალისტარიების არსებობის შესახებ.[1] გარდა ამისა, ეს იარაღი ბიჭვინტის როგორც ქალაქის ეკონომიკურად დაწინაურებლობის მაუწყებელიცაა, ვინაიდან მისი დამზადება მოითხოვდა სათანადო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. გარდა ამისა საჭირო იყო სპეციალურად მომზადებული მსროლელებისა და ტექნიკოსების ყოლა (Vitr., Arch., IX, XI, 1). ამ მხრივ ბიჭვინტა, როგორც ჩანს, ნაკლებობას არ განიცდიდა. მით უმეტეს, როცა ბიჭვინტაში დისლოცირებული იყო XV ლეგიონის ვექსილაცია და ეს ლეგიონი, ტაციტუსის ცნობით, დიდი ლოდსატყორცნი მექანიზმებით ყოფილა შეიარაღებული (Tac., Ann., Ш, 23), რაც თავისთავად კვალიფიცირებული საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის არსებობასაც გულისხმობდა.[2]

სატყორცნი მანქანები, როგორც წესი, განლაგებული იყო გალავანზე ან კოშკზე. ძველი დროის პოლიოკრეტიკოსები, თავიანთ რეკომენდაციებში აღნიშნავდნენ, რომ მტრის მოახლოებისას საბრძოლო მანქანები უნდა გამოაგოროთ და იქიდან აწარმოოთ ბრძოლაო (Veg., De re mil., IV, 8; Vitr., Arch., IX, XI, 1). როგორც ჩანს, ასეთნაირად იყო განლაგებული სამხედრო მანქანები ბიჭვინტაშიც. ბალისტათა საბრძოლოდ გამზადება

---

1 აღსანიშნავია, რომ ფასისის გარნიზონსაც, არიანეს ცნობით, სამხედრო მანქანები („Μεχαναί ἐφεστασιν") ჰქონიათ (Arr. PPE., 9).

2 რომაულ ხანაში, თითოეული ლეგიონი აღჭურვილი იყო 50 ბალისტითა და 10 ონაგრით (იხ. Veg., de re mil., II, 25).

დიდ დროს მოითხოვდა და ამიტომ ტყორცნის სისწრაფე დიდი არ იყო. არც სროლის სიხშირე იყო მაინცდამაინც დიდი როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია.[3] თუ ბიჭვინტაში აღმოჩენილი „პერიტრეტის" მიხედვით ვიმსჯელებთ, ვფიქრობთ, აქაური ბალისტა საკმაოდ დიდი კალიბრის სატყორცნი მანქანა უნდა ყოფილიყო (Baatz, 1988, გვ. 59-63). ბიჭვინტური ბალისტის დეტალი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერჯერობით ერთადერთია მთელ შავიზღვისპირეთში. დასავლეთ საქართველოს ფარგლებს გარეთ კი, მისი ზუსტი და პირდაპირი ანალოგი ცნობილია ჩრდილო მესოპოტამიის ქალაქ ჰატრადან (Connoly, 1981, გვ. 282-283) და დუნაისპირეთის რომაული ციხესიმაგრეებიდან (Baatz, 1988, გვ. 60).

ტიპური რომაული სადურგლო იარაღების ნიმუშებს წარმოადგენს, ასევე ბიჭვინტასა და წებელდაში აღმოჩენილი რკინის ცულ-სატეხები და თევი. რკინის მასიური ცულ-სატეხები, ხუთიოდე ეგზემპლარითაა წარმოდგენილი. ამათგან სამი ბიჭვინტის ნაქალაქარის III-IV სს. ფენაშია დაფიქსირებული, ხოლო დანარჩენი წებელდის ციხის ტერიტორიაზე, IV–V სს. ფენაშია აღმოჩენილი (Воронов, Бгажба, 1985, გვ. 9, სურ. 95, 14). ისინი მხოლოდ ზომით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (10,14X5,60, 11,15X6,70, 12,5X7,13). ფორმით კი ერთნაირია. მათ ფართო, ტრაპეციული პირი აქვთ, სწორკუთხა, თითქმის კვადრატული ფორმის დახურული მასრა. სატარე ნახვრეტი ოვალურია. ამგვარი ტიპის ცულ-სატეხები (Tullenbeil, Dachsbeil) უპირატესად რომაულ ბანაკებში გვხვდება (Heim, Klumbach, 1951, გვ. 38, სურ. 43) და სამხედრო მშენებლებს უკავშირებენ (Champion, 1916). ბიჭვინტი-

---

[3] ა. სტროკოვის აზრით, ქვისსატყორცნი მანქანები ისროდნენ 500-1000 მეტრამდე (Строков, 1955, გვ. 62), რაც აშკარად გადაჭარბებულია. მოდელების გამოცდის შედეგად დადგინდა, რომ მათი სროლის მანძილი 300-350მ., არ აღემატებოდა (იხ. Дильс, 1934, გვ. 91).

სა და წებელდის მსგავსი ცულ-სატეხები აღმოჩენილია, აგრეთ-ეე, სლოვენიაში (Einser 1933 გვ. 180, ტაბ. IX, 2, 5-8), უნგრეთში (Hunyady, 1942 ტაბ. II, 21-23), ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრა-ლურ ევროპაში, II-III სს. პშევორსკის კულტურის წრის სამარ-ხებში (Wielowieiski, 1960, გვ. 82-83).

რკინის თეგი ანუ სატეხი, ფორმით მრგვალ-ბრტყელი, ყუნწიანი, მხრებაზიდული და ტანშევიწროებულია. სიგრძე 16 სმ. მსგავსი სატესი მრავლადაა აღმოჩენილი რომაულ ბანაკებსა და ვილებში (Champion 1916 ტაბ. IV, 221). მისი ანალოგები ცნობი-ლია პშევორსკის კულტურის ძეგლებსა (Wielowiciski, 1960, გვ. 84,) და რომაული ხანის დასავლეთ ევროპის კომპლექსებშიც (Marshallek, 1939-1940, გვ. 297). ბიჭვინტური სატესიც რომაულ ხა-ნას განეკუთვნება, რადგან იგი III-IV სს. ფენაშია დაფიქსირებუ-ლი.

ადგილობრივი და რომაული კულტურის ელემენტების თანაარსებობის პროცესი კარგადაა ასახული, აგრეთვე დასავ-ლეთ საქართველოში აღმოჩენილ ქანდაკების ნიმუშებზე, რომ-ლებიც სიუჟეტის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: საკულტო და პორტრეტულ სკულპტურად.

პირველი ჯგუფის სკულპტურები წარმოდგენილია, უმ-თავრესად, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული სხვადასხვა გამოსახუ-ლებებით. მათ შორის ყურადღებას იპყრობს ბიჭვინტაში II-III სს. ფენაში აღმოჩენილი დიონისეს ქანდაკება (აფაქიძე, 1975, გვ. 119). დიონისეს ფიგურა გადმოცემულია შიშველ, მჯდომარე მდგომარეობაში. მარცხენა ფეხი მორთხმული აქვს, ხოლო მარ-ჯვენა წინ წამოწეული. გამოსახულების მარცხენა მკლავი მოხ-რილია და ყურძნის მტევანი, რომელიც ხელში უკავია, მკერდთა-ნაა მიტანილი. იდაყვში ოდნავ მოხრილი მარჯვენა ხელი წინაა გაწედილი. გამოსახულება იყურება პირაპირ, ოდნავ მობრუნე-ბული სახით. (ტაბ. VII, 11). აღსანიშნავია რომ ჩვენში დიონისეს

გამოსახულებანი პირველად ელინისტურ ეპოქაში ჩნდება. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია დიონისეს ტიპის ღვთაების ქანდაკება (გამყრელიძე, 2001, გვ. 135-137) და ამ ღვთაების წრის პერსონაჟების გამომხატველი ნიღბების ფრაგმენტები (ლორთქიფანიძე, 1972, გვ. 65), რომლებიც ისევე როგორც ელინისტური სამყაროს სხვა რეგიონებიდან მომდინარე დიონისეს გამოსახულებანი, დახვეწილი პროპორციებით გამოირჩევა და მათი თანამგზავრებიც მაქსიმალურადაა წარმოდგენილი.

ახ.წ. პირველი საუკუნიდან დიონისეს კულტის პოპულარობის დაცემასთან დაკავშირებით, მეღვინეობა-მევენახეობის მფარველი ღვთაების გამოსახულებათა რიცხვმა მნიშვნელოვნად იკლო. ამავე დროს მისი გამოსახულებებიც ნაკლებად დახვეწილია და სიუჟეტიც მარტივია. ასე მაგალითად, თრაკიაში, სადაც დიონისური მისტერიები ყველაზე პოპულარული იყო, რომაულ ხანაში დიონისე გამოსახულია მხოლოდ კვერთხით და თასით ხელში. ზოგჯერ კი იგი წარმოდგენილია ჰერაკლესთან, ზევსთან ან არესთან ერთად (Михаилов, 1976, გვ. 42). ბიჭვინტური დიონისეც მხოლოდ ერთი ატრიბუტითაა წარმოდგენილი – ყურძნის მტევნით. ფორმითაც დაუხვეწავია: ზურგის მხრიდან შეიმჩნევა არაპროპორციული ნაკვთები. მიუხედავად ამისა „მჯდომარე დიონისე" საკმაოდ ცოცხალი და დინამიურია, რაც დამახასიათებელი იყო ელინისტური ხანის „დიონისეებისათვის" (თოდუა, კვიციანი, 1989, გვ. 49).

ბიჭვინტური დიონისე ელინისტური ხანის დიონისეს გამოსახულებებთან ახლოს დგას, ასევე ფორმისა თუ სიუჟეტის სხვა დეტალებითაც. კერძოდ, სხეულის ნაწილების შესრულების მანერითა და ატრიბუტაციის მხრივ, იგი სიახლოვეს იჩენს ტარსუსის „დიონისე-ბიჭების" ყურძნით ხელში გამოსახულ ქანდაკებებთან (Coldman, 1926, გვ. 218-219). ამრიგად, ბიჭვინტური დიონისეს ქანდაკება თვალსაჩინო ნიმუშია ელინისტური ხელოვნების ტრადიციების გაგრძელებისა თუ აღორძინებისა რომაულ ხანაში.

საკულტო ქანდაკების საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს, ასევე ბიჭვინტაშივე, II-III სს. ფენაში აღმოჩენილი ე.წ. „მესიეზის" ქანდაკება (რამიშვილი, 1963, გვ. 134). მებადური ფეხშიშველია და დისკოსებრ საგანზე დგას, მარჯვენა ხელით მრგვალი, სალტიანი კალათა უჭირავს, მარცხენათი – მხარზე გადაკიდებული ბადის სადავე. თავზე შვერილი აქვს. სხეულის ნაწილი პროპორციულია, ხოლო პირისახის ნაკვთები გამოხატულია თითქმის რეალისტურად, ნორმალურ პროპორციებში. რაც შეეხება ქანდაკების ჟანრობრივ მხარეს, იგი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო სიუჟეტურ სკულპტურათა წრეს განეკუთვნება. ქანდაკებას ზუსტი და პირდაპირი ანალოგი არ მოეპოვება, მაგრამ მის ცალკეულ ნიშნებს შეიძლება ზოგიერთი პარალელი მოეძებნოს. მაგალითად, სახის ნაკვთების ზოგიერთი დეტალით, ის რამდენადმე ემსგავსება მირმეკიონის „კომერსანტის" სკულპტურულ გამოსახულებასა (Денисова, 1981, გვ.108) და ტანაისის სატირის ქანდაკებას (Арсеньсва, 1964, გვ.94. ტაბ. III3), რომელიც II-III სს. თარიღდება.

მცირერიცხოვანი, მაგრამ საინტერესო ნიმუშებით არის წარმოდგენილი ტერაკოტული სკულპტურებიც, რომელთა შორის აღსანიშნაეია სოხუმში აღმოჩენილი ფანტასტიკური მამაკაცის გამოსახულება (Воронов, 1980, გვ.93). ფიგურა ძალზე დისპროპორციულია – თავი ტანთან შედარებით დიდია, წელზე ზედმეტად დაგრძელებული, ხოლო ზედა კიდურები სქელი და მასიურია. სახის ნაკვთები სქემატურია და უტრირებულადაა გადმოცემული. ფიგურას აქვს არაბუნებრიეად დიდი ცხვირი, რომელიც ქვემოთკენ ბოლოვდება ფართო, სამკუთხა ჭრილით. ჰორიზონტალურად ჩაჭრილი პირი, ვიწრო სამკუთხა ფორმის ნიკაპი და მაღლა აზიდული წარბები, რაც გროტესკულ გამომეტყველებას აძლევს მას. მთელი რიგი ნიშნებით (ტანის წაგრძელებული პროპორციები, მაღლა აზიდული მორკალული წარბები და მოკლე სქელი ხელები), სებასტოპოლისის გროტესკი ანალოგიურია

ფანაგორიისა და მირმეკიონის (Денисова, 1981, გვ. 78-79; Кобылина, 1976. გვ. 163-164, ტაბ. XXXVII$_1$) ზოგიერთი გროტესკისა, რომლებიც II-III სს. თარიღდება. სებასტოპოლისის ქანდაკებაც ამ საუკუნეებს უნდა განეკუთვნოს.

რაც შეეხება პორტრეტულ სკულპტურას, იგი საქართველოს ზღვისპირეთში მხოლოდ ერთი ნიმუშითაა წარმოდგენილი. ესაა სოხუმის ყურის ფსკერზე შემთხვევით ნაპოვნი ქალის სკულპტურული ბიუსტი, რომელიც გამოკვეთილია ადგილობრივი ჯიშის კირქვისგან (Трапщ, 1969, გვ. 354, სურ. 51). გამოსახულება ანთროპომორფულია და ის საფლავის ქვა უნდა იყოს. დედაკაცის პირისახის ნაკვთები რომაული ხანისათვის დამახასიათებელი ტრაფარეტულობითა და სქემატურობითაა შესრულებული: სახე შუბლთან ერთად დაბრტყელებულია და ნიკაპთან ვიწროვდება, ტუჩები გამოსახულია ჰორიზონტალური ჭრილი ხაზებით, ცხვირი ქვემოთკენ დაგრძელებულია; წვრილ თვალებს გარშემო შემოუყვება ოვალური მოყვანილობის ქუთუთოები, გუგა გამოხატულია კონუსური ფორმის წერტილოვანი ღრმულებით. საკმაოდ პროპორციულად არის გამოკვეთილი მხრები და ყელი. ფიგურას აცვია გულამოღებული კაბა, რომელიც მთლიან დაუნაწევრებელ მასადაა გამოხატული.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ამგვარი ანთროპომორფული ქანდაკებები გვხვდება, აგრეთვე მცირე აზიის ბერძნულ ნეკროპოლებზე (Kurz, Bordman, 1971, გვ. 7) და პომპეიშიც (May, 1900. გვ. 411, სურ. 242). განსაკუთრებით ფართოდაა იგი გავრცელებული ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში, რომელთა ზოგიერთ ნიმუშს რამდენადმე ემსგავსება კიდეც სოხუმში აღმოჩენილი ქალის სკულპტურა. ასე მაგალითად, პანტიკაპეონიდან მომდინარე საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ქალის პორტრეტი (Античные государства Северного Причерноморья, 1984, ტაბ. III$_6$) თვალების ფორმით, ცხვირისა და პირის მოყვანილო-

ბით ახლო დგას სოხუმის სკულპტურასთან. მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, საბასტოპოლისის ქანდაკება ემსგავსება ხერსონესში აღმოჩენილი ქალის ანთროპომორფულ გამოსახულებას, რომელიც ახ. წ. II ს. თარიღდება. აღწერილი ქანდაკება მსგავსია, აგრეთვე ახ. წ. III ს. ინტერკიზის საფლავის ქვაზე გამოსახული ქალის პორტრეტის (Garnuntum Jahrbuch, 1985, გვ. 137, სურ. 11). ზემოთ მოტანილი პარალელური მასალების გათვალისწინებისა და სტილისტური მონაცემების მიხედვით, სოხუმის ანთროპომორფული ქანდაკება ახ. წ. II-III სს. უნდა დათარიღდეს.

ამრიგად, რომაული ხანის კოლხეთის საკულტო და პორტრეტული სკულპტურისათვის დამახასიათებელია ერთი მხრივ, ძველი, ტრადიციული ფორმებისა თუ ნიშნების შენარჩუნება-განვითარება, ხოლო მეორე მხრივ, რომის იმპერიის პროვინციების პერიფერიული რეგიონებისათვის დამახასიათებელი პრიმიტივლობა და სქემატიზმი.

ტრადიციული გზით წარიმართა, ძირითადად, დასავლურქართული საიუველირო ხელოვნების განვითარება, რომელმაც შეინარჩუნა ძველი კოლხეთის ოქრომჭედლობის სკოლის ტრადიციები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მთელი სერია გონიოს ახ. წ. II-III სს. ოქროს ბალთებისა და მძივსაკიდებისა, რომლებიც შესაბამისად შემკულია ფრინველის ან ცხოველთა გამოსახულებითა და ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებით, პირამიდებით (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი, 1980, გვ. 13-17). ამგვარი მხატვრულ-სტილისტური ხერხები და ცხოველ-ფრინველთა გამოსახულებებით მორთვა დამახასიათებელი მოტივი იყო ადრეანტიკური ხანის კოლხური ოქროს სამკაულებისთვის. ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებითა და პირამიდებით შემკობის ხერხებს ვხვდებით ძვ.წ. VI ს. დათარიღებულ ოქროს სამკუთხა ფირფიტაზე სოფ. სიმაგრიდან (მიქელაძე, 1978, გვ. 61) ძვ.წ. V ს. კუს გამოსახულებიანი საკიდებით შედგენილ ოქროს

ყელსაბამზე და, ასევე, ვერცხლის სამკაულებზე ვანიდან (ლორთქიფანიძე, 1972, გვ. 37).

ძველი კოლხური საიუველირო სკოლის ტრადიციები შეიმჩნევა, ასევე ოქროს სამკაულების სხვადასხვა სახეობაზეც. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ურეკის ოქროს ვარდულიანი საყურეები, აგრაფი (აფაქიძე, 1947, გვ. 96) და კლდეეთის ოქროსავე რვასხივოსანი საკიდი-ვარდულები (ლომთათიძე, 1957, გვ. 41), რომლებიც ძველ კოლხურ სამკაულთა ორნამენტულ მოტივებს იმეორებს. ამგვარი ორნამენტული მოტივები წარმოდგენილია ვანის ძვ.წ. V-IV სს. სხივანა და ჭვირბურთულიან საყურეებზეც (ლორთქიფანიძე, 1972, გვ. 35), მთისძირის ძე.წ. V-IV სს. „სხივანა" საყურეზეც (გამყრელიძე, 1982, გვ. 70). ადრეული ხანის კოლხეთის საიუველირო ხელოვნებას გენეტიკურად უკავშირდება, ასევე ციხისძირის განძში შემავალი ახ. წ. III ს. დათარიღებული ოქროს ყელსაბამის შესაკრავი ცხოველის თავის გამოსახულებით (ინაიშვილი, 1987, გვ. 130-131), კლდეეთის ოქროს საკიდები, სამაჯური გველის თავის სტილიზებული დაბოლოებით, ოქროსავე ცვარათი მორთული საკინძისთავი (ლომთათიძე, 1957, გვ. 37, 180, 187), ანდა ოქროს ირმის ქანდაკება თაგილონის განძიდან (Амиранашвили, 1935, გვ. 50), ხაიშის ოქროს სახლის მოდელი (ჯავახიშვილი, 1958, გვ. 149-157) და სხვ.

ძველი კოლხური ოქრომჭედლობის ტრადიციების გაგრძელება-შენარჩუნებასთან ერთად, რომაული ხანის დასავლურ ქართულ საიუველირო ხელოვნებაში ფართოდ ვრცელდება ახალი, ე.წ. „კლუაზონეს", ოქრომჭედლობის პოლიქრომული სტილი. ამგვარი სტილითაა შექმნილი რომაული ეპოქის დასავლეთ საქართველოს ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშები – გონიოს, კლდეეთის, ლოოს ფერადი ქვებით შემკული ბალთები. ასეთივე თვლებით ინკრუსტრირებულია გონიოს, კლდეეთის, ურეკის საკიდები თუ მშვილდსაკინძები და სხვ.

რაც შეეხება, პოლიქრომული სტილის წარმომაელობას, მის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა. უკანასკნელ ხანებში ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ პოლიქრომული სტილის წარმოშობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ყოფილა, რადგანაც მკვლევართა მტკიცებით, ამ ტიპის სამკაულებს რომაელები ნაკლებად იყენებდნენ, ხოლო ბოსფორსა და დუნაისპირეთში, ისინი ერთდროულად ჩნდება. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კი მთელი რომაული ხანის მანძილზე შეიმჩნევა უწყვეტი ტრადიცია პოლიქრომული სტილის არსებობისა (Бажан, Щукин, 1990, გვ. 84-85, 88-92). მართლაც, გონიოს, ციხისძირის, ურეკის, კლდეეთისა და ლოოს პოლიქრომული ოქრომჭედლობის ნიმუშების საოცარი მსგავსებაც, ამგვარ მოსაზრებას რეალურ საფუძველს უქმნის. ყოველ შემთხვევაში, ისინი ერთი კულტურული, ლოკალური სამყაროს კუთვნილებაა და ვფიქრობთ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უნდა იყოს დამზადებული. მაგრამ, ყოველივე ზემოთქმული როდი ნიშნავს, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის აღნიშნული პერიოდის საიუველირო ხელოვნება „ჩაკეტილი" ხასიათისაა და იგი საერთოდ მოწყვეტილი იყო რომაული სამყაროს ოქრომჭედლობის სკოლის ტრადიციებს.

ადგილობრივი ოქრომჭედლობის ნიმუშების გვერდით, გვხვდება რომაული ოქრომჭედლობის გაელენით დამზადებული ოქროს სამკაულები. ამგვარ ნაკეთობათა რიცხვს განეკუთვნება გონიოს ოქროს გარსაკრავები და წნული, ბიკონუსური ბურთულებით დაბოლოებული ძეწკვები, რომელთა პირდაპირი ანალოგი ცნობილია გერმანიიდან და ბრიტანეთიდან (Higgins, 1980, გვ. 160).

რომაულ სამყაროში ფართოდ გაერცელებული ნიმუშების გათვალისწინებით არის დამზადებული წებელდაში აღმოჩენილი, ზოგადად, III-VI სს. დათარიღებული საცობის ფორმის ოქ-

როს საკიდები სარდიონის თვლებით ინკრუსტრირებული (Воронов, 1975, გვ. 127) და ბიჭეინტის მარტივი ტიპის ოქროს წრილმაეთულიანი, სპირალურად ჩახვეული დაბოლოების მქონე საყურეთა ერთი ნაწილი, რომელიც ანალოგებით III-IVსს. თარიღდება (Higgins, 1980, გვ. 189). რაც შეეხება გონიოს „ტანმიშველა ჭაბუკის" ოქროს ქანდაკებას, რომელიც დიოსკურ-კორიბანტებთანაა გაიგივებული (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი, 1980, გვ. 24-25), მართალია, ძველი კოლხეთისათვის დამახასიათებელ თემატურ მოტივს იმეორებს, მაგრამ ამგვარი მოტივი არც სხვა სამყაროსთვის იყო უცხო.

როგორც ცნობილია, დიოსკურთა კულტი ფართოდ იყო გავრცელებული სპარტაში, ელევსინში, თრაკიასა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის მთელ რიგ ქვეყნებში (picard, 1956, გვ. 217). ძვ. წ. IV საუკუნიდან ფართო გავრცელება პპოვა მან, ასევე სირიაში (Gardner, 1879, გვ. 35-40). ამავე დროიდან პოპულარული ხდება იგი ჩრდილოეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთში (Шульц, 1969, გვ. 132).

იმპერიის ხანაში დიოსკურთა კულტის პოპულარობა თანდათანობით ეცემა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ეპოქაშიც მათ გამოსახულებებს არცთუ ისე იშვიათად ეხვდებით. მაგალითად, აბიდოსისა და ტარენტის ადრერომაული ხანის მონეტებზე წარმოდგენილია დიოსკურთა პორტრეტები (Кошеленко, 1968, გვ. 268). ახ. წ. IV-V სს. სასანიდური ხელოვნების ვერცხლის ჭურჭელზე დიოსკური და მისი წრის წარმომადგენლებია გამოსახული (Harper, 1965, გვ. 189).

დასავლეთ შავიზღვისპირეთში საკმაოდ ხშირად გვხვდება რომაული ხანის დიოსკურთა ბრინჯაოს ქანდაკებები (Огнева-Маринова, 1972, გვ. 127-128). მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დიონისოპოლში აღმოჩენილი ბრინჯაოსგან ჩამოსხმული დიოსკურის სკულპტურა (Димитров, 1981,

გვ. 48-49, სურ. Iა-გ), რომელიც იკონოგრაფიული და მხატვრულ-სტილისტური თვისებებით ძალზე ახლოს დგას გონიოს ტანშიშველა ჭაბუკის გამოსახულებასთან. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ დიოსკურთა კულტი რომაული სამყაროს არაერთ რეგიონში არსებობდა და მათი გამოსახულებათა ქანდაკებებიც არაერთგან მზადდებოდა.

ასე რომ, რომაული კულტურის გარკვეული ზეგავლენა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საიუველირო ხელოვნებამაც განიცადა, მაგრამ ეს მეტად უმნიშვნელო იყო და როგორც ითქვა, ის აღნიშნულ ხანაშიც ინარჩუნებდა დასავლურ ქართული კულტურის თვითმყოფადობას, ძველი კოლხეთის ოქრომჭედლობის სკოლის ტრადიციებს.

ახ. წ. I საუკუნიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ვრცელდება ლათინურენოვანი წარწერები. ბიჭვინტასა და სოხუმში აღმოჩენილია ლათინურ ენაზე შესრულებული წარწერების რამდენიმე ფრაგმენტი, რომელთა შორის ინტერესს იწვევს ბიჭვინტის ორი წარწერა. წარწერები, რომლებიც ქვიშაქვის ფილაზეა ამოკვეთილი, ჩვენი აზრით, ღვთაებებისადმი თუ იმპერატორებისადმი უნდა ყოფილიყო მიძღვნილი. პირველი წარწერის შინაარსი, ჩვენ ზემოთ უკვე გადმოვეცით. რაც შეეხება მეორე წარწერას, რომლის ძირითადი ტექსტიდან მხოლოდ სამიოდე ასოა შემორჩენილი, კონსულთა ვინაობა დგინდება:

- - - ] I [- - -]
[- - -] NOA [- - - ]
[Maxi]mo et Aeli[ano co(n)s(ulibus)]

მაქსიმილიანე და აელიანო 223 წლის კონსულები არიან. ამრიგად, წარწერა გვიჩვენებს გარნიზონის ცხოვრების ეპიზოდს პიტიუნტში ახ.წ. 142 წლიდან 255 წლამდე (Speidel, Todua, 1988, გვ. 58).

ძირითადად ამით ამოიწურება საქართველოს ზღვისპირეთში ლათინურ ენაზე შესრულებული წარწერები, რომელთა რიცხვი ბერძნულენოვანთან შედარებით ძალზე მინიმალურია. ბიჭვინტაში აღმოჩენილი იმ არცთუ ისე მცირერიცხოვან ბერძნულენოვანი გრაფიტოებიდან და წარწერებიდან, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერთი წარწერა. იგი კირქვაზეა ამოკვეთილი, შელამაზებული, მდიდრულ სტილშია შესრულებული. წარწერის ფრაგმენტულობის გამო, შესაძლებელია მხოლოდ მისი პირველი სტრიქონის აღდგენა:

[ὑ]πέρ νίκ[ης καίσωτηρίας τού κυρίου
„ჩვენი ღვთაების (მეუფის) კეთილდღეობისა და
გამარჯვებისათვის".

ამგვარი ფრაზა, როგორც ცნობილია, ძალზე გავრცელებული იყო III-IV სს. კერძო თუ ოფიციალურ დოკუმენტებში. ასოებიც იმავე საუკუნის სტილისაა. წარწერა დოკუმენტურად ადასტურებს თარიღს იმ ფენისას, სადაც ის აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, რომაული ხანის საქართველოს ზღვისპირეთში გაბატონებული ენა კვლავინდებურად ბერძნული იყო, ხოლო ლათინურს მოკრძალებული პოზიცია ეკავა. ამ უკანასკნელმა, ფაქტობრივად ვერ მოიკიდა ფეხი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და ისევე როგორც ბერძნულად მოსაუბრე აღმოსავლეთში (Gilliam, 1986, გვ. 281-282), იგი აქ მხოლოდ რომაული ადმინისტრაციისა თუ არმიის ოფიციალურ ენას წარმოადგენდა.

ადგილობრივი და რომაული კულტურის ელემენტების თანაარსებობა შედარებით უფრო მკაფიოდ ჩანს კოლხეთის პანთეონში, რომელშიც ორი პერიოდი გამოიყოფა: პირველი პერიოდი, წარმართული, ახ.წ. I-III სს. განისაზღვრება და პოლითეისტურობით ხასიათდება. მეორე პერიოდი IV ს. – ეს ის ხანაა,

რიოლესაც დასავლეთ საქართველოში გაბატონებული ჩანს ქრისტიანული რელიგია.

ახ.წ. I-III სს-ის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის პანთეონი, წინა ეპოქის დასავლეთი საქართველოსათვის უცნობი კულტების სიჭარბით არ გამოირჩევა. პირიქით, მასში ნათლად ჩანს ძველი კოლხეთისათვის დამახასიათებელი რწმენა-წარმოდგენები. ამ მხრივ, ყურადღებას იპყრობს ღმერთების დიდი დედის კულტი, რომელიც ძალზე პოპულარული იყო ანტიკური ხანის ფასისში. მისი ქანდაკების აღწერა არიანემ დაგვიტოვა (PPE, 9). არიანე მას ფასისელთა ქალღმერთს უწოდებს და რეა—კიბელას ამგვანებს. მკვლევართა აზრით, ფასიანელი ქალღმერთი კოლხური პანთეონის წარმომადგენელი იყო (Лордкипанидзе, 1970, გვ. 117). ის ღმერთების დიდ დედასა და მხეცთა მფარველს წარმოადგენდა. ამავე დროს, იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მზის კულტთან, ვინაიდან მზის წილადი ღვთაებები მისი შვილები იყვნენ.

ანალოგიურ კულტებს თაყვანს სცემდნენ ბერძნულ-რომაული სამყაროს მთელ რიგ რეგიონებში და მათ შორის მცირე აზიაშიც. ამიტომაც შემთხვევითი არაა, რომ არიანემ ის რეა-კიბელას მიამსგავსა. ამ უკანასკნელს ჰქონდა მრავალი ეპითეტი და სახელწოდება. მაგალითად, ფრიგიაში იგი იწოდებოდა „ფრიგიელთა ქალ-ღვთაებად", პესინუნტში „პესინუნტელთა ქალღმერთად" და ა.შ. (Harrison, 1927, გვ. 246). ანალოგიური წარმოშობისაა ეპითეტი „ფასიანელთა ქალღმერთი".

არიანე დაბეჯითებით არ ამბობს, რომ ფასიანელთა ქალღმერთი რეა-კიბელაა. მან მხოლოდ იგი გარეგნული ნიშნების მიხედვით მიამსგავსა, რადგან ხელში წინწილა ეჭირა და მისი სავარძლის წინ იწვნენ ლომები. მკვლევართა აზრით, ეს ქალღმერთი განსაკუთრებით პოპულარული იყო ადრეანტიკურ და ელინისტური ხანის კოლხეთში (Лордкипанидзе, 1970, გვ. 117).

როგორც ჩანს, მას რომაულ ხანაშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ალსანიშნაეია, რომ რომაულ ხანაში ფასიანელთა ქალღმერთი, ანუ დიდი დედის კულტი რომაელებმა არტემიდესთან გააიგივეს. ზოსიმე გადმოგვცემს, რომ იმპერატორ ვალერიანეს დროს გუთები თავს დაესხნენ ფასისს, კერძოდ, არტემიდეს ფასიანელთა ქალღმერთის ტაძარს, მაგრამ გუთებმა მისი აღება ვერ შეძლეს. (Zos., Hist., nova, I, გვ. 32-33). ცნობილია, რომ ორი სხვადასხვა სახელწოდების კულტის გაიგივება ჩვეულებრივი მოვლენა იყო ბერძნულ-რომაულ მითოლოგიაში, მით უმეტეს, როცა ზემოთ აღნიშნული ღვთაებები შინაარსობრივად ერთმანეთთან ახლოს იდგნენ. როგორც არტემიდე, ასევე ფასიანელი ქალღმერთი ბუნების, ნაყოფიერების, ცხოველთა მფარველი ღვთაებები იყვნენ. გამორიცხული არ არის, რომ რეა-კიბელას ტიპის ფასიანელ ქალღმერთს თაყვანს სცემდა ციხე-ქალაქის ბერძნულ-რომაული მოსახლეობაც.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმული მოწმობს იმაზე, რომ „ფასიანელ ქალღმერთს“ ანუ „დიდი დედის“ კულტს რომაულ ხანაშიც განსაკუთრებული ადგილი ეკავა არა მარტო ფასისის ღვთაებათა იერარქიაში, არამედ საერთოდ კოლხეთის პანთეონში. სწორედ მას დაუთმო ადგილი აპოლონ წინამძღოლის კულტმა, რომელიც ასე პოპულარობით სარგებლობდა წინა ეპოქის კოლხეთის, განსაკუთრებით კი მისი ბერძნული მოსახლეობის წრეში (შდრ. Лордкипанидзе, 1970, გვ. 114-115.). ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ არიანე საერთოდ არაფერს ამბობს ფასისში აპოლონის ტაძრის არსებობის შესახებ. როგორც ჩანს, ძვ. წ. 48-47 წწ. შემდგომ, როდესაც ტაძარი გაძარცულ იქნა ფარნაკე II და მითრიდატე პერგამონელის მიერ, აპოლონის კულტი არ აღდგენილა. შესაძლოა, იგი კოლხეთში ადგილობრივ მზის ღვთაებასთან ასოცირებულიყო. აპოლონი ხომ პირდაპირ იწოდებოდა ჰელიოსად. მასზე გადატანილ იქნა მზის ყველა ფუნ-

ქცია, ხოლო მზე მუდამ იყო კოლხთა უზენაესი ღვთაება. ჯერ კიდევ ჰომეროსისათვის ცნობილი იყო, რომ აია ქვეყნის გამგებელი მზის შვილია, რომ იგი, ისევე როგორც მისი და კირკე, „იშვა მომაკვდავეთ-მანათობელი ჰელიოსისაგან" (Odyss., X 137-138).

ბერძენთა შორის გავრცელებული ასეთი შეხედულება აიეტის წარმომავლობაზე, რომელსაც ერთხმად გვიანდელი ავტორებიც (ჰეროდე, ევმელოს კორინთელი და სხვა) იმეორებდნენ, სრულებით არაა შემთხვევითი და, როგორც ჩანს, იგი კოლხური რწმენა-წარმოდგენების რეალური ასახვაა.

კოლხთა მიერ მზის როგორც უმაღლესი ღვთაების თაყვანისცემა წარმართული კალენდრის ანალიზითაცაა დადგენილი (ჯაეახიშვილი, 1983, გვ. 164). ამასვე მოწმობს არქეოლოგიური მასალაც. კერძოდ, დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ოქროსა და ბრინჯაოს ზოგიერთ საგანზე, აგრეთვე თიხის ჭურჭელზე გამოსახულია სვასტიკები, რომლებიც მზის სიმბოლოებადაა აღიარებული (Лордкипанидзе, 1979, გვ. 56, 93-94).

მზისადმი თაყვანისცემა და მისი სიმბოლოების სხვადასხვა საგანზე გამოსახვა ახ.წ. პირველ საუკუნეებშიც გრძელდებოდა. ამაზე მიუთითებს გონიოს განძში შემავალი ოქროს საკიდი-მედალიონი მზის ღვთაების – ჰელიოსის გამოსახულებით და ამავე განძის №7 ბალთაზე გამოსახული მზის სიმბოლო-ვარდული (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი, 1980, გვ. 13). ამგვარ სიმბოლოს ვხვდებით, აგრეთვე კლდეეთისა (ლომთათიძე, 1957, გვ. 30) და ლოოს (Иванова, Голубев, 1961, გვ. 284) მოთვალულ ბალთებზე. მოგვიანებით ადგილობრივი მზის ღვთაება უნდა დაახლოებოდა მითრას კულტს, რომელიც ჩვენში ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული მითრიდატე VI-ის ეპოქიდან. როგორც ცნობილია, მითრიდატე VI, მითრა – მზის შვილად ითვლებოდა. ამაზე მიუთითებს, ასევე მითრიდატიდების დინასტიის საგვარეულო სახელიც - „Μιτραδάτης", ანუ „ღვთის მოსავი".

დასავლეთ საქართველოში მითრას კულტს განსაკუთრებით ფეხი უნდა მოეკიდა ახ.წ. პირველ საუკუნეებში, რადგან რიმაულ ბანაკებში „დიად იუპიტერთან" ერთად ოფიციალურ კულტად მითრაც ითვლებოდა (Соломоник, 1973, გვ. 58, Mocsy, 1962, გვ. 736). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ კულტის ადეპტთა შორის იყვნენ არა მარტო რომაელი ჯარისკაცები, არამედ ადგილობრივი მოსახლობაც. სწორედ მითრა იყო წარმართულ საქართველოში წმ. გიორგის წინამორბედი ღვთაება, თუმცა მისი კავშირი მთვარის ღვთაებასთან არ უნდა გამოირიცხოს. ქართველი ხალხის აზროვნებაში წმ. გიორგის მთვარის ღვთაების ადგილი ეკავა. თუ ამ საკითხს სინკერტიზმის პრინციპით განვიხილავთ, არაფერი იქნება იმაში მოულოდნელი, რომ წმინდა გიორგის გენეტიკურად მთვარის ღვთაებაც უკავშირდებოდეს. ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს არა მარტო წმ. გიორგის კულტისადმი მიძღვნილ რიტუალებში დაცული მთვარისა და მზის თაყვანისცემის გადმონაშთები, არამედ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადრე შუა საუკუნეების ხანის ორი სტელა წმინდა გიორგის გამოსახულებით, სიცოცხლის ხესა და ასტრალურ ნიშნებთან (მზე, მთვარე, ვარსკვლავი) ერთად (დუნდუა, 1975, გვ. 341). მკვლევართა აზრით, ეს გამოსახულება გენეტიკურად უკავშირდება ტრაპეზუნტის ახ.წ. II ს. სპილენძის საქალაქო მონეტების კომპოზიციას, სადაც ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგის წინამორბედი ღვთაებაა გამოსახული (დუნდუა, 1975, გვ. 340-341).

სინკრეტიზაციის პროცესის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე სოხუმში, რომაული ხანის სადარაჯო კოშკთან აღმოჩენილი ადგილობრივი წარმოების ჭრაქი ბერძნული წარწერით:

| | |
|---|---|
| Πειράσεις | „მოგზაურო |
| προσκυνει | თაყვანი ეც |

| | |
|---|---|
| κύριν ἑρμην | მეუფე |
| Μαρκύριν | ჰერმეს-მერკურის |
| ὑπὲρ σωτηρίας | გადარჩენისათვის" |

თ. ყაუხჩიშვილი ამ წარწერაში ვაჭრობის ღვთაებას - ჰერმეს-მერკურის ხედავს. „სოხუმის ჭრაქის წარწერის შინაარსი – წერს მკვლევარი – მოწმობის იმას, რომ ვაჭრები, რომლებსაც უხდებოდათ შორეული მოგზაურობა გვიანანტიკურ ხანაში, თაყვანს სცემდნენ თავიანთ ღვთაებას, რათა მათთვის მფარველობა გაეწია" (Каухчишвили, 1958, გვ. 129-133).

თ. ყაუხჩიშვილის ეს შეხედულება არ გაიზიარა ლ. ელნიცკიმ (Ельницкий, 1962, გვ. 228-233). მისი აზრით, წარწერაში იგულისხმება ჰერმესი არა როგორც ვაჭრობის ღმერთი, არამედ ჰერმეს ტრისმეგისტოსი, რომლის კულტი ახ. წ. II საუკუნიდან რომის იმპერიაში ეგვიპტიდან გავრცელდა და იგი განსაკუთრებით პოპულარული იყო მის აღმოსავლეთ პროვინციებში (Ельницкий, 1964, გვ. 43). იქ მას ჰადესში სულთა გაცილების ფუნქცია ეკისრებოდა და მითრაიზმთან ერთად ადრეული ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე იყო. ამგვარი ვარაუდის საფუძველს მკვლევარს აძლევს მეორე და მესამე სტრიქონს შორის გამოსახული მზის დისკო და თვით წარწერის ფორმულა. ლ. ელნიცკის მიხედვით ზმნა πειράω – „შედგომა", „წამოწყება", „შესრულება" არცთუისე იშვიათია ეგვიპტის ელინისტური ხანის პაპირუსებში ჰერმესთან დაკავშირებით. იგი გვხვდება ჰერმესისადმი მიძღვნილ ჰომეროსის ჰიმნებში. ეს ზმნა ხშირია ადრე ქრისტიანულ ლიტერატურაში (Just., Martyr., Dial C Thryph. Jud., 117,7), ხოლო ზმნა προσκύνω - „თაყვანისცემა", კლასიკურ პერიოდში, ძირითადად, აღმოსავლური კულტების მიმართ იხმარებოდა. ადრექრისტიანულ ლიტერატურაში მას ამავე შინაარ-

სით ვხვდებით (Dionys. Alex., Ep. ad German., Euseb., Hist., eccb., 7,11,8).

ჰერმესის საკულტო სახელწოდება Μερκούριος იმპერიის აღმოსავლეთ რეგიონში ეპიგრაფიკულადაცაა დადასტურებული (GIG II, 3705), მაგრამ ბერძნული და ლათინური სახელწოდებების შეხამება უნიკალურია. ძალზე საყურადღებოა, აგრეთვე ღვთაების ლათინური სახელწოდების დამახინჯებული ფორმა, რომელიც Μαρτυρος უტოლდება. ეს ზედსართავის სახელი ხშირად იხმარებოდა ადრექრისტიანულ და მასთან დაახლოებული კულტების მიმართ „ჭეშმარიტი ღმერთის“ კონტექსტში ὁ θεὸς სახით.

ეპითეტი κύριος, ასევე საკმაოდ ჩვეულებრივი იყო როგორც ქრისტესთვის, ისევე სხვა მისტიური ღვთაებებისათვის. ხოლო სიტყვა ὑπερ σωτηρίας ლ. ელნიცკის მიაჩნია ჰერმეტიული ლიტერატურის წარმოდგენად ჰერმესზე როგორც უკვდავებისა და იმქვეყნიური სულთა დაცვის უზრუნველმყოფელ ღვთაებაზე (Ельницкий, 1964, გვ. 44). ამავე წარმოდგენის წრეს მიეკუთვნება ჰერმესის ისეთი ეპითეტები როგორიცაა ψυχοπομπός და ψοχοταμιας. მართალია, ჰერმესის ქანდაკებებსა თუ მისი სახელის აღმნიშვნელ წარწერიან საგნებს ხშირად ატანდნენ ხოლმე მიცვალებულთ.[4] ამიტომაც მკვლევარები ამ ღვთაებას იმქვეყნიურ წარმოდგენებს უკავშირებენ (Соломник, 1973, გვ. 69). მაგრამ ჩვენი წარწერა საიქიო წარმოდგენას არ უნდა უკავშირდებოდეს. ვფიქრობთ, იგი საკულტო ხასიათისა უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ჯერ ერთი, ის ნამოსახლარზეა აღმოჩენილი და არა

[4] ჰერმესის გამოსახულებას ვხვდებით ქერჩის სარკოფაგების კედლებზე (Ростовцев, 1911, გვ. 127). ხერსონესის სამარხებში კი დადასტურებულია ჰერმესის სახელის აღმნიშვნელი წარწერიანი დოქები, თასები, კანთაროსები და სხვ.(Соломоник, 1973, გვ. 62,69)

სამარხში. გარდა ამისა, რომაული ხანის დასავლეთ საქართველოს სამარხებისათვის არ არის დამახასიათებელი ჭრაქების ჩატანების ტრადიცია. ნიშანდობლივია, რომ ბიჭვინტის არც ერთ სამარხში არ დადასტურებულა ჭრაქების ჩატანების ფაქტი. ასეა თუ ისეა, ერთი კი ცხადია: სოხუმის ჭრაქის წარწერის შინაარსში ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს ადრეული ქრისტიანობასთან მიახლოებულ კულტთან, თუმცა კი მის მოწინააღმდეგესთან.

ახ.წ. პირველ საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ამ ციხე-ქალაქში, რომ ქრისტაინობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფეხი მოკიდებული და აქ კვლავ წარმართული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები ჩანს გაბატონებული, ამაზე გარკვეულწილად მიუთითებს, აგრეთვე სოხუმში აღმოჩენილი II-III სს. ფანტასტიკური მამაკაცის გამოსახულება, რომელიც კულტის მსახურს განასახიერებდა და შესაძლოა ადგილობრივ სამიწათმოქმედო ღვთაებას უკავშირდებოდეს. წარმართული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები საკმაოდ ძლიერი ჩანს ახ.წ. II-III სს. ბიჭინტაშიც. ამის მკაფიო ილუსტრაციაა ზემოთ აღწერილი ე.წ. „მეთევზის" ქანდაკება, რომლის სახითაც, შესაძლოა, ჩვენ საქმე გვქონდეს რომელიღაც სინკრეტიზირებულ ღვთაებასთან.

ადრეული ხანის რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ტრადიციების გაგრძელება თუ აღორძინება ნათლად ჩანს, ასევე კერამიკული ნაწარმის ორნამენტაციის ცალკეულ ელემენტებში. წებელდაში აღმოჩენილ, ახ.წ. III-V სს. დათარიღებულ მსხლისებური მოყვანილობის ხელადებზე გამოსახულია სპირალური მოტივები, რომლებიც ქართულ კერამიკაში ფართოდ გავრცელებული ჩანს ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში და მთვარის კულტს უკავშირდება. რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა, ასევე ჯამისებრ პირიან დოქებზე შესრულებულ ტალღოვან ორნამენტებს, რომლებსაც მკვლევარები ნაყოფიერების კულტს უკავშირებენ (Логинов, 1963, გვ. 657). ამ მოტივის გარდა, აღნიშნული ტიპის დოქებზე გვხვდება, მცენარეული, ვველისებრი და რომბისებრი

კომპოზიციები, რომლებიც გენეტიკურად ენათესავებიან კოლხეთის ადრეანტიკური ხანის კერამიკის სიმბოლიკებს და ისინი ინტერპრირებულია როგორც „კაუჭიანი რომბი“, „ცხოვრებისა და სიუხვის ხე“, „კეთილი ველი“ (ბერძენიშვილი, 1959, გვ. 107).

ახ. წ. პირველი საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ციხე-ქალაქების პანთეონში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მაგიას. იმ მრავალგვარი მაგიური ჩვეულებებიდან, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მეტ-ნაკლებად იყო გავრცელებული, დასავლეთ საქართველოს ციხე-ქალაქებში ცნობილი იყო სასიყვარულო მაგია. ამის დასტურია სოხუმის ახ.წ. IIს. წითელლაკიან ჭრაქზე გამოსახული სამი გრაციის რელიეფური გამოსახულება (Трапш, 1969, გვ. 347), რომელიც საკმაოდ პოპულარული სიუჟეტი იყო მთელ რომაულ სამყაროში და ის ყველგან მაღალ პროფესიულ დონეზე სრულდებოდა. ანალოგიური სიუჟეტია გამოსახული, აგრეთვე ბიჭვინტის ნეკროპოლის №64 სამარხში აღმოჩენილ გემიან ბეჭედზე, (Лордкипанидзе, Кигурадзе, Тодуа, 1987, გვ. 58, ტაბ. XII, 7), რომელიც შესრულების ტექნიკის მიხედვით, საკმაოდ ჩამოუვარდება სებასტოპოლისის კომპოზიციას. ამ თვალსაზრისით, სებასტოპოლისის სიუჟეტი ახლო დგას ბარკინოს (ესპანეთი) მოზაიკაზე შესრულებულ სამ გრაციასთან (henig, 1983, გვ. 56, 151), მაგრამ სტილისტურად მის უახლოეს ანალოგს წარმოადგენს ამისოში აღმოჩენილი კირქვის ფილაზე გამოსახული სამი გრაცია, რომელიც ახ.წ. II ს. თარიღდება (Хайнд, 1964, გვ. 182, სურ. 8).

ადგილობრივი რელიგიური რწმენა-წარმოდგენების გვერდით, ახ.წ. პირველ საუკუნეების საქართველოს ზღვისპირეთში წინანდებურად განაგრძობდნენ არსებობას ბერძნული წარმოშობის ღვთაებები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ელინისტური ხანის კოლხეთში. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება დიონისე, რომლის ქანდაკების შესახებ ჩვენ ზემოთ

შკვე გვქონდა საუბარი. დიონისეს კულტის პოპულარობაზე მიუთითებს, ასევე მაცესტასა (Шамба, 1970, გვ. 232-237) და ბიჭვინტაში (Шамба, 1976, გვ. 158-163) აღმოჩენილი ვერცხლის კანთაროსზე და ვერცხლისავე თასზე გამოსახული ამ ღვთაების წრის პერსონაჟები.

დიონისეს გარდა, არსებობას განაგრძობდა, აგრეთვე დიოსკურთა კულტი, რომელიც თავის დროზე ქალაქ დიოსკურიადის მფარველი ღვთაება იყო. გონიოს განძში შემავალ ნივთებს შორის დიოსკურის ოქროს ქანდაკება ფიგურირებს, რაც ამ კულტის სიცოცხლისუნარიანობის მაჩვენებელია. ახ. წ. პირველი საუკუნეების საქართველოს ზღვისპირა ციხე-ქალაქებში, კერძოდ პიტიუნტის პანთეონში საპატიო ადგილი ეკავა ბედისა და შემთხვევის ქალღმერთს – ტიხე-ფორტუნას, რომლის გამოსახულებაც ზემოხსენებულ ვერცხლის სამკლაურზეა წარმოდგენილი.

ადრეული ხანის რწმენა-წარმოდგენებსა და მსოფლმხედველობასთან მჭიდრო კავშირი შეიმჩნევა დაკრძალვის წესში. ამ მხრივ საყურადღებოა კლდეეთის, წებელდისა და ბიჭვინტის სამაროვანზე დადასტურებული ცხენიანი სამარხები. ეს წესი დასავლეთ საქართველოში ცნობილი იყო ჯერ კიდევ ადრე რკინის ხანიდან: ამ პერიოდის ცხენიანი სამარხები გამოვლენილია კულანურხვისა და წითელი შუქურის სამაროვანზე, რომლებიც, შესაბამისად, ძვ.წ. VII-VI და VI სს. თარიღდება (Трапш, 1969, გვ. 90). საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული, აგრეთვე მიცვალებულისათვის მონეტის ჩატანების წესი, რომელიც დასავლეთ საქართველოში ძვ.წ. V საუკუნიდან ვრცელდება. ბიჭვინტის, კლდეეთისა და ძევრის სამარხებში დაფიქსირებულია ე.წ. „ქარონის ობოლები", რომლებიც მიცვალებულებს ადრეული ეპოქის წესის მსგავსად, პირსა და ხელში ედოთ.

ძველი რელიგიური კულტებისა თუ წეს-ჩვეულებების გვერდით წარმოდგენილია ახალი, მთელ რომაულ სამყაროსათ-

ვის დამახასიათებელი ღეთაებები და მსოფლმხედველობა. ბიჭვინტაში, ახ.წ. II-III სს. თაყვანს სცემდნენ რომის სახელმწიფოსა და არმიის მთავარ ღვთაებას – იუპიტერს. ამის დასტურია ნაქალაქარზე აღმოჩენილი იუპიტერის ბრინჯაოს ქანდაკება (ტაბ. VII, 12), რომელიც მაღალი ოსტატობითაა შესრულებული. ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდის ბიჭვინტის გლიპტიკურ მასალაში ომისა და ლეგიონებთან დაკავშირებული სიუჟეტები დომინირებენ (თოდუა, 1992, გვ. 147). პიტიუნტის №70 სამარხში აღმოჩენილი გემა ხელის ჩამორთმევის გამოსახულებით, რომელიც ოდესღაც საქორწინო თანხმობას ნიშნავდა, „მეომართა თანხმობისა" თუ პოლიტიკური კავშირის სიმბოლოდ გვევლინება. ამგვარი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ თემას, რომაული სამყაროს სხვადასხვა რეგიონში – ბრიტანეთის ქალაქებსა (Henig, 1983, გვ. 101-102) და თრაკიაში (Димитрова-Милчева, 1980, გვ. 86-87), სადაც გვხვდება კიდეც ჩვენი გემის ზუსტი ანალოგები.[5]

ლეგიონერთა კულტებს უკავშირდება, აგრეთვე ბიჭვინტურ გემებზე გამოსახული კიბორჩხალა, ლომი, (ტაბ. VII, 1), მორიელი, კუპიდონი (ტაბ. VII, 2), რომლებიც ადრე ასტრალურ ღვთაებათა სიმბოლურ ნიშნებად ითვლებოდა (Неверов, 1983, გვ. 121).

პიტიუნტის პანთეონში არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ზღვის ღვთაებებს. ბიჭვინტის საერო მოზაიკის ფრაგმენტებზე კარგად ჩანს ზღვის მითოლოგიურ პერსონაჟთა ზოგიერთი სახე, რომელთა შორის საყურადღებოა დელფინის გამოსახულება (ჭყონია, 1978, გვ. 211). ბერძნულ თქმულებებში დელფინი ადამიანის მეგობრად არის წარმოდგენილი. ზოგჯერ ის პოსეიდონის ატრიბუტია. ანტიკურ მოზაიკებში დელფინი ხშირად ნერეიდასთან არის გამოსახული, ზოგჯერ კი ეროტთან ერთად.

---

[5] საქართველოში ბიჭვინტის გარდა, ხელის ჩამორთმევის გამოსახულებიანი გემა აღმოჩენილია ურბნისში (ჭილაშვილი, 1964, გვ. 50).

ბიჭვინტის ხსენებული მოზაიკის ფრაგმენტებზე დელფინთან ერთად წარმოდგენილია ზღვის მითოლოგიური ურჩხული—ტრიტონი და თევზის გამოსახულებები. ეს უკანასკნელი მეტად ხშირია სახვით ხელოვნებაში. თევზის გამოსახულებები, სხვა სიმბოლოებთან ერთად, საქართველოში ცნობილი იყო ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან. თქმულებებში თევზი წყლის სტიქიის გამომსახველი მაგიური თვისებების მქონედაა მიჩნეული და უკავშირდებოდა ნაყოფიერების კულტს (Робакидзе, 1948, გვ. 121-123) . ქრისტიანულ ეპოქაში თევზი ამ რელიგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ატრიბუტად იქცა.

ახ. წ. I საუკუნიდან გარკვეული ინოვაციები შეიმჩნევა, აგრეთვე დაკრძალვის წესში. სიახლენი მკაფიოდ ჩანს ბიჭვინტისა და ციხისძირის სამაროვანზე. ბიჭვინტაში სამარხთა ერთ-ერთ გავრცელებულ ტიპს შეადგენს ხსნარიანი სამარხები, რომლებიც სრულიად უცხო იყო წინამორბედი ხანის დასავლეთი საქართველოს დაკრძალვის წესისათვის, თუმცა მას ანალოგი რომაულ სამყაროშიც არ მოეპოვება.[6] ეს მეტად უჩვეულო ტიპის სამარხები ხსნარის სქელ ფენაშია ჩაფლული, ყოველგვარი მოპირკეთების გარეშე. II-III და IV-V სს. ბიჭვინტასა და ციხისძირში ფართოდ ჩანს გავრცელებული ბერძნული დაკრძალვის წესისათვის დამახასიათებელი ამფორა სამარხები (ტაბ. VI, 7-8), რომლებიც მანამდე თითო-ოროლა სახით იყო წარმოდგენილი (თოლორდავა, 1980, გვ. 18).

ცვლილებები შეინიშნება, ასევე მიცვალებულთა პოზაში. განსხვავებით წინარე ხანის კოლხეთის სამარხებისაგან, წებელდის, ძევრის, ციხისძირის ორმოსამარხებში მიცვალებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დაკრძალულია გულაღმა, გაშოტილ

---

6 მსგავსი კირხსნარიანი სამარხები ჯერჯერობით დადასტურებულია ლიბიაში და ისინი V-VI სს. თარიღდება (Testini, 1958, გვ. 221-292, სურ. 104), მაგრამ კონსტრუქციით, ბიჭვინტური კირხსნარიანი სამარხებისაგან განსხვავდებიან.

მდგომარეობაში (კვიციანი, 1997, გვ. 150). ანალოგიური მდგომარეობაა, ასევე დაფიქსირებული ბიჭვინტის თითქმის ყველა ტიპის სამარხებში. სიახლენი ჩანს სამარხეული ინვენტარის შემადგენლობაშიც. ამ ხანის სამარხეული ინვენტარის ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტს რომაული სამყაროს სამაროვნებისათვის დამახასიათებელი მინის ჭურჭელი შეადგენს.

საკმაოდ ხშირად გვხვდება სამარხებში აღნიშნული სამყაროსათვის სპეციფიური ტანსაცმლის აღკაზმულობის ელემენტები – ფიბულები, აბზინდები, ხოლო ნაკლებად სამკაული-გემები, ოქროსა და ვერცხლის საყურეები, ბეჭდები.[7]

ადრეული ეპოქის სამარხებთან შედარებით, ბიჭვინტისა და ციხისძირის არც ერთ სამარხში არ დაფიქსირებულა იარაღსაჭურველი. მიუხედავად ამგვარი სიახლეებისა, იმქვეყნიური სამყაროს შესახებ წარმოდგენები არ შეცვლილა და იგივე რჩებოდა. რაც შეეხება სამარხეული ინვენტარის ასორტიმენტის ცვლილებებს, იგი აიხსნება არა მარტო საკულტო წარმოდგენების გადასხვაფერებით, არამედ იმ ძვრებით, რასაც ადგილი ჰქონდა რომაული სამყაროს საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში.

ამრიგად, ახ. წ. I-III სს. კოლხეთის პანთეონი სიახლეებით არ ხასიათდება. იგი კელავინდებურად პოლითეისტური ხასიათისა იყო. მაგრამ ამავე დროს ივარაუდება მონოთეისტური რელიგიის გავრცელება და ადრეული ქრისტიანული თემების არსებობა (თოდუა, 1992, გვ. 148). მართლმადიდებლურ საეკლე-

[7] აღსანიშნავია, რომ პიტიუნტისა და ციხისძირის სამარხები რომაული სამყაროს სამაროვნებისაგან სპეციფიური თავისებურებებითაც გამოირჩევა. კერძოდ, აღნიშნული პუნქტების სამაროვნებზე არ დადასტურებულა ტიპიური რომაული სტელები, რაც აქაური სამხედრო-სამოქალაქო მოსახლეობის განსხვავებული ეთნოსოციალური შემადგენლობით უნდა აიხსნას.

სიო ტრადიციებს რამდენადმე ეთანხმება ბიჭვინტის სამარხეული ძეგლები.

მართალია, ბიჭვინტის სამარხებში ჯერჯერობით არ არის დადასტურებული ადრექრისტიანული სიმბოლურნიშნიანი ნივთები, მაგრამ მიცვალებულთა გაპატიოსნება-დაკრძალვის ქრისტიანულ წესს კი ვხვდებით. მაგალითად, №230, 237, 305, 316, 319, 321 სამარხებში, რომლებიც მასში წარმოდგენილი ინვენტარის მიხედვით II-III სს. თარიღდება, მიცვალებულები დასვენებულია გულაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ, ხელები მუცელზე ან მკერდზე აქვთ დაკრეფილი ჯვრის სახით.

312 წ. „მილანის ედიქტის" მიღების შემდეგ, ბიჭვინტაში ადრექრისტიანულმა თემმა ლეგალური მოღვაწეობა დაიწყო. აქ 325 წლისათვის უკვე არსებობდა მთელ ქრისტიანულ სამყაროში ავტორიტეტული საეპისკოპოსო კათედრა. ამ სამრევლოს მეთაურმა—ეპისკოპოსმა სტრატოფილემ მონაწილეობა მიიღო ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელიც მცირე აზიაში (ბითვინია), კონსტანტინე დიდის კარზე ჩატარდა. საეკლესიო იერარქიის მხრივ პიტიუნტის ეპარქია ნეოკესარიის მიტროპოლიტს ემორჩილებოდა (ამირანაშვილი, 1944, გვ. 113).

როგორც ცნობილია, პირველი ქრისტიანული თემები და ადრექრისტიანობასთან დაკავშირებული ერესები მცირე აზიის ქალაქებში აღმოცენდნენ (Ранович, 1959,გვ. 364, 369). აქედან ის გავრცელდა ევროპაში, სადაც პირველი ქრიტიანული თემები, ისევე როგორც პიტიუნტში, ქალაქებში ჩამოყალიბდა. როგორც უკანასკნელი წლების არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებმა ავსტრიასა და გერმანიაში უჩვენა მარტივი, დარბაზული ტიპის მემორიალური ეკლესიები იქ IV ს. პირველ ნახევარში შენდებოდა (Hannsjorg, 1982, გვ. 300-302).

ადრეული ქრისტიანული თემების სიმცირის გამო სპეციალური „ღვთის სახლი" არ შენდებოდა. შესაბამისად მათ პროფე-

სიონალი თანამდებობის პირებიც არ ჰყავდათ. დემოკრატიული თემიდან რთულ საეკლესიო ორგანიზაციაზე გადასვლის შემდეგომ როგორც საეპისკოპოსო ეკლესიების, ასევე „ნორმალური კულტისათვის" გათვალისწინებული ბაზილიკების მშენებლობა რომის იმპერიის პროვინციულ ქალაქებში IV ს. იწყება და განსაკუთრებულ აღმავლობას V ს. აღწევს (Grabar, 1966, გვ. 5). ეპისკოპოსთა რეზიდენცია ქალაქებში არსებობდა და მხოლოდ ეპისკოპოსს ჰქონდა უფლება ახალი ეკლესიებისა და მონასტრების მშენებლობაზე ნებართვის გაცემისა. მის კომპეტენციაში შედიოდა, აგრეთვე საღმრთო თანამდებობების – მღვდლების, დიაკვნების, კლირიკების და სხვა სამონასტრო დამრიგებლების ხელმძღვანელობა. მათ ფინანსურ მოღვაწეობას კი კონტროლს უწევდა მიტროპოლიტი, რომელიც ამავე დროს თეალყურს ადევნებდა პატრიარქის განკარგულებების შესრულებას (Робертсон, 1956, გვ. 262).

ამრიგად, IV ს. პირველ ნახევარში პიტიუნტი იყო არა მარტო რომაული კასტელუმი, არამედ ქალაქიც ორგანიზებული ადრექრისტიანული თემით,[8] რომელიც შესაძლოა, სინამდვილეში ფლობდა კიდეც გარკვეულ მიწის ნაკვეთებს.

მამასადამე, პიტიუნტის ეპისკოპოსის უფლება-მოვალეობანი საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, თუმცა მისი ძალაუფლება პირველ ხანებში ციხე-ქალაქის კედლებსა და მის არცთუ ისე დიდ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის ფარგლებს არ გასცილებია. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ყველაზე ადრეული, დარბაზული ტიპის ეკლესია აშენდა პიტიუნტის რომაული კასტელუმის სიახლოვეს. ეს ცალნავიანი ეკლესია სა-

---

[8] პიტიუნტის ადრექრისტიანული თემის სიცოცხლისუნარიანობაზე გარკვეულწილად მიუთითებს, სამაროვნის ცენტრალურ ნაწილში, წრიული ნაგებობის ნამალში აღმოჩენილი, IV ს-ით დათარიღებული ქვიმაქვისაგან დამზადებული საფლავის ქვა რკინის ჯვრით (იხ. Лордкипанидзе, Кигурадзе, Тодуа, 1990, გვ.63-67).

მეცნიერო ლიტერატურაში სტრატოფილეს საკათედროდაა მიჩნეული (Хрущкова, 1985, გვ. 61), მაგრამ საეპისკოპოსო ეკლესიების ტრადიციებიდან გამომდინარე, მის რეზიდენციად უნდა ჩაითვალოს პირველი ეკლესიის ნანგრევებზე აშენებული მეორე, დიდი ზომის სამნავიანი ბაზილიკა.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ სამოქალაქო დასახლების ამ მონაკვეთზე, IV-VI სს. პერიოდულად შენდება და ინგრევა კიდეც სამი ეკლესია. მეორე, სამნავიანი ბაზილიკის აგებისთანავე, ზუსტად მის გვერდით შენდება 1-2 მმ. ძლიერი სასიმაგრო კედელი კოშკებითურთ, რომლებიც იცავდა კანაბეს და ბაზილიკას სამხრეთიდან.

ქალაქი და მისი ქრისტიანული თემი გამუდმებული სამხედრო საშიშროების წინაშე რომ იმყოფებოდა, ამას მოწმობს არა მარტო ბიჭვინტის ნაქალაქარის III ს. შუა წლების, IV ს. მეორე ნახევრისა და VI ს. შუა ხანების ფენებში დადასტურებული ხანძრის კვალი და ეკლესიათა ნანგრევები, არამედ, ქალაქის სამაროვანი, რომელიც, გასაგები მიზეზების გამო, ასევე კასტელუმის სამხრეთ-დასავლეთ კედელს ემიჯნებოდა. აქ, ჯერ კიდევ გასული წლების არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად, დაფიქსირდა დედაკაცთა და ბავშვთა კოლექტიური სამარხები, სამხედრო კატასტროფის მსხვერპლთა გვამები. გამოყოფილია ადრექრისტიანულ სამარხთა ცალკე უბანი (აფაქიძე, ფუთურიძე, რამიშვილი, ლორთქიფანიძე, მიქელაძე, თოლორდავა, 1969, გვ. 55-61).

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ IV ს. დამდეგისათვის ბიჭვინტაში ქრისტიანობა მყარად ფეხმოკიდებული რელიგია იყო. ამავე დროსვე უნდა წარმოშობილიყო ქრისტიანული თემები სებასტოპოლისში, რასაც მოწმობს „აქტა ანდრიაში“ (319 წ.) დაცული ცნობა: „დიდი ანდრია სიმონთან ერთად ჩამოვიდა ... ქალაქ ფუსტაში, საიდანაც მათ აბასგიისკენ გასწიეს; მოვიდნენ სებასტოპოლისში, იქადაგეს

სარწმუნოება და მცხოვრებთა დიდი ნაწილი ქრისტიანობას აზიარეს“ (Glossar, 1980, გვ. 208). როგორც ჩანს, IV ს. პირველი ნახევრისათვის, საქართველოს ზღვისპირა ცენტრებში ქრისტიანობა მყარად ფეხმოკიდებული რელიგიაა. მათ თანადროულად უნდა მომხდარიყო ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება დასავლეთ საქართველოს შიდა რეგიონში.

ამრიგად, რომაული ცივილიზაციის გავლენა კოლხეთის მატერიალური და სულიერი კულტურის თითქმის ყველა სფეროში შეინიშნება. განსაკუთრებით ეს მკაფიოდ აისახა სამშენებლო ხელოვნებაში, ნაწილობრივ დაკრძალვის წესსა და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში. რომაული კულტურის გავლენა შეიმჩნევა, აგრეთვე კერამიკულ წარმოებაში, საბრძოლო-სამეურნეო იარაღის ზოგიერთ სახეობასა და საიუველირო ხელოვნებაში.

# რომაული ციხესიმაგრეები და მათი გარემომცველი სამყარო

კოლხეთის ზღვისპირეთის რომაული ციხესიმაგრეები ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობით იყო გარემოცული. მათ შორის ყოველთვის როდი იყო მშვიდობიანი და საქმიანი ურთიერთობა. ძვ.წ. I - ახ.წ. I ს. პირველ ნახევარში ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ზღვისპირა ცენტრებისადმი მტრული ჩანს. მკვიდრი მოსახლეობა თავს ესხმის და ძარცვავს ზღვისპირა ქალაქებს.[1]

ახ.წ. I ს. შუა ხანებიდან, რომაული გარნიზონების ჩადგომისა და ზღვისპირა ცენტრების აღდგენა-გამაგრების შემდგომ, ამგვარი თავდასხმები აღიკვეთა და თანდათანობით მათ შორის საქმიანი ურთიერთობაც მყარდება. კოლხური მკვიდრი მოსახლეობა და მათი მმართველები ლოიალურ დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვნენ რომაული ციხე-ქალაქების სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციასთან. რომი აკონტროლებდა პოლიტიკურ სიტუაციას, ამიტომ ადგილობრივ „მეფეებს" რომის იმპერატორი ნიშნავდა. არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის სამხედრო-პოლიტიკური და სავაჭრო შეთანხმებაც არსებობდა ტაციტუსის მიერ მინიშნებული ius commercium და ius militarium-ის სახით (Tac., Ann., II, 62). ყოველ შემთხვევაში ეს კავშირი ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპებს ეფუძნებოდა. კერძოდ, მკვიდრი მოსახლეობა ციხე-ქალაქთა კეთილდღეობის ეკონომიკურ-პოლიტიკური სტაბილურობის გარანტს წარმოადგენდა. იგი იყო არა მარტო გარნიზონებისა და მუშახელის კონტინგენტის შევსების წყარო, არამედ სამხედრო-

---

[1] პლინიუსის ცნობით, უმდიდრესი ქალაქი პიტიუნტი პენიოხებს გაუძარცვავთ (Plin., NH., VI, 16). იგივე ბედი უნდა სწვეოდა დიოსკურიასაც, რომელიც ახ.წ. I ს. დასაწყისში პლინიუსისავე სიტყვით „დაცარიელებული იყო" (Plin., NH., VI,15).

სამოქალაქო მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით მომმარაგებელი. სწორედ, ამ უკანასკნელის შედეგია ის ადგილობრივი კერამიკა, რაც ასე საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი პიტიუნტის, სებასტოპოლისისა და აფსაროსის კასტელუმების ტერიტორიაზე. თავის მხრივ კი ციხესიმაგრეები ერთგვარ მასტაბილიზირებელ როლს ასრულებდა მათივე გარემომცველ სამყაროში. გარდა ამისა, აქედანვე ვრცელდებოდა ქვეყნის შიდა თუ მთიან ზოლში რომაული კულტურის ელემენტები და იმპორტულ ნაწარმთა მთელი სერია. როგორც ჩანს, ზღვისპირა ციხესიმაგრეები მრავალი არხებით ყოფილა დაკავშირებული გარემომცველ სამყაროსთან, რაც მეტ-ნაკლები ინტენსივობით აისახა კიდეც დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და რომაული კულტურის რადიაციის დონის მიხედვით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში ასეთი სურათი ჩანს: პიტიუნტის სათემო ტერიტორიაზე, რომელიც ჩვენი ვარაუდით თანამედროვე სოჭი-ადლერისა და გაგრის მონაკვეთს მოიცავდა,[2] ახ.წ. III–IV სს. მატერიალური კულტურის მთელი რიგი

---

[2] ერთადერთი და ისიც ადრეული ხანის ცნობა, სადაც გაკვრით მინიშნებულია პიტიუნტის საქალაქო თემის საზღვრები სტრაბონს ეკუთვნის. ძველი ბერძენი გეოგრაფოსი, არტემიდორე ეფესელზე მითითებით წერს: „ბაგადან კერკეტების სანაპირომდე, რომელზედაც არის ნავსაყუდელები და სოფლები, დაახლოებით 850 სტადიონია, შემდეგ აქეელთა (სანაპირო) 500 (სტადიონი), მერე ჰენიოხთა (სანაპირო) – 100 (სტადიონი), ხოლო დიდი პიტიუნტიდან დიოსკურიამდე 360" (Strabo, XI, 2, 14). მკვლევართა აზრით, აქ საუბარია „დიდი პიტიუნტის" სანაპიროზე, რომელიც ჰენიოხებიდან დიოსკურიამდე ვრცელდებოდა (ყაუხჩიშვილი, 1957, გვ. 291; ლორთქიფანიძე 1991, გვ. 11). სტრაბონის ზემოთ მოტანილი კონტექსტიდან ჩანს, რომ პიტიუნტის სათემო ტერიტორია არტემიდორე ეფესელის დროისათვის და შესაძლოა უფრო ადრეც, გადაჭიმული ყოფილა ჰენიოხების მიწა-წყლიდან ვიდრე დიოსკურიამდე. ამ მოსაზრებას გარკვეულწილად არქეოლოგიური მასალებიც უჭერენ მხარს. ძვ. წ. IV-I სს. სოჭი-ადლერის სანახებისა და მდ. ფსოუს მონაკვეთი კოლხური კულტურის არეალშია მოქცეული. რომაულ ხანაშიც პიტიუნტის სათემო ტერიტორია, ვფიქრობთ, ადრინდელ საზღვრებში თავსდება. ნიშანდობლივია, რომ ტუაფსედან პიტიუნტამდე არ ჩანს რამდენადმე მნიშვნელოვანი ბერძნულ-რომაული დასახლების კვალი.

კომპონენტები (მახვილები, ცულები, შებისპირები, ფარები, დანები, ბალთები, საყურეები) ერთგვაროვანია. გარდა ამისა, გარკვეული გენეტიკური კავშირები შეიმჩნევა ბიჭვინტის ნაქალაქარზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალასა და ზღვის სანაპირო ზოლში დღევანდელ გელენჯიკსა და მდ. შახემდე მცხოვრები ზიხების მატერიალურ კულტურასთან (Анфимов, 1980, გვ. 92-94). აღსანიშნავია ისიც, რომ ახ.წ. II-III სს. ლოოს (Иванова, Голубев, 1961, გვ. 284-292) მაცესტისა (Шамба, 1970, გვ. 232-237) და ბიჭვინტის სამარხეული ინვენტარი (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 117-154) თითქმის იდენტური ასორტიმენტისაგან შედგება, რაც აღნიშნული ტერიტორიის ფარგლებში ერთიანი მატერიალური კულტურის არსებობის კიდევ ერთი მოწმობაა. როგორც ჩანს, აღნიშნულ რეგიონს პიტიუნტთან მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა აკავშირებდა. სწორედ პიტიუნტის არსებით ვრცელდებოდა ამ მონაკვეთზე რომაული იმპორტი, რაც ასე მრავლადაა წარმოდგენილი ლოოსა და მაცესტის მდიდრულ სამარხებში. ყოველივე ეს, პიტიუნტის სავარაუდო სათემო ტერიტორიაზე რომაული კულტურის რადიაციის საკმაოდ მაღალი დონის მიმანიშნებელია.

რაც შეეხება სებასტოპოლისის სავარაუდო სათემო ტერიტორიის ფარგლებს, იგი თანამედროვე ეშერისა და ახალი ათონის სანახებს მოიცავდა (Воронов, 1980, გვ. 47), ხოლო სებასტოპოლისის ეკონომიკურ-კულტურული რადიაციის ზონა ჩრდილოეთით, აფსილიის მაღალმთიან რეგიონშიც ვრცელდებოდა. სებასტოპოლისის სავარაუდო სათემო ტერიტორიიდან ადრერომაული ხანის რამდენიმე სამარხეული კომპლექსია ცნობილი. ერთი მათგანი აღმოჩენილია აგცაში. სამარხი II–III ს.ს. თარიღდება. სამარხეული ინვენტარი შეიცავდა ვერცხლის სა-

ბეჭდავ ბეჭედს, ოქროს რგოლაკს, შუბისპირსა და ვერცხლის ფიბულას (Воронов, 1972, გვ. 57).

შედარებით უფრო ღარიბული ჩანს ახალ ათონთან, სოფ. სუშკაში აღმოჩენილი სინქრონული ხანის ინჰუმაციური სამარხი. მისი ინვენტარი ბრინჯაოს სამაჯურისაგან, შუბისპირისა და მონეტისაგან შედგებოდა (Куфтин, 1949, გვ. 94). ახ.წ. III ს. დათარიღებული გერზეულის ციხის აღმოსავლეთით დადასტურებული კერამიკულფილიანი სამარხის ინვენტარი კი მშვილდსაკინძებს, მძივებსა და ბეჭდებს შეიცავდა (Воронов, 1975, გვ. 41). როგორც ჩანს, ამ სამარხებში საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი რომაული სამარხებისათვის დამახასიათებელი ნივთები – მშვილდსაკინძები, გემიანი ბეჭდები და სხვ. მართალია, თითო-ოროლა სამარხეული კომპლექსების მიხედვით ძნელია რაიმე კონკრეტული დასკვნის გამოტანა, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ახ.წ. II–III სს. სებასტოპოლისის სათემო ტერიტორიაზე სოციალურ-ეკონომიკურად და კულტურულად საკმაოდ დაწინაურებული მოსახლეობის არსებობა ვივარაუდოთ.[3]

აღნიშნული რეგიონის ასეთი დაწინაურება სებასტოპოლისთან მისი სიახლოვით უნდა აიხსნას. ეს პროცესი ინტენსიური ჩანს IV ს-ში, როდესაც სებასტოპოლისი აღმავლობის გზაზე იდგა. მართლაც, IV ს. დღევანდელ ახალ ათონში საფუძველი ეყრება ანაკოფიად წოდებულ ციხე-ქალაქს (Трапш, 1975, გვ. 88-116), რომელიც, ეფიქრობთ, თავიდანვე სებასტოპოლისის ავანპოსტის როლს ასრულებდა.

აღნიშნული დროიდან ვრცელდება, აგრეთვე რომაული კულტურის რადიაცია აფსილეთის მაღალმთიან ზოლში. ამის მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს აბგიძრაჰუს III-IV სს. დათარიღებული №3,6, 31,53,55,57, IVს. პირველი ნახევრის №9, 10,

---

[3] ამას მოწმობს, ასევე გერზეულში აღმოჩენილი ახ.წ. II ს. რომაული ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც სებასტოპოლისიდან არის აქ მოხვედრილი.

11, 13, 27, 28, 36, 39, 41, 43, 45, 51; IV-V სს. №12, 44, აპაჭარხვას III–IV სს. №11,12,13 სამარხები (Трапш, 1971, გვ. 218-219). აღნიშნულ სამარხთაგან ინვენტარის სიუხვით გამოირჩევა და შედარებით უფრო მდიდრულად გამოიყურება აბგიძრაჰუს №9, 12, 13, 27, 41, 44 სამარხები. აღსანიშნავია, რომ ინვენტარის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლით მათ შორის გარკვეული სხვაობა შეინიშნება. ასე მაგალითად, №12, 44 სამარხების ინვენტარი დანარჩენი სამარხების ასორტიმენტისაგან ბრინჯაოს მოოქროვილი და რკინის ნახევარსფერული ფორმის უმბონებით გამოირჩევა.[4] გარდა ამისა, ამ სამარხთა ინვენტარი რაოდენობრივად და ხარისხობრივადაც აღემატება ზემოჩამოთვლილ სამარხების ასორტიმენტს.[5]

როგორც ჩანს, №12, 44 სამარხები წარჩინებულ მეომართა (უმბონებისა და მრავალრიცხოვანი საბრძოლო იარაღის მიხედვით) წრეს უკავშირდება. მათთან შედარებით ნაკლებად მდიდარი წრის წარმომადგენლებს უნდა განეკუთვნოს ის სამარხები (№9,13,27,41,43), რომლებშიც რკინის უმბონებთან და შუბისპირებთან ერთად წარმოდგენილია ვერცხლის ბეჭდები, საყურეები, ოქროს მძივები და, რაც მთავარია, რომაული სამარხებისათვის დამახასიათებელი მინის სასმისები, ამფორები, ვერცხლის ფიბულები, წითელლაკიანი ჯამები (№36 და 43 სამარხები).

საშუალო შეძლების „მეთემე-მეომართა" წარმომადგენლების სამარხებს განეკუთვნება აპაჭარხვას №12, 13, აბგიძრაჰუს №6, 11, 13, 31, 39, 45, 49 სამარხები. ამ სამარხებში, ძირითა-

---

4 ამგვარი ტიპის უმბონები წებელდური წრის სხვა სამარხებში არ დადასტურებულა.

5 №12 სამარხის ინვენტარი შეიცავდა, აგრეთვე მინის თასს, ვერცხლის ფიბულასა და ბალთას, შუბისპირებს, მახვილებს და სხვ., ხოლო №44 სამარხეულ ინვენტარში 30 დასახელების ნივთი შედიოდა: მინის თასი, ვერცხლის რგოლაკები, ბალთები, მასრიანი შუბისპირები, გრძელი მახვილები, სატევრები და სხვ.

დად, წარმოდგენილია მასრიანი შუბისპირები, ისრისპირები, დანები, ადგილობრივი წარმოების ქვევრები, ხელადები თუ დოქები. სამკაულებიდან კი ბრინჯაოს ფიბულები, მძივები, ვერცხლის ბეჭდები და საყურეები. მხოლოდ რამდენიმე სამარხში გვხვდება მინის სასმისები (№ 13, 31 სამარხები) გემები (№ 39 სამარხი). მოსახლეობის მცირე შეძლების ჯგუფის სამარხების (აპაჭარხეას №11, აბგიძრაჰუს № 3, 10, 28, 55, 57, 49 სამარხები) ინვენტარი მხოლოდ ადგილობრივი ნაწარმით არის წარმოდგენილი. ყოველივე ეს, წებელდელთა საზოგადოების ქონებრივ დიფერენციაციაზე, მის პოლარიზაციაზე მიუთითებს.[6] რაც შეეხება რომაული კულტურის რადიაციის დონეს წებელდის მოსახლეობაში, აქ ეს პროცესი ძალზე უმნიშვნელო იყო საშუალო შეძლების წრეში, ხოლო შედარებით უფრო ინტენსიური ჩანს საზოგადოების შეძლებულ ფენებში. მიუხედავად ამისა, ამ კატეგორიის პირთა სამარხებშიც რომაულ იმპორტს ადგილობრივი ნაწარმი ჭარბობდა, რაც რომაული კულტურის გავლენის ზედაპირულ ხასიათზე მიუთითებს.

სოციალური დიფერენციაციისა და რომაული კულტურის რადიაციის სხვადასხვა დონე ფიქსირდება აპუშტის, ლარის, შაპკისა და გერზეულის ტერიტორიაზე. აპუშტაში დადასტურებულია ორი ტიპის სამარხი – კრემაციული და ინჰუმაციური. კრემაციული წესით ადამიანებს კრძალავდნენ ქვევრებსა და ორყურა დიდ ჭურჭელში. ინჰუმაციურ სამარხებში მიცვალებულთა უმრავლესობა დაკრძალულია თავით ჩრდილოეთისაკენ. სამარხთა ძირითადი ნაწილი III–IV და V ს. თარიღდება (Воронов, 1982, გვ. 48-68).

---

[6] ჩვენი აზრით, წებელდური დასახლებები წარმოადგენდნენ სამხედრო-სამეურნეო ტიპის სამოსახლოებს, სადაც ხეობის დამცველი ციხესიმაგრეები, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების ერთიანი კომპლექსი იყო. მისი მოსახლეობა კი შედგებოდა „სტრატიოტების" მსგავსი თავისუფალი მეთემემოლამქრეებისაგან, რომლებიც ერთნაირად იყვნენ დაკავებულნი როგორც სამხედრო, ასევე სამეურნეო საქმიანობით.

სამარხთა ინვენტარში, ძირითადად, შედიოდა რკინის შუბისპირები, ცულები, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, ფიბულები, მძივები, რომლებიც ყველა სამარხში თითქმის თანაბრადაა წარმოდგენილი. იგივე უნდა ითქვას კერამიკაზეც, რომელიც სამარხებში ადგილობრივი წარმოების ორყურა ჭურჭლითა და ხელადებით არის წარმოდგენილი. ოქროს სამკაულები საერთოდ არ არის დადასტურებული, ხოლო ვერცხლისა ძალზე იშვიათია. როგორც ჩანს, ეს სამაროვანი ერთ სოციალურ კატეგორიას უკავშირდება. ეს არის რიგითი მეთემე-მეომარი მოსახლეობა, რომელშიც ჯერ კიდევ სუსტია ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი. აღსანიშნავია, რომ აპუშტის არცერთ სამარხში არ დადასტურებულა რომაული იმპორტი. ნიშანდობლივია, რომ აპუშტის ციხე ნაგებია ე.წ. „ციკლოპური" წყობის წესით, რომელიც მხოლოდ ადგილობრივი სამშენებლო ტექნიკისათვის არის დამახასიათებელი, რაც ამ პუნქტში ძველი კულტურული ტრადიციების სიმტკიცეზე მეტყველებს.

აპუშტის სამაროვნის ფონზე, სოციალური დიფერენციაციის პროცესი შედარებით უფრო მკაფიოდ ჩანს ლარის სამაროვანზე, სადაც გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ხანის 24 სამარხია გამოვლენილი (Воронов, 1982, გვ. 31-38). ამათგან ექვსი სამარხი (№3, 5, 7, 12, 18, 19) ახ.წ. IV ს. თარიღდება; ერთი (№19 სამარხი) – III–IV სს-ით, ხოლო № 20 სამარხი IV–V საუკუნითაა დათარიღებული. აღნიშნულ სამარხთაგან ინვენტარის სიუხვით გამოირჩევა №5 (Воронов, 1982, გვ.34,36). №5 სამარხის ინვენტარის შემადგენლობაში შედიოდა შემდეგი ნივთები – რკინის ცული, შუბისპირები, მახვილი, თოხები, დანები, ვერცხლის მასიური ხატისუღელი. №2 სამარხში კი წარმოდგენილი იყო რკინის უმბონი, შუბისპირები, ბრინჯაოს ფიბულა, ხელადა და პასტის მძივები. საკმაოდ ღარიბულად გამოიყურება ის სამარხები (№9, 10, 16, 17, 18), რომელთა ინვენტარი თითო-ოროლა ეგზემპლარით არის წარმოდგენილი. მიუხედავად ასეთი მკვეთ-

რი სოციალური სტრატიფიკაციისა, ლარის სამარხებშიც რომაული ნაწარმი არ გვხვდება. როგორც ჩანს, ამ პუნქტშიც ადგილობრივი ტრადიციები ძალზე მყარია.[7] ეს ფაქტი, იმით აიხსნება, რომ აღნიშნული პუნქტები სებასტოპოლისისაგან საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაშორებული, რის გამოც აქ იმპორტული პროდუქცია და, შესაბამისად, რომაული კულტურის რადიაცია ვერ აღწევდა.

ქონებრივი უთანასწორობის მკვეთრი გრადაცია და რომაული კულტურის გავლენა აშკარად იგრძნობა სებასტოპოლისის სიახლოვეს მდებარე დღევანდელ სოფ. შაპკასა და მის მიდამოებში. სწორედ შაპკის რომაულ-ადრებიზანტიური ხანის სამაროვანზე სრულყოფილად არის ასახული საზოგადოების პოლარიზაციის სურათი. გარდა ამისა, ამ სამარხებში საკმაოდ მრავლად გვხვდება რომაული მინის ჭურჭელი, წითელლაკიანი კერამიკა, (Воронов, 1971, გვ. 87-89). ნიშანდობლივია რომ, წებელდის ზონაში აღმოჩენილ მონეტათა აბსოლუტური უმრავლესობა, ამ პუნქტშია თავმოყრილი (Шамба, 1987, გვ. 62-67). აღსანიშნავია ისიც, რომ შაპკის სასიმაგრო სისტემა რომაული სამშენებლო ტექნიკისათვის დამახასიათებელი „opus quadratum"-ის წესითაა ნაგები.[8] რომაული კულტურის რადიაციის დონე საკმაოდ მაღალი ჩანს სებასტოპოლისიდან 20 კმ-ით დაშორებულ გერზეულში. ამის ნათელი ილუსტრაციაა „opus mixtum"-ის ტექნიკით ნაგები გერზეულის ციხესიმაგრე და, რაც მთავარია, აქ აღმოჩენილი ახ.წ. II ს. კესარიულ დიდრაქმათა განძი (Иващенко, 1931, გვ. 8-10).

ამრიგად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და რომაული კულტურის რადიაციის დონის მიხედვით, ჩრდილო-და-

---

[7] ამასვე მოწმობს, ასევე ლარის თავდაცვითი ნაგებობის კონსტრუქცია, რომელიც აპუშტის ციხესიმაგრის ანალოგიურია (Воронов, 1971, გვ. 39).

[8] ამგვარი კონსტრუქციითაა ნაგები, აგრეთვე ახისტას ციხესიმაგრე.

საელეთ რეგიონში შედარებით უფრო დაწინაურებული ჩანს ზღვისპირა ჰინტერლანდი და რომაული ციხესიმაგრეების სიახლოეეს მდებარე პუნქტები (გერზეული, შაპკა), ვიდრე მათგან მოშორებით არსებული დასახლებები (აპუშტა, ლარი, პალი).

სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და რომაული კულტურის გაელენის მხრივ, შედარებით უფრო განსხვავებული სურათი ჩანს კოლხეთის ცენტრალურ რეგიონში. ჩრდილო-დასაელეთ რეგიონისაგან განსხვავებით, აქ დაკრძალვის რამდენიმე წესია დადასტურებული. ესენია: ორმოსამარხები, ქვევრსამარხები, ქვასამარხები, ურნასამარხები. ქვევრსამარხები, ჯერჯერობით, ბანძასა (მაკალათია 1928, გვ. 182-185) და ძევრშია დაფიქსირებული (ცქიტიშვილი, 1953, გვ. 7-8). სამარხები ახ.წ. II ს. თარიღდება (ფუთურიძე, 1959, გვ. 60). აღსანიშნავია, რომ ბანძისა და ძევრის ქვევრსამარხები ელინისტური ხანის ქვევრსამარხებისაგან განსხვავდება ინვენტარის შემადგენლობით. კოლხეთის ელინისტური ხანის ქვევრსამარხების ინვენტარში, არ იყო წარმოდგენილი იარაღ-საჭურველი (თოლორდავა, 1980, გვ. 57). ძალზე იშვიათია ოქროსა და ვერცხლის სამკაულები (Кигурадзе, 1976, გვ. 51-53), მაშინ როცა ბანძისა და ძევრის ქვევრსამარხებში იარაღ-საჭურველი იყო, თანაც ბანძის სამარხი ინვენტარის სიუხვითაც გამოირჩევა და დღემდე ცნობილ ქვევრსამარხთა შორის საკმაოდ მდიდრულადაც გამოიყურება.[9]

ვფიქრობთ, ეს მომენტი, მწარმოებელ საზოგადოებაში კერძო საკუთრების გაღრმავება-განმტკიცებით უნდა აიხსნას. აქედან გამომდინარე, ბანძის ქვევრსამარხი შესაძლოა მეთემე გლეხობის ფენიდან გამოყოფილ „აზნაურთა" ზედაფენას დაუკავშირდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბანძის ქვევრსამარხში რომაული იმპორტიცაა წარმოდგენილი ვერცხლის თასისა და მონე-

---

[9] მისი ინვენტარის შემადგენლობაში შედიოდა ვერცხლის თასი, ოქროს საყურე, ვერცხლის მონეტა (ანტონინე პიუსის სახელით მოჭრილი), რკინის შუბისპირი, მახვილი და დანა.

ტის სახით, რაც აღნიშნულ ზედაფენაში რომაული კულტურის გარკვეულ გავრცელებაზე უნდა მიუთითებდეს. ამგვარი პროცესის შეღწევა აქ, ალბათ, განპირობებული იყო ხსენებული პუნქტის სიახლოვით ციხე-გოჯთან, რომელსაც II–III სს. საფუძველი ეყრებოდა როგორც ეგრისის სამეფოს მომავალ დედაქალაქს.

მეურნე მოსახლეობის სამაროვნად უნდა ჩაითვალოს ჩხოროწყუს კრემაციული ურნასამარხები, რომლებიც ახ.წ. II საუკუნითაა დათარიღებული (Хоштариа, 1941, გვ. 88-89). ჩხოროწყუს ნეკროპოლის სამარხეული ინვენტარი (რკინის მახვილები, შუბისპირები, მოხრილი დანები, ბრინჯაოს სამაჯურები და მშვილდსაკინძები, მინისა და პასტის მძივები) იმდენად ერთფეროვანი და შეზღუდულია (ოქროსა და ვერცხლის სამკაულები საერთოდ არ დადასტურებულა), რომ ძალზე ძნელია აქ სოციალური სტრატიფიკაციის სურათის დანახვა. თითქმის ანალოგიური ვითარებაა ძევრის სამაროვანზე. ამ სამარხთა ინვენტარიც ერთფეროვანია და ასორტიმენტიც თითქმის თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი (ცქიტიშვილი, 1953, გვ. 7-8). ძევრის სამარხებშიც რომაული იმპორტი თითქმის არ გვხვდება. ვფიქრობთ, მეურნე მოსახლეობაში ჯერ კიდევ არ არის შეღწეული რომაული კულტურის რადიაცია, რაც აღნიშნული პუნქტების ზღვისპირა ცენტრებიდან საკმაოდ დიდი მანძილით დაშორების მოტივით უნდა აიხსნას.

სოციალური სტრატიფიკაციისა და რომაული კულტურის გავლენის მასშტაბები მკაფიოდ არის წარმოდგენილი მოდინახეს ახ.წ. IV ს. სამაროვანზე, რომელსაც დიდებულთა წრის საშუალო შეძლების ფენას უკავშირებენ (ნადირაძე, 1975, გვ. 74). მოდინახეში არქეოლოგიურად შესწავლილია ორმოცამდე სამარხი. ამ სამარხთაგან ინვენტარის სიუხვითა და რომაული იმპორტის სიმრავლით გამოირჩევა №9 და 36 ორმოსამარხები (ნადირაძე, 1975, გვ. 50-52, 56-57). №9 სამარხეულ კომპლექსში წარმოდგენილი იყო შემდეგი ნივთები: ვერცხლის თასი, ოქროს გემიანი ბე-

ჭედი, ოქროსავე წყვილი საყურე, ბრინჯაოს თეფში, თიხის ჩაფი და დოქი, ბრინჯაოს წინწილები, გიშრის, მინის, პასტისა და სარდიონის მძივები. ამ სამარხის ფონზე კიდევ უფრო მდიდრული ჩანს №36 სამარხი კონსტანტინე დიდისა (306-337 წწ.) და კონსტანტინე II-ისა (337-361 წწ.), რომელთა ინვენტარის შემადგენლობაში შედიოდა ოქროს წყვილი ბალთა, ვერცხლის სურა, ოქროს ბეჭედი, რკინის სატევარი ოქროს მოსართავებით, ოქროს სოლიდები. გაცილებით მოკრძალებულად გამოიყურება №1, 2, 5, 8, 17 სამარხები, რომელთა ინვენტარის ასორტიმენტი მხოლოდ ადგილობრივი ნაწარმისაგან შედგება.

სოციალური სტრატიფიკაციისა და რომაული კულტურის რადიაციის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ასევე კლდეეთის სამაროვანი. ნეკროპოლის სამარხები, როგორც აღინიშნა, ცენტრალური კოლხეთის მოსახლეობის დიდებულთა ფენებს ეკუთვნოდა. მიუხედავად ამისა, სამარხეული ინვენტარის ასორტიმენტის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლის მიხედვით, სამარხთა შორის სხვაობა მაინც შეინიშნება. ამის მკაფიო ილუსტრაციაა №1, 2 სამარხების ინვენტარი. თუ პირველ სამარხში წარმოდგენილი იყო თიხისა და მინის ჭურჭელი, ბრინჯაოს საკიდები, სარდიონის, პასტისა და ქარვის მძივები, მეორე სამარხის ინვენტარში კი შედიოდა ოქროსა და ვერცხლის მონეტები, ოქროს საკიდები, ოქროსავე ბალთა, გემიანი ბეჭედი, ბრინჯაოს ბაგისაფარი და სხვ. (ლომთათიძე, 1957, გვ. 100-119). ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი სამარხი უფლებრივადაც პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელს უნდა უკავშირდებოდეს, ვინაიდან მასში დაევანებული ბაგისაფარი მხოლოდ აღნიშნული კატეგორიის პირთა სამარხების ატრიბუტი იყო (Погребова, 1957, გვ. 154).

ანალოგიური სურათია დადასტურებული კლდეეთის დანარჩენი სამარხების ინვენტარშიც. კერძოდ, №3 სამარხის ინვენტარში წარმოდგენილია რკინის მახვილი ვერცხლის გემიანი ბა-

ლთითურთ, ბრინჯაოს ოინოხოია, ვერცხლის ამარფემა, ოქროსა და ვერცხლის აბზინდები და სხვ., ხოლო №4 სამარხში რკინის შუბისპირები და ისრისპირები, ბრინჯაოს აბზინდები, ვერცხლის თავსამკაული, ელექტრონის სამაჯური, ვერცხლის პინაკი, ოქროსა და ვერცხლის მონეტები და სხვ., მაშინ როცა, №6 სამარხში არ დასტურდება ოქროსა და ვერცხლის ნივთები. მის ინვენტარს მხოლოდ ბრინჯაოს სამკაულები შეადგენს (იხ. ლომთათიძე, 1957, გვ. 119-160). აღსანიშნავია, რომ №2,3,4 სამარხებში რომაული იმპორტი მრავალფეროვანი სახითაა წარმოდგენილი.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და რომაული კულტურის რადიაციის პროცესი შიდაკოლხეთში უფრო ძლიერი ჩანს (ზღვისპირეთში თუ იბერიის მოსაზღვრე პუნქტებში), ხოლო გაცილებით ნაკლებია სხვა რეგიონებში (ჩხოროწყუ, ძევრი). რომაული კულტურის რადიაციაც უფრო ძლიერია ზღვისპირეთში, ხოლო შედარებით ნაკლები ქვეყნის შიდა და მთიან მხარეში. რაც შეეხება ჩრდილო-დასავლეთისა და ცენტრალური კოლხეთის რეგიონების მკვიდრი მოსახლეობის განვითარების საერთო დონეს, ამ მხრივაც მათ შორის გარკვეული განსხვავებაა. კერძოდ, პირველ რიგში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის კერამიკისაგან განსხვავებით, ცენტრალური რეგიონის სხვადასხვა კუთხიდან მომდინარე თიხის ჭურჭელი ტიპოლოგიურად უნიფიცირებულია, რაც მიუთითებს კერამიკის სასაქონლო წარმოებაზე.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის სამარხებისაგან განსხვავებით აქ როგორც მდიდრულ, ასევე საშუალო და მცირე შეძლების სამარხებშიც გვხვდება მონეტები, რაც ჩამოყალიბებული, განვითარებული საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის სამაროვნების ინვენტარისაგან განსხვავებით, ცენტრალური რეგიონის სამარხეული კომპლექსები

შედარებით უფრო მდიდრულია და სოციალური სტრატიფიკაციის სურათიც მკაფიოდ ჩანს.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის შიდარეგიონებში მთელი რომაული ხანის მანძილზე ადგილობრივი საქალაქო ცენტრები არ აღმოცენებულა, მაშინ როცა IV ს.-ში ცენტრალურ ნაწილში წინაურდება ნოქალაქევის, შორაპნისა და ვარდციხის ციხე-ქალაქები. კოლხეთის ზღვისპირა საქალაქო დასახლება-ფასისი უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე ჩრდილო-დასავლეთი რეგიონის მკვეთრად გამოხატული სამხედრო დანიშნულების მქონე ციხე-ქალაქები - სებასტოპოლისი და პიტიუნტი, რაც ლაზიკის ეკონომიკური პოტენციალის სიმძლავრეზე მეტყველებს. რომაული კულტურის გავლენის მასშტაბებიც შედარებით უფრო ძლიერია ცენტრალურ კოლხეთში, ვიდრე ჩრდილო-დასავლეთი რეგიონის შიდა თუ მთიან ზოლში.

ასე რომ, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მხრივ, ეგრისის საზოგადოება უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის მოსახლეობა. საერთოდ, ახ.წ. I–IV სს. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არ ფიქსირდება ისეთი ნიშნები როგორიცაა მკვიდრი მოსახლეობის რომანიზაცია, „კომპლექსური კულტურის" წარმოქმნა, რომაულ სამყაროში დამზადებული ხელოსნური ნაწარმის მასიურად გავრცელება, რაც ასე დამახასიათებელია რომის იმპერიის დასავლეთი პროვინციების ქვეყნებისათვის (გერმანია, ბრიტანეთი, გალია). რომაული კულტურის გავლენა აქ, ისევე როგორც იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, საკმაოდ ზედაპირული იყო და მას ქვეყნის სიღრმეში ინტენსიურად არ შეუღწევია.

## დასკვნა

კოლხეთი რომის იმპერიის გეოპოლიტიკურ სივრცეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ახ.წ. 57-66 წ.წ. აქ საფუძველი ჩაეყარა პონტო-კავკასიის თავისებურ სასაზღვრო-თავდაცვით სისტემას, რომლის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა რომაელთა პოზიციების განმტკიცება ამიერკავკასიაში და ჩრდილო კავკასიის რეგიონის გაკონტროლება. ამ ამოცანათა გადაჭრა ხსენებული სისტემის მეშვეობით მთელი ინტენსივობით ვერ ხერხდებოდა. შესაბამისად, პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის როლი და ხასიათიც დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა იყო: ახ.წ. I-II სს. პონტო-კავკასიის თავდაცვითი სისტემა ჩამოყალიბების პროცესშია. ახ.წ. II-III სს. იმპერიის აღმოსავლეთ სასაზღვრო ზოლის მოდერნიზაციისა და ახ. წ. 135-152 წწ. პიტიუნტში რომაული სამხედრო შენაერთების ჩადგომის შემდეგ, საბოლოოდ სრულდება პონტო-კავკასიის სასაზღვრო თავდაცვითი სისტემის ჩამოყალიბება. მან უზრუნველყო ჩრდილო კავკასიის მხრიდან იმპერიის შორეული მისადგომების უსაფრთხოება და, საერთოდ, რომაელთა პოზიციების განმტკიცება კავკასიის რეგიონში. ახ.წ. III შუა ხანებში აღნიშნულმა სისტემამ ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა. მისი რეანიმაცია და შემდგომი განახლება-განმტკიცება III-IV სს. გახდა შესაძლებელი. IV ს. დასაწყისისათვის კი პონტო-კავკასიის სასაზღვროთავდაცვითი ხაზის პოზიციები ისეე სუსტდება და იგი, ძირითადად, აფსაროს-სებასტოპოლისის ციხესიმაგრეებით შემოიფარგლებოდა.

ახ. წ. I საუკუნიდან პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვით სისტემაში შემავალი აფსაროსი, ფასისი, სებასტოპოლისი და პიტიუნტი (მთელი რომაული ხანის მანძილზე) სასაზღვრო ტიპის მილიტარისტული ხასიათის ციხე-ქალაქებად რჩებოდა. ხოლო ახ. წ. III ს. მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვან სავაჭრო-

სახელოსნო, კულტურულ-საგანმანათლებლო (ფასისი) და რელიგიური (პიტიუნტი) ცენტრებიც ხდებიან.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული დასახლებების წარმოქმნისა და მისი განვითარების პროცესი თავისებური, განსხვავებული გზით წარიმართა. აქ, რომაული, კლასიკური ტიპის კანაბები არ წარმოქმნილა. დიოსკურია-სებასტოპოლისსა და აფსაროსში რომაული სამხედრო შენაერთების სამოქალაქო დასახლების ფუნქციას ასრულებდა ადგილობრივი საქალაქო ცენტრები თუ რიგითი დასახლებები. პიტიუნტისა და ფასისის კასტელუმებთან კი არსებობდა „vicus"-ის კატეგორიის, არასტანდარტული, მცირე სავაჭრო-სახელოსნოს ტიპის რომაული დასახლებები, რომელთა „მოქმედების არე" სანაპირო ზოლით შემოიფარგლებოდა.

პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის ორგანიზაციული ჩამოყალიბებისა და გარნიზონთა რიცხობრივ ზრდასთან ერთად, კოლხეთის ზღვისპირეთში მასიურად გავრცელდა რომაული იმპორტი (კერამიკა, მინა, ლითონის ნაწარმი და სხვ), რომელთა შორის ტრადიციულად მცირე აზიის ცენტრების ნაწარმი დომინირებდა. იმპორტული პროდუქციის ტრანსპორტირება უპირატესად საზღვაო გზით წარმოებდა და, ძირითადად, რომაული გარნიზონების მომარაგებაზე იყო ორიენტირებული. რომაული გარნიზონების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ცენტრალიზებული სისტემით ხდებოდა II-III საუკუნეებში ტრაპეზუნტიდან, IV ს. კი - ანტიოქიიდან.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მეტ-ნაკლები ინტენსივობით ვრცელდებოდა რომაული კულტურის ცალკეული ელემენტები. ეს მკაფიოდ აისახა სამშენებლო ხელოვნებაში, ნაწილობრივ დაკრძალვის წესსა და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში. რომაული გაელენა შეიმჩნევა, აგრეთვე კერამიკულ წარმოებაში, საბრძოლო-სამეურნეო იარაღის ზოგიერთ სახეობასა და საიუველირო ხელოვნებაში.

კოლხეთის სხვადასხვა რეგიონში რომაული კულტურის რადიაციაც სხვადასხვა დონისა იყო. ეს პროცესი შედარებით უფრო ძლიერია ზღვისპირეთში, ციხე-ქალაქების სიახლოვეს მდებარე პუნქტებში. ის ნაკლებად ინტენსიური ხასიათისაა ქვეყნის შიდარეგიონებში. ამასთანავე, I-IV სს. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არ ჩანს ადგილობრივი მოსახლეობის რომანიზაცია, რაც ასე დამახასიათებელი იყო რომის იმპერიის დასავლეთი პროვინციებისათვის.

